

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
მ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი

ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები

I



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1969

Г2
899.962.1.09
ა984

კრებულში განხილულია ქართული კრიტიკული რეალიზმის პრობლემები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ XIX საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვის განვითარების მართებული გაგებისათვის.

ბ. აბაშიძე
რედაქტორები: ბ. ასათიანი
ალ. კალანდაძე

ს ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე უ ა ზ ბ ე ბ ი

(მხატვრული მეთოდის საკითხი)

ა. ყაზბეგის პროზა თვისობრივად ახალი მოვლენაა ქართული ლიტერატურის განვითარების გზაზე. ამ სიახლის შედეგი იყო, რომ „ელგუჯას“ გამო გრ. ორბელიანმა აღნიშნა: „ქართულ ენაზედ მზგავსი არა დაწერილა რა“, „ძალიან კარგია“, „მშვენიერება არის“, ხოლო „მამის მკვლელის“ წაკითხვის შემდეგ ყაზბეგი „ქართველების ომიროსად“ გამოაცხადა. აქ, ცხადია, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ყაზბეგის პროზის სიახლის აღიარება, რომ „ქართულ ენაზედ მზგავსი არა დაწერილა რა“.

მე-19 საუკუნეში არც ერთ ქართველ მწერალს არ შეუქმნია ამდენი პირველხარისხოვანი ნოველა, როგორც ყაზბეგს.

დოსტოევსკი შენიშნავდა: ჩემს თვალწინ საზოგადოება ქიმიურად იშლებოდა. მე-19 საუკუნის რეალისტურმა პროზამ ღრმად ასახა საზოგადოების შინაგანი დაშლისა და ახლის ჩასახვის პროცესები. გოგოლი, შჩედრინი, ტოლსტოი ხშირად ხატავენ უსიყვარულო ოჯახებს, როგორც საზოგადოების რღვევის გამოხატულებას. ყაზბეგიც აღწერს საზოგადოებრივ ურთიერთობათა რღვევას. მაგრამ ამ საზოგადოებას, რომელიც მისი განსაკუთრებული ყურადღების საგანია, ჯერ კიდევ შერჩენია ანტიკური მთლიანობისა და მონუმენტურობის ელფერი. ამ მონუმენტურობის თვისებები ხშირად მის გმირებსაც გადაეცემა, — ასეთია, მაგალითად, ხევისბერი გოჩა, ონოფრე, აბდია, ჯმუხა ჯალაბაური...

დღეს შესაძლებელია არ გავიზიაროთ კ. აბაშიძის აზრი, რომ ყაზბეგის მხატვრული მეთოდი არის „რომანტიზმის“ ახალი სახე — „ნეორომანტიზმი“. მაგრამ კ. აბაშიძის თვალსაზრისში მაინც ბევრი რამ საგულისხმოა: „ყაზბეგის ნაწარმოები, — წერს კ. აბაშიძე, — ერთი ბეწოთიც არ არის სინამდვილეს დაშორებული... რამდენადაც მწერალი.

ცდილობს, სინამდვილეს შეხედოს ობიექტურად., თავისი „მე“ უკანა პლანზე დააყენოს., იმდენად იგი რეალისტია, მისი წერის კილო, მისი სკოლა რეალიზმის სკოლაა, რეალიზმის კილოა. ზოლო, თუ სინამდვილეს იმ სახით გადმოგვცემს, როგორც ეს მის განსაკუთრებულ ინდივიდუალიზებად განსხვავებულ ნიჭს ეჩვენება., იგი იმდენად რომანტიკოსია, მისი წერის მანერა რომანტიკულია. თუ კარგად ჩაუკვირდებით ამ განსხვავებას მწერლის წერის კილოსას... მაშინვე შევამჩნევთ, რომ ყაზბეგი რომანტიკოსია¹. მაგრამ ძველ რომანტიკოსთაგან განსხვავებით, ყაზბეგი „დოკუმენტებზედაც“ კი ამყარებს თავის მოთხრობებს. „მას განძეგვებული აქვს თავის ნაწარმოებიდან ყოველივე მოვლენა, რომელიც სინამდვილეზე მოშორებულია და მისტიურ სფეროში აქვს ადგილი... გარდა ამისა, მისი რომანტიზმი რევოლუციონურიც არის. იგი აღშფოთებულია აწმყოთი“².

ჩვენი აზრით, კ. აბაშიძე ზუსტად მიუთითებს ყაზბეგის მხატვრული მეთოდის ზოგად თავისებურებას.

ა. ყაზბეგის შემოქმედებას რომანტიკული ამბებისა და პეიზაჟების სამყაროში შევყავართ. მის ნაწარმოებებში ასახული ზალხი და ხანა გმირულ-რომანტიკული ზნეობრივი იდეალებით ხასიათდება. გამორკვეულია, რომ ყაზბეგი ეყრდნობა კიდევ „იმ დროის საგმირო-საისტორიო ლექსების საწყისებსა და ფუნქციას“³.

რომანტიკულ ტონალობაშია წარმოდგენილი ყაზბეგის რომანებისა და მოთხრობების ყველა ცენტრალური გმირი: ხევისბერი ვოჩა, მოძღვარი, ელგუჯა, მზალო, ელისო, ძიძია და სხვ. მოთხრობების სათაურებშიც ხშირად ამ გმირთა სახელები გვხვდება.

რომანტიკული ტონალობისა და გმირთა თავისებური ამალღებ-იდეალიზებისათვის ა. ყაზბეგი მიმართავს სინამდვილის სპეციფიკურ ასახვას, უხვად სარგებლობს მოვლენათა ასახვის იმ პრინციპებით, რომლებიც პოეზიისათვის უფრო დამახასიათებელია, ვიდრე პროზისათვის.

მხატვრული პროზა, განსაკუთრებით კრიტიკული რეალიზმის ნაწარმოებებში, მიზნად ისახავს მოვლენათა და რანგთა ზუსტ ხატვას, ზუსტ აღწერას, რაც ზოგჯერ ნატურალიზმშიც გადადის. პროზა ყოველთვის ზუსტი სიტყვისადმი მიისწრაფვის. მაგალითად, ილია ქავჭავაძე სათუთად, დაკვირვებით არჩევს და ეძებს ნიუანსების მქონე სიტყვებს, შედარებებს, რომ ზუსტად აღწეროს ლუარსაბ თათქარიძის

1 კ. აბაშიძე, ვტიულები., 1912, II, გვ. 176—177.

2 იქვე, გვ. 178.

3 ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956, გვ. 170.

გარეგნობის ყოველი დეტალი, ოთარაანთ ქვრივის გარეგნული და შინაგანი პორტრეტის ყოველი შტრიხი.

პოეტური ასახვისაგან განსხვავებით, პროზა წარმოსახავს, გვიჩვენებს სილამაზესა თუ სიმახინჯეს, პოეზია კი მოვლენათაგან მიღებულ შთაბეჭდილებას. პროზა ზუსტი სიტყვისადმი მიისწრაფვის, პოეზია — მშვენიერი სიტყვისადმი. პროზა ხატავს, ასახავს მოვლენებს, პოეზია — უძღერის. პოეზიის ეს თვისებები საკმაოდ ჭარბად იჩენს თავს ყაზბეგის პროზაში და დიდად განაპირობებს მის მხატვრულ, სტილურ თავისებურებას: „გამოჩნდა მშვენიერი ვაკე ქვეშის აღმართისა. აქ ბუნება სრულებით შეიცვალა მშვენიერის მდიდარის სურათებით“, ასე აღწერს ყაზბეგი ბუნებას მოთხრობაში „ელგუჯა“. ეს უფრო პოეტური ხოტბაა, ვიდრე ზუსტი აღწერა.

რა თქმა უნდა, ყაზბეგის თხზულებებს „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“, „ციცია“ და სხვა ახასიათებს რეალისტური პროზის ძირითადი ძირითადი თვისება, კერძოდ, მათში საკმაოდ ოკუპენტური სიმართლით არის ნაჩვენები ისტორიული ფაქტი. ზუსტად აღწერს ყაზბეგი ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, ადათ-წესებს და სხვ. მწერალი ხშირად ეყრდნობა თვით ისტორიულ-საარქივო მასალებსაც.

მიდრეკილება ზუსტი სიტყვისადმი, ზუსტი ასახვისადმი ყაზბეგის შემოქმედებაში, ცხადია, არის, მაგრამ ეს არ არის ყაზბეგის მხატვრული სტილის თავისებურებების გადამწყვეტი თვისება. ყაზბეგის სტილს ბევრი აქვს საერთო პოეზიასთან, სინამდვილის პოეტურ ასახვასთან: უპირველესად, აღტაცებას გვიხატავს სილამაზის წინაშე, ვიდრე თვით ამ სილამაზეს, უპირველესად, სიმახინჯისაგან შეძრწუნებას გვიხატავს, ვიდრე თვით სიმახინჯეს; მას მშვენიერი, პოეტური სიტყვა უფრო ემარჯვება, ვიდრე ზუსტი და ნიუანსური სიტყვა. ყაზბეგი უმღერის იმას, რასაც ილია ჭავჭავაძე ან გ. წერეთელი დეტალურად აღწერენ; ყაზბეგის მოთხრობები თავისებური ელეგიური განწყობილების ბალადებია, ან გმირულ-რომანტიკული ხოტბანი.

აი, როგორ აღწერს ყაზბეგი თავის გმირ ქალებს: მზალო („ელგუჯა“): „იმის თვალს წარმოუდგა მშვენიერი, მიმზიდავი, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალი, რომელმაც მოულოდნელად გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუღღღა... ის შეეპყრო მართო ერთს სურვილს, რომ ასე განუწყვეტლივ ეყურებინა ამ ქალის მშვენიერებისათვის...“ მაცვალა („მოძღვარი“): „ქალი იქნებოდა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა. მამასადამე, იმ ხანებში, როდესაც მთაში არცერთი გული უტოლოდ არ რჩება... სიყმაწვილესთან ერთად იყო ლამაზიცა და ტანადიც. სიტყვით, ერთი იმ მთის ყვავილთაგანი, რომელსაც წუთს მოარშიყე არ მოაკლდე-

ზა...“ ძიძია („ხვეისბერი გოჩა“): „ძიძია იყო თექვსმეტის წლისა, მაშასადამე, ასაკზე მოსული ქალი, სრულიად გაშლილი და გადაფურჩქნული — ის იყო ტანადი, ლამაზი, მშვენიერის დაკოკრებულის ლამაზი თხელის ტუჩებით, რომელიც თითქოს საკოცნელად მომზადებულიყვნენ, თეთრს-ყირმიზს, ატლასის მსგავს სახეზედ დასთამაშებდა მხურვალების ნიშანი ელფერი... სქელი შავი თმა ორს ნაწნავად თეთრ ბროლივით ყელს სუროსავით შემოხვეოდა, — სიტყვით, ძიძია ნახატი მშვენიერება იყო და მისი მნახველი ვერ გასძლებდა არ ეთქვა: „ცხოვდეს შენი მშობელი“.

როგორც ვხედავთ, პორტრეტის ეს აღწერები მიზნად ისახევენ არა იმდენად ინდივიდუალური, კონკრეტული თავისებურებების აღწერას, არამედ ზოგად დახასიათებას, თავისებურ პოეტიზაციას. ამიტომ იყენებს მწერალი ასე ხშირად პოეზიისათვის დამახასიათებელ მყარ რიტორიკულ „შტამებს“: „თეთრ-ყირმიზი, ატლასის მსგავსი სახე...“, „მთის ყვავილი“ და სხვ. აღწერები უფრო სილამაზისაგან პოეტური აღტაცებაა, ვიდრე თვით სილამაზის დაწვრილებითი აღწერა შეუქრდილებითა და ელფერებით.

ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ყაზბეგს არ შესწევს უნარი შექმნას ზუსტი ნატურალისტური პორტრეტი. უბრალოდ, ყაზბეგის მხატვრული მიზანია პოეტური აღწერა.

ამავე თვალსაზრისით ვნახოთ ისეთი ეთნოგრაფიულად ზუსტი სცენა, როგორც არის იაგოსა და თორღას შორის ძმადნაფიცობის სცენა რომანში „მამის მკვლელი“: „თორღაჸ! შენ კობას ძმად ნაფიცი ჰყოფილხარ. დღეის იქით ჩემი ძმა იქნები.

— მტერზედ მოქნეული ხმალი ტარშიც გაუტყდეს შენს მოღალატეს, — უპასუხა თორღამ და ამოიღო მასრიდან ტყვია: — აჰა, ჩემი ტყვია.

იაგომაც თავის სასწრაფოდგან, რომელიც კობას მოეტანა იმისათვის, ამოიღო ტყვია — აჰა, ჩემიც.

ორთავ ერთს დროს გაიშვირეს ხელები და სანამ გასცვლიდნენ ტყვიებს, წარმოსთქვეს:

— ჩემი მარჯვენა შენს მარჯვენას ემსახუროს, ჩემი თვალი — შენს თვალს, ჩემი მუხლი — შენს მუხლს. მოღალატეს რისხამდეს ლომისი.

— ამინ, — წყნარად წარმოსთქვეს სამთავემ.

იაგომ და თორღამ ტყვიები შესცვალეს, მოეხვივნენ ერთმანეთს და სამჯერ ჩაიკრეს გულში ერთმანეთი.

მთვარე, რომელიც გაკაშკაშებულიყო ლაქვარდ ცის სივრცეში, თითქოს განგებ გამოსულიყო, რომ მოწმედ დასწრებოდა იმათ შეერთებას“.

აქ, ძმადნაფიცობის სცენის აღწერის ტონალობაში, ცის ლაქვარდში მთვარის გამოჩენას პოეტური ხობის კილო შემოაქვს და რეალისტური სცენა პოეტურ რეგისტრში აყავს. ამდენად, პეიზაჟი, ბუნება გამოყენებულია არა გარემოს ნატურალისტური ხატვის მიზნით, არამედ პოეტური მეტყველების ფუნქციით; ეს, რა თქმა უნდა, მოვლენისადმი ავტორის დამოკიდებულების თავისებური ფარული გამოვლენის სახეობაც არის.

როგორც პოეტურობის ერთ-ერთი გამოვლინება, ყაზბეგის ნაწარმოებებში, სატრფიალო-ინტიმური სცენების აღწერისას, განსაკუთრებით, თავს იჩენს გარკვეული სენტიმენტალური ინტონაცია.

ეს მისწრაფება პოეტური ნიშნებისაკენ და ერთგვარი გულგრილობა ნატურალისტური, პლასტიკური სიზუსტისადმი, ყაზბეგის შემოქმედებაში სინამდვილის გ მ ი რ უ ლ-რ ო მ ა ნ ტ ი კ უ ლ ი ასახვის გამოვლინებაა. გმირულ-რომანტიკული პათოსით ესიტყვება ყაზბეგი მე-19 საუკუნის რეალიზმის ძირითად ტენდენციებს.

სტენდალი, ბალზაკი, დიკენსი და, საერთოდ, მე-19 საუკუნის დიდი რეალისტები „იწყებენ რომანის ისტორიის ახალ ხანას, როცა პიროვნება ებმება ბრძოლაში იმ ძალებთან და სოციალურ მოვლენებთან, რომელნიც გაცილებით მასზე ძლიერნი არიან...“⁴

ყაზბეგის მთელი შემოქმედება გვიამბობს დასამარცხებლად განწირულ ამბოხ გმირებზე. პიროვნების ქედუხრელობა, უკომპრომისო ბრძოლა უკანასკნელ ძალებამდე, ყაზბეგის ყველა ნაწარმოების ძირითადი სულისკვეთებაა. ამ მხრივ ყაზბეგის პროზა ახალი ტიპის ხელოვნებაა.

„ჰაჯი მურატი“,—წერს ვ. შკლოვსკი,—ახალი სახის ნაწარმოებია, რადგან იგი ქედუხრელობაზე მოგვითხრობს, ძველი რომანი კი გვიამბობდა ძალადობისადმი შეგუებისა და მხოლოდ მცირე რამეებისათვის ბრძოლაზე“⁵. „ჰაჯი მურატის“ მიმართ გამოთქმული ეს აზრი თავისუფლად შეიძლება გავაერცელოთ ყაზბეგის ყველა მოთხრობასა და რომანზეც: პიროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ასეთი ფართო პანორამა, როგორც ეს არის ყაზბეგთან, მე-19 საუკუნის მხოლოდ ზოგი დიდი რეალისტის შემოქმედებაში გვხვდება.

პიროვნული თავისუფლებისათვის იბრძვიან ყაზბეგის რომანებში არა მარტო კაცები, არამედ ქალებიც. ამ მხრივ დამახასიათებელია რომანი „განკიცხული“. აი, ამ ბრძოლის ერთი გამოხატულება მარის კამათში თავის ქმართან: „— გავიყარნოთ — ერთბაშად წამოიძახა მა-

⁴ П. Декс, Семь веков романа, М., 1962, стр. 326.

⁵ В. Шкловский, Художественная проза, М., 1961, стр. 545.

რამ... — არა, მარი... ეგ არ შემიძლიან... იცხოვრე, როგორც გინდა... მხოლოდ მაგას კი ნუ მოითხოვ ჩემგან... — მაშ როგორ... გავიჩინო საყვარლები, გატყუო შენცა და მთელი ქვეყანაც!.. მე ვიცი, ყოველისფერს მამატივებდი... თუ ხალხისათვის იქნებოდა დაფარული... მაგრამ ეგ არ მინდა... ადამიანი ადამიანურს ცხოვრებას მოვითხოვ... რაზედაც უფლება მაქვს, და უნდა მომეცეს... მოიგონე ჯვრის წერის წინად მე გითხარი: „ნუ იწერ ჩემზედ ჯვარს, თორემ გაგექცევი-მეთქი! მიფრთხილდი, ეგ სიტყვები ახლა არ შეგისრულო“.

პიროვნების, როგორც საზოგადოებისაგან ცალკე არსებული ადამიანის ეთიკური ღირებულების შეგრძნებით „განკიცხული“ მე-19 საუკუნის რეალიზმის ძირითად ტენდენციებს ერწყმის. დამარცხებაში შინაგაწი გამარჯვების დანახვით ყაზბეგი პოზიტიურ მრწამსს იძლევა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. ყაზბეგის პროზის ეს მნიშვნელოვანი ნიშანთვისება იმთავითვე შენიშნა დავით კლდიაშვილმა, რომელმაც „განკიცხულის“ ავტორს 1884 წელს მისწერა: „თქვენი მარი ძლიერია სულით. მას რამდენადაც ძალუძს იბრძვის. თუმცა ყველა ბრძოლებიდან დამარცხებული რჩება, მაგრამ მასში არის ძლიერი სული... თქვენს წერებში ვერცერთი ვერ აჯობებს „განკიცხულს“⁶.

მოხუც თორღვას („მამის მკვლელი“) ქედუხრელობა თავისებურად ემსაუბრება ვაჟა-ფშაველას ზვიადაურის („სტუმარმასპინძელი“) და მუცალის („ალუდა ქეთელაური“) ქედუხრელობას. თორღვა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვის: „—ყველაფერი ვიცი, მაგრამ ძაღლებს არ გეტყვით, არა!... უკანასკნელმა მიხრწნილმა ხმამ კიდევ ლანძღვა და წყევლა გააგონა უსამართლო მტარვალებს. და ამ სიტყვებთან ერთად იმან დაჰკარგა გრძნობა“. ქედუხრელობა ყაზბეგის სამყაროში კანონზომიერი მხატვრული ფაქტია. ეს თვისება რამდენადმე დამახასიათებელია მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის. საერთოდ, ყაზბეგის შემოქმედებაში იდეები და მოტივები თითქმის იგივეა, რაც მანამდე, თუნდაც ი. ჭავჭავაძესთან, მაგრამ ყაზბეგის დამსახურებაა ამ იდეების ახალი მხატვრული დასაბუთება.

ერთგვარად ძნელია იმის დაზუსტება თუ რა დგას ყაზბეგის მხატვრული დაკვირვების ცენტრში.

ლევ ტოლსტოი ამბობდა: „ხელოვნების საქმეა მოსძებნოს ფოკუსები და ამჟარა გახადოს ისინი. ეს ფოკუსები არის... ადამიანთა ხასიათები, მაგრამ ეს ფოკუსები შეიძლება იყოს ხასიათები სცენებისა; ხალხთა, ბუნებისა“⁷.

⁶ ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, თხზულებანი, ტ. 2, 1948, გვ. 513.

⁷ Л. Т о л с т о й, Сочинения, т. 47, стр. 213.

ყაზბეგის პროზაში მხატვრული გამოსახვის ძირითადი ობიექტის გარკვევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია თავისებურება მისი გმირებისა: ისინი იბრძვიან პიროვნული თავისუფლების შენარჩუნებისათვის. ავტორიც იმდენად აზუსტებს სოციალურ ატმოსფეროს გმირის ირგვლივ, რამდენადაც ეს საჭიროა, რომ დაგვანახოს თუ როგორ წარმართება გმირის ბრძოლა საზოგადოებასთან პიროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის. ამ უკანასკნელი მომენტის მიხედვით წარმოებს ყაზბეგის ნაწარმოებებში გმირის სოციოლოგიური და ქარაქტეროლოგიური თვისობრიობის დაზუსტება, მისი სულიერი წყობის, ინდივიდუალური თავისებურების, მის habitus-ის ჩვენება. ამდენად, ყაზბეგის პროზაში საკითხი „ვინ არის გმირი“ მჭიდროდ არის დაკავშირებული (და ზოგჯერ ექვემდებარება) საკითხთან: „რა მიმართებაა გმირსა და საზოგადოებას შორის“.

ადამიანის პიროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვის მხატვარი ა. ყაზბეგი იჭრება ამ ეთიკური საკითხის ძირითადი პრობლემატიკის: ცოდვის და დანაშაულისა და სასჯელის სფეროში: „ხალხი ცოდვილია და მხოლოდ ღმერთია შეუცდომელი...“, „არა კაცია მსაჯული ცოდვითა, არამედ მეუფე“ („მოდღვარი“). სწორედ ყაზბეგის, და არა, ვთქვათ, გ. წერეთლის პროზაში შეიძლება ლოგიკურად ეღერდეს ზნეობრივი ფორმულა: „ცხოვრება — ტანჯვაა, — იცოდე, კაცი ტანჯვისათვისაა გაჩენილი!“ („ხვეისბერი გოჩა“). ყაზბეგის მხატვრული სამყარო დასახლებულია შინაგანად გაორებული ადამიანებით, — ცოდვილებით, რომელთაც ვერ დააღწიეს თავი ცდუნებასა და დაცემას: ონისე („ხვეისბერი გოჩა“, „მოდღვარი“), სულთი („ციცია“), მათია („ელგუჯა“)... და წმინდანებით, „ღმერთიური ადამიანებით“ (ყაზბეგი) — ონოფრე („მოდღვარი“), გოჩა („ხვეისბერი გოჩა“), სვ. ჩოფიკაშვილი („ელგუჯა“)...

ყაზბეგის გმირი მუდამ ცხადად ხედავს საზოგადოებას, თემს. თემში თავისი ტრადიციულობით ანტიკური მთლიანობითაა აღბეჭდილი; თემი თითქმის ღვთაებრივი ავტორიტეტია: „თემის წინააღმდეგობა საით იქნების? თემის სიტყვა ღვთის ბრძანებაა, კაცი ვერ გადავა იმას“ („ელგუჯა“).

ყაზბეგის პროზაში თემისა და პიროვნების დამოკიდებულების თავისებურება წარმართება როგორც პიროვნების, გრძნობისა და საზოგადოების, მოვალეობის კონფლიქტი. ამ კონფლიქტის ჩვენებასთან არის დაკავშირებული დამპყრობელთა სისასტიკისა და მათთან თავგანწირული ბრძოლის ის მკაცრი სურათები, რომლებითაც მეტად მდიდარია ყაზბეგის შემოქმედება. პიროვნული ბედნიერებისა და მოვალეობის შეჯახების დრამას წარმოადგენს „ელგუჯა“, „ხვეისბერი გოჩა“.

„მოდღვარი“, „ელეონორა“, „ციცია“ და სხვ. ხელისმომკიდე ონისესა და ძიძიას შორის სიყვარულის გაჩენა გრძნობასა და მოვალეობას შორის ჰარმონიის დარღვევის ნიმუშია. ონისეს „დაეკარგა მოაზრება, დაავიწყდა თავისი თავი, თავისი მოვალეობა და თანდათან უფროდა-უფრო ხვევდა ხელს, უფროდაუფრო იკრავდა გულში და ყოველ მონრობაზედ გონებასა ჰკარგავდა. ის შეეპყრო მხოლოდ ერთ გრძნობას...“

დიღემა, თუ ვის მიემხრო, თემის რელიგიურ თუ ზნეობრივ აზრს, თუ შინაგან ხმას, ყაზბეგის მოთხრობებსა და რომანებში თავს იჩენს არა მარტო ისეთ ძირითად სიუჟეტურ განვითარებაში, როგორც არის, მაგალითად. ონისესა და ძიძიას ცოდვილი სიყვარული მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“. ეს დიღემა შედარებით მეორეხარისხოვანი გმირების წინაშეც კი წამოიჭრება ხოლმე. მოთხრობაში „მოდღვარი“ ჯათია ერთხანს ყოყმანობს, არ იცის ყური დაუგდოს შინაგან ჰუმანურ ხმას და მიემხროს თემისაგან მოკვეთილ გაუბედურებულ მაცუვალს, თუ შესრულოს თემის ნება-სურვილი და არ გაუწოდოს უბედურს ხელი. ჯათიას „არსებაში ორს მოპირდაპირე გრძნობას ბრძოლა ჰქონდა და არ იცოდა, რომელს მიჰკვლევდოდა. ერთის მხრით რწმუნება, რომ თემის დებულება უნდა შეესრულებინა და მისი დარღვევისათვის პასუხისმგებელი უნდა შექმნილიყო კაცისა და ღმერთის წინაშე; მეორეს მხარეს კი უბედური, რომელსაც მშველელი ხელი ეჭირვებოდა, უამისოდ ადამიანი იღუპებოდა და ქრისტიანი სული იკარგებოდა!“ მოვალეობისა და პიროვნული გრძნობის კონფლიქტი ფორმულის სახითაც ჩანს ხოლმე ყაზბეგის პროზაში: „ონისესაც კარგად ესმოდა თავისი ვ ა ლ ი. წუთის თავდავიწყებას და ნ ა შ ა უ ლ ა დ სთვლიდა, ფიცულობდა: რომ აღძრულს გ რ ძ ნ ო ბ ა ს გულიდან ამოიფხვრიდა“...

როგორც ცნობილია, ანტიკური ხელოვნების გმირისათვის საზოგადოება (ბერძნული ჰოლისი) უადრესად მნიშვნელოვან, მაღალ ავტორიტეტსა და მოვალეობის სამყაროს შორის ჰარმონიულ თანფარდობაზეა დამყარებული. ასეთი ჰარმონიის მოთხოვნას უყენებდა პიროვნებას ქართველ მთიელთა თემი. მაგრამ ყაზბეგმა თემისა და პიროვნების ჰარმონიის რღვევის სურათზე გაამახვილა ყურადღება. ამ დისჰარმონიის ჩვენებისას მის პროზაში არ იჩენს თავს „სულის“, შინაგანი სამყაროს ის აბსოლუტიზაცია, რაც დამახასიათებელია რომანტიზმისათვის. ეს მომენტი მნიშვნელოვნად სპობს ყაზბეგის რომანტიკოსად მიჩნევის შესაძლებლობას, რასაც სხვადასხვა ვარიაციით იძლევიან ყაზბეგის მკვლევარნი (ე. აბაშიძე, გ. ქიქოძე, ვ. კოტეტიშვილი, დ. შენგელია...).

რომანტიკოსები გმირებს განსაკუთრებულ, უჩვეულო პირობებში წარმოსახავენ და რამდენადმე წყვეტენ გმირს ისტორიულ სი-

ტუაციას, ყაზბეგი კი მეტ-ნაკლები სიზუსტით აცოცხლებს ეპოქისა და გარემოს კონკრეტულ სურათს. მართალია, ხასიათების თავისებურება არ არის ყაზბეგის პროზის მთავარი ნიშანი, — მასთან მთავარია კონფლიქტები და არა ეპოქა, მაგრამ ეს კონფლიქტები უშუალოდ ეპოქის ხასიათთან არი დაკავშირებული.

ი. ბაგრატიონი „კალმასობაში“, ანტუან ფიურეტიერის (მე-18-ს.) „მეშჩანური რომანის“ მსგავსად, იძლევა გარემოსა და ადამიანთა ზუსტ აღწერას, ყოფის ზუსტ ჩახატვას, მაგრამ არც კი ცდილობს გვაუწყოს პერსონაჟების სულიერი მოძრაობა. ბალზაკი, სტენდალი და კრიტიკული რეალიზმის სხვა დიდი წარმომადგენლები კი ეპოქის სურათის ზუსტი აღწერის პარალელურად გვიჩვენებენ გმირთა სულიერ, ფსიქოლოგიურ სამყაროსაც. შემდგომ ცალკე განვითარდა აგრეთვე წმინდა ფსიქოლოგიური პროზის ტრადიცია, რის ადრეულ ნიმუშს ქართული პროზა ნაკლებად იძლევა. ასეთი პროზის ადრეულ ნიმუშად სტენდალი ასახელებდა მადამ ლაფაიეტის პროზას.

ა. ყაზბეგის პროზაში ეპოქის სურათი დამაჯერებლად არის ნაჩვენები. თუმცა მის მხატვრულ ტილოს არ ახასიათებს ნატურალისტური დაზუსტება, ინდივიდუალიზაცია და კონკრეტიზაცია. ყაზბეგის პროზაში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის სულიერი ძვრებისადმი, განცდების აღწერისადმი, ამ მხრივ ყაზბეგი ზოგჯერ ერთგვარ სენტიმენტალობაშიც გადადის. მაგრამ, რაც მთავარია, ყაზბეგი დიდ ინტერესს ამჟღავნებს გმირთა განცდებისა და ფიქრებისადმი, „სულის დიალექტიკისადმი“. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

ყაზბეგის მხატვრული პროზის სიახლე და თავისებურებები არა მარტო წმინდა სტილის სფეროში მდებარეობს, არამედ აგრეთვე ახალ ზნეობრივ დილემების სფეროში, ახალი კატეგორიის — უსამართლობასთან მებრძოლი გმირების წარმოსახვაში.

დანიელ რამიზვილი

ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა

ვაჟა-ფშაველამ და ბაჩანამ თითქმის ერთსა და იმავე დროს დაიწყეს წერა ერთსა და იმავე თემაზე, ერთი და იგივე პოეტური ენით და, დღეს როგორ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ეს, იმდროინდელი ქართველი მკითხველი, ორივე მათგანში ერთი ძალის პოეტურ შესაძლებლობას ხედავდა, ერთგვარი მომავლისად სახავდა ძმებს, მაგრამ ამ „წინასწარმეტყველებას“ განხორციელება არ ეწერა: ვაჟა-ფშაველამ ისეთი ჭადოსნური ძალით გადაშალა ახალი, სრულიად უცნობი და უჩვეულო პოეტური სამყარო, რომ მრავალ სხვა იმედისმომცემ თანამედროვესთან ერთად, პირუთვნელად შემფასებელი შთამომავლობის თვალში, თვით „მუხას“ ავტორიც კი უაღრესად დაჩრდილული აღმოჩნდა.

როგორც სპეციალური კვლევითი მუშაობით, ისე თვით ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ-კრიტიკული და ესთეტიკური ხასიათის წერილებით დღეს უდავოდ ითვლება ძმათა რაზიკაშვილთა პოეზიაზე რ. ერისთავის პოეტური ნააზრევის გავლენის ფაქტი ამ სიტყვის („გავლენა“) ისეთი უაღრესად ფართო მნიშვნელობით, როგორსაც მას „ეტიუდების“ ავტორი ანიჭებდა¹, მაგრამ თუ ვაჟა-ფშაველასათვის ეს გავლენა იყო ცხოველმყოფელი მზე — გამფურჩქვნელი ახალი დიდი პოეტური ცხოვრებისა, რომელიც თითქმის აღარაფრით აღარ ჰგავს ბიძგის მიმცემს, ბაჩანას მიმართ ეს ტერმინი შეიძლება სრულიად უბოდიშოდ ვინმართ პირდაპირი გაგებით, რამდენადაც ეს უკანასკნელი რ. ერისთავის შემოქმედებაში შემოფარგლულ წრეს ვერ გასცდა ვერც ფორმის და ვერც შინაარსის თვალთახედვით.

კიტა აბაშიძე, რა თქმა უნდა, მართალი იყო, როდესაც ვაჟას პოეზიაში ხედავდა ქართული ეროვნული სულის მშვენიერ თვისებას,

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები..., 1911, ტ. I, გვ. 163—168.

სწრაფვას „ლალი, თავისუფალი, განახლებული ცხოვრებისაკენ“, „ახალი სულითა და აზრით გაციხროვნებული“ უკეთესი მომავლისაკენ, ასახულს უმაღლეს საფეხურამდის მიყვანილი პოეტური ტექნიკით, და დაასკვნა: „მის პოეზიას შორეული მოგონებაც კი არ ამჩნევია პუბლიცისტიკისა და პოლიტიკისა, მაგრამ უამისოდაც მრავალმნიშვნელოვანის აზრების აღმძვრელია“².

კიტა აბაშიძე ვაჟას დიდებულ პოეზიაში მართებულად ხედავდა ფორმის სრულყოფას სამოციანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გადმოსაცემად, მაგრამ, თუ „ეტიუდების“ ავტორი ამით ჩვენი მგონის სიდიადეს გვიჩვენებდა, შემდეგი დროის კრიტიკოსებმა მისი მითითება ვაჟას პოეზიის აპოლიტიკურობის სამტკიცებლად გამოიყენეს, რითაც ისინი ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას საგრძნობლად დაშორდნენ.

პოეტის სიმპათიამ პატრიარქალური მთისადმი, გულისტკივილმა მისი რღვევისადმი ამ შეცდომის საზღვარ-ფარგალი კიდევ უფრო გააფართოვა და გააძნელა გაგება იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა, როგორც შორსმჭვრეტელი და ღრმამაზროვნე პატრიოტი, ყოველთვის ალტაცებით არ ეგებებოდა ძველის ნგრევას, რადგან ცხადად ხედავდა არა ამ ნანგრევებზე წარმოშობილ საღ ახალს, ორგანულად და ბუნებრივად დანერგილს დასალუბად განწირულ ძველზე, არამედ ყოველივე ეროვნულის ძირფესვიანად მოსპობისაკენ მიმსწრაფ უცხოთა და ტლანქს. პატრიარქალური მთის პოეტური განდიდება მისთვის, ცხადია, ადექვატური იყო ქართველთა ეროვნული მეობის დაცვისა ბიუროკრატიულ-პოლიციური რეჟიმის გამანადგურებელი ხელყოფისაგან და, ამდენად, მას არც პოლიტიკური სიმახვილე აკლდა.

დიდი ჰუმანისტი და მოაზროვნე უჩვეულო პოეტური ფორმით ასახავდა სამოციანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს და, როდესაც კრიტიკოსების მიერ მისი წვდომა გაძნელდა, ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში გარკვევით სთქვა: „...როგორ გგონიათ? არა მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემი ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა ჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არა მწამდეს, თქვენ გგონიათ, მე კალამს ავიღებდი ხელში?!.. ურწმუნოთა შრომა ამოა, შეუძლებელიც, მგონია: იმ ხილს, რომლის გადებაც მუშამ შეუძლებლად სცნო, თავის დღეში გასადებლად არ შეუდგება. ნუთუ ჩემი ნაწერები ამ მომავალს ცხოვრებაზე, ჩვენს ბედზე არას ამბობენ? ვერაფერი პოეტი ვყოფილვარ, თუ ეს მომავალი არა ჩანს იქ, არა სჩანს ის, რაც „დროთა სვლამ“ უნდა განახორციელოს... თუ მე ნი-

² კ. აბაშიძე, ეტიუდები..., 1912, 2, გვ. 216.

კი მაქვს კეშმარიტი შემოქმედებისა, უეპველად წარსულის თუ აწმ-
ყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მომავალზე, თუ არა და ჩემი
ნიჭიერება ცარიელი ცნება, უშინაარსო სიტყვებია“³.

თუ ვაჟა-ფშაველამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების
სრულიად ახალი ფერებით შემოსვა შეძლო და ამ გზაზე იმდენად
შორს წავიდა, რომ თანამედროვეთა და მომდევნო თაობათა მოაზროვნე-
თათა კი მისი შეცნობა გაუძნელდათ, ბაჩანა აშკარა ტენდენციურო-
ბითა და „შეუფერავი“ პირდაპირობით ასახვის ხერხს ვერ გასცდა,
რითაც მან საკუთარი შემოქმედების შემეცნებითი მნიშვნელობის
მკვეთრი განსაზღვრულობა განაპირობა.

ძნელია საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად რთული ორგანიზ-
მის მხატვრულ ფერებში ასახვა. ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენის,
თუ ცალკეული მწერლის შემოქმედების მართებული გაგებაც
არაიშვიათად ძნელდება, მაგრამ ხალხის გონება, ეროვნული
პროგრესული აზროვნების მთლიანობა მარად შეუშცდარად ანათებს.

თანამედროვეთა კრიტიკულმა წერილებმა, რომელნიც ვაჟასა
და ბაჩანას შემოქმედებას ერთ ასპექტში განიხილავდნენ, ამ „მთლი-
ანი ნააზრევის“ დაჩრდილვა და შეცდომის დაკანონება — პოეტ ძმთა
ერთ კვარცხლბეკზე შეყენება — ვერასგზით ვერ შესძლო: დღეს დი-
დი დაკვირვება სრულებითაც არ არის საჭირო, რათა გარეგნულად
„ერთ სფეროში“ მოქმედი ორი მთიელი მგოსნის გრძობა-გონების
ნაყურთა შორის დიამეტრალური განსხვავება დავინახოთ და „ივერი-
ის“ ზოგიერთ კრიტიკოსის შეხედულებანი გადაჭრით უარვყოთ.

თუ ბაჩანა ვაჟასთან ერთად ასახავდა მთის (კერძოდ, ფშავ-ხევ-
სურეთის) მცხოვრებთა ჩამორჩენილობას და ნატრობდა ამ ხალხის
„გარეკას კულტურაშია“ („წაწლობა“), თანაც სკეპტიკურად შეჰყუ-
რებდა „ზღვაში ჩავარდნილი“ ქვეყნის მყობადს, მშობელი ერის მო-
მავლისადმი ცხოველი ოპტიმიზმით გამსჭვალული ვაჟა სწორედ ამ
„ჩამორჩენაში“ ხედავდა სიდიადეს, ბრწყინვალე მომავლის საღ თესლს
და ზოზლით შეჰყურებდა მასზე ხიშტით მისულ ახალ მზარდ ძალას,
ახალ „კულტურას“, რომელიც ცხოველმყოფელი ისტორიული ფეს-
ვების ამოძირკვას ასე უხეშად ლამობდა.

გმირი ლუხუმის ლაშარის გორზე აუცილებელი „შადგომა“, რაც
ასე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ვაჟას, ბაჩანასთვის ძნელად გა-
საფანტავი ბურუსით მოცულ იდუმალს წარმოადგენდა. აქ უნდა ვე-
ძებოთ ძირითადად ფესვები იმ „უცნაურობისა“, რომ ერმა ვაჟა-
ფშაველა უკვდავების გვირგვინით დადაფნა, ხოლო ბაჩანა, მიუხედა-

³ ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა , კ რ ი ტ ი კ ა ბ . ი მ . ვ ა რ თ ა გ ა ვ ა ს ი .

ვად ცალკეული ნაწარმოებებით დიდ სიმაღლეზე ასვლისა. შედარებით დაბლა დააყენა.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის მწვერვალებსაკენ სავალ ნარ-ეკლით მოფენილ გზას უშუქებდა ურყევი რწმენა ჩვენი ქვეყნის ნათელი მერ-მისისადმი და მაშინ, როდესაც ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა არ გამჭრალიყო მისი საყვარელი, სათაყვანებელი ერი — „ლამაზი გარეგნობით გალამაზებულიყო სათანადო წყობილებითაც“ — ეკვის ჭიით დაღრღნილი პოეტური ჩანგი ბაჩანასი იერემიასებრი გოდების ხმას გამოსცემდა ქვეყნის ავბედითი ყოფით ხელღებული და „ჩვენი მუღმივი შეცდომის“ გამო კენესოდა.

ვაჟასა და ბაჩანას პოეზიის ანალიზი მეტად ნათლად წარმოგვიდგენს მათი პოეტური სამყაროს ერთმანეთისაგან აბსოლუტურ განსხვავებას. მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე ეპოქასა და გარემოში დავაყვაცებული მგონებები მხატვრული ასახვისათვის თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავე მასალას მიმართავდნენ, სამყაროსადმი დამოკიდებულებაში პოეტურ შესაძლებლობათა მკვეთრ სხვაობას გამოხატავდნენ და მათი ჩანგი ერთგვარ ხმებს სრულებითაც არ გამოცემდა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ზედმეტი არ იქნება თუ ბუნებისადმი მათი დამოკიდებულების საკითხს განვიხილავთ.

ცხადია, დღეს დავას აღარ იწვევს თავის დროზე აზრთა დაუსრულებელი ჭიდილის საგნად ქცეული ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ვაჟა-ფშაველა, მსგავსად „თერგდალეულებისა“, ადამიანთა ყოფის ასასახავად მიმართავდა ბუნების სამყაროს და, როგორც დიდი პატრიოტი, საშობლო ქვეყნის სახსნელად მებრძოლი მგოსანი, „ბუნებას ბუნებისათვის“ არ უმღეროდა, მაგრამ ერთ დროს კი იგი იძულებული იყო პოეზიის ანბანი ეკითხა მის და შემდეგდროინდელ იმ კრიტიკოსთათვის, რომელთაც პოეტის მაღალმხატვრულ ქმნილებათა საზოგადოებრივი მნიშვნელობის უგულვებელყოფით სადავოდ გახადეს თვით პოეზიის დანიშნულება — ასახოს საზოგადოებრივი ცხოვრება, ადამიანის სულის მოძრაობა და არა განყენებული ბუნება — ბუნების-მეტყველების საგანი.

ვაჟას ღრმა რწმენით, ადამიანი, მთელი თავისი ფსიქოლოგიური წყობით, არის ბუნების ნაწილი, მისი ერთი ნატეხი. სიცოცხლე შინთვის დამახასიათებელი მუდმივმამოძრავებელი ფაქტორებით (სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობანი) ბუნებასთან გადაჯაჭვულია საიდუმლო, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ძნელად ხილული, მაგრამ მარადდაუძლეველი ძალით. ადამიანისა და ბუნების ერთმანეთისაგან დაშორება შეუძლებელს ხდის მსჯელობას იმ ურთულეს პროცესზე,

რომელსაც ცხოვრება ჰქვია. კაცისა და მისი გარემომცველი სამყაროს ცხოვრებას ერთი და იგივე კანონები მართავენ და არა „გამოთავყანებული თეორიის მთხზველები“⁴. ადამიანთა საზოგადოება იმდენად არის სრულყოფილი და ბედნიერი, რამდენადაც იგი ბუნებას უახლოვდება და იმდენად უბედურია და დაკემული, რამდენადაც მას შორდება. ბუნებასთან მიახლოება პოეტისათვის არის სვლა სრულყოფილი საქვეყნო-საკაცობრიო იდეალებისაკენ, მისგან დაშორება უბედურებაა, სულიერი და ფიზიკური განადგურება, კრახი. პოეზიის დანიშნულებაა ასახოს ცალკეულ ადამიანსა, საზოგადოებასა და ბუნებას შორის არსებული კავშირი, ბუნების მოვლენებთან შერწყმული ადამიანის სულის მოძრაობის საიდუმლო.

დიდი მგოსნის მიერ წამოყენებულ თეორიულ მოსაზრებათა პრაქტიკულ განხორციელებას თითქმის ყოველ მის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით კი „გველის მკამელში“ ვხედავთ. ამ პოემაში ვაჟამ მეტად რთულ პოეტურ ფერებში ასახა ბუნებისგან დაშორებული მისდროინდელი საზოგადოების ერთ-ერთი წევრის — მინდიას გაადამიანება, ბუნებასთან დაახლოება, მასთან შერწყმა, შენივთება. ბუნების ყოველი საიდუმლოების წვდომა — სიმბოლურად მინდიას მიერ ხეთა, ცხოველთა და მცენარეთა ენის გაგების უნარის შექმნით გადმოცემული — საბოლოო ჯამში ნიშნავს სრულყოფას, მიახლოებას იმ წმინდა მწვერვალთან, რომელზე დაყრდნობითაც ღვთის სახით შექმნილ არაკაცთა განკაცება უნდა მოხდეს.

გარემომცველ სამყაროს უტყვ შვილთა „ენის“ გაგების უნარის შექმნა უსათუოდ ნიშნავს ბუნების ყოველი საიდუმლოების გახსნას, ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებას შორის არსებული დაფარული კავშირის სრულ გაგებას (რამდენადაც მცენარეული თავად ამბობენ „მე ვარო ამის წამალი“), მაშასადამე, საერთო-საკაცობრიო, საზოგადოებრივ იდეასთან მიახლოებას, ქვეყნის სამსახურისათვის დაუშრეტელი ძალისა და ენერჯიის შექმნას; უგულვებელყოფა ამ ცოდნისა კი — სიბრძნისაგან დაცარიელებას, არაბუნებრივისკენ სვლას, საქვეყნო ინტერესთა ღალატს. მინდიაა ვაჟა-ფშაველას პოეზიის უსპეტაკესი მწვერვალი, რამდენადაც მის სახეში გვიჩვენა მან, თუ როგორ დაუახლოვდა მოკვდავი უკვდავებს ბუნების წიაღში შესვლით, ბუნებასთან შერწყმის გზით, ხოლო ბუნებასთან დაშორებით და იმ სიბრძნისადმი ღალატით, რომელმაც სამყაროს საიდუმლოება ამცნო, მან დაჰკარგა „სხვა ჰქუა“, დაყრუვდა ქვეყნის ტკივილებისადმი.

⁴ ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, სახელგამი, 1956, VII, გვ. 371.

ვაჟა-ფშაველას რომ არ დაეტოვებინა ჩამოყალიბებული თეორიული მოსაზრებანი, ბუნებისადმი მისი დამოკიდებულების მკვეთრად განმსაზღვრელი პუბლიცისტური წერილები, რომელნიც მკვლევართა კანდელივით უნათებენ გზას, ცხადია, მხატვრულ შემოქმედებაში ამით ბევრს არაფერს დაჰკარგავდა, რადგან „ცათამდე ამალღებულ“ პოეზიითაც მეტად იოლად შეეყვართ მას სამყაროში, რომლის კარის ფარდაც, პირდაპირი თქმით, ოდნავ გადასწია, მაგრამ, სამწუხაროდ, ბაჩანას შემოქმედებაზე იგივე არ ითქმის. ბაჩანას პუბლიცისტური წერილები არ უწერია, არც არასოდეს გამოუთქვამს შეხედულებანი თეორიულ საკითხებზე, რაც მის არც თუ ძლიერ განათებულ შემოქმედებით ლაბორატორიაში შეხედვას კიდევ უფრო აძნელებს.

თუ ვაჟა ბუნების შინაგანი არსის თითქმის ყველასათვის მიუწვდომელი შინაარსის წვდომას ლამობს, ბაჩანას უფრო გარეგანი მხარის ასახვა, პლასტიკურ სურათთა ხატვა ემარჯვება. იგი ვერ ახერხებს ასვლას იმ სიმაღლეზე, სადაც მეტყველი კაცისა და უტყვევი საგნების შინაგანი ერთგვარობა შეინიშნება, სადაც ცალკეულ ადამიანთა, მთელი საზოგადოებისა და ბუნების პროგრესულ და რეგრესულ ძალთა მისწრაფებანი ერთმანეთს ხვდებიან, ერთმანეთს ავსებენ და ერთ სხეულად ქმნილი წარმოსახებიან. ბაჩანა სამყაროს დაუსაბამობასა და დაუსრულებლობას აღნიშნავს ერთგვარი პუბლიცისტური თხრობის მანერით და ადამიანის მისწრაფებას გარეობიექტური სამყაროს შეცნობისადმი უსარგებლოდ (ამასთან შეუძლებლადაც) თვლის. თუ ვაჟა კაცსა და მის გარემომცველ ბუნებას მთლიანობაში წარმოსახავდა, „ადამიანს ბუნებაში, ბუნებას ადამიანში“ გვიჩვენებდა, ბაჩანა თვით ბუნებას ორ, ჩვენთვის მიუწვდომელ და მისაწვდომ, ზოგად და კონკრეტულ ნაწილებად ჰყოფდა. თუ ვაჟამ ბუნების საიდუმლოებასთან მისასვლელ მანამდე უცნობ ბილიკებს მიაგნო, ბაჩანა ქართულ ლიტერატურაში ოდითვე არსებული ხმით უმღეროდა სამყაროს უსასრულობასა და ადამიანის გონების განსაზღვრულობას, ცხოვრების ამოებას და მსწრაფლწარმავლობას. თუ ვაჟას პოეზიაში სრულებით არ ვხვდებით ცხოვრების ფილოსოფიის გარეშე არსებულ „ბუნების ფოტოგრაფიას“, ბაჩანას შემოქმედების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ეს „ბუნების ფოტოგრაფია“ და სამყაროს შესახებ განყენებული მსჯელობანია.

ერთი სიტყვით, ვაჟას პოეზიის სიღიადღე და ლაზათი — მისწრაფება ბუნებასა და ადამიანს შორის არსებული დაფარული კავშირის შეცნობა-შახვისაკენ, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების ღრმა პოეტური ანალიზი, — ბაჩანას პოეზიისათვის მიუწვდომელი დარჩა.

ბაჩანას და ვაჟას პოეტური სამყარო ერთმანეთისაგან მკვეთრად განირჩეოდა ეროვნულ-სოციალური პრობლემატიკისადმი დაპოკიდებულიებითაც. ვაჟას ეროვნულ-სოციალური იდეები, რასაც ეკლექტიკური და იდეალისტური ლიტერატურული კრიტიკა ასე გულმოდგინედ უგულვებელყოფდა, ბაჩანას შემოქმედებაში მეტად გამოუყვეთელი და ბუნდოვანი სახით წარმოსდგა. მაშინ, როცა ვაჟას მებრძოლი პოეზია დაუცხრომლად ქადაგებდა ცხოვრების სუფრის გარშემო უსამართლოდ განაწილებული ადგილების გადანაწილების აუცილებლობას და რევოლუციურ მოძრაობას პრაქტიკულადაც კი ეხმარებოდა, ბაჩანა ერთგვარი დაუძლეველი სკეპციისით უყურებდა მშრომელ ხალხის ლტოლვას თავისუფლებისაკენ და ამქვეყნიური ყოფის მოუწესრიგებლობა გარდუვალ აუცილებლობადაც კი ესახებოდა, ხოლო ქართველი ერის ბრწყინვალე მომავალი, რითაც ასე მძლავრად სუნთქავს ვაჟას პოეზიის ყოველი სტრიქონი, ბაჩანას არ სჯეროდა, არ სწამდა. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბაჩანა ეროვნულ გულისტკივილით გასენილი არ იყო. პირიქით, მისი ჩანგი ისევე კენესოდა კოლონიურ-პოლიციური რეჟიმის ქუსლქვეშ მგმინავი სამშობლოს ბედით, როგორც ვაჟასი, მაშასადამე, ეროვნულ ჭრილობას იგი ხშირად ვაჟას პოეზიის შთამაგონებელი ძლიერებითაც დასტიროდა, მაგრამ დიადი წარსულის მქონე ერის დიდებული მომავლის აუცილებლობის შეგნებამდე ამდღეობა, მომავლის ვაჟასებური განჭვრეტა მან ვერ შეძლო და აქ დაშორდა კიდევ „თერგდალეულებს“, რომელთა პოეტური ფორმის ტყვეობაში ბოლომდე დარჩა, მაშინ, როცა ვაჟამ სწორედ სამოციანელთა მებრძოლი ოპტიმისტური სული შეინარჩუნა ბოლომდე და ახალი, უაღრესად მდიდრული პოეტური სამოსლით შემოსა იგი.

მაგრამ მაინც მოიპოვება რამდენიმე შტრიხი, ასახვის რამდენიმე ხერხი, რითაც ვაჟას და ბაჩანას შემოქმედებანი ერთმანეთს ემთხვევიან. ერთი ამ ხერხთაგანია ადამიანთა სულის მოძრაობაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე საუბარი ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზე საუბრით, მეტყველების ცნობილი ალეგორიული ფორმა. როცა ვაჟა და ბაჩანა შვლის ნუკრის, არწივის, შაშვის, მელას, ვეფხვის, დათვის, მგლის, ძერას, ან ყვავისა და ყორნის შესახებ ლაპარაკობენ, რა თქმა უნდა, ადამიანის, საზოგადოებრივი ყოფის ავ-კარგიანობაზე მსჯელობენ და მკითხველის გონებასაც მასზე დასაფიქრებლად იწვევენ, თუმცა ასახვის ეს ხერხი არც ერთ მათ ნაწარმოებს იგავ-არაკის სახეს არ აძლევს. მხატვრული აზროვნების ეს ფორმა ქმნიდა სწორედ ილუზიას ცდუნებისათვის ძმათა რაზიკაშვილთა პოეტური სამყაროს ერთ ასპექტში წარმოსადგენად.

მეორე ბიძგს კი ასეთი ცდუნებისათვის ბუნებისა და ადამიანის ბედის კავშირისადმი ვაჟას და ბაჩანას ერთგვარი დამოკიდებულება იძლეოდა.

ვაჟა, ისე როგორც ალ. ყაზბეგი, უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი ჩაგრული გმირისადმი თანაგრძნობით მსკვალავს საქართველოს ბუნებას, დამარცხებული, მაგრამ გაუტეხელი ბობოქარი სულის მოკავშირედ ხდის მას. ასევე იქცევა ბაჩანაც. მის ნაწარმოებთა დადებითი გმირების თითოეულ მარჯვე ნაბიჯს ლალი ბუნების ყველა შვილი მეჯლისით ხვდება, ხოლო მარცხსა და ფიზიკურ განადგურებას — ცრემლთა-ფრქვევით. ბაჩანამ, ვაჟასთან და ალ. ყაზბეგთან ერთად, ქართველთა ცხოვრების ცოცხალ მოზიარედ გახადა ნაზი ქუჩი და ტურფა კესანე, ყელმოღერებული შველი და არწივი, ათასფრად მოქარგული მთა-გორები და ფშავ-ხევსურეთის ორწოხებიდან მონაბერა ცელქი ნიავი, მაგრამ, მრავალ ლირიკულ ლექსთა შორის, ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან ხსნის ნათელი პერსპექტივით მხოლოდ „მუხის“ ამეტყველება შეძლო, მაშინ, როცა ვაჟა-ფშაველას ყოველი პოეტური შთანაფიქრი მომავლისადმი ღრმა რწმენით ბრწყინავს და ელვარებს.

ვლასარაკობთ რა ვაჟასა და ბაჩანას მხატვრულ შემოქმედებათა ურთიერთმიმართებაზე, არ შეიძლება უურადლების გარეშე დავტოვოთ სტილის საკითხი. როგორც ვიცით, ვაჟა-ფშაველას, როგორც ყოველი დიდი შემოქმედის, ერთი რომელიმე მეთოდის ჩარჩოში მოქცევა შეუძლებელი აღმოჩნდა. კრიტიკოსები, რომელნიც ცდილობდნენ ბუნების დიდი მესაიდუმლის შემოქმედებაში ეპოვათ რეალიზმის, რომანტიზმის ან სიმბოლიზმის მწყობრი სისტემები, მეტი რომ არა ვთქვათ, უხერხულობის წინაშე აღმოჩნდნენ. რადგან ვაჟა-ფშაველას შემოქმედება უფრო ნაკლებაა პირობადებული რომანტიკული და რეალისტური სკოლებით ცალ-ცალკე, ვიდრე ერთად აღებული ორივე მათგანით. მშობელი ხალხის ბედთან განუყრელად გადაჯაჭვული ბუნების სურათების უბადლო მხატვარი ვაჟა უსათუოდ რეალისტიკა, ხოლო როგორც გარდასული ეროვნული დიდების მოზარე, გაბედითებული აწმყოს მგომბი და დაუცხრომლად მსრბოლი წინ, უკეთესი მერმისისაკენ — აქტიური მებრძოლი რომანტიკოსი.

რეალისტურ და რომანტიკულ მიმდინარეობათა ეს სინთეზი ბაჩანას შემოქმედებაშიც შეინიშნება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თუ ვაჟას პოეზიაში კრიტიკული რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის შერწყმას ვხედავთ, ბაჩანას შემოქმედებაში რეალიზმის პასიურ, რეაქციულ რომანტიზმთან შეერთება აისახა.

ცნობილია ვაქას დამოკიდებულება ხალხური შემოქმედებისადმი. იპ. ვართაგავასთან კამათში პოეტმა მკაფიოდ თქვა, რომ ხალხური თქმულება, რაც უნდა მდიდარი შინაარსისა იყოს იგი, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ანალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნების ნაწარმოებად ჩაითვლება.

ვაქას პოეტური ეპოსი ამ თეორიული დებულების პრაქტიკულ დადასტურებას წარმოადგენს და უდავოდ ცხადპყოფს, რომ შემოქმედის დიდებას მხოლოდ ორიგინალობა ჰქმნის. თითოეული იმ მონუმენტური ნაგებობის ასამართად, რომელნიც მკითხველთ ასე ხიბლავენ („სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მკამელი“, „ბახტრიონი“), ერთი-ორი აგური ხალხური შემოქმედების საგანძურისადაც ვაქასთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ბაჩანას პოეტური ეპოსიც („თაღლაურა“, „ნანაის სიმღერა“, „წაწლობა“, „საფრთხე“, „ქოტი და ჩიტები“) იმავე ხალხურ შემოქმედებას ეყრდნობა, მაგრამ ამ ნაწარმოებთა ავტორს ფოლკლორულ მონაცემთა გარდაქმნისათვის აუცილებელი მხატვრული აღლო, პოეტური კულტურა და ხერხები არ ყოფნის.

ბაჩანას ხშირად უცვლელად გადააქვს პოემებში ხალხური შემოქმედებიდან არა მარტო ცალკეული სურათები და პოეტური ხერხები, თვით შინაარსიც კი („დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“, „პატარა მენხბორე“ და სხვა), ხოლო მისი დამძიმებული პოეტური ენა ზოგჯერ ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ სხარტულობას, ლაკონურობას, სინატიფეს მოკლებულია და მასზე დაბლაც კი დგას.

ასე წარმოგვიდგება ზოგადად ვაქა-ფშაველას და ბაჩანას შემოქმედებათა ურთიერთობა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ ამ საკითხში სინათლის შეტანისათვის ბაჩანას მხატვრულ ქმნილებათა კონკრეტული ანალიზიც საჭიროდ გვესახება.



ბაჩანა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, იმათივე დაადგა სახელოვან სამოციანელთა გაკვალულ გზას, მთლიანად გაიზიარა ამ უკანასკნელთა მიერ წამოყენებული ეროვნულ-სოციალური იდეალები და, თავისი პოეტური შესაძლებლობისდაგვარად, ბოლომდე ემსახურა მას.

ნეტა ვერ შევესწრობია
დამარცხებასა მტრისასა,
გააღვიძებოდეს ქართველსა,
ვაღას ჰფერავდეს ხმლისასა.
ნათელი გადაჰდიოდეს
ლაქვარდს ივერის ცისასა.

(„სიმღერა“)

ასე ნათლად გამოხატა ბაჩანამ „თერგდალეულთა“ მისწრაფებანი კალმის ხელში აღებისთანავე. ბაჩანა მწერალთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელიც „მთის მწერლობის“ მეტად უხერხული სახელით დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში და მიუხედავად იმისა, რომ „თერგდალეულთაგან“ განსხვავებული იდეური კრედო არ მოუცია, შეძლო ახალი სიტყვის თქმა, ახალი პოეტური სამყაროს წარმოდგენა. ბაჩანა რაფიელ ერისთავის შემდეგ პირველი მწერალია, რომელმაც თავისი ნაგრძნობ-ნაფიქრის ფშავურ დიალექტზე გადმოცემის გზა იჩრია, უფროსმა ძმამ, ლუკამ, ფშავურ დიალექტზე წერა ბაჩანას გავლენით დაიწყო.

პირველი ლექსები ბაჩანამ ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გამოაქვეყნა. 1885 წ. გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა მისი „ფშაველი ქალის ტირილი“, „ტყვის სიმღერა“, „მოლოდინ-მოლოდინშია“, „მუხა“ და სხვ. აქვე გამოქვეყნდა მისივე პირველი პროზაული ნაწარმოები „მოჩვენება“, რომელშიც გამოჩნდა ბუნების ნიჭიერი მხატვარი, ალფორული ფორმით წარმტაცი პოეტური სახეების შექმნის ოსტატი.

„დროებაში“ გამოქვეყნებულ პირველსავე ლექსებში ბაჩანას მთელი პოეტური შესაძლებლობა გამოვლინდა, აქ იგი წარმოსდგა, როგორც დასრულებული მხატვარი ბოლომდე გარკვეული მრწამსით, — მხატვრული სიტყვით და პრაქტიკული მოღვაწეობით ისე თავდადებით ემსახუროს მშობელ ერს, რომ ყოველი ქართველი სიამის გრძნობით შეჩერდეს მის საფლავთან.

ეს ნაწარმოები უნებლიედ გვახსენებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშის ი. ჭავჭავაძის ლექსს — „დაე, თუნდ მოვკვდე“.

ბაჩანას შეხედულებანი პოეტის დანიშნულების შესახებ, რაც მკრთალად და ზოგჯერ ბუნდოვნადაც კი ჩანს მის ლირიკულ და ეპიკურ ლექსებში, მხოლოდ ოდნავი სახეცვლილებით იმეორებს ილია ჭავჭავაძეს. მისი აზრითაც, პოეტური ნიჭი არის ერის სამსახურში ჩაყენებული „ცით მოვლენილი“ სიბრძნე, რომელიც მაღლით ევლება თავს „ქვევით დამრჩალ“, ცხოვრების ჭყანტში ჩაფლულ თანამოძმეებს. „აშკარად ვიღუპებოდი,“ „სახელი მეკარგებოდა“, როცა გამოჩნდა.

ამაჟროლა, ზეადმიტაცა, ფრთები გამაშლევინა და გადამარჩინა თავის „ციურის ნავითა“, — ამბობს მის შესახებ პოეტი და ემუდარება:

ხორცეულს არა ჰკევიხარ,
ნუ ამშორდები, მითვისე!

(„ჩემს ნუგეშს“)

პოეტი ნატრობს „სანეტარო მეცნიერების უძირო ზღვაზე“ დაწაფებას, რათა მისმა ჩანგმა დაიწყოს მოთქმა „სხვა ჰანგზედ“ და მგოსნის თქმული ერმა „გამოხატოს რჯულის ფიცარზედ“. იგი დაუფარავად მიუთითებს იმ მწუხარების მიზეზზე, რაც მასში სევდა-ვაებას იწვევს. ესაა ეროვნულ-სოციალური ჩაგვრა — ამ ქვეყნის გადამქვევი ჯოჯობეთად, სადაც „სიკვდილ-სიცოცხლე კაცისა არ არის თავის ნებისა“. ბაჩანას აზრით, პოეტი თავისუფალი უნდა იყოს. იგი შეიძლება ემორჩილებოდეს მხოლოდ „სამგოსნო ნიჭს“ — ამ ცით მოვლენილ მადლს. თავის ნებას მოკლებული მგოსანი კი ის არის, რაც გალიაში დატყვევებული ბულბული.

მართალია, ბაჩანა ამბობს: „მე იქა ვხედავ თავისუფლებას, სადაც ყველაა კანონმდებელი, თვით უფალია თავის სიტყვისა, მეფეც და მონაც ამსრულებელიო“, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავისუფლების ცნება მისთვის მეტისმეტად პირობითია, აბსოლუტურ თავისუფლებას იგი მხოლოდ მგოსნისთვის თვლის შესაძლებლად, რადგან ამ უკანასკნელის „ბუნება სიწმინდის ცეცხლში გამობრძმედილა და სათნოებით იმისი გული ღმრთის ხარისხამდე ამაღლებულა“, მთელი საზოგადოებისათვის კი იგი „წარღვნა იქნება ქვეყანაზედა და მოვლენილი მისგან ვაება—უარესობა ტყვეობაზედა“, რადგან, მისი აზრით, ადამიანი არის „ვნების ტომარა ცეცხლ-ნავთიანი... დიდი ზღვა დაგუბებული, მეხი და სეტყვა,“ თოვლი და წვიმა, სითბო-სიცივით ამოვსებული, და „უსაზღვრო თავისუფლება“ მას ტყის მგლად აქცევს („ღმერთები და სულა“).

ზეციურმა მამამ, „რამაც დაჰბადა სფერო ხმელისა და სივრცეცისა“, არ ისურვა ადამის ძე გაეჩინა „მსგავსად თვისა“. მან ერთ არსში მოგვცა ბოროტება და სიკეთე, მანვე აღამალა და კეთილით სრულყო მხოლოდ მგოსანი, მაგრამ ამ უკანასკნელს უფლება არა აქვს მოსწყდეს ქვეყანას, არ ემსახუროს მას. არმაზის წინადადებას — დაუტევოს „ამსოფლიური ავი და კარგი“, ემსახუროს მხოლოდ ზეცას და სამაგიეროდ მიიღოს უკვდავება, პოეტი უარყოფს.

პოემაში „ღმერთები და სულა“ კარგადაა გადმოცემული „თერგდალეულთა“ იდეა — ემსახუროს ხალხს, არ მოსწყდეს რეალურ ნიადგს, მოსწმინდოს ერს „ტანჯვის ცრემლი“, მაგრამ ფორმის თვალ-

საზრისით ეს ნაწარმოები იმდენად მდარეა, რომ მკითხველის ყურადღება არასოდეს მიუქცევია.

როგორც ვთქვით, „თერგდალეულთა“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიზანსწრაფვის გამოსახატავად ვაჟა-ფშაველამ ახალი ფორმა მოსძებნა, განსხვავებული, სრულიად უჩვეულო პოეტური სამყარო შექმნა, რაც ფორმისა და შინაარსისადმი თანაბარ ყურადღებაში, ადრეული მასალის იდეის სიმალლეზე აყვანასა და ამ გზით „სამოციანელთა“ ზოგჯერ აშკარად შეუფერავი ტენდენციურობის დაძლევაში მდგომარეობდა.

ბაჩანას პირველი მტკიცე ნაბიჯებიც ისეთ სიმალლეზე მიუთითებდნენ, სადამდე ასეღაც სოფლის მასწავლებლის მძიმე უღელქვეშ გღენესარე პოეტისათვის არცთუ ისე ადვილი იყო. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ის უცილებელი ფაქტი, რომ ბაჩანა ბოლოს უფროსი ძმის გენიის ჩრდილში აღმოჩნდა. მართალია, ბაჩანამ თავისი ხელოვნებით ნიჭის იმდენად სრულყოფა ვერ შეძლო, რომ „თერგდალეულთა“ პოეზიისაგან აბსოლუტურად განსხვავებული პოეტური სამყარო შექმნა, მაგრამ ეპიგონობას კი გარკვევით დააღწია თავი.

განმსაზღვრელი ბაჩანას მთელი შემოქმედებისა ეროვნული მოტივია; ისიც ისე, როგორც ილია, აკაკი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა — უმღერის სასურველ მომავალს. უკეთესი მერმისისათვის მებრძოლ მამული-შვილთა აღზრდის მიზნით აცოცხლებს წარსულის სურათებს, მაგრამ გმირთა მოქმედება-მდგომარეობის მაღალმხატვრულად ასახვას, ადრეული მასალის მიმზიდველად დამუშავებას იგი ვერ ახერხებს და აბსოლუტურ ორიგინალობამდე ვაჟასავით ვერ აღის.

პოეტმა კალმის ხელში ადებისთანავე გამოსთქვა წრფელი სურვილი მშობელი ერის თავისუფლებისათვის შეუპოვარი ბრძოლისა, რაც ასე მკაფიოდ ჩანს 1884 წ. დაწერილ ლექსში „მუხა“. ცნობილია, რომ ამ ლექსმა ალაფრთოვანა ი. ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა, რომელთა შეფასებაშიც ქართველი პროგრესული საზოგადოების აზრია მოცემული⁵.

სამოციანელთა ღრმა ოპტიმიზმი სამშობლო ქვეყნის მერმისისადმი, რაც ერთგვარი დაქვეებით ისმოდა ბაჩანას ერთ-ერთ ადრეულ ლექსში („სიმღერა“, 1882), „მუხა“ მკაფიოდ და გაბედულად უღერს.

⁵ როგორც ეურნ. „განათლება“ გვაუწყებს (1912, № 5) ილია გახარებული შეეგება მასთან მისულ არტურ ლაისტს და აღფრთოვანებით წაუთითხა ბაჩანას „მუხა“, ვაჟა-ფშაველა კი ლიტერატურულ საღამოებზე თავის ლექსებთან ერთად „მუხასაც“ კითხულობდა ხოლმე.

ბორკილაყრილი საქართველოს, თავისუფლების მადლით გაფურჩქენილი ეროვნული ნიჭისა და ამღერებული ბუნების ხილვა შეადგენდა პოეტის ნატურის, ღვთაებისადმი მიმართული ლაღადისის ერთადერთ საგანს („ნატურა“).

მოკრძალებული ნატურა ახალგაზრდა პოეტისა ეამისყამ ბრძოლის ყიყინით აღტაცებულ მოწოდებადაც იქცეოდა ხოლმე, რაც ასე ძლიერად აისახა 1883 წ. დაწერილ ლექსში — „ვინა სთქვა საქართველოზე“⁶.

ეს ლექსი წარმოადგენს „მუხას“ დედააზრის ახალ ინტერპრეტაციას პოეტური სამკაულების გარეშე. აქ ბაჩანა, „თერგდალეულთათვის“ ჩვეული პირდაპირობით გვესაუბრება იმაზე, რაც „მუხაში“ ალგორითულად იყო გადმოცემული და უფროსი თაობის მხატვრული სიტყვის ერთგვარ პერეფრაზირებასაც კი არ ერიდება (აკაკის „ავადმყოფი“). საგულისხმოა, რომ ილიას, აკაკისა და ვაჟას პატრიოტული გუგუნის შემდეგ ბაჩანა ახერხებდა საყურადღებო ლირიკული სტრიქონების შექმნას, მშრომელი ხალხის გულის სიმებთან ახალი კუთხით მიახლოებას. მისი „ტყვის სიმღერა“ დღესაც არაა მოკლებული ქართულის გულის სიამით ათრთოლების ძალას.

მსგავსად სახელოვანი მასწავლებლებისა (ილია, აკაკი), ბაჩანა აცოცხლებდა გარდასული ეპოქების გმირ ქართველ დედათა სახეებს, შარავანდდით მოსავდა მათ ღვაწლს და ამით ცდილობდა პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმის ბატონობის უფედგად გადაგვარებულ ქალთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. მისი მტირალი ფშაველი ქალი მჩაგვრელთა შესამუსრად ამხედრებული მებრძოლი დედაა, რომელიც მსგავსად სანათასი და ლელა ბაჩლელისა („ბახტრიონი“), გულდათუთქული ეძახის ქვეყნის უბედურებისადმი გულგრილ ვაჟაკებს და, მათი ყოყმანის შემთხვევაში, მზად არის თვითონ გავიდეს ბრძოლის ველზე.

ვაჟმე, ილუპვის ქვეყანა,
ვაპ, ვაენო, თქვენი ჭავრიო...

პოეტის საღ ფანტაზიას როდი ჰკლავდა გაბედითებული აწმყოს მახინჯი სურათები. იგი ერის გმირული ისტორიის სიღრმისაკენ ისწრაფოდა და მასზედ დაყრდნობით ჰქმნიდა სამშობლოსათვის. თავდადებულ ქართველ გმირთა სახეებს.

⁶ ბაჩანამ ვერ შეძლო ბრძოლისაკენ აშკარა მოწოდების ხმა დაეჭვარა შემდეგი მინაწერით: „ეკუთვნის მე-12 საუკუნეს, ვიდრე ქართველები ბოლოსტიკის ომს ვადიხდიდნენ“. „ღროების“ რედაქციას ცენზურამ აუკრძალა ამ ლექსის დაბეჭდვა, ამიტომ იგი ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა.

...ველარ მოგევა შინაო
სინამდეს იყო ცოხალი,
ვერაინ შეაშინაო,
სიცოცხლე ძვირად გაჰყიდა,
მერე კი დაიძინაო.

ასეთი ამბავი მოაქვთ გადარჩენილ ვაჟაკებს ბრძოლის ველზე დაღუპულთა შესახებ. ბაჩანა მათ ნაგრძნობ-ნაფიქრში, მოქმედებაში რუსთაველის გენიალური აფორიზმის თავისებურად ამეტყველებას ლამობს.

სანამ ვარ, მაგრად ვიქნები
მტერ-ღუშმნის სისხლის მთხვეელი...

(„მომრის სიმღერა“)

ბაჩანას გმირები გადაქრით აცხადებენ სამშობლოსათვის თავდადების, ქვეყნის ხსნისთვის საკუთარი სიცოცხლის უყოყმანოდ გაწირვის სურვილსა და „დეკალიონის ჩამომავალთა“ სახელით ეწირებიან კიდევ დიადი მომავლისათვის ბრძოლას.

აქვე უნდა ითქვას, რომ „თერგდალეულთა“ მებრძოლი ოპტიმიზმი, რაც ვეაშ კუბოს კარამლე შეინარჩუნა, გაზარდა და გააფართოვა, ბაჩანას პოეზიას არ ახასიათებს. ფიქრი სამშობლო ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე მას არაიშვიათად ახედებდა ნაპრაღისაკენ, რომელიც ეროვნულ ორგანიზმს კარგა ხანია დააჩნდა და, შინაური თუ გარეული მტრების მეცადინეობით, დღითი-დღე ღრმავდებოდა.

დღე არ მასვენებს საგონი
ლამ-ლამე საოცარია,
ვაჰმე, თუ ტურა-მგლებს დარჩეს
ხოხობის საბუღარია!

(„ელეგია“)

ამ დროს საქართველო ბაჩანას ესახება ზღვაში შეცურებულ უილაქნო ხომალდად, რომლის გზას გაუვალი ბურუსი ფარავს, ხოლო ქართველნი — ბედს მინდობილ, უსულგულო, უჭკუო, უბადრუკ მენიჩ-ბეებად, რომელნიც საბედისწერო ტალღებს მიჰყვებიან უაზროდ, „ნიჩბების მოუსმელად“ და მომავლის შესახებ ორჭოფულად აცხადებენ:

გავალთ თუ დავიღუპებით,
არა ვიცით რა სწორედა.

რას მიუყვანია ერთ დროს ძლიერი საქართველო ამ მდგომარეობამდის? — იმ ღვთიური პატრიოტული ცეცხლის ჩაქრობას, რომელიც

ოდიითვე ღვიოდა ქართველის გულში, იმ სიმდაბლემდე დაცემას, როდესაც ადამიანს არა ჰგონია თუ „სმა-ქამის გარდა საგანი რამეა ქვეყნად“, — ასეთია ბაჩანას არაორიგინალური, „თერგდალეულთა“ და ვაჟას მოსაზრებაზე დამყარებული თვალსაზრისი.

საყურადღებოა, რომ 80-იან წლებში ბაჩანას მხოლოდ აშკარა ტენდენციურობის გამომხატველი პოეტური მეტყველება არ ახასიათებს. იგი ამ პერიოდში არაიშვიათად მიმართავს ალეგორიას, იგავურ გამოთქმებს, რაც ფშვავურ დიალექტზე შექმნილ მის ლირიკულ ლექსებს საკმაოდ ორიგინალურ, თუმცა „თერგდალეულთა“ შემოქმედებისაგან არამცთუ მკვეთრად განსხვავებულ ელფერს აძლევს. ასეთ ლექსებში პოეტი დაუნდობლად ესხმის თავს არა იმდენად დამპყრობელთ, არამედ მელას — შინაურ მტერს, მორჩილების აუცილებლობის მქადაგებელ მონას.

მელა მაშინებს, თორემა
მგლისა ხომ ვიცი, რაც უნდა.

(„სიმღერა“, 1888)

ბაჩანას „სიმღერაში“ თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც ისმის ვაჟაფშაველას დაქრილი არწივის ფრთების შრიალი, დარიბული სამოსლით ჩანს ის პუბლიცისტური პირდაპირობა, რითაც აკაკი წერეთელმა ვეითხრა:

მე ამ ლაგამს წაეიძრობდი,
არ მაქვს უცხო მორიდება...

ლექსში „ელეგია“ (1888) ბაჩანას სამშობლო ესახება საშინელ სიბნელეში, წვიმასა, ქარსა და ქარაშოტში უგზოუყვლოდ მავალ მგზავრად, რომელიც ხელის ცეცებით მიიწევს წინ, რადგან დარწმუნებულია, რომ იქით „სიცოცხლე მოელის“, აქეთ (უმოდრობაში) კი „სიკვდილი რჩება“. „შუქი წინ მიმიძღვებაო,“ — აცხადებს მგზავრი, თუმცა ხედავს, რომ „წვიმა და ქარი მატულობს“ და ეჭვოს ჰქაივს აკენესებს — „ვაჰმე, თუ გამიქრებაო“. ეს ეჭვი იგივე თვალბედითი შავი ყორანია — მიუსაფარი ზარათაშვილის შეუპოვარ მერანს დადევნებული, მაგრამ აღსანიშნავია. რომ 90-იანი წლების მიჯნაზე მდგარ პოეტში იგი გოდებას იწვევს და არა შემართებას.

ნუ გამიქრები, სანთლო,
ნუ დაჰბნელდები, ღამეო,
ნუ გამიცრუებ იმდესა,
განგებაჲ შეება მამეო.

ლექსი „დილა მთაში“ ასახავს ერთგვარ იგივეობას, რაც პოეტის აზრით „მთაში დაბმულ“ ამირანისა და ქართველი ერის ბედს შორის

არსებობს. მავთული, რითაც პოეტის ფანტაზიამ ბედისაგან დასჯილი ამარანი და საქართველო ერთმანეთს სამარადისოდ მიაჯაჭვა, არის ჩვენი ქვეყნის დაუსრულებელი ტანჯვის სიმბოლური სურათი. ასეთი მძინე განცდა მხოლოდ წარსულისაკენ ახედებს მგოსანს და აიძულებს მას „ჩვენი წახდომა, ჩვენი მუდმივი დუხჭირი, ჩვენი მუდმივი შეცდომა“ დააბაროს შოთასთან იერუსალიმისაკენ მიმავალ ბულბულს.

სანამდე მიწა იქნება,
ან ივერიის გენია,
ისაც იქნება ცოცხალი,
ნურაზედ მოუწყენია.

თითქოს იმედის შუქი ჩანს ზემომოტანილ სტრიქონებში, მაგრამ ეს „სანამ“ არაიშვიათად დგება უდიდესი კითხვის ქვეშ და საღ ოცნებას უიმედობის შხამით წამლავს. პოეტის წრფელი სურვილი საკუთარი თვალთ არ იხილოს სამშობლოს მოსალოდნელი აღსასრული, რა თქმა უნდა, ოპტიმიზმის არავითარ ნიშანწყალზე არ მიგვითითებს.

მომავალზე ფიქრი საზარ შიშს იწვევს მგოსანში, შიში კი გოდებისდაგვარ ლოცვა-ვედრებას, რაც აკაკისთან ერთგვარი გაკამათების იერსაც კი ატარებს:

საყვარლის საფლავს არ ვეძებ,
ღმერთმა ნურც მამოვნინოსა.
(„სიმღერა“)

ბაჩანას პოეზიისათვის დამახასიათებელი განწყობილებანი — დიდებული წარსულის მოგონებით და დაკნინებული აწმყოს ცქერით ნაკვები კენესა — იმდენად სცილდება პასიური, რეაქციული რომანტიზმის ფარგლებს, რამდენადაც მასში მოჩანს სამშობლოს დამცველი გმირული სულის და არა გარდასულ ეპოქათა სოციალ-პოლიტიკური ყოფის, აღდგენის სურვილი.

მხოლოდ ასეთი გაგება შეიძლება იმ მოწოდებებისა, რაც ასე უხვადაა მოცემული პოეტის ლირიკულ ნააზრევში.

ძმებო, ადექით, ადექით,
გამოიღვიძეთ გმირებო!...
აიწით, მოვრთოთ ტირილი...

(„აჩრდილი მამიკონიანისა“)

მაგრამ, რამდენადაც მგოსანი ბრძოლაში მიმავალთ ნათელი მომავლის რწმენით ვერ კვებავს, ამდენად მისთვის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ პუბლიცისტური იერის მატარებელი პოეტური თქმა:

ნეტავი ვინმე ისეთი
მაჩვენა, მომახელენა,
რომ ჩემი გული იმის წინ

ხალივით გამაშლევინა,
მაჩვენა ტკბილი იმედი,
ყეხზე ამდგარი სნეული...

(„სიმღერა“, 1888)

ეს „ტკბილი იმედი“ 90-იან (და განსაკუთრებით 900-იან) წლებში არც ისე ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე პოეტს, მისი პოეზია ნათელი მომავლისაკენ არ უთითებდა თვითარსებობისათვის გამუდმებულ ბრძოლაში ჩაბნულ ერს და, უპირველეს ყოვლისა, ამით მდაბლდება ბაჩანას შემოქმედება 60-იანი და 80-იანი წლების დიდი რეალისტი მწერლების შემოქმედებასთან შედარებით.

ბაჩანას პოეტური ოცნება 90-იან წლებშიც სამშობლო ქვეყანას დასტრიალებს თავს, ასახავს წარსულის გულისმომწყველელ სურათებს. უსაზღვრო ზიზღს დამმონებელი უცხო ძალისადმი, მაგრამ ამ პერიოდშიც მის შემოქმედებაში საბრძოლო ჰანგებს, ოპტიმიზმს უიმედო გოდების ხმები ახრჩობენ: ლექსში „ჩვენი წარსულის გამო“ (1889) პოეტი მეზობელ ერთა ურთიერთობის მარად მტკივნეულ საკითხს ეხება. იგი წნეველა-კრულვით იგონებს „გველეშაპს ირანისასა“, რომლის გამუდმებული შემოსევების შედეგად საქართველოში მუდამ „წვიმდა, ღვარები ხეიოდა“.

90-იან წლებში ბაჩანამ კესანეს ზედწოდებით შექმნა მშვენიერი სახე დამონებული საქართველოსი და გულის საძირკვლამდე ჩამწვდომი სიტყვებით მიმართა მას:

მითხარ, კესანე, შენი კენესაჲ,
პატარაჲ, ტურღაჲ,
მთაზე მოსულო,
სიმარტოვე არ მოგეწყინა?

სატრფო-სამშობლო კესანე სურნელოვანი ყვავილია — განუყრელად გადახვეული და სამარადეამოდ დამაგრებული მწვერვალზე, რომელზედაც ყველაფრის წამლეკავი „ველური ქარი“ დათარეშობს, იგი სიყვარულით დაჰკონებია ბადალუპოვარ მთას, რომლის სურვილიც ასე „ჩასკრია“ გულში, და ჩაჰკენესის:

მე დავიბადე შენსავით მთაში
და გავიზარდე სიმარტოვეში,
დაედივარ, დაეძრწი ამ ქვეყანაში,
მაგრამ არ მომღის არავინ თვალში.

ჯანი მთელი მაქვს, გული კი არა,
რალაც მაკლია, რალაც მწყურია...
(„პასუხი“)⁷

ეს „რალაც“ დაუცხრომელი ლტოლვეა სრულყოფისაკენ, ეროვნული თავისუფლებისაკენ, რაც ასე მკაფიოდ აისახა ვაქას პროზაულ შედეგში — „მთანი მალანი“.

სამწერლო მოღვაწეობის პირველ პერიოდში ბაჩანა, როგორც ეთქვით, მომავლისათვის მებრძოლ გმირთა სახეების შექმნასაც არა იშვიათად ცდილობდა („სალაშქრო სიმღერები“).

მკუხხარე მოწოდება მომავლისათვის ბრძოლისკენ ნიბლავედა დიდებულ ვაქას. ბაჩანას გავლენით ქმნის იგი სამშობლოს დამცველ ვაქეაცის — „კაი ყმის“ მომზიბლავ სახეს და „თავის ჭამს ჩამაცქერალ“ სულმდაბალთა სახეებს უპირისპირებს მას.

ადვილი გასაგებია ვაქა-ფშაველას შეძრწუნება, როცა წარმოვიდგენთ, რომ „კაი ყმის“ წინააღმდეგ გაილაშქრა სწორედ მან, ვინც პოეტს ახ სახის შექმნა შთააგონა. 1912 წ. უურნალ „განათლებაში“ ბაჩანა აქვეყნებს ვაქასადმი მიმართულ პასუხს, რაც მის ავტორს დიდ ჩრდილს აყენებს:

...ჩვენს დროში კარგ ყმობას
ვინ იზამს ცულლუტის მეტი?
და ვინ შეაქვებს ამისთვის
ძველის თათქარიძის მეტი?

როგორც ვხედავთ, ბაჩანამ ამ, ერთი შეხედვით, არასაყურადღებო როლიოდ სალექსო სტრიქონში შეძლო დაენახებინა თავისი დაბნეულობა, ერთგვარი გაუგებრობა იმ მიზნისა, რასაც სახელოვანი სამოციანელები (და, მათი გავლენით, თვითონ ისიც) გარდასულ ეპოქებში სამშობლოსათვის თავდადებულთა გმირული სახეების შექმნით ისახავდნენ.

ვაქა-ფშაველამ იდეური დაქვეითების გაყო დაუნდობლად ამხილა ძმა.

ბაჩანას გამოსვლა უურნალ „განათლებაში“ დიდმა მგოსანმა მიიჩნია ღირებულებათა სრულ გადაფასებად, გამოხდომად „თერგდალეულთა“ იდეური, მკვეთრად ტენდენციური, ბრწყინვალე მომავლისათვის

⁷ კესანე, როგორც სიმბოლური სახე ტურფა სამშობლოსი, ბაჩანასაგან ის-ესხა კოლა ლომთათიქემ და თავისი მღელვარე ღირიკული პროზის ლამაზი სტრიქონები უძღვნა მას (იხ. დ. რამიშვილი, კოლა ლომთათიქე, 1958 წ.).

მებრძოლი პოეზიის წინააღმდეგ და სამართლიანად უწოდა ძმას საკუთარი ადრეული მრწამსის მოლაღატე, „გამტეხი პირისა“:

მუხავ, უთხარი შენს მგოსანს,
ასწიე მკლავი გმირისა!
რად მოგდგომია საქრელად
ცულით, გამტეხი პირისა?

(„პასუხი ბაჩანას“)

ვჯავს და ბაჩანას შორის კამათში აისახა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა და არა ძმების უმნიშვნელო ლიტერატურული წაკინკლავება, როგორც ეს ლიტერატურულ კრიტიკაშია ცნობილი. ქართველი ერის მომავალზე, რაც ილიასთან და აკაკისთან ერთად ასე ნათლად ესახებოდა ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი. გამოსვლა ძმის წინააღმდეგ იყო შედეგი იმ გაურკვეველობისა და ბუნდოვანების, რაც მის პოეზიას იმთავითვე ახასიათებდა. რა თქმა უნდა, ამ გარემოებას არცერთისათვის არ შეუშლია ხელი გამოეხატათ ღრმა სიყვარული ურთიერთისადმი, ერთმანეთის პოეტური ნიჭისადმი, გამოეჩინათ უნარი ერთიმეორის ღვაწლის მართებულად გაგება-დაფასებისა.

90-იანი წლებიდან ბაჩანას პოეზიას თანდათან ეუფლება უიმედობა, საშობლო ქვეყნის უნუგეშო ყოფით ნაფერი სევდა, რომლის იქით მისთვის აღარ მოჩანს ბარათაშვილის მერანის მიერ ნათელი „უვალის გზის“ ბედნიერი დასასრული.

დაეწუხდი, სევდა დამეცა,
როგორც ნისლები მთაზედა...

ძმებს შორის გაჩენილი ნაპრალი აღარასოდეს გამთელებულა, პირიქით, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ღრმავდებოდა იგი. 1905 წ. ბაჩანა აღმავალი რევოლუციური მოძრაობის გავლენით წერს ლექსს „მთამა სთქვა“. აქ იგი გამოსთქვამს მწარე სევდას სამშობლო ქვეყნის დამონების, მშობლიურ მიწა-წყალზე უცხოელთა თარეშის გამო.

ვეტრფი ჩემს ერს და სამშობლოს,
ოცნებით თავზე ვევლები.
თვალი კი ვერ გამიხვალავ,
მტერო, წინ ამეჩეხები!...
ჩვენს სახ-კარზედა ბატონობს
საით სად გადმოთრეული...
ქერ გაგვაშიშვლა, დაგვეარცვა,
ახლა გვიპირებს დაქაი...!

მოთმინების ფიალა ავსებია მთას, მის „სპეტაკ გულში“ დაბუღებულა „ზღვების გველები“, ამიტომ ქვეყნის მხსნელი ძალები ახლაც უნდა წამოიმართნონ არ გაიმარჯვონ, ან სამუდამოდ დაიღუპონ.

ყოფადი ნაადრევი ჯობს,
ქმნადი, რაც მალე იქნება,
თუ მოკლე ხანში, თორემ
მერე გვიანლა იქნება.

ეს ლექსი მხოლოდ 1910 წ. გამოქვეყნდა („ერი“, № 1) და რეაქციის თარეშის დროს გაისმა, როგორც არადროული, მოცემულ მომენტში სრულიად მიუღებელი მოწოდება, ამიტომ ვაჟა-ფშაველა ამკერადაც წყრომით გამოეხმაურა ძმას:

მთამ ეგ არა სთქვა, ბაჩანავ,
როგორაც შენა გგონია,
მისი ნათქვამი, ნაგრძნობი
მე სულ სხვა გამოიგონია...
აქლევებულხარ ძალიან,
თავის ძმა ველარ გიცანი,
რომ მოშავალი ჩენია,
ამას რად უნდა ზისანი?

(„მთამ სრულიად სწავსთქვა“. „დროება“. 1910,
№ 334)

უდროო მოქმედებას შეუძლია სულმოკლეობის მსხვერპლი გახადოს ქვეყანა. სჯობს გვიან აუვაედეს ხეხილი, რომადრე გამოსული ყინვამ არ დააზროს, „ფაცი-ფუცობა, სულსწრაფი, უმეცართ ხელობა“ არ მართებს მას, „ვინც სამერმისოს კარგს ხედავს“, ასეთია ვაჟას ბრძნული პასუხის დედააზრი.

ცხადია, ბაჩანა ეწინააღმდეგებოდა არა მარტო ძმას, არამედ საკუთარ საღ ლოგიკასაც: „მუხას“ გარდა, ვაჟას შეეღო აქ მისთვის გაენსენებინა მეორე ნაწარმოებიც, სადაც ასე გარკვევითაა ნათქვამი:

ვერც ერთი მუქა თავდადებულთა
გახდება რასმე მტარვალისადა,
არც კიდევ ფუქად მოკვლა თავისა
საქებურია ქვეიანისადა.

(„მონოლოგი ლეონიდესი თერმოპილეს“)

90-იან წლებში გაშლილ ახალ მოძრაობას ბაჩანა შეხვდა იმ დიდი უყოყმანითა და ეჭვით, რაც საერთოდ ახასიათებდა სამოციანელთა იდეების დოგმატურად აღმქმელ თაობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოცი-

ელურ ბრძოლას ეროვნული საკითხის გადაწყვეტამდე შეუძლებლად ან არასაპიროდ. უადგილოდ თვლიდა.

ბაჩანას ყოყმანი, ქანაობა ძველსა და ახალს შორის, შესანიშნავად აისახა ლექსში — „ზღვა დაეიწყებისა“ (1889). იყო დრო, — გვეუბნება აქ პოეტი, — „საქველმოქმედოდ საბადლო ცისა მათერთოვანებდა“ და სევდას აქარებდა. მაგრამ მოვიდა დრო, „ფიქრმა და სჯამა არივდარივეს ცა და ღრუბელი“, გადაუხვიეს (პოეტის თქმით „გადაუქციეს“) „უწინდელ გზასა, შემუსრეს ძველი ნავთსაყუდელი.“ ძლიერმა ქარმა დაჰქროლა მგოსანს, გაუწელა „ძველი ლამპარი“ და გაუყენა „ამღვრეულ წყალსა ძველის ხომალდის ნამსხვრევებითა“.

წყალი მიმათრეს, ხმელეთი მოჰჩანს,
ჩემთვის იქ გასვლა სანატრელია,
სანამ შემეძლო, ბევრსა ვცდილობდი,
ბოლოს ძალ-ღონე გამომელია.

დღეს შენ მოხვალ, ხვალ სხვა მოვა, არავის ასცდება წყეული დროის ძსახვრალი ხელი, „ბევრიც იტირო... აღარაფერი არ ეშველება“, ასეთი გადაწყვეტილებით დგებოდა პოეტი ახალ გზაზე და თანაც ჰფიქრობდა, რომ:

სადმე მღვრივ ზღვაში შეიჭრებოდა,
სადაც შენდღემი ჩვენი არსების
ყოფნა არყოფნა გადაწყდებოდა.

მაგრამ „შეჰზარა“ საი დაინახა „ზღვა უდაბური ნაპირებითა“, სადაც წყვდიადით მოცული ერი „ჰჩანს და არა ჰჩანს“.

ასეთი ყოყმანი, ბუნდოვანება სამშობლო ქვეყნის მომავალი ბედის საკითხში კიდევ უფრო ნათლად აისახა ლექსში — „გზა ბნელი“. „უწინდელ დაფიქრებულნი“ მგოსანი ხან სასოებს, ხან ტირის „სამშობლოს ბედის წერა“. მას უნდა „განჰვრიტოს მყობადი“, მაგრამ სანუ-გემოს კეთილფერს ჰხედავს იქ, როდესაც გადაჰხედავს „ფასდაუღებარს ნამყოს“, გულს უნათღება, „ბნელ ცას დაესხმის ვარსკვლავები“ და სასოებით შესცქერის „ჩვენი მამულის ვარსკვლავსა“, მაგრამ უხანოა ეს სასოება, ხანმოკლე ტკბილს ხანგრძლივი სიმწარე ცვლის...

ნაღველი უყუნისა,
სიამოვნება ეამისა.

ექვის კიით დაღრღნილ გონებაში ძვირფას ჩრდილებს ცვლიან წილილები და მატლები — „მამულის მოღალატეთა“ ელდის მომგვრელი სახეები, რომელნიც მოუძღვიან „ჩვენს შესაქმელად“ მომავალ ურიცხვ მხეცებს, მგოსანს „შავი ყორანი“ აჯდება მხარზე და ერთ

დროს ცაზე გაბრწყინებული სამშობლო ქვეყნის ვარსკვლავი „წყდება, უფსკრულში ინთქმება“...

ქვეყნის განახლებისა და აღორძინების მოტრფიალე პოეტი გადაჭრით მაინც ვერ გაემიჯნა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდათა იდეებს. იგი შიშით უახლოვდება ახალ თაობას და, ისე როგორც დიდი აკაკი, ამ მოძრაობაში ერის (და არა მხოლოდ პროლეტარიატის) მესწნელს ეტრფის. ამ დაახლოვებამ ბაჩანას შემოქმედებაში დროებით ოპტიმისტური ხმის გაძლიერება განაპირობა. იგი ნატრობს იმ დროს, როცა მოფრინდება მახარობელი ჩიტი და საიმედოს ეტყვის. მისი აზრით, ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის შედეგად უნდა:

ბორკილი გატყდეს, კარი გაიღოს,
შორით შეგვესმას ლაშქრის დგრიალი,
ჩამოდიოდეს ქართველთ მხედრობა,
აბჯარს გაქჷონდეს ელეა, კრიალი...
და წითელ დროშას ივერიისას
მეტეხზედ ძრავდეს წელი ნიაფი...
(„ოცნება პატიმრისა“)

პოეტმა იცის, რომ ეს მანამ არ მოხდება, სანამ „სიძარტლე გზებს არ შეისწამს, არ აიჭრება ხალხი ძილითა და მიბნედილი ქართველის სიახლი დენას არ იწყებს ძველი მილითა“. გულუბრყვილო პოეტი „ძველი მილით“ — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზით სვლას უკარნახებდა ახალ მოძრაობას — სამშობლოს გათავისუფლებისაკენ შრომის გათავისუფლების გზით მავალს. „წმინდა ერთობის პირსა მხარი მოაბას ყველაშაო“, — შოუწოდებდა იგი განახლებისათვის მებრძოლ სამშობლო ქვეყნის შვილებს და მზამზარეულ კრედოსაც კი სთავაზობდა მათ.

გვარტყია ცეცხლის გენია,
სპარს-ოსმალეთი ურჯულო,
წუნჯალი რაოდენია...
(„გზა-ბნელი“)

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა ბაჩანას შემოქმედებაში ოპტიმისტურ ნაკადს თანდათან უფრო ძლიერ და გარკვეულ კალაპოტს აძლევდა. ახლა იგი აშკარად გამოსთქვამდა თავის გულწრფელ სიმბათიანს ახალთაობისადმი და იმედს, რომ ეს თაობა ეროვნულ თავისუფლებას მოუტანდა მის ტანჯულ ერს.

ჩემი ქვეყანა იღვიძებს,
საქმე კეთდება დიადი.

თანდათან გული მირჩება,
მომგონდეს, გამიხარდება,
თუ ქრისტეს რჯულის მოწამე
ერი არ დამეკარგება...

(„მუღარა, 1897)

ზემომოყვანილ სტრიქონებში ერთგვარ გარკვეულობას თან ახლავს გაუტრკვეველი შიშიც, რაც რწმენადაკარგულ პატრიოტ მგოსანში კვლავ ღვთისადმი გოდებას იწვევს:

ჰე, ღმერთო, მხოლოდ შენგნითა,
ღმერთო, შენ შემოგტირია,
სულ ამ იმედით მამყოფე,
იმედით დამათირია.

(„მუღარა“)

ყველა ნაწარმოებზე ნათლად და გარკვევით ბაჩანას ოპტიმიზმი სამშობლოს მომავლისადმი 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში შექმნილ „სიზმარში“ ჩანს.

ამ ლექსში პოეტი შეეცადა დაენახა სატრფო—საქართველო ოთხი ასეული წლის შემდეგ. მკვდრეთით ამდგარი მგოსანი არაგვის პირპირ მიაგვლევებს მერანს და სტკბება აყვავებული სამშობლოს მთაბარის ხილვით, თუმცა „მამულისათვის მფიქრობელს“ არ შეეძლო დამშვიდებულყოფილ ბუნების ცქერით: მან ჯერ კიდევ არ იცოდა, ვინ იყო პატრონი ამ წარმტაცი მხარისა, მაგრამ აი, გამოჩნდნენ აღამიანებიც, რომელთაც „სალამი მისცეს, დაუწყეს: ქაროულად საუბარია“, რაც პოეტში თავიშეუკავებელ აღტაცებას იწვევს:

დახშულმა გულმა იფეთქა,
ბნელი გააღო კარია,
ისევ მქონიყო სამშობლო,
მისი მთა, მისი ბარია.

(„სიზმარად“)

მდიდარი, მტკიცე, მყინვარივით უძრავად დამაგრებული თავის ადგილზე, განათლებული, მოსაუბრე მშობლიურ ენაზე, — აი, როგორი საქართველო დაინახა ბაჩანამ ოთხი საუკუნის შემდეგ. მან მომავალი საქყარო წარმოსახა, როგორც დიდებული ტაძარი, სადაც ყოველი ერის შვილნი თანასწორად ლალობენ. კავკასიის ხალხთა ძმური კავშირი, სიყვარული და ერთობა ბაჩანას ესახება, როგორც „გარდაუვალი შემდეგი ისტორისა“ („სიზმარი“). ამ მტკიცე კავშირის ამსახველია პოეტის გულიდან ამონაძახიცი:

დავკრავ, დავძახებ ძმობის სიმღერას,
მთები სულ ჩემთან მოჭარღებთან.

(„მეგობრის საფლავე“))

პოეტი კარგად ხედავს, თუ რა სიდიადე ისახება სხვა ხალხთან თანაცხოვრების დიდი უნარის მქონე ქართველი ერის ბუნებაში, როცა მიმართავს მას:

როცა სხვას ჰგუობ, სხვა გიყვარს,
მაშინ შენთვისა ჰწირავო...

(„მსხვერპლი“)

ეს ოპტიმიზმი დიდხანს არ გაპყლია პოეტს. ჩქარა გამარჯვებულნი რეაქციის თარეშმა იგი ნაცნობ პესიმისტურ ჰანგებთან დააბრუნა.

ამ პერიოდში თვითმყობადობის უარყოფელი და სხვათა მფარველობის მძებნელი ქართველი პოეტს მიაჩნია დედის მრღალატე უგუნურ შვილად, რომელიც ოდესღაც დაუბრუნდება საკუთარ კერას და შეძრწუნდება, როცა იქ თავისი შრომის ნაყოფს იხილავს. საკაცობრიო იდეალები, რის ერთგულებასაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მომხრენი ქადაგებდნენ, ბაჩანას აზრით, ქართველ ერს არავისაგან ესწავლება, პირიქით.

ბაჩანას თქმით, მხოლოდ უგნური კაცი უარყოფს თავის სამშობლოს, გონიერი კი „მუდამ მკის თავის ყანასა“. ამ დროს ბაჩანას ლექსებში მთელი ყურადღება შინაურ მტერზეა გადატანილი. იგი მხოლოდ წყვილიადს ხედავს ყველგან, მისი ტანჯული ქვეყანა სანუგეშოს ვერადგერს ამბობს. „უძღებ შვილთა“ მოქმედებით შეძრწუნებულმა პოეტმა დაღუპვა უწინასწარმეტყველა საკუარელ სამშობლოს და მის მწარე ფიქრთა ნაეური ალეგორიულად აისახა ლექსში — „ზეხმელი“.

მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ,

ახლა სიკვდილსა ველიო,

ესა სთქვა, ერთი შეინძრა...

გაისმა კენესა-პრიქინი,

მოსქდა და ოხერით დაეცა,

მეც დავაყოლე ქვითინი.

(„ზეხმელი“, 1912)

ბაჩანამ თავისი შემოქმედების ერთგვარი შემაჯამებელი პოეტური სიტყვა სთქვა ალეგორიული ფორმით დაწერილ ერთ-ერთ გვიანდელ ლექსში — „აღსარება არაგვთან“ (1920). ლექსი ასახავს კამათს „მოპირდაპირესთან“, რომელიც პოეტის საპირისპირო პოზიციაზე მდგარა მარად.

მე როცა ტოროლაავით,
მიკრული ვყავდი ზეცასა,
მაშინ შენ ოქრო-ვერცხლისას
თაყვანსა ჰქემდი ხბოს თავსა...

იზედგაცრუებული, გულმოკლული ეთხოვება პოეტი მარად სატრფიალო საგანს დედა-სამშობლოს და უქანასკნელ სიტყვაშიც არ ისმის პოეტური ხმის ოპტიმისტური თრთოლა.

მიედივარ... მაგრამ სად წაეალ
ჩემი სამშობლოს იქითა,
მიედივარ, მაგრამ ისივაც
შენთან ვიქნები ფიქრითა.

მართალია, პოეტი იმის რწმენასაც გამოსთქვამს, რომ ერთ დროს „გაცხრილვის ეპი დიდგება“ და „დავიწყებული მოღვაწე მკვდრეთით აღსდგება“, მაგრამ ლექსში სანატრელი მომავლის მოლოდინი ისახება და არა ბრძოლის ყიჟინა.

მაგრამ მე მაშინ, ვინ იცის,
სად სამარეში ვიწვები...

ამგვარად, ბაჩანას პოეზიაში უკეთ აისახა სამშობლო ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის კენესა, ვიდრე ბრძოლა და მისი მნიშვნელობაც ამით განისაზღვრა.

ისტორიას როდი ძალუძს დაასახელოს ჭეშმარიტი მშვენიერებისა და ადამიანთა სულიერი სამყაროს სრულყოფის აუცილებლობის ძალადებელი შუბლნათელი მგოსანი — „კაცთა ცხოვრების შემფერხებელ“ მონობასა და ტირანიასთან შეგუებულ-შერიგებულ. კაცობრიობის ნათელი აწმყოსა და მერმისისათვის, თავისუფლებისათვის მებრძოლი ყოველი დიდი ჰუმანისტი. საზოგადოებრივი ყოფის რევოლუციური გარდაქმნის მომასწავებელ ქართველითა სადარაჯოზე უყოყმანოდ დამდგარა მუდამ.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება 1905—1907 წლების რევოლუციური შემართების დროს ზემოთქმულის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს. ამ პერიოდში მისი პოეზიისა და პირადი ცხოვრებისათვის სრულიად უცხოა ის ყოყმანი, სკეპტიკური დამოკიდებულება ამბოხებულ მშრომელთა მისწრაფებისადმი, რაც ბაჩანას ლირიკაში ასე მკვეთრად აისახა; პირიქით, ვაჟა-ფშაველა თავისი უკიდურესი შეხედულებებითა და უდრეკი სულიერი განწყობილებით ამბოხებულ რევოლუციური ცხოვრების მეკვლე თაობას უსწორებს მხარს და როგორც კალმით, ისე იარაღით მის გვერდით გაბედულად დგება.

„მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, — წერდა ვაჟა, — როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას. უკეთესი ქვეყნის სამსახური კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წკლილი, ავი თუ კარგი თავის ქვეყნისა ესმოდეს, შეგნებული ჰქონდეს მისი საჭიროება და სხვებსაც შეაგნებინოს ესევე, — ყველა ავადობას, ყველა წყლულს წამალი დასდევს და, მაშასადამე, კარგი მწერალი ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს“⁸.

ცხადია, ამ სიტყვების ავტორი არ შეიძლებოდა გულხელდაკრეფილი მჯდარიყო იმ დროს, როცა მისი ერის პროგრესულმა ნაწილმა იარაღი აისხა და პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმის დამხობას ლამობდა.

პირველი რევოლუციის ბობოქარ წლებში ვაჟა პრაქტიკულ ბრძოლაში ჩაება, მთიელ გლეხთა მეთაურად იქცა და დეკლარაციაც კი შეადგინა, მონაწილეობდა უამრავ კრებებსა და მიტინგებში, თვითონ არაერთხელ ხელმძღვანელობდა გლეხთა გამოსვლებს, მაგრამ ჩვენ ამჯერად მხოლოდ მისი მხატვრული შემოქმედება გვაინტერესებს.

ცნობილია, რომ საქართველოს თვალწარმტაცი ბუნების სიდიადის ასახვას „თერგდალეულები“ იშვიათად არ მიმართავდნენ, მაგრამ ილია და აკაკი მას აღიქვამდნენ, როგორც ობიექტურ რეალობას, სადაც ძალუძს „კაცსაც ბედნიერება“, რასაც ხალხს ეროვნულ-სოციალური თავისუფლება ანიჭებს.

ამ თვალთახედვით მივიდა საქართველოს ბუნებასთან დიდი პოეტური შესაძლებლობის მქონე ვაჟა-ფშაველაც. ვაჟასათვისაც ჩვენი ქვეყნის ბუმბერაზი მთები თავისუფლებისათვის მებრძოლ „კაი ყმათა“ აღზრდით მშვენდებიან. როდესაც ამსუდრებულ ფშავ-ხევსურებს კვირიას გულწრფელობაში ექვი შეეპარათ, გმირმა ლუხუმმა მთებისა-ენ მიახედა ისინი.

კაცნო, რას ამბობთ ნეტარა?
რად ჰგრეხთ დიაცებრ კორებსა?...
რად არ გაჰხედნებთ, ბრიყვებო,
ჩვენი სამშობლოს გორებსა?
(„ბახტრიონი“)

ამ ქედების ალალი ძუძუთი გაზრდილი ვაჟკაცი მოძმეთ ღალატს ვერ შეადგების! — აი, ლუხუმის „გამონასკვეული“ აზრი.

⁸ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, VII, სახელგამი, 1956, ვვ. 377.

ვაჟა-ფშაველა, ისე როგორც ილია და აკაკი, თავს დაჰკანკალებდა შობებელ ქვეყანას და მის დასაყრდენ ფესვმაგარ მუხას — მშრომელ გლეხობას, სამართლიანად ხედავდა მასში იმ დიდ მდინარეს, საიდანაც ქვეყნის მხსნელი ნაკადულები მოწანწკარებენ. მან, ალ. ყაზბეგთან ერთად, იბოვა ისტორიაში ხალხი, რომელსაც ასე გულისტკივილით დაეძებდა ი. ჭავჭავაძე, ჩამოაცალა მას ეგონისტური ნაჭუჭი და ქვეყნის სახსნელად ამოქმედა. მართალია, ვაჟა-ფშაველამ მრავალ ადრეულ ლირიკულ ლექსშიც („სენდისის სიმღერა“, „ღარიბის სიმღერა“, „იმედა საზიკაული“, „ღარიბის ღამე“, „გლეხის სიმღერა“, „მათრია წუთისოფელმა“, „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, „ბოქაული“, „ხევსური ბერდია“, „ვაჰმე, რა მეტად ბევრს უქირს“, „მარტობა“, „ღათვის სიმღერა...“) ნათლად ასახა მჩაგვრელსა და ჩაგრულს შორის არსებული ურთიერთობა, მაგრამ არც ერთ ქართველ პოეტს არ შეუქმნია იმდენი რეალისტური, მებრძოლი სულით გაყდენითილი ლექსები 1905—1907 წლების რევოლუციის დროს, რამდენიც მან შექმნა, არც ერთ მათგანს არ უვლია რევოლუციის მხარდამხარ ისე „სისწკრივ“ და ურყევად. როგორც დიდებული ვაჟა ვიღოდა.

როგორც ვიცით, 1905 წლის რევოლუციის მარცხმა წვრილბურჯუაზიულ ინტელიგენციაში გულგატეხილობა, იმედგაცრუება და წუწუნი გამოიწვია. პესიმოზმის, „შავი ბურუსის“ ტყვეობაში აღმოჩნდა რევოლუციის აღმავლობის დროს გამარჯვების რწმენით შთაგონებული მრავალი პოეტიც.

ვაჟა-ფშაველას საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მაშინაც კი, როცა დაჩოქებულ ქვეყანას რეაქციის ღრუბელი დააწვა, იგი დარჩა მომავლის ღრმა რწმენით ანთებულ მგონსად, თავისუფლებისათვის შეუდრეკელ მებრძოლად, რომელიც ერთი ბრძოლის წაგებაში საბოლოო განადგურებას არ ხედავს.

ცხადია, საჭიროდ არ მიგვაჩნია ვედავოთ მათ, ვინც ვაჟას მიერ ახახულ ბუნების სამყაროში საგნების (ქუჩი, ია, მელა) მხოლოდ ფიზიოლოგიურ თუ ფიზიკურ თვისებების პოეტურ გააზრებას ხედავს და არ სურს ცხოვრების ფილოსოფია იხილოს იქ.

კენესა-წუწუნი რევოლუციის მარცხის გამო ვაჟას შემოქმედებაში არ ჩანს. პოეტი დარჩა თავის ხალხთან, შეინარჩუნა სულის მხნეობა, ასახა ობიექტური რეალობა და ხვალისდელ ნათელ დღეთა რწმენა.

რეაქციის წყვედიადიდან ახარა ვაჟამ დიდებულ წინაპარს რუსთაველს ამ უკანასკნელის მიერ ნაწინასწარმეტყველები ეპოქის დადგომა.

მგოსანო საქართველოსაე.
წამოიხედე ზეზედა,

იხილე შენი სამშობლო,
მიმოიარე მზეზე და...
მართლდება შენი ნათქვამი
ათასზე (განა ერთზედა), —
თავისუფლდება ქონები,
შენ გულს რომ გპირდა წყლელადა...

პოეტმა დიდ მგოსანს შეავედრა რევოლუციისათვის წამებული, ბრძოლებში დაღუპული მშრომელები, მოხდენილად შეაძარა რა ისინი „მკერდით აგლეჯილ“ მარგალიტის ღილებს („რუსთაველის ნეშტს).

საქართველოს აღდგენის ურყევი რწმენითაა გაელენთილი ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება როგორც რევოლუციის, ისე რეაქციის პერიოდში და ამ აღდგენის შესაძლებლობაში ოდნავი დაეკვების ნი-შანწყალიც კი არ ჩანს.

საქართველოს აღდგენისათვის მედგარი ბრძოლა ვაჟას ხელთუქმ-ნელი პოეზიის ძირითადი პათოსია. ქვეყნის განახლებისათვის თავდაუ-ზოგავად მოქმედ „კაი ყმებს“ ეძახდა იგი მუდამ, როგორც „თავის ჭამს ჩამაცქერალ“ ღიაცთა საპირისპირო საღ ძალას.

უდავოა, რომ რევოლუციურ შემართებაში ხედავდა ვაჟა-ფშაველა ქართველი ერის ხსნას, ეროვნულ-სოციალური თავისუფლების მოპო-ვების შესაძლებლობას და მოელ თავის სასიცოცხლო ენერგიას ახმარდა მას, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები მას არ ესმოდა და ამ საკითხის გავებაში. ცხადია, არც ერთ თერგდალეულზე წინ არ მიდიოდა.

ვაჟასაგან განსხვავებით, ეროვნულ-სოციალური თავისუფლების ერთ ასპექტში წარმოდგენა ბაჩანამ ვერ შეძლო. როგორც „თერგდა-ლეულთათვის“, ისე ვაჟასთვის ელემენტარული ქვეშაბრტევა — ამ ცნების („თავისუფლება“) დანაწევრების შეუძლებლობა ბაჩანასთვის უცხოა. ამიტომ, რომ იგი მთელ ენერგიას ეროვნული საკითხის ასა-ხვას ანდომებს, ხოლო სოციალურ კითხვას განკერძოებით, თანაც ძლი-ერ სუსტად და ზოგადად ეხება.

„თერგდალეულთა“ იდეური გავლენის ქვეშ მყოფი პოეტი, რო-მელსაც საკუთარი ხმის პოვნა ძლიერ უჭირდა, საქართველოში მხოლოდ ერთი კლასის—გლეხობის ბედუკუღმართობას ამჩნევს და მას დასტი-რის. მისი გლეხი პროტესტანტია, ჩაგვრის მგომბელი მაწყევარი და არა 900-იანი წლების მებრძოლი ეპოქის შეილი. ვაჟასა და ბაჩანას ჩან-გის აყდერების ერთ-ერთი მიზეზი იყო რ. ერისთავის „სამშობლო ხე-სურისა“. მიუხედავად ამისა, მჭიდრო ურთიერთობა მხოლოდ რაფ. ერისთავსა და ბაჩანას შორის დამყარდა. რაფ. ერისთავისა და ძმათა რაზმიკავშილთა პოეტური სამყაროს ურთიერთობა ერთხელ კიდევ მიგ-

ერთი თვის მიზანმიმართულ-გაგვიანების ცნების უსაზღვროებაზე: ერთი აუზიდან გამოსულ ორ ნაკადულისგან ერთი მორცხვ წყაროდ იქცა, მეორე — ზღვად. თუ ბაჩანა თითქმის იქვე დარჩა. საიდანაც დაიწყო, ვაჟა შორს გასცდა ბიძგის მიმცემი პოეზიის საზღვრებს და მისი პოეზია თვალში-უწვდომელ სიმაღლეზე აიჭრა.

ბრძოლის გზით სოციალური ურთიერთობის შეცვლის შესაძლებლობა ბაჩანას არ სწამს. გლეხთა ყოფა მას წარმოდგენილი აქვს ერთგვარ მოჯადოებულ წრედ, მარადუცვლელ კატეგორიად. თვალს ავლებს რა განვლილ საუკუნეებს, პოეტი ხედავს, რომ:

ბევრი დამშვრალა თავისთვის,
სარჩოს ძებნაში გამწყდარა,
სხვას თავი დაჰვიწყებია,
სიბართლის მძევლად დამდგარა,

მაგრამ, პოეტის თქმით, არც პირველთ და არც მეორეთ არა შეუცვლიათ რა:

ესეც მოკვდარა, ისაცა...
მხოლოდ სახელი დამრჩალა..

და ეს „სახელი“ არარაობას წარმოადგენს, თუნდ ყველა „დამარხონ პანთონშია“. მართალია, ბაჩანა სამარადისო დიდებას და იმპერეციური „ნათელს“ უწინასწარმეტყველებს საერთო-საქვეყნო ცხოვრების წარმატებისათვის უნგარო მებრძოლთ, „ხსოვნასა და დიდებას“ ჰპირდება მას; „ვინც ჩვენი გულისათვის“ სააქაოს სწირავს, მაგრამ რამდენადაც, მისი აზრით, ყოველივეს ამაოებისა და ფუჭწარმავლობის ბეჭედი აზის, იმდენად ამ შეპირების მნიშვნელობაც ძლიერ მცირდება.

ავ-კარგისათვის რომ ბოლოს
გარჩევა არ იპოვება, —
მის გამო ბევრმა საწუთროს
უწოდა ამაოება.

ეროვნულ-სოციალური უკუღმართობა, ერების და ცალკეულ ხალხთა დაყოფა მხაგვრელ-ჩაგრულებად — პოეტში ამპერეციური ცხოვრების გმობის განწყობილებას აძლიერებს. ამ ციკლის ლექსები ბაჩანამ ერთი სათაურის ქვეშ მოაქცია და უწოდა „ლექსნი მსოფლიო მწუხარებაზე“.

პოეტის განუსაზღვრელ სევდას ასაზრდოებს კაცთა ყოფის განსაზღვრულობა. შეცნობა იმისა, რომ „მზეზე იქითა კაცი ვერ გადაფრინდება“, ხოლო ადამიანის — ამ „უშველებელი ტყვის“ — ხსნა, წუთისოფელთან „გაამობილება“ ღღემდე შეუძლებელი დარჩა და მყოფად-

“ნიც არასგზით არ მოხერხდება. „ცა-ქვეყნის შუა“ დაკიდებულმა ადამის ძემ, მიუხედავად გამუდმებული ძიებისა, დღემდე ვერ ჰპოვა „საზღუდამო დასადგომელი“ და ვერც ვერასოდეს იპოვის მას, რადგან მისი ძალნი იმთავითვე განსაზღვრულია.

„შენ, იგი, მე და ყველა“ — მიმართავს პოეტი ქარის წინააღმდეგ შებრძოლ ღრუბელს, — ვემორჩილებით სხვასაო“. მისი თქმით, ეს „სხვა“ არის ის მარადმიუწვდომელი ძალა, რომელსაც ქართველმა აკცმა „ღრმა-ერთი“ (ღმერთი) უწოდა („ღრუბელი“).

ბაჩანას უძირო სევდა ამ ქვეყნის ამოების შემცნობ რომანტიკოსთა კენესა-ვაების ფარგლებსაც კი სცილდება. ბუნების წიაღში შვების მაძიებელ პესიმისტებს პოეტი ერთგვარი სიბრალულით უყურებს.

ზოგნი წყალთ, ფოთოლთ შრიალსა
მოამბედ დაადგებიან;
ყველას, რაცაა, ქეასაც კი,
ხეაშიადს მიუხედებიან...
სხვა პტირს და ჰგოდებს, რაღაცა
სოფელში აღარ ეძლება,
კაცზე გულაცრუებული
ბუნებას მიეკედლება, —

ერთგვარი ირონიული კილოთი შენიშნავს იგი.

პოეტი ამბობს, რომ მანაც დატოვა საწუთრო და გაიქრა ბუნებაში, რათა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო, „უკაცუსწორფროდ“ საწოთხეც შესაზარია, ხოლო „საწუთრო ტირილისაა, სევდის და მწუხარებისა“.

ბაჩანას ზოგადფილოსოფიურ დასკვნებში, რასაკვირველია, ახალი არა არის-რა, მაგრამ საინტერესოა, რომ აღმავალი რევოლუციური მარქსიზმის მხილველ პოეტს ეს „სევდა-მწუხარება“ სამუდამო, ყოველი დროისა და ეპოქის მიერ დაუძლეველ კატეგორიად ესახება:

და ქვეყნად ბედნიერება
ამიტომ არსად არისა,
გიჟი და რეგვენი არის,
ვინაც სხვაგვარად ჰგონებსა...

საბოლოოდ პოეტი არ მიდის აქქვეყნიური ცხოვრების სრულ გამობამდე. იგი მიუთითებს ქართველი კაცის განსაკუთრებულ სიყვარულზე სიცოცხლისა და თავისი სამშობლოსადმი, რომელიც არ შეიძლება მას არ ატკობდეს „თავის ბაღ, ბაღჩა, ვენახით, რწყულით სამოთხის წყლებითა“, „ათასგვარი ყვავილ-ბალახით“; „ჩამორეცხილის მთებითა“, მაგრამ ამ სიყვარულს იგი მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვ-

რების სამსახურით ამართლებს და უარყოფს იმ კერძობითს, რაც ყოველ საზოგადოებრივს ორგანულად ერწყმის და ასაზრდოებს.

„ლექსნი მსოფლიო მწუხარებაზე“, რასაკვირველია, არ არის ის, რასაც მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ამ სახელით იცნობს. ნაწარწოების ფორმა და შინაარსი, აგრეთვე თვით სათაურის გააზრებაც, არა-იმდენად მხატვრულ ქმნილებაზე მიგვითითებს, რამდენადაც გალექსილ ფილოსოფიურ ტრაქტატზე იმის შესახებ, რასაც თავის დროზე „მსოფლიო სევდა“ უწოდეს.

90—900-იან წლებში ბაჩანა ქმნის დიდაქტიკურ ლექსებს, ასეთებია: „ისეთი გოდორი დაჰწანი, რომ შენს შვილსაც გამოადგეს“, „კრუხი და ჩხიკვი“, „რატომ არ გალობს ბულბული შუადღისას“, „ძალდი და ტურა“, „გეგენა და დათვი“, „განსამართლებული მყინვარი“, „ეშმაკი“ და სხვ. ამ ლექსებში პოეტი ალევგორიულად გმობს შურს, მტრობას, სიხარბეს, აღიდებს სპეტაკ ზნეობას და ჰუმანიზმს, მაგრამ მხატვრულ სრულყოფას ოდნავადაც ვერ უახლოვდება. ეს ნაწარმოებები მოზარდი თაობისათვის იქმნებოდა და საბავშვო ყურნალებში იბეჭდებოდა, მაგრამ მორალის ქადაგება სუსტი ფორმით ძლიერ აშორებს მათ ნორჩ მკითხველებს.

ლირიკულ ლექსებთან ერთად, ბაჩანა ეპიკურ ტილოებსაც ქმნიდა. მის კალამს ეკუთვნის პოემები: „ნანაის სიმღერა“, „თალლაურა“, „ხიფათი“ (იგივე „საფრთხე“), „პატარა მესბორე“, „წაწლობა“, „ქოტი და ჩიტები“ და სხვ. ამ პოემებში უმთავრესად მთის ხალხთა პრიმიტიული ყოფაა ასახული, მაგრამ იქ არამცირედი დოზითაა მოცემული ეროვნული გულსტიკივილიც („თალლაურა“, „ნანაის სიმღერა“, „ლექსი მსოფლიო მწუხარებაზე“).

ამ მხრივ განსაკუთრებით „ნანაის სიმღერა“ გამოირჩევა. მასში მთიელ ხალხთა ყოფა-ცხოვრების ფონზე ისმის გურამიშვილისეული ჯრუჟანტელის მომგვრელი კენესა-ვაება ქართველი ერის იმ უკეთეს წვილთა ბედის გამო, რომელნიც მეზობელ ტომთა გამუდმებული თარეშით იღუპებოდნენ. პოემა მთა-თუშეთის მშვენიერი ღამის სურათით ისსნება:

აქ-იქ განუწყვეტელი
ისმის ხევეების ჩქამია,
შავ ნისლის ნაბღიანებო
ცაში ჰყუდიან მთანია.

ჰელოელი თორღვას ქალი ნანა ამ დროს უმცროს ძმა ჰედოსთან ერთად „წისქვილს დაუდგა“. შუალამისას და-ძმას ლეკები დაესხნენ, დას ძმა

მოუკლეს, მოკლულს ხელები დააჭრეს, „უბეს ჩაუხსნეს დასა“ და გაუყენეს „სატყვეოს შავბნელ გზასა“.

პოემაში ერთმანეთს უპირისპირდება კავკასიის ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებული ორი მხარე—იმდროინდელი დაღესტანი და საქართველო: ამ ქვეყნების შვილთა სახეები მოქმედებაში ჩანს. მოულოდნელად თავდატეხილმა უბედურებამ მალაღწეობრივი სფეროდან ვერ გამოიყვანა ბებერი თორღვა: მან არ ისურვა მეზობლებს გაეწირათ თავი, გაეფართოებინათ შურისძიების საზღვარ-ფარგალი და რამდენიმე კაცის დანაშაულისათვის უდანაშაულო დაღესტნელები ექლიტათ.

ქვეყანა დაიღუპება,
რა ომი დაბევრდებაო,
ცოდვა დაღვრილი სისხლისა
სულს კირად გაუხდებაო. —

ამბობს იგი. მაგრამ თორღვა მტრისადმი წინააღმდეგობლობას როდი ქადაგებს. იგი მეზობელ ტომებში თავდასხმების გახშირებას, ზედმეტი სისხლის დაღვრას ერიდება და შვილს დამოუკიდებლად მოქმედებას ავალებს:

ხახონმ კი უნდა ჰქმნას რამე,
თუ თავი ემძიმებაო,
თუ ვერასა იქმს, მომიყვდეს...
ალარც ეგ მეხილებაო.

ასეთია მისი სამართლიანი გადაწყვეტილება. პოეტი აქ კარგად ახერხებს ერთი შტრიხით გვიჩვენოს ქართველი გლეხის კაცთმოყვარე ბუნება.

„ნანაის სიმღერა“ მხატვრული თვალსაზრისითაც კარგადაა დამუშავებული. მასში აშკარად იგრძნობა პოეტურ საღებავთა სიუხვე, თუმცა ორი კაცის შექრა დაღესტნის სოფელში, ათი ლეკის მოკვლა, ტყვის დახსნა და უვნებლად უკან დაბრუნება აშკარად მეტყველებს იმ არადამაჯერებელ, გულუბრყვილო პატრიოტიზმზე, რასაც თავის დროზე ილ. ჭავჭავაძე გადაჭრით გმობდა. საერთოდ კავკასიაში მცხოვრებ ერთა ყოფა-ცხოვრების ასახვისას ბაჩანა ტენდენციურობას არ იჩენს. ეროვნული და რელიგიური ჩაგვრის გმობა, რაც ასე ახასიათებს მთელ მის პოეტურ ეპოსს, ხალხთა შორის თანასწორობის აღდგენისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებას მოითხოვდა. პოეტს არც ერთი წუთით არ ავიწყდება, რომ

ყველას ჰწყურიათ სიციცხლე,
ყოფნა მზის სინათლეზედა

და არავის ხელეწიფება
სხვის სიკვდილ-სიციოცხლებდა.
(„ჩვენი წარსულის გამო“)

პოეტი სიძულვილს ამქლავნებს ყოველი ეროვნების ადამიანისადმი, რომლის შეგნება (პოეტის თქმით, „გნება“) სხვა ქვეყნის შვილთა დევნას დასაშვებად რაცხს. ამ მხრივ საინტერესოა პოემა — „თალაურა“. თალაურა ფშაველი ვაჟკაცია — უბადლო მეომარი, მაგრამ სხვისი სამშობლოს დამლონებელი და უდანაშაულო დაღესტნელთა მკლეტელი. მის ფიზიკურ ძალას სულის სილამაზე არ ამშვენებს და ავტორიკ ჩქარობს ეპიური ნაწარმოებისათვის შეუფერებელი ლირიკული წიაღსვლით იმთავითვე გვამცნოს მისდამი ანტიპათიური დამოკიდებულება. აღნიშნული პოემის სიუჟეტური ხაზი ფრიად საინტერესოდ იშლება: მამაცი თალაურას გალაღებული ოჯახი შინაგან შიშსა და ძრწოლას მოუტავს. მისი მოხუცი დედა თამარი და „ბროლის ყელიანი“ ლამაზი ცოლი ყამარი მოსალოდნელ უბედურებას ინტუიციით გრძნობენ.

ღმერთო! მშვიდობით მომგვარე
ის ჩემი დედისერთაო...
არ დამსუა ცალიერაი,
არ მამიჯარო კარაი.

ასე ჰგოდებს მგრძნობიარე დედის გული და მის გოდებაში ბუნებრივად თალაურას მიერ დაობლებულ დაღესტანელ დედათა კვნესაც ისმის.

„თალაურას“ ძირითადი პათოსი მთიელ ხალხთა მოძველებულ ზნე-ჩვეულებათა გმობაში მდგომარეობს. პოემის მთავარი გმირი იმდენადაა დადებითი და იმდენად იმსახურებს მკითხველის სიმპათიას, რამდენადაც ძველ ქართველთათვის ჩვეული მამაცური შემმართებლობა ახასიათებს, მაგრამ, როგორც მოთარეშე ლექების სწორს ზნეობით, ავტორი ადვილად სწირავს მას უსახელო სიკვდილისათვის. ამ მოსაზრებას ეყრდნობოდა იგი, როცა არ გაიზიარა ვაჟა-ფშაველას შენიშვნა გმირის ცოცხლად შინდაბრუნების საჭიროების შესახებ. ბაჩანამ „თალაურაში“ მოგვცა აფშინობის გმობა, რაც სამიოდე წლის შემდეგ უფრო სრულყოფილად აისახა ვაჟა-ფშაველას პოემაში („გოგოთურ და აფშინა“, 1887).

„თალაურა“ მხატვრული თვალსაზრისით ბაჩანას პოემებს შორის პირველ ადგილზე დგას. მხოლოდ ამ ნაწარმოებში იგრძნობა მხატვრული საღებავების შერჩევა, ლაკონურობა, ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი აფორისტული მეტყველება, მთის პეიზაჟების ხატ-

ვის იშვიათი ნიჭი. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ალ. ყაზ-ბეგისა და ვაჟა-ფშაველასათვის დამახასიათებელი პოეტური აზროვნება, რაც ბუნებისა და ადამიანის მოქმედებათა შორის არსებული შინაგანი კავშირის მხატვრულ ასახვაში მდგომარეობს. გაემართება თუ არა თაღლაურას მოტყუებული დედა — თამარი მოღალატე ძმი-შვილისთვის კარის გასაღებად, პოეტი ადამიანისადმი თანაგრძნობით მსჭვალავს მთელ გარესამყაროს:

ლელეს ატირდა თამარი (თამარ დედოფალი — დ. რ.)
მოდის და მოდის ღრუბელი...
ცამ პირი მოიპარაგა,
პირთავექვე მხრები დაჰხარა,
ცერად დაიბერტყა ღრუბელი...

ავტორი ბუნებას ასევე გმირისადმი თანაგრძნობით მსჭვალავს, როცა თაღლაურა აოხრებულ სახლ-კარს უახლოვდება:

ნამი ჰწვიმს, ღვრები ჰყვირიან,
მდინარე აბეზარობდა...
გუგული „გუგუს“ გაჰმახნდა,
გალობა არ უეარგოდა...

ხოლო როცა თაღლაურა დაეწევა ქალებსა და ბავშვებზე მოძალადე მტერს, ბუნების ძალნი ზეიმით ეგებებიან მას:

ტურფად ჰყვოდნენ გზის პირნი,
მწვანე ჰყემოდა თვალთა.
მზე მთებზე შემომჭდარიყო,
ამოეშალნენ მხარია...

ეს გარემოებაც ძმათა რაზიკაშვილთა პოეტურ სამყაროს თანაზი-არობაზე მეტყველებს.

ბაჩანას პოემების დადებით გმირთა შორის პირველი ადგილი იღალღოს უჭირავს („საფრთხე“). დიდი ფიზიკური ძალის კეთილი საქმის სამსახურში ჩაყენების სურვილი, სამშობლო ქვეყნის, საკუთარი კერისა და ოჯახის სიყვარული იღალღოს ძლიერ ამოღლებულად წარმოგვიდგენს. შეიძლება უყოყმანოდ დავეთანხმოთ „მოგზაურის“ (1904 წ. № 5—6) რეცეზენტს, რომ „იღალღო სრული ხასიათია“.

პოემის შინაარსი ასეთია: ცოლით, ლამაზი დაროთი, გზად მიმავალ იღალღოს შვიდი ლეკი გადაუდგა, გმირი არ შედრკა. ლეკებმა იღალღო გაუშვეს იმ პირობით, რომ მომხდარს არავის ეტყოდა, ქალს მამას ჩააბარებდა და დილით ძღვნით დაბრუნდებოდა. ქართველი ვაჟ-კაცის სიტყვა უტეხია: იგი დანიშნულ დროზე გამოცხადდა მარტო-

მარტო, შეეცადა „გზასაცდენილი ძმების“ გონს მოყვანას, მაგრამ, რაკი ვერა შეაგონა-რა, და ფულის მოუტანლობის გამო ტყვედ წაყვანა მოუნდომეს, ბრძოლა დაიწყო. ლეკები ჯერ დათანხმდნენ თანასწორი ძალებით მისულიყვენ ერთურთზე, მაგრამ როცა ილალომ სამი რიგრიგობით უსულოდ დასცა, დანარჩენები ერთად დაესხნენ თავს. ილალომ ყველანი დახოცა და თვითონაც სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა. უშვილო დარო ქმრის ოჯახის ერთგული დარჩა: ბავშვი იშვილა, აღზარდა და კერა არ გააქრო.

ბოემის სიუჟეტი ეყრდნობა ხალხურ თქმულებას გმირ ილალოზე, რომელმაც ლეკებთან უთანასწორო ომი გადაიხადა. მოცემული სიუჟეტი, რა თქმა უნდა, უცვლელად არ გამოუყენებია მგოსანს: მას იგი მიუღია, როგორც საფუძველი რთული კომპოზიციის შესაქმნელად.

ილალო რომანტიკულად ამალღებული პერსონაჟია. მართალია, მის მოქმედებაში დაუჯერებლობამდე გაზვიადებული თითქმის არაფერია და თვით ერთის მიერ შვილის დამარცხების ფაქტიც ქართველი ერის ისტორიის მცოდნეს შეუძლებლად არ ეჩვენება, მაგრამ მუქ და ღია ფერების შეხამება, რაც ყოველი ეპიკური ტილოს მხატვარს მოეთხოვება, აქ არა ჩანს. ილალო თაღლაურასაგან განსხვავებით, მოშულლარ მეზობელთა შეგნებაზე ფრიალ ამალღებული პიროვნებაა და ცდილობს თავისი „დაკარგული ძმებიც“ (დაღესტნელები) თავის სიმალღეზე აზიდოს.

კაცებო! მოდი დაპდექით,
საქმეს ნუ გავაბევრებთა,
კაცის მკვლელობა — ცოდვაში
ერთურთს ნუ ჩავაყენებთა.

ასე უქადაგებს იგი მოთარეშე მძარცველთა ბრბოს, რომლისთვისაც ამ სიბრძნის ანბანი გაუგებარიც არის და მიუღებელიც.

ილალოს გული აღსავსეა სათნოებით, კაცთმოყვარეობის დიადი გრძნობით, მას სწამდა, „რომ მოკვლა ურჯულოსიცა არავის შეენდობოდა“ და საღი ლოგიკური მსჯელობით მიდიოდა სამართლიანი ომის აუცილებლობის შეგნებამდე.

ილალოს მაღალი ზნეობა, ღრმა პატრიოტიზმითა და კაცთმოყვარეობით აღსავსე გული საძულველი შტრის ბარბაროსულმა მოქმედებამაც კი ვერ წაბილწა.

...ერთს კი გთხოვთ, ძმებო, გენაცავთ,
ეგები დამავალთო,
უზიარები არ მომკლათ,
მოძღვარი მოიყვანოთო

და ეგ ბრმა ძმები, ჩვენები,
სამარეს შიობართო;
თოფ-იარალი თავისი
ყველას თან ჩააყოლოთო.

ასეთია მისი უკანასკნელი თხოვნა მონადირეებისადმი, რომელნიც მომაკვდავ დაჭრილს შემთხვევით წააწყდნენ.

სრულად და უზადოდ წარმოგვიდგინა ბაჩანამ ილალოს მეუღლე დაროც. მკითხველი ისე იხიბლება დაროს ქალობით, როგორც ილალოს მამაცობითა და დიდი ჰუმანურობით.

ერის სათაყვანო გმირები — ვაჟკაცი ილალო და მისი მეუღლე დარო — პოეტის ოცნებამ საიჭიოსაც კი ვერ დააშორა ერთმანეთს:

იტყვიან: აღდგომა ღამეს,
სანამ ვინ წამოძღვებო,
ეხლაც ილალოს საფლავზედ
სანთელი აენთებო,
სპეტაკ ტანსაცმლით მოსილი
დარიკო გამოჰჩნდებო,
ხელში წითელი კვერცხითა
მეტანიასა შერებო.
„ქრისტე აღძგაო“, ულოცავს,
თან კვერცხსაც შეუგორებსო,
ქვევიდამ: „ქეშმარიტადა“
ილალო გააგონებსო.

როგორც ვხედავთ, ეს ფინალი ძლიერ წააგავს „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალს. რაკი არც ერთი პოემის დაწერის თარიღი საეჭვო არაა (1891 და 1893 წლები), ვაჟა-ფშაველას მიერ უმცროსი ძმისაგან ამ სურათის სესხების ფაქტიც უნდა ვირწმუნოთ.

მართალია, „ხიფათის“ ავტორი მთისა და ბარის ბუნების ასახვისას გმირთა ხასიათის სრულყოფილად დახატვასაც ახერხებს, მაგრამ პოემა მთლიანად, დახვეწილი, ზედმეტი ხორკლისაგან განწმენდილი არ არის. არ შეიძლება არ დავეთანხმომთ „მოგზაურის“ რეცენზენტს, რომელიც ამ ნაწარმოების განხილვისას ამბობდა: „თვით ლექსის მიმოხვრა, სიტყვების ტრიალი, მიღრეკ-მოღრეკა ბევრგან კანონიერი არაა, ნაძალადეგია, ქართული ენის ბუნებას ჰლალატობს... ბევრი სიტყვა რითმის გასაწყობადაა მოტანილი და არა აზრის გამოსახავად... ტაეპებში გვხვდება გატანჯული სიტყვა“ („მოგზაური“, 1904, № 5—6). მართლაც, „გატანჯული სიტყვა“ ბაჩანას პოეზიაში იშვიათი არ არის. მაგ.:

ყური დაუგდო: რალაცა
შრიალი იდგა ცაშია,
ეს მისი მალლა აშლილი
თმა ეწყობოდა თავშია.

(„პატარა მეხბორე“)

ან კიდევ:

იმათსა აესა და კარგსა
ყველაფერს იყო შამსენილი
და მათი აუეოლობა
არც ისე იყო ადვილი.

(„წაწლობა“)

„მოგზაურის“ შენიშვნები ბაჩანას მთელ პოეტურ ეპოსზე შეიძლება გავავრცელოთ, განსაკუთრებით კი სამ პოემაზე („კოტი და ჩიტები“, „პატარა მეხბორე“, „წაწლობა“).

საყოველთაო-საქვეყნო სიკეთისათვის მოღვაწემ მტკიცედ უნდა განაგრძოს არჩეული გზით სვლა, თუნდაც უმეცარმა საზოგადოებამ, ნაცვლად მადლობისა, სატანჯველი მიაგოს მას. ასეთია მეტად ღარიბ პოეტურ სამოსელში გახვეული დედააზრი პოემისა — „კოტი და ჩიტები“, „პატარა მეხბორეში“ კი, რომელიც პოეტური ხელოვნების თვალსაზრისით კიდევ უფრო მღარე და გაურანდავია, ასეთი გამოკვეთილი მორალის პოვნაც არ ზერხდება...

მხატვრული ფორმის თვალსაზრისით, დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას „წაწლობის“ შესახებაც. ეს პოემა მეტად გაჭიანურებულია და დაუხვეწავი. მოცულობით იგი ბაჩანას ყველა დანარჩენ ნაწარმოებს უტოლდება და მთელი ხუთი წლის მანძილზე იწერებოდა (1919—1924). „წაწლობაში“ ბაჩანამ იმდროინდელი ფშავის ყოფაცხოვრების ფრიად დიდ ტილოზე გადატანა სცადა. პოემა თემის წინსვლის შემფერხებელი წეს-აღათების გმობას ისახავს მიზნად, მაგრამ მწერალი ხატვას, სახეებით აზროვნებას ნაკლებად ახერხებს და უფრო აღმწერის როლში გვევლინება.

„წაწლობის“ გმირები — იმედა, ჯავარა, ნანება, გულქანი, ჩონქარა, მეწყინა, ხოშია და სხვა პოეტის ნაცნობ-ნათესავ ცალკეულ ფშაველებს გვაცნობენ და არა ტიპიურობამდე ამაღლებულ მხატვრულ სახეებს. ავტობიოგრაფიულ მასალას ავტორი პოემაში დაუმუშავებლად მოგვითხრობს. „წაწლობა“ ძირითადად ქალთა უფლების დასაცავად დაწერილ დეკლარაციას მოგვაგონებს. ავტორი ფშაველ დედათა უუფლებობის, აბუჩად აგდებისა და უკიდურესობამდე დამციარების შემამძრუნებელ ფაქტებს პუბლიცისტური პირდაპირობით

გვიჩვენებს და მხატვრული სახის სრულყოფას სრულიადაც არ ცდილობს. ზოგჯერ იგი უხეშ ნატურალიზმსაც ერერიდება, რათა წაწლობა წარმოგვიდგინოს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების შემფერხებელი, კემმარიტი სიყვარულისა და, საერთოდ, ბუნებრიობას შეურაცხყოფელი მავნე ჩვეულება.

პოემაში დიდი ადგილი ეთმობა ცრუმორწმუნეობის გმობასაც. რელიგიური ბნელეთის მსახურ ბერ-მონაზვნებს უპირისპირდება გონებაგახსნილი ბერო, რომელიც ხსნას პატიოსან შრომასა და ლუკმაპურის გარჯით მოპოვებაში ხედავს.

აქტუალური სოციალ-პოლიტიკური საკითხები, რომელთა გადაჭრასაც ქართველი ხალხი ამ პოემის წერის პერიოდში მთელ თავის სასიცოცხლო ენერჯიას ახმარდა, პოემაში ძლიერ მკრთალად და უფერულად აისახა (პეტრესა და იმედას საუბარი). ერთი და იგივე აზრის ერთსა და იმავე ფორმაში მრავალგზის გამეორება, უვარგისი რითმა და აბსოლუტური არიტმულობა პოემას ძნელად საკითხავსა და მომაბეზრებელს ხდის. ის დაღლილობა და საერთო მოდუნება, რაც ბაჩანას პოეზიას 900-იანი წლებიდან დაეტყო, ყველაზე მეტად სწორედ „წაწლობაში“ გამოჩნდა.

ბაჩანას ეპიკურ ნაწარმოებებს შორის განცალკევებით დგას „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“. ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას ამ ნაწარმოებისადმი ისიც მოწმობს, რომ იგი დაბეჭდვისთანავე ცალკე წიგნად გამოიცა.

ამ პოემაში ავტორმა მეფე ერეკლეს შარავანდედით მოსილი სახის მხატვრული აღქმა სცადა. მან ქართველთა ეროვნული თვითარსებობისათვის ხმაღჩაუგებლად მებრძოლ პატარა კახს იმ კუთხიდან შეხედა, საიდანაც ამ უკანასკნელს მშრომელი ღალხი უცქერდა. ამით აიხსნება პოემის სიუჟეტად ირაკლის დაბადებისა და აღზრდის შესახებ არსებული ლეგენდის გამოყენება.

ბაჩანამ ერეკლე მეორე წარმოსახა გმირად, რომელმაც უებარი წამალი დასდო ქართლ-კახეთის მკვიდრთა მარადიულ სატყივარს: მოიგერია გარეშე მტერი და მოაწესრიგა სოციალური უთანასწორობა. მისი თქმით, ღმერთმა ისმინა სამშობლოსათვის თავდადებული გმირის ვედრება და გამოუგზავნა „დავით ფერული ხმალი“, თანაც უბრძანა:

წადი, დაიკეე,
შენ შენი მიწა-წყალია
ვინაც შენ გვლადეს
შენც მოკვალ,
ძირში მოსთხარე თვალთა..

ერის მოთავედ დაგნიშნე,
ნუ დაიხარებ შრომასა,
წადი, ბელადად გაუძელ
იმის ბედსა და ნდომას..

ეს ბედი და ნდომა ქვეყნისა ეროვნულ თავისუფლებასა და სოციალურ თანასწორობას ღალატებს. პირველი მიღწეული იქნება გარეშე მტრის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით, რის წარმატებაც დიდადაა დამოკიდებული შინაგან წყობაზე — სოციალური უთანასწორობის მინიმუმამდე შემცირებაზე.

ყველას თანაბრად უყურე, —
დიდებულსა და გლეხსაო...
დაე, ბატონებს ეძახდნენ
მეფეს — შენს ეწინარესა,
შენ კიდევ „ხალხის მოაშვსა,
თანასწორს, უწყინარესა“.

ასე დაარიგა უზენაესმა სამეფო ტახტისკენ მიმავალი ყრმა. ეს დარიგება პოეტის იდეალს ასახავს და არა ერეკლე მეორის მიერ განხორციელებულ სინამდვილეს. აღსანიშნავია, რომ „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ისტორიულ სიმართლეს გარკვეული მიზნით უვლის გვერდს; გონიერი მეფის გაღმერთებული სახე პოეტს, შთაგავსად სამოციანელებისა, მომავალ გმირთა აღსაზრდელად სჭირდებოდა. ავტორის თვალი აქ, რასაკვირველია, მიპყრობილია მომავლისაკენ, რის სამსახურშიც მას წარსულის ჩაყენება სურს.

„დაბადება და აღზრდა...“ კომპოზიციურად კარგად შეკრული ნაწარმოებია. პოეტურ სახეთა სიციხადე, გარკვეულობა, მკვეთრად ჩამოყალიბებულ იდეასთან ერთად, მას მეტად მიზიდველსა და საინტერესოს ხდის.

ბაჩანას პოეზიაში ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი ბუნებას უჭირავს. პოეტი ბუნების სურათების დასახატავად საუკეთესო ფერებს ეძებს და პოულობს კიდევ. თუ ბაჩანას ეპიკურ ნაწარმოებებში საღებავთა ერთფეროვნება ხშირად მოქმედების ტემპს და მკითხველის ინტერესს ანელებს, ბუნების სურათების ხატვის დროს პოეტი თავს ღალად გრძნობს და ნაძალადეობას, რაც მის ეპიკას წითელ ზოლივით გასდევს, აშკარად თავს აღწევს. ბაჩანა ბუნებას განიხილავს, როგორც ზოგად, მატერიის დაუსაბამო და უსასრულო ფორმას და როგორც კონკრეტულ, აღმაფრთოვანებელ მშვენებას. პირველი მისთვის ღრმა საიდუმლოებით მოცული, მწუხარებისა და ავი ფიქრების გამომწვევი უსასრულობაა, მეორე — მუდმივი სიხარულისა და სიამოვნების წყარო.

მისი თქმით, სამყარო წარმოადგენს კაცობრიობისათვის მარადმიუწვდომელ მოჩადობულ წრეს, ხოლო ადამიანი — ამ წრეში მოფარფატე არარაობას, რომელსაც ჰგონია წინ მიდის, მაგრამ ასეული საუკუნეების შემდეგაც კი ვერაფრით „აჯობა მამასა“, „ვერ გადაა-

ბიჯა“ უძველესი წინაპრისთვის განსაზღვრულ ინტერესთა რკალს — „ტრფობას, ძილს, სმას და ჭამასა“.

ჯერ „ვერ მოვდივართ გულისხმას“, როცა მოვალთ, ვხედავთ, რომ უკვე „ჩრდილი ასვლია მთებს, კარზე გვადგება სიკვდილი, ყელზე მოგვაბამს წნელს“, ასე მეორდება მუდამ და დღემდე „ტიალი წუთისოფელი ვერავინ გაიძმობილა“. არიან უბერებელ-უქვდავი კატეგორიები, რომელნიც ყოველ ეპოქაში ერთგვარად მეორდებიან. ერთ-ერთი ასეთი კატეგორიაა დრო:

დრო კი თავისას არ მოჰქლის
სელასა და მდინარებასა,

(„ლექსი მსოფლიო მწუხარებაზე“)

საბოლოოდ ბაჩანა იმ გაგებამდე მიდის, რომ მთელი სამყარო ემორჩილება რალაც დაუსაბამო ძალას, რის გამოსახატავად იგი ხმა-რობს ცნებას — „მსოფლიო ნება“.

პოეტი, როგორც „მონაზე მონა“ — ადამიანი უჭანყდება ამ „მსოფლიო ნებას“, თავისუფლებამოკიდებულ სამყაროს და მისი უბადრუკი მკვიდრის სამარადისოდ დანთქმას ნატრობს („აღარ მინდიხარ, ნუ მოხვალ“).

კონკრეტული ბუნების აღქმა კი პოეტს სამშობლო ქვეყნის „ხმელეთურმუხტთან“ აბრუნებს და ალაფრთოვანებს კიდევ:

ვინ იტყვის კარგი არ იყოს
ციხა სამოთხის სადარი,
ბუნება მიწა-წყალითა...
მერე ეს ჩვენი ქვეყანა
საყვარელია ბევრითა,
თავის ბალ-ბალჩა ვენახით,
რწყული სამოთხის წყლებითა,
ყვავილ-ბალახით, ქარგულის
ჩამოხატულის მთებითა.

რამდენადაც სამყაროს საიდუმლოება ერთგვარ შიშსა და ანტი-პათიურ განწყობილებას იწვევს პოეტში, იმდენად ტკბება იგი სამშობლო ქვეყნის მდიდარი ბუნების ხილვით და მისი ეს ორგვარი აღქმა „ორგვარი“ ბუნებისა მკვეთრად აისახა 1886 წ. დაწერილ „სიმღერა-ში“.

საკვირველია ბუნება,
სახენი ათასფერობენ,
გულს მოაჭონს მათი შევენება
გონების თვალნი ჰმტერობენ,

გული სხვას ამბობს, ჭკვა სხვას,
გრძნობანი აბეზარობენ.

პოეტი სამყაროს დაუსაბამობას ასახავს ერთგვარი პუბლიცისტური თხრობის მანერით, მისი შეცნობისაკენ სწრაფვას უსარგებლოდ, არასაჭიროდაც თვლის და მთელ თავის მხატვრულ ნიჭს სამშობლო ქვეყნის ლამაზი, უტყვი ბუნების მალალოეტურ ფერებში ასახვას ანდომებს. იგი ნატრობს „სხვა ზნეს“, „სხვა ჭკუას“, რათა გაეისაუბროს ყოველ უსულო საგანს, მასთან ბჭობაში გაარკვიოს „საამიცანე რამენიც, გახდეს ექიმი ყველა წყლულისა“:

სხვაგვარად მომართა ჩემი ჭკვა,
სხვა ზნე მიმიცა სმენასა,
მესაიდუმლე გავუხდე
ცა-ქვეყნის ტანსა ყველასა.
გავხდე უებრო ქადაგი
ქვეყნის ხელანჯისა რთულისა,
უმცდარი მასწავლებელი,
ექიმი ყველა წყლულისა...

(„ჩემი ნატრა“, 1888)

„გველის მკამელის“ ავტორმა ეს ნატრა განხორციელებულ რეალობად წარმოსახა. ბაჩანას დიდი სიზუსტით აქვს მოცემული მთელი ის „უცნაურობა“, რაც ვაჟა-ფშაველას გენიამ მინდიას სახით ჩამოძერწა. მოცემული სქემა ვაჟამ სახედ აქცია და ნათლად გვიჩვენა, თუ სადააღდე მიიყვანდა იმ ეპოქის შვილს, ჩვეულებრივ ადამისძეს, ის „სხვა ზნე“, „სხვა ჭკუა“, რასაც ბაჩანა ასე ნატრობდა.

აღსანიშნავია, რომ მინდიასებრი აჩრდილი მარად თან სდევდა ბაჩანას. სიზმარში ათვალიერებს რა სამოთხეს, იგი მოგვითხრობს: „ვერა ნახავდი, რომ ვისმე ან ყვავილი მოეწყვიტა, ან ბალახი გაეთელა, ესეც კი დიდ ცოდვად მიაჩნდათ: იტყოდნენ — განა რომ არაფერს გვეუბნებიან, მაგათ კი არა სტკივათ და არა ჰგრძნობენო“ („ედემის უკვდავების ყვავილები“, 1890).

ზოგჯერ ვაჟა ამკარად მიმართავს ბაჩანას მიერ დასახატავად აღებული სურათებს. ამ შემთხვევაში მკითხველი უმადლეს ესთეტიკურ ტკობას განიცდის და უჩვეულო პოეტური ფერებით შემკული „ძველი სურათები“ ახლებურად ელვარებენ; სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი, როდესაც ბაჩანას პოეტური ნააზრვეი გენიოსი ძმის პოეტურ სახეთა ახლებურად აღქმას ლამობს. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება დაგვესახელებინა ბუნების სიდიადის ამსახველი შემდეგი სტრიქონები:

სადაც ვარდია, იქ შხამაც ხარობს,
იმავე დედის ძუძუს წოვითა,
ერთხელ რო ჰწვიმონ ღრუბელთ საამოდ,
გადმოვიღიან მერე თოვითა...
სადაც დღე არის, იქვე ღამეა,
სადაც სიტყბოა, იქვე სიმწარე,
სადაც ყვავილი, კარგი რამეა,
იქვე ჯოყარი, მიმხმარი, მქენარი...

(„ღმერთები და სულა“, 1893)

აქ ჩვენ მიერ შემოკლებით მოტანილი მთელი ეს ტირადა ვაჟა-ფშაველამ ბრწყინვალე სამოსელით მოგვცა სულ რამდენიმე სალექსო სტრიქონში:

ბუნება მბრძანებელია,
იგივე მონა თავისა...
ზოგჯერ სიქეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა,
ერთგვარად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა...

(„ღამე მთაში“, 1890)

ბაჩანა ცდილობს ერთნაირი პოეტური ხარკი გადაუხადოს საქართველოს მთისა და ბარის ბუნებას — „ჩვენს ლალას“, პოეტი ეტრფის თოვლიანსა და ტყიანს „ალაზნის ველს“, მაგრამ მას უფრო მეტად იტაცებენ „ბაგეშეკრული მთები“ და მათი სარდალი, ლაღად მბრძანებელი მყინვარი, რომელიც:

ცისა და ქვეყნის შუაზედ
აჭრილა ვეშაპივითა,
პღვას და ერთმანეთს აშორებს
მურმანის ეკალივითა.

(„გასამართლებული მყინვარი“)

შედარებით მხატვრულ სრულყოფას ბაჩანა მაინც მშობლიური მთის ბუნების ასახვით აღწევს. ამ უკანასკნელზე საუბრისას პოეტი ნაძალადობას სძლევს და დიდი ექსტაზით ევლება თავს მთის წვერზე განუშორებლად დაკონებულ ტურფა კესანეს:

მითხარ, კესანე, შენი კენესამე...

ბაჩანას პოეზიაში ნაირფერად ელავს საქართველოს მთის ბუნება, რომელსაც ლაზათით ავსებენ „სიწმინდე-სილალით დამშვენებული ყვავილები“ („ყვავილები“), „მშვიდობა-სიხარულის მახარობელი“ მერცხლები („მერცხალს“), თავისუფალ ცხოვრებას ჩვეული შვლის,

ჯივისა და არჩვის ჯოგები, ბნელ ხევხუევში გაღვიძებული არჯაკე-
ლები და მოჩუხჩუხე წყაროები — „ოთხივ მხრივ-მავალ ცელქ ნიავ-
თან ხმატკბილად მოსაუბრენი“.

პოეტი გატაცებით ეალერსება ჩაბნელებულ „ხევ-ხუევებს“, ოქროს-
ფრად მოვარაყებულ ცას, ბუმბერაზ მთებს, მთაქოჩორა გორაკებს,
შეტრფის, შეჭხარის, ესაუბრება მზესა და მთვარეს, ნისლსა და ბუ-
რუსს, განპიროვნება, არაცოცხალი საგნის ცოცხლად წარმოდგენა და
მასთან საუბარი მის პოეზიას მეტად ააზლოვებს უფროსი ძმის მხატ-
ვრულ აზროვნებასთან.

განპიროვნება ყოველ სხვა პოეტურ ხერხზე მეტად ემარჯვება
ბაჩანას. ბუნების ვაჟასებური განსახებანი ზოგჯერ მისთვის არცთუ
ძნელად ხელმისაწვდომად გვესახება, მაგრამ ძალიან ხშირად იგი ბუ-
ნების პლასტიკურ სურათთა ხატვის ხერხს მიმართავს და წარმატება-
საც ამით აღწევს.

„დაუღვრომელი წინწყვლა-ჟინელლით ატირებული კლდეები“, „გა-
ცივებული ჰაერი“, ერთი შეხედვით „უცვლელ-უბერებელი“ შეუვა-
ლი ხეობები, ერთმანეთზე მიყრილი უზარმაზარი ლოდები, მიმზიდვე-
ლი „ღელე-ღულე“ ადგილები, „კიუხიდან მოცქირალი“ შემკრთალი
ადამიანების თვალები ბაჩანას პოეზიაში მეტად ცოცხალ პოეტურ სა-
ხეებს ქნის და მშობელი ქვეყნის ბუნების ორიგინალურად ასახვის
უცილობელ ფაქტზე მეტყველებს.

საქართველოს მთის ბუნება ბაჩანამ მთელი თავისი მრავალფე-
როვნებით ასახა აგრეთვე პროზაულ ნაწარმოებებშიც („ჩიტი და ბალ-
ლი“, „თაგვი ბიგა“, „შაშვი“, „მოლაღატე ძალი“, „მთა ქალისა და
ადამიანის სიყვარული“). ამ ნაწარმოებებში ბუნების თავისებურ
ცხოვრებაზე საუბარი მაღალმხატვრულად წარმოებს და ადამიანთა
ყოფის ავ-კარგიანობაზე გვაფიქრებს ხოლმე.

ბაჩანამ სცადა თავისი პოეტური სიტყვა ეთქვა სიყვარულის
გრძნობის შესახებაც, მაგრამ იგი აქ ვერ მისწვდა პოეზიის მწვერვა-
ლებს. სურვილი გაემიჯნოს წინამორბედ პოეტებს და სიყვარულის
უაღრესად ადამიანური გრძნობა დასახოს ყველასათვის ადვილსაწვ-
დომ, ყოველდღიური ცხოვრების სამსახურში ჩასაყენებელ მოვლენად,
ბაჩანას პოეზიას გამოკვეთილ ინდივიდუალურ სახეს არ აძლევს. პო-
ეტს კარგად ესმის, რომ სიყვარულის გრძნობა ზოგჯერ ეუფლება და
იმორჩილებს კიდევ ადამიანის ნებისყოფას.

უწამლო კირი შემყრია,
თავი ვერ დამიხწვია,
არც ვამბობ, ვერც გამიგია:
ვერც ვისთვის გამიმხელია.

(„სიმღერა ვ...“, 1887)

ასე წარმოიდგინა მან სიყვარულის გრძნობით ძლეული ადამიანის სახე, თანაც ისიც აღიარა, რომ „ცაში ღმერთს აქვს მეფობა, სიყვარულს ქვეყანაზედა“, მაგრამ მიჯნურისათვის თავდადება და ტანჯვა არ იწამა. ბაჩანას თქმით, სიყვარული უნდა ამშვენებდეს ადამიანის ცხოვრებას და არა ამწარებდეს მას. იგი ადვილად თმობს სატრფოს და სიყვარულის საგნის შეცვლაზეც უდრტვინველად თანხმდება, თუ მშვენიერთა სქესი ერთგვარ ყოყმანს იჩენს.

...ცეცხლი ზამთარსაც არ მინდა,
თუ ღავიწეები აღზედა...
მე არც მზე მინდა დამწველი,
არც წყალი დამახრჩობელი.

(„სიმღერა ვ...“, 1890)

ასე მიმართავს იგი სატრფოს, რომელსაც ორიოდ სტრიქონის წინ არწმუნებდა: „მარტოკა შენდა ანათებ ჩემი ბედისა ცაზედაო“.

ბაჩანას სატრფიალო ლექსების უმეტესობა მიძღვნილია ვინმე „ვ“-სადმი, რომელზედაც, როგორც ჩანს, იგი უიმედოდ შეყვარებული ყოფილა. „ვ“-სადმია მიმართული პოეტის აღზნებული გონების ნაყოფიერ პირველი სიყვარულის სიძლიერისა და მეორე-მესამეჯერ გატაცების არარაობის შესახებ, მაგრამ პრაქტიკული ცხოვრება, რის ცოდნასაც იგი თითქმის ყოველ სტრიქონში ამქლავნებდა, აიძულებს მეორე შეყვარებულში ეძებოს მეგობარი, რომელიც „მის ნდომა-წყურვილს“ შეივრდომებს, და საკუთარი შეხედულებანიც გადააფასოს; თუ სატრფოს „ლაშაზი თვალები ახლა სხვაშ გაახარებენ“, იგი ადვილად თმობს მას:

სასურველი ხარ, ვარსკვლავო,
მანამ ერთ ადგილს იქნები,
თუ გაპოხოდები, იარე...
თან კი ვერ გამოგიდგები.

ბაჩანას ვაგებით, სიყვარულის გრძნობას მუდამ ფიზიკური მშვენება აღძრავს, თანაც, ამ მშვენებას იგი ცალმხრივად, მხოლოდ დედათა სქესისათვის საჭიროდ მიიჩნევს. „ქალი-ლალი“ — „სანდომი კაი კილოსა“, სულიერი ავლა-დიდების მიუხედავად, წარსტაცებს ვაჟის ბაგეთ:

შენი კირიმე, მთვარეო,
გულში ღრმად ჩამეპარეო.

(„სიყვარულის სამეფოში“, 1915)

სანდომიანი ქალის ერთი ხილვაც კი სიყვარულის „წმინდა ნაშთს“, „ცრემლებად ხატავს“. ამიტომ პოეტი განსაკუთრებული ექსტაზით შეტრფის ქალის ფიზიკურ მშვენებას, ქებათაქებას უძღვნის მას და ბუნების უმნიშვნელოვანეს ქმნილებათ ადარებს:

გაზაფხულის ნაზო იავ,
ანკარა წყაროვ მთისაო,
ნეტავი კიდევ მაჩვენა,
სისხო შენისა თმისაო.

(„სიმღერა“, 1884)

იგი ნატრობს „სიმშვიდე-სიკეკლუციტ“, „სიწმინდე-სილაღით“ აღსავსე ყვავილების მსგავსნი იყონ ასულნი, რათა დაატკბონ ამქვეყნიური ცხოვრების მწარე ყოფა („ყვავილები“, 1884).

ბაჩანა შეეცადა აესახა პოეზიის მარადუბერებელი საგნის—სიყვარულის სულიერი მხარეც. ამ მხრივ საინტერესოა პროზაული ნაწარმოები — „მთა ქალისა და ადამისგანის სიყვარული“. ლალად აღზრდილ მეცხვარეს, ადამისგანს, გაუმიჯნურდა მთათა ქალი ალი — ჭეშმარიტი სიყვარულის უმაღლესი განსახიერება, ამჯერად ხორციელად გარდაქმნილი ტურფა არსება და ამ „ყველაზე მეტ“ ვაჟკაცისგან მოითხოვა ისეთივე უსაზღვრო გრძნობა, როგორც თვით მას დაეუფლა. ადამისგანიც გატაცებით დაეწაფა ტრფობის ნექტარს — „ფრთებშესხმული გამოუდგა ვარსკვლავებითა და ია-ვარდით მოფენილ გზას“ მზე-ქალისას, მაგრამ ვერ შეძლო მიჯნურის ბოლომდე ერთგული დარჩენილიყო: მან გაატეხა ვაჟკაცის სიტყვა, ჭერ დაბრუნდა სოფელში და მშობლების მიერ არჩეული ქალი შეირთო, ხოლო შემდეგ მეუღლეს პირველ სიყვარულში გამოუტყდა, რაც პირობის თანახმად, ამ სიყვარულის დასასრულს უდრიდა. მთათა ქალმა, რომელსაც „მიზეზთა მიზეზმა“ კვლავ „უსახო ფორმა დაუბრუნა“, ჰაეროვან „მშვენიერებად და სიყვარულად“ გარდაქმნა, არ მიიღო დაბრუნებული მიჯნური — უარყოფელი „ზეალმტაცი“, „აღმაფრთოვანებელი“ სიყვარულისა, კვლავ ხორციელებასთან დაბრუნებული. ამგვარად, ტოლ-სწორებში საუკეთესო ადამისგანი ვერ მისწვდა სისრულეს სულიერი სიყვარულისას, ვერ ამაღლდა ხორციელებას მოკლებული „ჭეშმარიტი“ სიყვარულის გაგებამდე.

ზეციერისაკენ მიმსწრაფი ენერგიის ეს იძულებითი და თანაც ბუნებრივი დაბრუნება მიწიერთან პოეტმა ოსტატურად ახახა მძინარე ადამისგანსა და მის მღვიძარე მეუღლეს შორის გამართულ დიალოგში.

„კისერზედ დაკიდებულმა მძიმე ქვამ“ ადამისგანს არაქათი გა-
მოაცალა და მიწაზე დაანარცხა. „ციურ“ ჰანგებში, რაც მზექალის —
ალის ბაგეთაგან ისმის, სიყვარულის ალ. ქავქავაძისეული გაგებაა მო-
ცემული.

სიყვარულის გრძნობის ასახვა სცადა ბაჩანამ სხვა ნაწარმოებებ-
შიც, — მთავრად აქ იგი აშკარად დამარცხდა, მისი „სიყვარულის სა-
მეფოში“, წყვილთა შორის არსებული ვაქრული დამოკიდებულების
წინააღმდეგ მიმართული გაღექსილი სენტენციაა და არა მხატვრული
ქმნილება:

დანიშნულმა მზითვის სია
მომიტანა... გუჯრით იყო...

მოგვითხრობს იგი „მზითვის სიას“ უკან უბრუნებს სიტყვე-
ბით: „რაც შიგ არის, არა მინდა, სიყვარული მომიტანე“.

დეკლარაციულ ხასიათს ატარებს აგრეთვე მიჯნურობაში ხორ-
ციელების ვითომ მგმობი ორიოდ სტროფი შიშველი ქალის შესა-
სებ — მოკლებული პოეზიის მადლს:

შიშველი ქალ ხელში მჭერია,
მე მის სიშიშველ არ მინახია,
მასზე ლექსები დამიწერნია,
და ტრფობა ჩემი ცად აზიდულა,
დაბლა ერთხელაც არ დაცემულა...
და ტრფობა ასე უფრო ტყბილია.

ამგვარად, იდეალური სიყვარულის ორიგინალურ ფერებში ხატვა
ბაჩანამ ვერ შეძლო. ამ მხრივ მის პოეზიას ბევრს არაფერს მატებს
აფორისტული თქმაც: „მიწა-მტვრად წავა მშვენიერება, კეთილი საქ-
მე მოჰკვდება არაროს“ („მეგობრის საფლავზე“). მიჯნურის გულის
შედარება თოვლ-ყინვასთან, ტურფა ქალისა — ბადრ მთვარესთან,
კბილებისა — ბროლ-ბადახშთან, ლამაზი ასულის წარმოსახვა ვარდ-
ყვავილად და სხვა მისთანა პოეტური სახეები, რაც ბაჩანას ლირიკა-
ში გვხვდება, — ქართულ ლიტერატურაში ძველთაგანვე ცნობილია.

ბაჩანა წარმატებით მუშაობდა პროზაშიც. მის კალამს ერთ ათე-
ულზე მეტი პროზაული ნაწარმოები ეკუთვნის, მათ შორის განსაკუთ-
რებით აღსანიშნავია: „მოღალატე ძალდი“ („კვალი“, 1900), „მო-
ნადირე და ყორნები“, „ჩიტი და ბალღი“, „თავგი ბიგა“ („ნაკადული“,
1909), „მდინარე“, „შაშვი“ („ჩეჩელი“, 1900), „ადამის უკვდავების-
ყვავილები“ („ივერია“, 1890), „მოჩვენება“ („დროება“, 1885),
„ფშავლის სიზმარი“ („ივერია“, 1890), „ანგელოზები“ („ჩეჩელი“,
1902) და სხვ.

ბაჩანას პროზა დამოუკიდებელ შემეცნებით მნიშვნელობას მოკლებული არ არის. აქ იგი მეტად ჩანს, როგორც ინდივიდუალური მეობის მქონე რეალისტი მხატვარი, ვიდრე პოეზიაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოწოდება ძირითადად ლირიკული ქანრის ფარგლებში მელავენდებოდა.

პროზაულ ნაწარმოებებში ბაჩანა გვევლინება ქართული ლიტერატურული ენის ღრმა მცოდნედ. ფშავური დიალექტი, რასაც იგი ლირიკულ ლექსებსა და პოემებში ეყრდნობა, აქ მთლიანად უგულვებლყოფილია.

ამით აიხსნება, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების შემდგენელი ცნობილი პედაგოგები უფრო მეტად მისი პროზით სარგებლობდნენ, მიუხედავად ბაჩანას ზოგიერთ პროზაული ნაწარმოების ღრმა რელიგიურობისა („ანგელოზები“, „ადამის უკვდავების ყვავილები“).

ბაჩანას მოთხრობები მეტწილად ალეგორიულია. მისთვის პოეზიაში დამახასიათებელი სიმბოლური მეტყველება პროზაში უფრო მეტი სიუხვითაა გამოყენებული.

ბაჩანა კარგად იცნობდა ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერებას. მსგავსად ვაჟასი, იგი უხვად სარგებლობდა ქართველი ხალხის მდიდარი ფოლკლორით. ბაჩანამ, ვაჟასთან ერთად, ხალხური პოეზიის გავლენით შექმნა ლირიკული ლექსის ახალი ფორმა — „სიმღერა“, თუმცა პოეტური მეტრის თვალსაზრისით აქ ერთფეროვნებას ვერ ასცდა.

ლეილა სულხანიშვილი

აბაგის „ბაში-აჩუკი“ და მისი ისტორიული წყაროები

აკაკის პროზის პოეტურობა, რაზეც ასე ხშირად მიუთითებენ ლიტერატურაში, ყველაზე უფრო მკაფიოდ „ბაში-აჩუკში“ გამოძეღვნილია. უთუოდ ამიტომაც არის, რომ აღნიშნული საკითხის დაყენებისას, უმთავრესად, სწორედ „ბაში-აჩუკზე“ აჩერებენ ხოლმე ყურადღებას¹. ამ ნაწარმოების ლიტერატურული ანალიზისას ჩამოთვლიან რიგ მომენტებს, რომლებიც მოთხრობის პოეტურობაზე მეტყველებს. მიუთითებენ, მაგალითად, სიუჟეტზე, გადაჭარბების ხერხზე, ზღაპრულ-ლეგენდარულ ეპიზოდებზე, ბუნების, პერსონაჟების, სტილის პოეტურობაზე, კონტრასტებით ხატვის პრინციპზე და სხვ. და თუ მოვისურვებთ, პასუხი გავცეთ კითხვას: კონკრეტულად რაში, როგორ და რა-ნაირად იჩენს თავს „ბაში-აჩუკის“ პოეზია, თავს ვერ ავარიდებთ ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით უკვე აღნიშნული მომენტების განმეორებას.

როგორც ამბობენ, „ბაში-აჩუკის“ თვითონ სიუჟეტია პოეტური: ახალგაზრდა გლახუკი ბაქრადის ტრფიალი წერეთლის ქალისადმი, მის მიერ საგმირო საქმეების საასპარეზოდ კახეთის ამორჩევა და ა. შ. თვით ფინალამდე და ფინალის ჩათვლით. მაგრამ პოეტურია ნაწარმოების არა მარტო ძირითადი სიუჟეტური ხაზი, არამედ — უკლებლივ ყველა ეპიზოდი, რომელთა მეშვეობითაც მოთხრობას ხორცი ესხმის (აქ არ გვინდა ისე გამოვიდეს, თითქოს არსებობდეს ცალკე ძირითადი სიუჟეტური ხაზი, რომელსაც გზა და გზა მექანიკურად უერთდებიან დამოუკიდებლად არსებობის შემძლე ეპიზოდები. არა,

¹ იხ., მაგ., პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, აკაკი წერეთლის შემოქმედება, აკაკი წერეთელი, თხზულებანი, I, 1940, გვ. XXX — XXXI; შ. რ ა დ ი ა ნ ი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1947, გვ. 352; გრ. კ ი ე ნ ა ძ ე, აკაკის პროზაულ თხზულებათა პოეტურობის საკითხი, „მნათობი“, 1, 1965.

აქ ეპიზოდები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და, თითქმის, არც ერთი მათგანის უკუგდება არ შეიძლება ისე, რომ ამით მოთხრობის მთლიანობა არ დაირღვეს. ამიტომ ვერ გავიზიარებთ პროფ. შ. რადიანის აზრს „ბაში-აჩუის“ კომპოზიციურად შეუქრავობის შესახებ². კომპოზიცია მოთხრობის სწორედ ის მხარეა, რომელშიც ყველაზე სრულყოფილად გამოვლინდა აკაკის ოსტატობა³.

ნაწარმოებს ხსნის არაგვის პეიზაჟი. „თვალმიწვდომელ სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი“, — ასე იწყება მოთხრობა. — „იმ კლდოვან კედის თავზე“, რომელსაც „გამეტებით ეხლებოდა“ მდინარე ახალი გზის გასაკვლევად, „ღრუბლიდან გამოსულიყო უზარმაზარი ციხე-დარბაზი, შეუპოვრად გადმომდგარიყო და სანუგეშოდ გადაჰყურებდა არემარეს. ყოველი მხრით შეუვალი გალავნით შემოზღუდულ შენობას, მხოლოდ ერთის მხრით, აღმოსავლეთისაკენ, გულს უხსნიდა სიგრძით ჩაყოლებული აივანი“. სურათი დიდებულ დეკორაციასავით იშლება ჩვენს თვალწინ. მდინარე, ციხე-დარბაზი, აივანი, — ერთიც, მეორეც და მესამეც პოეტის თვალთ არის დანახული. ამაზე მეტყველებს მდინარის გველთან შედარება, „ღრუბლიდან გამოსული უზარმაზარი ციხე-დარბაზის“ ზღაპრული იერი და აივანი, რომელიც გულს უხსნის მას. აივნით გულგახსნილი და ღრუბლიდან გამოსული ციხე-დარბაზი, მის ფერხთით კი — გველივით დაკლაკნილი, შეუპოვარი მდინარე! რა შეიძლება ამ სურათს ეწოდოს, თუ არა პოეტური?

აივანზე სრული სიმშვიდე და მყუდროებაა. აივნის თავში ტახტზე ფეხმორთხმით მჯდომი ზაალ ერისთავი კრიალოსანს ათამაშებს; იქვე, სკამზე, ზაალის მეუღლე „ჭირის კანონს“ კითხულობს. ეს ორი, ახლად გამოჩენილი პერსონაჟი, თითქოს, ერწყმის ზემოთ დახატულ სურათს; ისინი, თითქოს, მღუმარე ციხე-დარბაზის ნაწილები არიან. მაგრამ აი, გამეფებულ მყუდროებას მარიამის, ზაალის მეუღლის, კივილი არღვევს და სურათიც ერთბაშად მოძრაობაში მოდის. მყუდრო აივანზე მღელვარება შემოიჭრება. ჩნდება დაძაბული მოლოდინის გრძნობა, ინტერესი უცნაური სიზმრისადმი, რომელიც უნახავს ერისთავის მოძღვარს. სიზმრის ეპითეტი „უცნაური“, „საოცარი“ სამგზის არის განმეორებული საუბარში და მთელი დიალოგიც ისეა წარმართული ჯერ ზაალსა და მარიამს, ხოლო შემდეგ — ზაალსა და კირილემ მოძღვარს შორის, რომ შიშის ატმოსფერო შეიქმნას. აი, კირილე

² შ. რ ა დ ი ა ნ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, წიგნი პირველი, 1952, გვ. 429.

³ იხ. ლ. ქ ი ა ჩ ე ლ ი, აკაკის ბაში-აჩუი, თხზულებანი, 4, 1955, გვ. 343.

მოდღვარი „ათრთოლებული ხმით“ მოგვითხრობს თავის უცნაურ ზმანებას. მისი ზმანება ხალხურ ზღაპარს მოგვეგონებს საზარელ გველეშაპზე, რომელიც სოფლის წყაროს დაეპატრონა და შეუბრალებლად ნთქავდა წყაროზე მისულ სოფლელებს, ვიდრე არ მოვიდა გმირი და არ გაათავისუფლა სოფელი ამ ურჩხულისაგან. თხრობის სტილის გარდა, შინაარსის, პერსონაჟების ზღაპრულობა განაპირობებს სიზმრის პოეტურობას. თხრობა ლაკონიური, ძალზე დახვეწილი, ყოველგვარ ზედმეტობას მოკლებული და, ამავე დროს, სურათოვანია. სურათები კინემატოგრაფიულად ენაცვლება ერთმანეთს. სიზმარს პოეტურ ელფერს აძლევს ისიც, რომ მასში გამოქმედებულია მთხრობელის ემოციები, მისი დამოკიდებულება გადმოცემული ამბისა, ამ ამბის მოქმედი პირებისადმი. მაგრამ აქაც დაცულია დიდი ზომიერება და სიფრთხილე. მთხრობელის განცდების გამომხატველია ეპითეტები (დადებითი და უარყოფითი), ჩართულები, შეძახილები, აგრეთვე, ზმანები, საგანგებოდ შერჩეული. მაგ., ეპითეტები: უწმინდური, წყეული, არაწმინდა (გველეშაპი); ერთიმეორეზე უკეთესი (მეომრები); საარაკო (ლახტის ცემა).

ჩართულები და შეძახილები: „აღავერდის მონასტერს, დ ი დ ე ბ ა მ ის ძ ლ ი ე რ ე ბ ა ს, უწმინდური დაჰპატრონებოდა!“

„მათ ნახვას არა სჯობდა-რა!“

„დალახეროს ღმერთმა, არც ერთი გვამში არ გაერქო იმ წყეულს!“

„საოცარი სანახავი იყო...“

„მაგრამ რა გამოვიდა, რომ იმ უწმინდურს...“

ზმნები, რომლებიც მოქმედ პირთა სახეებსაც ამკვეთრებენ, მათ მნიშვნელობას ზრდიან და თან მთხრობელის ემოციებსაც გამოაჩენენ: „ჩასანსლავდა ზედიზედ, ერთიმეორეზე, იქვე უძრავად გაშეშებულ ადამიანის შვილებს, გამოძლებოდა, გასისინდებოდა...“

„მაგრამ ამ დროს გამოჩნდა მთიდან მომავალი მხედარი, შუბით ხელში, თეთრ ცხენს მოაგელვებდა, მიექრა გათამამებულ გველეშაპს და უგმირა ლახვარი“.

საგულისხმოა, რომ ამ რომანტიულ სიზმარში მთელი ნაწარმოების სული გამოსკვივის⁴. იგი წინასწარ გვიმკლავნებს მოთხრობის

⁴ გრ. კიკნაძე შენიშნავს, რომ „ძიების შემთხვევაში ამ ნაწარმოების ყოველ ეპიზოდში აღმოვაჩინოთ მთელი ნაწარმოების სულს“ (იხ. ზემოთ მითითებული სტატია).

გმირთა ტრაგიკულ ბედს და, საერთოდ, ლეიტმოტივით მიჰყვება მოთხრობას ბოლომდე.

სიმბოლურის შთაბეჭდილებას ტოვებს ჰექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა, რაც უშუალოდ მოსდევს სიზმრის ეპიზოდს.

„თვალმიუწვდომელ სიმორიდან გველივით“ კლავანიტ წამოსული არაგვი; არაგვის კლდოვან კიდეზე აღმართული, „ღრუბლიდან გამოსული“ „უზარმაზარი ციხე-დარბაზი“, აღმოსავლეთის მხრიდან გრძლად ჩაყოლებული აივნით „გულგახსნილი“; აივანზე მყუდროდ მჯდომი ცოლ-ქმარი, სიმშვიდე, მღუმარება... მერე განწყობილების მკვეთრი შეცვლა, შიშნარევი მოლოდინი, დაძაბულობა... სცენაზე ახალი პერსონაჟი — კირილე მოძღვარი... მისი წინასწარმეტყველური სიზმარი — ქართული ზღაპრის მოტივებითა და ზღაპრული გმირებით... გრგვინვა-ქუხილი და უეცარი წვიმა... — ასე იქმნება „ბაშინაჟის“ პირველი თავის პოეტური ატმოსფერო.

მეორე თავი. ისევ ზაალ ერისთავის აივანი. აივანზე გადმომდგარი ზაალი მოუტრავს ესაუბრება. ეს საუბარი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ მისი მეშვეობით, — არა ავტორის ჩარევით, ავტორის მიერ სურათის საგანგებო აღწერით, არამედ პერსონაჟთა გასაუბრების გზით, — ვხედავთ თვალნათლივ აღიღებულ არაგვს, რომელსაც ხიდეები დაუქცევია, ხე-ტყე დაუხვევტია და მთა და ბარი თან მოაქვს. პერსონაჟები ავტორის დაუხმარებლად ქმნიან დიდებულ ფონს, — ისეთს, როგორსაც ვხვდებით ხოლმე დიდ ფერმწერთა ტილოებზე. ამ ფონს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მომდევნო ეპიზოდში, როცა აზვირთებულ მდინარესთან ჭიდილში ახლადგამოჩენილი გმირის სახე იკვეთება.

ზაალს აღიღებული არაგვი კირილეს სიზმარს მოაგონებს და მას ამ სიზმრის ახდენად მიიჩნევს. ამგვარად მეორე თავში სიზმრისგან მიღებული შთაბეჭდილებები გრძელდება.

„— ესეც ჩვენი კირილეს სიზმარი!... — ამბობს ერისთავი. — ახდა და მორჩა! მართლა გველშაპივით არ მოიკლავნება ეს არაგვი! ამ ხნის კაცი ვარ და ამისთანა წყალდიდობას ჯერ არ მოვსწრებივარ“.

„— არც მე, თქვენი რისხვა არა მქონდეს!... — პასუხობს მოუტრავი. — ტყე და ველი კი მოაქვს და... ხიდეები, სადაც იყო, დახვეტა. ქვითკირის ხიდი დაუქცევია, გზა შეკრულია და ჩვენი მწყემსებიც გაღმა დარჩებილან“!

უფრო ქვევით ზაალი გაკვირვებით წამოიძახებს:

„— მართლა, სად იყო ამდენი ხე-ტყე, რაც ამ წყალს მოაქვს?“

ზაალისა და მოურავის საუბრის დროს მოთხრობაში შემოდის კიდევ ერთი ახალი პერსონაჟი და ჩვენ ამ პერსონაჟს, ისევე, როგორც ცოტა ხნის წინ აღიდებული არაგვის პეიზაჟს, ერთ ხანს ისევ მოსაუბრეთა თვალით ვუცქერით ამ პეიზაჟის ფონზე. ვილაც ცხენოსანი პირდაპირ სასახლისკენ მოაგვლევებს ცხენს. გაჩეჩილ თმაზე, ეტყობა, ფაფანაკი ადევს. როგორც ჩანს, იმერელია.

ამის შემდეგ რაც ხდება (მხედრის შეჭრა აზღვევებულ მდინარეში, მდინარესთან თავგანწირული ბრძოლა), ახალი პერსონაჟის სრულ არაჩვეულებრივობაზე მეტყველებს, იმაზე გვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ნაწარმოების მთავარ გმირთან, რომლისგანაც ბევრ საარაკო ვაჟკაცობას უნდა მოველოდეთ. თვითონ ამბავიც, რომელიც გამოაჩენს ამ გმირს, დიდად სცილდება ყოველდღიურობის ფარგლებს, ის თვითონ არის არაჩვეულებრივი და დამშვიდებულ ატმოსფეროში ისევ მღელვარება, გაურკვეველობა და დაძაბული მოლოდინი შემოაქვს.

ზაალ ერისთავისა და მოურავის მომდევნო დიალოგს სრულიად სამართლიანად უწოდა ლ. ქიაჩელმა ჯადოქრული, და ასეთია არა მარტო ეს დიალოგი, არამედ, თითქმის, ყველა სხვა; ასეთია, საერთოდ, მთელი ნაწარმოების თხრობა, — სწორედ რომ, ჯადოქრული. მოულოდნელობის, როგორც ლ. ქიაჩელი ამბობს, „საიდუმლოებათა თანდათანობით ცხადების“ პრინციპი, რომელზეც აგებულია „ბაში-აჩუკი“ (და აქვე უნდა ითქვას, რომ მოთხრობის პოეტურობის ძირითადი საფუძველი სწორედ თხრობის ეს პრინციპია), თავს იჩენს, თითქმის, ყოველ თავში, ყოველ ეპიზოდში, ყოველ შეხვედრასა და დიალოგში. ამ პრინციპით არის დაწერილი ერისთავისა და მოურავის, ზემოთ ნახსენები, დიალოგი, რომლიდანაც, ბოლოს და ბოლოს, ირკვევა, რომ უცნობი მხედარი გადარჩენილა. კვლავ სიმშვიდე მყარდება, მაგრამ არა დიდი ხნით. ზაალი უცნობ სტუმარს ღებულობს და ამის მერე, თავის დასასრულამდე, თხრობა სულ ტალღების რხევასავით მიდის.

სტუმარი, რომელიც მართლა იმერელი აღმოჩნდა, ბიძინა ჩოლოყაშვილის წერილს გადასცემს ერისთავს და წერილის პირველივე სტრიქონები მკითხველში კირილეს სიზმრის ასოციაციას იწვევს.

„— იწერება, — კითხულობს ერისთავი წერილს: — „ქრისტიანობა ამოვარდაო, წირვა-ლოცვა აღარ არის, ზარების რეკა აღარ ისმის, ზატები შეუტაცხვეს და ტაძრები გააუპატიურესო...“ და ჩვენ მაშინვე გვაგონდება სიზმრიდან: „ეძინა იმ წყეულს! მისი შიშით საყდარში ვედარავინ შედიოდა. აღარც წირვა იყო და აღარც ლოცვა“. ამით უკვე მყარდება ნამდვილი კავშირი სიზმარსა და ცხადს შორის, რაც თავის დასაწყისში, გველემაპივით დაკლაკნილი არაგვის დანახვაზე,

მხოლოდ მოგვეჩვენა. ეს კავშირი საბოლოოდ დასტურდება, როცა კირილე მოძღვარი სტუმრად მოსულ ქსნის ერისთავებში თავისი უცნაური სიზმრის გმირებს იცნობს და მესამე გმირადაც ზაალის სიძეს — ბიძინა ჩოლოყაშვილს განაცხადებს. ამგვარად შემოდის სიზმარი სინამდვილეში და თან შემოაქვს მომხიბლავი რომანტიკა, ნამდვილი პოეტურობა, არაჩვეულებრივის გრძნობა.

მესამე თავს საწერეთლოში გადავყავართ, — მშვიდ, ნათელ გარემოში. აქ ვხედავთ ახალგაზრდა ბაქრაძეს, მის გასაოცარ სიმარჯვეს, მის ვეფხისტყაოსნისებრ ტრფიალს წერეთლის ქალისადმი, სატრფოს გამო საგმირო საქმეთა საძიებლად კახეთისაკენ გაქრას, აეთანდლის სედას, სატრფოსთან განშორებით გამოწვეულს. გადმოცემის სტილზე რომ აღარათფერი ვთქვათ, რომ აღარა ვთქვათ რა აქ პირდაპირ გადმოტანილ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ლირიკულ პასაჟზე, თვითონ ზემოთ ჩამოთვლილი ამბებია ამ თავში პოეტური (რაც აღენიშნეთ კიდევ უკვე).

მაშინაც კი, როცა აკაკი პერსონაჟის შეფასებას იძლევა და თან ეს პერსონაჟი ისტორიული პირია, ე. ი. შეფასება ისტორიულ სინამდვილეს ეხება, მაშინაც კი არ შორდება აკაკი პოეზიის სფეროს. იგი ამას ახერხებს პოეტური შედარებებითა და დაპირისპირებით, მსგავსი ელერადობის სიტყვათა ხმარებით, რაც იწვევს გარკვეულ რიტმს, სხვა პერსონაჟთა შორის დიალოგით, რომელშიც მქლავნდება შესაფასებელი პერსონაჟისადმი დამოკიდებულება, და თვით დიალოგის ხასიათით.

გავიხსენოთ მეორე თავი:

„კახეთის მეფე, თეიმურაზ პირველი, — ვკითხულობთ ამ თავის დასაწყისში, — დავით წინასწარმეტყველს ეტოლებოდა თავის გუნებაში: „ის ჩემი წინაპარი და მე მისი ჩამომავალი, ისიც გვირგვინოსანი-მგოსანი და მეცო“, — ჰფიქრობდა და ის კი ავიწყდებოდა, რომ დავით მეფობდა უმაღლესად ჩაგონებული და თეიმურაზი მხოლოდ ქვეშევრდომთაგან უმდაბლესად შეგონებული; ის იქ ებრძოდა „ამალეკთა“ და ეს აქ — თათარ-ლეკთა!.. პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი და მით საზარელ მომავალს უმზადებდა სამეფოს“.

თეიმურაზ პირველი — დავით წინასწარმეტყველი; ის ჩემი წინაპარი — მე მისი ჩამომავალი; ისიც გვირგვინოსანი-მგოსანი — მეც; უმაღლესად ჩაგონებული — უმდაბლესად შეგონებული; ის იქ ებრძოდა „ამალეკთა“ — ეს აქ თათარ-ლეკთა; პოლიტიკაში პოეტობდა — პოეზიაში პოლიტიკობდა... — აი, ის შედარება-დაპირისპირებები და ბგერადი მსგავსებანი, რაც ამ პატარა აბზაცში გვხვდება.

თეიმურაზ პირველის სახის საჩვენებლად აკაკის უსახელო პერსონაჟი შემოჰყავს მოთხრობაში და მათი ბაასისთვის ზამთრის მყუდრო საღამოსა და აგუგუნებული ბუხრის პირს ირჩევს. მოხუცისა და ახალგაზრდა კაცის დიალოგი თეიმურაზს კენწლავს, როგორც მეფესა და როგორც პოეტს, — კენწლავს მოხდენილად, პოეტურად. მაგალითისათვის ერთი ადგილის გახსენებაც საკმარისი იქნება. ახალგაზრდა ეუბნება მოხუცს:

„ერთი მზეთუნახავი თურმე ყოველ დილ-დილაობით მივიდოდა წყაროსთან და პირს რომ დაიბანდა, ეკითხებოდა ხოლმე წყაროს: „წყაროვ! მე ვკობივარ, მზე თუ მთვარეო?“ — „შენც კარგი ხარ, მზეც და მთვარეცო, მაგრამ ეთერი კი ყველას გკობიათო!“ — ესმოდა პასუხად და ეყრებოდა გულს. ბატონ მეფესაც სწორედ ისე ემართება: რომ რამეს დასწერს, ეკითხება თავის გულს: „მე ვკობივარ, ჩახრუხა, თუ შავთელიო?“ „შენც კარგი ხარ, ჩახრუხაც და შავთელიცო, მაგრამ რუსთველი კი ყველას გკობიათო“, — უჩურობს გონება და რუსთველის მოქიშპეს შურით ევსება გული“.

მხატვრული ნაწარმოების ანალიზი, მასთან დაკავშირებული მრავალი პირობითობის გამო, ყოველთვის არ ხერხდება. ზოგჯერ ნაწარმოები არ გვეძლევა საამისოდ, არ გვიშვებს შევიკრათ მის ფაქიზ ქსოვილში და მაშინ იძულებული ვხვდებით მისგან მიღებულ ზოგად შთაბეჭდილებებზე ვილაპარაკოთ. ასეა თუ ისე, მოცემულ შემთხვევაში, ჰირს კონკრეტულად და დაბეჯითებით მითითება იმაზე, თუ, სახელდობრ, რა სტილისტური ხერხები, რა მხატვრული საშუალებები აძლევენ მეოთხე და მეხუთე თავის დიდ ნაწილს პოეტურ ელფერს. ეს უკანასკნელი კი უდავო ფაქტია.

ჯანდიერთან საუბარში, ჯანდიერთან, რომელსაც უნდა თავისი დისწული სასახლის კარის ბრწყინვალეობით მოხიბლოს, ბიძინა ჩოლოყაშვილი ვრცელ სიტყვას ამბობს და, თუ არ აკაკის პოეტური ინტუიცია, ეს სიტყვა სულ ადვილად შეიძლებოდა მშრალ, ზოგადი ხასიათის რიტორიკად დარჩენილიყო. ბიძინა აქ საერთოდ სამშობლოზე კი არა, „პატარა ახმეტაზე“, მის მიწაზე, წყალზე, მთაზე, კლდეზე, ტყესა და ველზე ლაპარაკობს; იგი სპარსულ ტკბილ შარბათებს მშობლიურ ღვინოს ადარებს, ღვინოს, რომელიც „მამა-პაპის სისხლით არის წითლად შეფერილი“, სპარსული მურასა-ლავაშების გვერდით თავისი ქვეყნის პურს ახსენებს, იმ პურს, რომელშიც მისი წინაპრების ნაწილებია გარეული და უცხოეთში დიდკაცურ, მაგრამ, მისივე თქმით, უწმინდურ სიცოცხლეს თავის მიწა-წყალზე. წმინდა სიკვდილს ამკობინებს. ბიძინა ამალღებული კილოთი ლაპარაკობს, დიდი პათოსით

და პოეტური განცდით. სამშობლო მისთვის აბსტრაქტული ცნება კი არ არის, იგი სრულიად ხელშესახები, მრავალ კონკრეტულ მოვლენაში ცხადად საგრძნობი და თვლით დასაანახი რამაა.

პოეტურ ვითარებაში ხდება ბიძინას სულიერი გარდატეხა, მის მიერ ახალი, დიდი გადაწყვეტილების მიღება — ხერხით გაუწიოს დახმარება თავის ქვეყანას, რადგანაც ღონე აღარ ჰქრის. მთვარიან ღამეს მეხრეს სიმღერა შთააგონებს მას ამ აზრს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ბაში-აჩუკის“ პოეტურობის, — უფრო ზუსტად, მისი სიუჟეტის პოეტურობის, — ერთ-ერთ ძირითად საფუძველს საიღუმლოებათა კვანძების შეკვრა და მათი ოსტატურად გახსნა წარმოადგენს. მეხუთე თავის ბოლოს ჩვენ გვაქვს ორი საიღუმლო: არ ვიცით ზაალ ერისთავის იმერელი სტუმრის ვინაობა, არ ვიცით კონკრეტულად რა სახეს მიიღებს ჩოლოყაშვილის გადაწყვეტილება, რას აპირებს იგი. მეექვსე თავში ამ ორ საიღუმლოებას ემატება კიდევ ორი; სახელდობრ:

ჩოლოყაშვილის თათრების მხარეზე გადასვლისთანავე, კახეთში ჩნდება ყაჩაღთა გუნდები, რომელთა ასაველ-დასაველი არავინ იცის. ეს გუნდები, სადაც კი მოასწრებენ, მუსრს ავლებენ თათრებსა და მოღალატე ქართველებს და მაშინვე უჩინარდებიან. ვერაფერს ხდება მათთან ვერავინ, თვითონ ჩოლოყაშვილიც კი. ბოლოს სამშობლოს გამყიდველი სვიმონ მაყაშვილი ახერხებს თარეშის ალაგმვას უღანაშაულო სოფლებზე შურისძიების გზით. მოთარეშენი წყვეტენ მოქმედებას, მათი მნახველი კი ერთი კაციც არსადა ჩანს. რა გუნდებია ეს გუნდები? ვინ არიან ეს თავზეხელაღებული ადამიანები? ვინ არის მათი ხელმძღვანელი? — ყოველივე ეს საიღუმლოებითაა მოცული.

იმავე თავში ორი ეპიზოდია — ჭიდაობის და ჭირითის.

აბღუშაპილთან ჭიდაობას ვერავინ ბედავს ქართველებიდან, — განთქმული კოზმანიშვილიც კი. „მე ფალავნებს ვეჭიდავები და არა გოლიათებსო“, აცხადებს იგი. თათრები თავს უკვე გამარჯვებულად თვლიან და, კმაყოფილების ნიშნად, უღვაშებში იტყინიან. აბღუშაპილი წრიდან გასვლას აპირებს. „ამ დროს ხალხში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა და გაისმა კიჟინი: „დაუკარით, დაუკარითო!“... წრეში ვეფხვივით შემოვარდა ერთი ვიღაც ტანწერილი, მალალი, მხარბეჭიანი და თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა, შეხედა მოპირდაპირეს და შეჩერდა. თათარმა ტორტმანი დაიწყო და ხელების შლა; უცებ გაექანა შურდულივით ახალგაზრდა, შეუვარდა ფეხებში, გამოჰკრა ორივე ხელი, ჭირკვიით გადააგორა ფალავანი და გამოიქრა წრიდან“.

ძალზე ნაცნობი პორტრეტია. უნებურად გვაგონდება არაგვის ერისთავის თავზეხელაღებული სტუმარი, „ტანმალალი, წელში წვრილი,

მხარბეჭიანი, ფაფანაკ უკან გადაგდებული, გაჩეჩილი თმით და გაწვევრტილის ულვაშებით ტიტველა პირზე“. ის ხომ არ არის? — ექვს იღებს მკითხველი. მაგრამ ექვი ექვადვე რჩება, რადგან აეტორი ამის განმარტებას არც აპირებს. მოთხრობაში ნათქვამია მხოლოდ: „მოიკითხეს გამარჯვებული, მაგრამ ველარსად ნახეს; მიიძალა ხალხში. ველარ გაიგეს, ვინ იყო“.

„თვალაუწდომელ ჰადრის წვერზე“ ყაბახად დასმული ოქროს თასია ჩამოსაგდები. ნიშანში ვერავინ ახვედრებს. „ბოლოს წამოვიდა ვილაც შავცხენოსანი ისეთი სისწრაფით, რომ თითქმის აღარ ჩანდა ცხენზე, შორიდანვე შესტყორცა ჯირითი, ჰკრა შუაგულში და მალლა შეაჟღო. თასი ბზიალ-ბზიალით წამოვიდა; მხედარმა მიაგდო ცხენი ხის ძირში, შეაყენა უკანა ფეხებზე და ჰაერშივე მოავლო ხელი თასს. დაბლა აღარ დაუშვა. ჰკრა ქუსლი ცხენს და მიაჭენა იქ, სადაც ქართველი დიდებულები იდგენ... ცხენდაცხენ გაუშვირა თასი ერთ დიდებულთაგანს და დაიყურა: „ღმერთმა ნუ მოუშალოს გამარჯვება ბატონ მაყაშვილსო!“ სვიმონ მაყაშვილმა წინ რამდენიმე ბიჯი წამოდგა და ჩამოართვა თასი. ამ დროს უცბად ჰაერში რაღაცამ გაიელვა და მაყაშვილი ჯერ ისევ ფეხზე იდგა, რომ თავი მიწაზე კოტრიალებდა. მხედარმა გამოატრიალა ცხენი და უკანვე გაჰქუსლა“. ვინ არის ეს გმირი? გვაგონდება ახალგაზრდა გლახუკი ბაქრაძის სიმარჯვე წერეთლის ეზოში, გვაგონდება უცნობი იმერლის ვაჟკაცური ჭიდილი ადიდებულ არაგვთან. სამივე ეს პირი ერთი და იგივე ადამიანი ხომ არ არის? არ ვიცით. მოთხრობაში ნათქვამია მხოლოდ, რომ მაყაშვილის უეცარი მოკვლით განცვიფრებულ ხალხში აქა-იქ დაიძახეს: „ჰეა? ბაში-აჩუკია, ბაში-აჩუკიო!“ ვინ არის ეს ლეგენდარული ბაში-აჩუკი? არც ეს ვიცით. ჩოლოყაშვილის მიერ არაგვის საერისთაოში გავზავნილი იმერელი, გლახუკი ბაქრაძე და ბაში-აჩუკი, თითქოს, სამი სხვადასხვა კარიდან შემოდინან მოთხრობაში, რათა ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რომანტიული გზებით იარონ, ცნობისმოყვარეობა და ინტერესი აღგვიძრან, მოგვხიბლონ და გავგიტაცონ, ხოლო შემდეგ თანდათანობით ერთმანეთს შეხვდნენ და, საბოლოოდ, ერთ რომანტიულ გმირში გაერთიანდნენ. მხოლოდ მეშვიდე თავში, მას შემდეგ, რაც ბაში-აჩუკის სახელს კიდევ ერთი ვაჟკაცობა უკავშირდება (მეფის მიერ იმერეთში ძღვნად მიღებული თორმეტი ქალის გატაცება შიგ შუაგული ქართლიდან), ვგებულობთ, რომ ის იგივე გლახა ბაქრაძეა; ბაქრაძე — ბაში-აჩუკისა და ზაალ ერისთავის იმერელი სტუმრის იგივეობა კი ცხადი ხდება ნაწარმოების, თითქმის, დასასრულს (მეცამეტე თავში).

პოეზიით სავსეა აბდუშაჰილისა და უცნობი მზეთუნახავის შეხვედრა შუამთის უდაბურ ტყეში, დაკოდილი შვლის მეოხებით. გალავანშემორტყმული და მაგრად კარდახშული, რაღაც უცნობი შენობა; მისი, იღუმალებით მოცული, უჟაცრიელი მიდამო; გალავნის დაგმანულ კართან ცოტა ხნით დატოვებული გულწასული ქალისა და დაქრილი შვლის უცნაური გაუჩინარება, — ყოველივე ეს ზღაპრულ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე და თვით აბდუშაჰილზეც. „ნადირთა ღმერთს რომ იტყვიან, სწორედ ეს უნდა იყოსო!“ — ასე ფიქრობს იგი მზეთუნახავის პირველ დანახვაზე. თვითონ სიტყვა „მზეთუნახავის“ ხმარება დიდად აძლიერებს ამ ეპიზოდის ზღაპრულ ელფერს. ვინ არის ეს მშვენიერი ქალი? საიდან გაჩნდა და სად გაქრა? არ ვიცი. ამგვარად იკვრება კიდევ ერთი საიდუმლოების კვანძი.

მეათე თავში გადმოცემულია შუამთის მონასტრის აწიოკება და ერთი მშვენიერი ქალის დაღუპვის ამბავი. ეს ამბავი თავისი ლეგენდარული ხასიათით სავსებით შეესატყვისება მოთხრობის საერთო სტილს, — ამალღებულს, პოეტურს, რომანტიულს. თავის დასასრულს ჩვენ ვხედავთ: დაღუპული ქალი სწორედ ის მზეთუნახავი ყოფილა, ვისაც იღუმალად ეტრფოდა აბდუშაჰილი და დღედაღამ დაეძებდა შუამთის ტყეში.

მომდევნო თავებში პოეტურ სიტუაციას პოეტური სიტუაცია ენაცვლება და მოულოდნელობას მოულოდნელობა ერთვის: სატრფოს სამარესთან ღამეებს ათევს აბდუშაჰილი. ერთ მთვარიან ღამეს კი სატრფო ცოცხალი, ხორცშესხმული ეცხადება მას სამარესთან. ირკვევა საოცარი შეცდომა: მოკლული პირიმთვარისა ყოფილა, აბდუშაჰილის სატრფოს — პირიმზისას და, მისი „ტყუბის ცალი და მგვანი“.

შემდეგ: მიუვალ გამოქვაბულში აბდუშაჰილი და ბაში-აჩუკი, ორივესთვის და მკითხველისთვისაც მოულოდნელად, ერთმანეთს ხედებიან. აბდუშაჰილი თავის თავგადასავალს უამბობს მასპინძლებს (ამ ადგილთან დაკავშირებით წერს ლ. ქიჩელი: „ეს არის გათათრებული აბდუშაჰილის სახით ქართველი ხალხის ეროვნული ტრაგედიის ჩვენება, — ჩვენება იმისა, თუ როგორ აიძულებდა მტერი ქართველ კაცს გადაგვარებულიყო და თავისსავე სამშობლოს მტრად გადაკიდებოდა... ეს ხომ თავგადასავალია მთელი ქართველი ხალხისა, ავტორის მიერ ასე უბრალოდ, ასე მოკლედ, ზედმიწევნილი სიზუსტითა და, მე ვიტყვოდი, სისავსითაც მოთხრობილი სულ რამდენიმე სტრიქონში“)⁵. ირკვევა: აბდუშაჰილი ბავშვობაში ტყვედ გატაცებული ქარ-

⁵ ლ. ქ ი ა ჩ ე ლ ი, აკაკის ბაში-აჩუკი, თხზულებანი, ტ. 4, 1955, გვ. 353, 354.

თველია, — მელანოს ძმა (გამოცნაურების სცენის შესახებ — მელანო რომ მიაყვირებს აბღუშაპილი: „ექვსი თითი ხომ არა გაქვს მარცხენა ფეხზეო“ და სხვ., — ლ. ქიაჩელი იმავე წერილში წერს: „ეს ხომ წამდვილად ხალხური ზღაპრის სიტყვებია, სტილიც ხალხური ზღაპრისაა ექვმიუტანლად, ხერხიც ხალხურია, თითქოს თვითონ ხალხი უშუალოდ თავისი პირით მოგვითხრობსო აკაკის მიერ შეთხზულ ამბავს.

აი, იშვიათი მაგალითი ფოლკლორის ბრწყინვალე გამოყენებისა მხატვრულ, ხელოვნურ ნაწარმოებში“).

ამგვარად, მხოლოდ მეცამეტე თავში მთავრდება ყველა საიდუმლოების გახსნა.

ფოლკლორულ, ზღაპრულ ელემენტთაგან მეცამეტე-მეთოთხმეტე თავებში გვხვდება კიდევ ერთი: ბაში-აჩუკი ფაფანაკს ატანს აბღუშაპილს, რათა სისხლში ამოსვრილი უფროსებს მიუტანოს და დაარწმუნოს, რომ ბაში-აჩუკი მოკლულია.

მეთოთხმეტე თავში კვლავ თავს იჩენს კირილე მოძღვრის სიზმრის მოტივები: „რამდენიმე კვირის განმავლობაში, — ვკითხულობთ აქ, — ისე გაიწმინდა კახეთი თათრებისაგან, რომ მათი ქაჭანებაც აღარსად იყო. დაწმული ეკლესიების კარები გაიღო და ხელახლა გაიხსნა ზარების რეკა; გულის სიღრმეში ჩაეკრა დიდსა და პატარას, როგორც ინიშანი საქრისტიანო, ის ეკლესიის ენა და შეიქნა საერთო ლიტანიობა; ქალი და კაცი, მოხუცი და ყრმა, მალალი და დაბალი, ყველა ერთხმად აღიდებდნენ ღმერთს და აქებდნენ გმირებს“.

გვაგონდება: „თვალი გავახილეთ და მალა ავიხედეთ, აღარაფერი აღარ იყო! ყოველივე გამქრალიყო: აღარც გველეშაპი სჩანდა და აღარც მემომრები... თეთრცხენიანი მხედარიც წასულიყო. სიჩუმე იყო და მხოლოდ სალიტანიო ზარების რეკა ისმოდა, თუმცა სამრეკლოზე კი არავინ იდგა; ტაძარი განათებული იყო და კარები ღია. იგრიალა ხალხმა, მოიხადა ქუდი და მიაშურა პირჯვრისწერით“.

პოეტურია სამეფო დარბაზობაზე ერისთავთა და ჩოლოყაშვილის გამოსვლა. მათ შეეძლოთ სხვაგვარადაც განეცხადებინათ ირანში წასვლაზე თანხმობა, სხვაგვარად დაესაბუთებინათ შაჰის წინაშე წარდგომის აუცილებლობა, მათ კი აზრის გამოსათქმელად პოეზიას მიმართეს და შემოდგომის გაძრკვილი ჭადარი მოიშველიეს. ამიტომაცაა, რომ ასეთ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მოთხრობის ეს ადგილი.

„ბაში-აჩუკი“ თხუთმეტი თავისაგან შედგება. თუ თავებს ამბების თანამიმდევრობის მიხედვით დავალაგებთ, პირველი ორი თავი მეცამეტე და მეთოთხმეტე თავებს შორის მოთავსდება, მესამე კი მეხუთე

თავისაკენ გადაინაცვლებს. თავების აკაკისეული განლაგება ბევრად უფრო საინტერესოა და, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. იგი, როგორც თხრობის ზოგი სხვა საშუალება (ზოგჯერ დიალოგი, ზოგჯერ მთელი ეპიზოდი), საილუმოებათა კვანძების შეკვრისა და მათი თანდათანობით გახსნის პრინციპს ემორჩილება.

მოთხრობაში რამდენიმე ძირითადი ნაკადია: ზაალ ერისთავის, ბიძინა ჩოლოყაშვილის, ბაში-აჩუკის, აბდუშაჰილის. ეს ნაკადები ერთმანეთს უერთდება ბაში-აჩუკის მეოხებით: ის არის მოთხრობის მთავარი გმირი; ძირითადად, მის გარშემო იყრიან თავს პერსონაჟები და მოქმედებაც, უმთავრესად, მას მიჰყავს წინ. რომ გავგეზიარებინა აზრი, რომელიც ნაწარმოების მთავარ გმირად მიიჩნევს კახეთს და „რა ბაში-აჩუკს⁶, მაშინ, აკაკის ამ მოთხრობასთან დაკავშირებით, უნდა გავგემეორებინა ჰიუგოს მიერ ვალტერ სკოტის „მონტროზის ლეგენდაზე“ ნათქვამი: „ბაში-აჩუკის“ შეცდომა ის არის, რომ ამ მოთხრობაში არ არის მთავარი გმირი: „ყველა ფიგურა ერთნაირად კარგადაა დახატული, მაგრამ მათ შორის არ არის არც ერთი, რომელიც გამოეყოფოდა სხვებს, რათა ჩვენი მზერა მიეპყროთ“⁷. მართალია, ყველა პერსონაჟი და, მათ რიცხვში, ბაში-აჩუკი, ერთი პრინციპით, სახელდობრ, „პორტრეტული პრინციპით“ არის დახატული, — მართალია, მოთხრობაში მხოლოდ მათი შტრიხებია მოცემული და ყველა სახე, მართლაც, პორტრეტებს უფრო მოგვაგონებს⁸. მაგრამ ბაში-აჩუკი ასეთ პირობებშიც გამოეყოფა დანარჩენ პერსონაჟებს და პირველი გამოჩენისთანავე მკითხველის განსაკუთრებული ყურადღების საგანი ხდება (გავიხსენოთ აღიღებულ არაგვთან ბრძოლის, ჭიდაობის, ჯირითის და სხვა ეპიზოდები). ვ. კოტეტიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „მოთხრობის მთავარი გმირი, თვით ბაში-აჩუკი, მთელი მოთხრობის მანძილზე, სულ ფეიერვერკივით ელავს, ქრება, მაგრამ ეს ისეთი გაელვება არის, რომ მკითხველისათვის იქმნება გმირის დამთავრებული სახე. ავტორი ამ გმირის მთავარ ნიშნებს იძლევა, დანარჩენს კი მკითხველი ავსებს თავისი ფანტაზიით. და ამ ეპიზოდურ სცენებში, ერთი ხაზმოსმით, ავტორი მაინც ქმნის ისტორიული გმირის ტიპს...“⁹. ყვე-

⁶ აშბ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, აკაკი წერეთელი, 1966, გვ. 196—197.

⁷ Б. Г. Р е н з о в, Французский исторический роман в эпоху романтизма, 1958, стр. 144.

⁸ იხ. ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 394; აშბ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, აკაკი წერეთელი, 1949, გვ. 151; ს. ჭ ი - ლ ა ი ა, აკაკის პროზა, აკაკი წერეთელი, საიუბილეო კრებ., 1940, გვ. 59; შ. რ ა დ ი ა ნ ი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1947, გვ. 357.

⁹ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 394.

ლა ძირითადი პერსონაჟი და ეპიზოდური პირდაპირ ან არაპირდაპირ ბაში-აჩუკის სახელთანაა დაკავშირებული: ბაში-აჩუკი და ზაალ ერისთავი, ბაში-აჩუკი და ბიძინა ჩოლოყაშვილი, ბაში-აჩუკი და აბდუშაჰილი... აბდუშაჰილი ბაში-აჩუკის ძებნაში გადაეყრება პირიმზისას; პირიმზისა და პირიმთვარისა ბაში-აჩუკის დები არიან; მელანო, აბდუშაჰილის და, ბაში-აჩუკის სატრფოა; ფეიქარხანი ბაში-აჩუკის თავს აფასებს ათას ოქროდ; ამ ათასი ოქროს სურვილით ეძებს თიმსალ-მაკო ბაში-აჩუკის კვალს; ბაში-აჩუკის გამო სედებინა ერთმანეთს აბდუშაჰილი და მელანო; ბაში-აჩუკის მეშვეობით უერთდება აბდუშაჰილი აჯანყებულებს... ერთი სიტყვით, ბაში-აჩუკი, სრულიად გარკვევით, ნაწარმოების ცენტრალური გმირია. ვალტერ სკოტის მსგავსად, აკაკიც გამოგონილ პერსონაჟს აკისრებს მთავარ როლს ამ ისტორიული მოთხრობის სიუჟეტურ განვითარებაში.

სრულიად სამართლიანად უწოდა გ. ქიქოძემ აკაკის დიდი პორტრეტისტი¹⁰. მას შეუძლია სულ რაღაც ორიოდე შტრიხით გააცოცხლოს სახე, აღბეჭდოს იგი საკუთარი, ინდივიდუალური ნიშნებით და, ამავდროს, კერძოთი ზოგადი გამოხატოს. გავიხსენოთ როგორ იქმნება მეორე თავში მოურავის სახე: ზაალ ერისთავი აივანზე გამოსულა და ქალებს გადაჰყურებს. მოურავზე ნათქვამია: „შუახნის, ქალაქის მშვენიერი მოურავი იქვე კედელზე ატუზული, თვლებში შეჰყურებდა“. ეს ერთადერთი ფრაზა კმარა ყმის, ხელქვეითის, სხვაზე დამოკიდებული ადამიანის მონური ფსიქიკის შესაჯობად. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ზაალს ქსნის ერისთავები ეწვივნენ და მთელი ოჯახი ფეხზე დადგა, როცა ფარეშები, მზარეულები, ხაბაზები, გამდელები დატრიალდნენ და შეიქნა ერთი ალიაქოთი, „მოურავი დიდი გულმოდგინებით შეჰყვიროდა ხან ერთსა და ხან მეორეს: „არჩა, მიშველეთ!.. აბა, გაისარჯეთ! არ შემარტყვინოთ!.. აბა, თქვენ იცითო!“ და სხვანი. ამავდროს ძალიან გულმოდგინებით იძახოდა, მაგრამ თვითონ კი ერთ ალაგას იდგა და არ იმძროდა, არც ის იცოდა, ვის რა უნდა გაეკეთებინა და ვინ რა საქმეზე მიდიოდა... ის მხოლოდ ისე, როგორც მოურავის რიგი და წესი მოითხოვდა, ისე იჩარჩებოდა, რომ მისი კიყინა გაეგონათ და ერთგულებაში ჩამოერთმიათ. ცხვრები მოაბლავლეს, ქათმები ააქრიახეს, ბატ-ინდაური მორეკეს. იყო ერთი ფაცაფუცი და მზადება. მოურავი ხან იმას დაუხვდებოდა წინ და ხან ამას. სინჯავდა საკლავებს, სიმსუქნე ხომ არ აკლიათო, და ოფლს იწუ-

¹⁰ იხ. გ. ქიქოძე, აკაკი წერეთელი როგორც პორტრეტისტი, ლიტერატურული ნარკვევები, 1938, გვ. 126.

რავდა“. მოურავის ამაზე ცოცხალი და თან ამაზე ტიპიური სახის მოცემა ერთ პატარა სურათში ძნელად წარმოსადგენია.

თიმსალ-მაკო? სულ რამდენიმე მონახაზი და ჩვენს წინ მონენს, მოხერხებული მაქანკლის, ხარბი და ანგარებიანი ადამიანის კოლორიტული სახეა. „ეს იყო, — ამბობს აკაკი, — თელავში მცხოვრები, ტერტერას ქვრივი, კკუითა და მოხერხებით განთქმული, უამისოდ არც ჭირი და არც ლხინი არ იქნებოდა, ავშიაც გამოსადეგი იყო და კარგოდაც, და მასთანაც განთქმული მაქანკალი. ატყდებოდა თუ არა სადმე ახალგაზრდებში ტრფობის ცეცხლი, ეს მაშინვე, თითქოს ტრფანის სუნი ეცაო, იქ გაჩნდებოდა და დაატრიალებდა ჯარას; დიდსა და პატარას ყველას იცნობდა, ყოველ ოჯახში შინაური იყო, ყველასთვის საჭირო და გამოსადეგი, მაგრამ არავის არ უყვარდა“. სულ ორი ეპიზოდით, მელანოსთან ვახშმისა და ფეიქარხანთან საუბრის ეპიზოდებით იქმნება გაიძვერა თიმსალ-მაკოს შესანიშნავი პორტრეტი.

ასეთივე მალალი ხელოვნების ბეჭედი აზის მედროვე ჯანდიერი-სა და მოღალატე სვიმონ მაყაშვილის, ერთგული და თავგანწირული მელანოს, კეთილშობილი აბღუშაპილის, პირიმთვარისას, ზაალ ერისთავის, ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის პორტრეტებს. კირილე მოძღვარიც კი თვალწინ უდგას მკითხველს, ძმისწულების გამყიდველი კიკო ბაქრაძეც, მეფე ვახტანგიც კი, რომელიც კახეთისადმი ქართლელების თანაგრძნობას „გულში დასტურს აძლევდა, მაგრამ, როგორც შაჰნავაზი კი, ვითომ, ჯავრობდა და პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა: — „როგორ გაბედეს ერისთავებმა ჩემი ურჩობა და დიდებული შაჰ-აბაზის დალატიო?!“ „ბაში-აჩუკის“ ყველა პერსონაჟი, — სულერთია, მთავარი იქნება ის თუ მეორეხარისხოვანი, — ნამდვილი, ცოცხალი ადამიანია. არც ერთი მათგანი, რა რიგ ეპიზოდურიც არ უნდა იყოს იგი, არ არის სქემა, აბსტრაქცია, უსხეულო რამ. ამაშია აკაკის, როგორც პორტრეტისტის, დიდი ღირსება.

თუმცა „ბაში-აჩუკი“ სავსეა რომანტიკული ეპიზოდებით, თუმცა თვითონ ბაში-აჩუკიც რომანტიკული გმირია, სხვა პერსონაჟებსაც, — ისტორიულ პირებსაც კი, — რომანტიკული იერი აქვთ და მთელი მოთხრობაც „რომანტიზმის სურნელებით არის მოფრქვეული“¹¹, თავისი მიზანდასახულებით, თანამედროვე (და თუნდაც ისტორიული) სინამდვილისადმი თავისი მიმართებით, იგი მაინც ნამდვილი რეალისტური ნაწარმოებია.

¹¹ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა., აკაკი წერეთლის შემოქმედება, აკაკი წერეთელი, თხულებანი, 1, 1940, გვ. XXX.

ნამდვილი რეალიზმი ხომ სრულებითაც არ უარყოფს რომანტიკას. თვითონ ცხოვრებაა წარმოუდგენელი რომანტიკის გარეშე. არ არსებობს რომანტიკა ცხოვრების რომანტიკაზე უკეთესიო, — ამბობდა ვალტერ სკოტი და ამას თავისი შემოქმედებით არა ერთი გამოჩენილი რეალისტი ადასტურებს.

ცნობილია: როცა შემოქმედი წარსულს მიაპყრობს მზერას, ეს ყოველთვის როდი ნიშნავს რეალობისა და თანამედროვეობისაგან ნოწყვეტას. „თანამედროვეობა გამოიხატება არა იმდენად თვითონ ცხოვრებისეულ მასალაში, — ამბობს ე. პაუსტოვსკი, — რამდენადაც ამ მასალისადმი ავტორის დამოკიდებულებაში, მის მოქალაქეობრივ და მხატვრულ პოზიციაში. ისტორიულ თემას რომ ჰკიდებს ხელს, მწერალი ამით არ წყდება თანამედროვეობას. სისაცულო იქნებოდა გვეფიქრა, რომ „გასროლასა“ და „ქარბუქში“ ჰუშეინი უახლოვდებოდა თანამედროვეობას, „კაპიტნის ქალიშვილი“ კი შორდებოდა მას...

შესაძლოა, არსებობდნენ მწერლები, რომლებიც ისტორიაში იჭრებიან თვითონ ისტორიის გამო, მაგრამ მე წარსული ყოველთვის მაინტერესებდა თანამედროვეობასთან კავშირში და ვწერდი, დროის თვალსაზრისით, ჩემთვის ახლო სინამდვილეზე, თუ გარდასულ ეპოქაზე, მე ყოველთვის ვისახავდი თანამედროვე მიზნებს“¹².

ეს სიტყვები ზედგამოჭრილია აკაკის მთელი შემოქმედებისა და, კერძოდ, „ბაში-აჩუქისათვის“. ისტორიულ წარსულში აკაკი თანამედროვე სინამდვილის ანალოგიებს ეძებს, ეძებს საყრდენს და კრიტიკიულს თანამედროვეობის შესაფასებლად, ეძებს შესაფერის მასალას, რომლის გამოყენებითაც შეძლებს ააღლევოს ქართველი მკითხველი სჯობადობა, შეძლებს დაანახვოს საკუთარი ყოფა და გაუღვიძოს პროტესტის გრძნობა ამ ყოფის წინააღმდეგ, შეძლებს ადაგზნოს მისი გული ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის. თუ გავიხსენებთ, როგორ აღწერს აკაკი კახეთის მდგომარეობას, როცა შაჰ-აბაზ პირველმა „თავისი გმირული, პირდაპირი პოლიტიკა საქვეშქვეშო-სავერაგოზე შესცვალა“, — ადვილად შევამჩნევთ, რომ „აკაკი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შერჩევაში გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ მკითხველმა რაც შეიძლება მეტი იდენტიურობა ნახოს, ერთის მხრივ, მოთხრობაში ასახულ ისტორიული და მეორეს მხრივ — თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ვითარებას შორის, რაც შეიძლება გამკვირვალე და ახლობელი პარალელი გაავლოს ისტორი-

¹² К. Паустовский. Чувство истории. Вопросы литературы, 1965, № 9, стр. 54.

ულ პირთა და თანამედროვე ადამიანთა მოქმედებასა და საქციელს შორის“¹³.

„გმირებს უძახის, უყვივს ჩემი დაფი და ნალარაო“, — წერდა აკაკი და მისი ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ ამგვარ ძახილად, ამგვარ მოწოდებად უნდა ჩაითვალოს.

„ბაში-აჩუკი“ ისტორიული მოთხრობაა, მაგრამ რა აზრით არის იგი ისტორიული? მხოლოდ თემით, თუ ისტორიული მასალის გამოყენების თვალსაზრისითაც? ითვალისწინებს აკაკი ისტორიულ წყაროებს, თუ ანგარიშს არ უწევს მათ (თუნდაც ზოგჯერ) და ისტორიულად დადასტურებულ ფაქტებს თვითნებურად ექცევა? ისტორიული პირების სახეთა შექმნისას ხომ არ დალატობს იგი ისტორიულ სინამდვილეს? ერთი სიტყვით, შეესაბამება თუ არა აკაკის მოთხრობის მხატვრული სიმართლე ისტორიულ სიმართლეს? — არის აზრი, რომ ეს შესაბამისობა ყოველთვის არ არის აკაკისთან დაკული¹⁴. საინტერესოა, რამდენად ახლოსაა ეს აზრი ჭეშმარიტებასთან.

როგორც ცნობილია, აკაკის მოთხრობა თემატიურად მე-17 საუკუნის საქართველოს ამბებთან, კერძოდ, კახეთის 1659 წლის აჯანყებასთან არის დაკავშირებული, — იმ დროსთან, როცა „თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ და იყვნენ შიგა და სხუაცა მრავალი ადგილი კახეთისა დაეპყრათ, ბახტრიანი ციხედ ჰქონდათ. და მრავალი ელი ცოლშვილით ჩამოსახლდენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდნენ მკვდრთ კახეთისათა, რამეთუ ენებათ სრულიად კახეთი გასათათრებლად და ელის დასახლება“¹⁵.

მოთხრობაში რამდენიმე ისტორიული პირია: ზაალ ერისთავი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ პირველი, შაჰნავაზი და ფეიქარხანი (ამ უკანასკნელს აკაკი ზოგან ალი-ყულიხანად იხსენიებს. მხოლოდ პირველ ნაბეჭდ ტექსტში გვხვდება ყველგან ფეიქარხანი¹⁶. „ქართლის ცხოვრებით“, ალი-ყუ-

¹³ ლ. ასათიანი, აკაკის პროზა, წერილები ლიტერატურაზე, 1946, გვ. 33.

¹⁴ მაგ. პროფ. შ. რადიანი თვლის, რომ, ერთი მხრივ, „ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების სახეთა დახატვაში ა. წერეთელი კვლადაკვალ მისდევს ისტორიულ სინამდვილეს“, მეორე მხრივ კი, „საგარძნობლად არის შეცვლილი ზაალ ერისთავის როლი აჯანყებაში“ (იხ. მისი „ახალი ქართული ლიტერატურა“, 1952, გვ. 4 7—428). პირველ შემთხვევაში შ. რადიანს მხედველობაში აქვს ანტონის მარტირია, მეორეში კი — ვ. ბატონიშვილის „ქართლის ცხოვრება“, მაშინ, როცა თითოეულ ამ წყაროსთან მოთხრობის თავიდან ბოლომდე შედარება, ჩვენის აზრით, სხვა სურათს იძლევა.

¹⁵ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 434.

¹⁶ იხ. „კვალი“, 1895, 38, 40, 41, 47, 48, 50; 1896, 15, 16, 18—20, 22.

ლიხანი და ფეიქარხანი ორი სხვადასხვა პიროვნებაა, ორივე შაჰ-აბაზ პირველის, და არა შაჰ-აბაზ მეორის, დროინდელი. ალი-ყულიხანი შაჰ-აბაზ პირველის მიერ კახეთის წინააღმდეგ გამოგზავნილი სარდალია¹⁷, ფეიქარხანი კი მის მიერვე კახეთის მმართველად დაყენებული კაცი¹⁸. შაჰ-აბაზ მეორის დროს, „ქართლის ცხოვრებით“, კახეთი ეპყრა მურთუზალ ყულიხანს¹⁹).

დასახელებულ პირთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზაალ ერისთავი, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ წყაროში სხვადასხვაგვარად გამოიყურება და მისი როლიც კახეთის აჯანყებაში, ამ წყაროთა მიხედვით, სხვადასხვაგვარია.

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს ისტორიული წყაროებისადმი აკაკის დამოკიდებულება, გავიხსენოთ ზაალ ერისთავის დამახასიათებელი ზოგიერთი ფაქტი „ქართლის ცხოვრებიდან“:

როსტომ ხანმა ორგულობისათვის მოკლა არაგვის ერისთავი დათუნა. „მაშინ იყო ძმა დათუნა ერისთავისა ზაალ. შემოიყარა ამან ზაალ ჭარი თვისი და დაუხედა წინა, გაემარჯუა და გამოაბრუნა, მაშინ გაუგზავნა ზაალ კაცი ბატონს თეიმურაზს და შეუთულა ფიცა საშინელი და გაუგზავნა მძევალი და საფიცარი: „მოდო და გაგაბატონებო“²⁰. იმერეთში გადახვეწილმა თეიმურაზმაც უსმინა ზაალ ერისთავს და გადმოვიდა ანანურს. „და წარმოვიდა ბატონი თეიმურაზ და დაიჭირა კახეთი. მაშინ კახეთი დამცრობილი იყო და ვერ დადგა როსტომ მეფის შიშით, მოვიდა და დადგა ანანურთან და მუნითვან ქართლსაცა ცდილობდა“²¹.

ამასობაში „როსტომ მეფე განდიდნა ფრიად და ვერღარა დააკლეს რა მტრებმან“²². როცა დაინახეს ეს, როცა დარწმუნდნენ, რომ თეიმურაზის მომხრეობით ვერას გახდებოდნენ, ზაალ ერისთავმა და იოთამ ამილახვარმა „დაუწყეს როსტომ მეფეს ლაპარაკი და ხუეწნა: „შეგვრიგე და გვმსახურეო“²³. როსტომი დათანხმდა იმ პირობით, რომ ზაალი ჭერ ყაენს ეახლებოდა. ზაალიც დაჰყვა. „და რა მივიდა ზაალ

17 „და, რა ესმა შააბაზს მოსვლა თეიმურაზისა, გარისხდა, ვითარცა ვეშაპი განძქნებული, და ალიყულიხან წარმოგზავნა მრავლითა ჭარითა...“ ქართლის ცხოვრება, II, 1953, გვ. 400.

18 „და დასუა მუნ პატრონად ფეიქარხან და მოუყენა როელიმე ჭარი და ელი...“ იქვე, გვ. 401.

19 „მას ეამსა ეპყრა კახეთი მურთუზალ ყულიხანს...“ იქვე, გვ. 434.

20 იქვე, გვ. 418.

21 იქვე, გვ. 419.

22 იქვე, გვ. 421.

23 იქვე, გვ. 423.

ერისთავი ყაენთანა, სცა პატივი დიდნი და კეთილად მიიჩნევა სიტყვთა როსტომ მეფისათა და უყო წყალობა მრავალი: გაუჩინა წელიწადში სამასი თუმანი ჯამაგირი, გაათათრა და გამოისტუმრა ქართლს. და მოვიდა როსტომ მეფესთანა და მიერითგან იყო ერთგული როსტომ მეფისა“²⁴. იმდენად ერთგული იყო, რომ, როცა მეფე როსტომმა მოითხოვა, ყიზილბაშთა ჯარსაც ჩაუდგა სათავეში და თეიმურაზის წინააღმდეგ წავიდა, იმ თეიმურაზისა, რომელიც ადრე ქართლ-კახეთში საბატონოდ მიიწვია. „ხოლო რა ესმა როსტომ მეფესა (რომ თეიმურაზი დავით ბატონიშვილს და ბიძინა ჩოლოყაშვილს მის დასახვედრად ამზადებდა — ლ. ს.), მანცა წარგზავნა ყიზილბაშის ჯარი იმათ ზედა, და თვთ წარვიდა ბატონს თეიმურაზზედა. და უთავა სარდლად ვახტანგ მუხრანის ბატონი და ზაალ ერისთავი და გაატანა სპანი ქართველთანი. მივიდნენ ესენი ულლისს, იქიდან ბატონი თეიმურაზ მოვიდა და შეიქმნა ომი და თოფის სროლა ძლიერი“²⁵.

როსტომის სიკვდილის შემდეგ ქართლი გადაეცა ვახტანგ V შაპნავაზს. იმ დროისთვის ზაალ ერისთავი დიდად იყო გაძლიერებული.

„მას ეამსა ეპყრა კახეთი მურთუხალ ყულიხანს და ზაალ ერისთავსა. და მურთუხალ ყულიხან იმისის ზურგით იდგა: ზაალ ერისთავის შეუკითხავი არა იქნებოდა რა კახეთში, რამეთუ როსტომ მეფეს დაედგინა იგი კახეთის გამგებლად და ეპყრა ზაალ ერისთავსა ერწოთიანეთი“²⁶. „ამას ეამსა იყო ზაალ ერისთავი ფრიად განმდიდრებული და მორქმული საუნჯითა“²⁷.

ზაალს არ უნდოდა ვახტანგი მეფედ. თუმცა „ამა ვახტანგის ასული ზაალ ერისთავის ძის ზურაბისათს თხოვილი იყო, არამედ ვერცა მოყურობით მოიყენა და დიდად შურობდა და მტერ იყო საქართველოს გამგებლისა ვახტანგისა ზაალ ერისთავი“²⁸. როგორც კი მისცა ყაენმა ვახტანგს ქართლის მეფობა, ზაალი „წარვიდა ქვესა არაგვსასა, განუდგა და არა მორჩილ ექმნა მეფესა შანაავაზს“²⁹. ხოლო უფრო ქვემოთ ვკითხულობთ: „მაშინ, ვითარცა ესმა შანაავაზ მეფის განძლიერება და წყალობა ყაენისაგან, ზაალ ერისთავსა ეწყინა ფრიად და ყაენისაგანაც გულკლებულ იქმნა და შანაოზ მეფესაც შეუოგულდა, უკუ-უდგა. და იყოფებოდა დუშეთსა, ეპყრა მტკიცედ საერისთაო და

²⁴ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 423.

²⁵ იქვე, გვ. 426.

²⁶ იქვე, გვ. 434.

²⁷ იქვე, გვ. 435.

²⁸ იქვე, გვ. 434.

²⁹ იქვე, გვ. 435.

განაგებდა კახეთსაცა. და გული უთქმინდა მსოლოდ თვთპრობად კახეთისა, არა მრწმუნებელი მეფობასა შანავაზისასა“³⁰.

ასეთია „ქართლის ცხოვრებით“ ზაალ ერისთავი: ხან ერთი მეფის მომხრე და ხან მეორის, ხშირად ხელისუფალთა ურჩი, თვით ხელისუფლების მოყვარული და მოსურნე, გაათარებული ქართველი, კახეთის ფაქტიური მებატონე... ამ ზაალ ერისთავს უკავშირებს, სწორედ, „ქართლის ცხოვრება“ კახეთის დიდ აჯანყებას, იგია ამ აჯანყების ინიციატორი, მისი ორგანიზატორი და მოთავე. მართალია, ზაალის ეს ღირსშესანიშნავი თაოსნობა ყაენთან მის პირად დამოკიდებულებასთანაც არის, თითქოს, დაკავშირებული, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ იგია კახეთის აჯანყების ხელმძღვანელი.

გზად მარტო მიმავალი კახელი ხუცესისთვის პატივი აუყრიათ თათრებს. შეურაცხყოფილი ხუცესი ზაალ ერისთავთან მისულა ჩივილით. „დაუჩოქა ხუცესმან და შესჩივლა, — ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“: „შენ ზაალ ერისთავი ხარო და კახეთის გამგებელიო, გააოკრეს სრულიად კახეთი უსჯულოთა აგარიანთა და მე გზაზედ შემოპყრეს და შემამთხვევეს საქმე უშუერი... და აწ ამისი მაგიერი პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინათგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი“.

ხოლო, რა ესმა საქმე ესე ზაალ ერისთავსა, დიდად მწუხარე იქმნა, და იყო მას ყამად ზაალ ერისთავი ყაენის მომღურავი. მაშინ შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა და ელიზბარ და კახი სუფრაჯი ზიძინა ჩოლაყაშვილი. და შემოიფიცეს მთის კაცნი თუშნი, რამეთუ შალვა ქსნის ერისთავი სიძე იყო მისი. ამათ გაატანა თანა ზურაბ, ძე თვისი, და წარვიდენ ღამესა ერთსა. დაესხნენ თავსა სულტანსა ბახტრიანს და ამოსწყვტეს, და მოსრნეს ბახტრიანის ციხეში მდგომნი ელნი, და რაც იყვნენ, მიჰყენენ იქიდამე კოციოთა, ჩავიდნენ ალავერდს და, რომელნიცა მუნ იყვნენ, თათარნი და ელი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახვლისათა. და ამოსწყვტეს დედაწულითურთ და, აკუანში რომელნიც ყრმანი იყვნენ, იგინიცა დაკოცნეს, სადაც კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყვტეს და არა სადა დაშთა, რომ ყოველივე არ მოკლეს. და რომელნიმე ივლტოდეს. წარვიდეს და განაძეს. კახეთში თათარნი აღარსად იპოვებოდენ, თვნიერ ყარაღაჯისა. მაშინ ყარაღაჯს იჯდა მურთუზალი-ხან, და გაემარჯუათ და იშოვეს მრავალი საშოვარი. და განათავისუფლეს კახეთი თათართაგან და არა სადა იპოვებოდა თათარი. წარმოვიდნენ და მოვიდნენ გამარჯუებულნი ზაალ ერისთავთანა.

³⁰ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 436.

ხოლო ესმა რა ესე ამბავი შააბაზს ყაენსა, იწყინა დიდად. მაშინ ყაენმანცა მოსწერა წაქდენა და სიკუდილი ერისთვისა ზაალისა და, რომელნიცა ერივნეს თათართა სისხლსა შინა, იგინიცა დაკოცეთო“³¹.

ზაალი ღალატით მოკლეს გიორგი ერისთავის შვილებმა — ოთარმა და მისმა ძმებმა. ზაალის ძენი გაიქცნენ. „ხოლო მეფემან შანაეაზ გაუყენა უკანა კაცები, მოეწივნეს ტბის-ყურზედა, კაცები დაუტოცეს და ორნი ძმანი, ზურაბ და ნაბერალი, შეიპყრეს და მოჰკვარეს ზეფესა, და მან გაუგზავნა ყაენსა“³².

„ქართლის ცხოვრებით“ ზაალ ერისთავის როლი კახეთის აჯანყებაში აშკარად მნიშვნელოვანია.

როგორ გამოიყურება ზაალი აკაკის მოთხრობაში?

აკაკის ზაალ ერისთავი ფრთხილი და ჰკუჟამდამჭდარი კაცია. მისი ფსიქიკა დამონებული და მონობაში იმედდაკარგული, საკუთარი ძალებისადმი სრულიად ურწმუნო და მტრისგან შეშინებული, მტრისგან სულით ხორცამდე ძლეული კაცის ფსიქიკაა „...ვთქვათ, რომ თავზევით ღონე აღარ არის!... ღვთის რისხვა მომდგარია და უნდა ავიტანოთ, ღვთის ნებასვე უნდა მივედლოთ!“ — ასეთია მისი გამოძახილი ბიძინა ჩოლოყაშვილის აღშფოთებისადმი იმის გამო, რომ ირანელთა მიერ დაპყობილ კახეთში „ქრისტიანობა ამოვარდა, წირვალოცვა აღარ არის, ზარების რეკა აღარ ისმის, ხატები შეურაცხვეს და ტაძრები გააუპატიურეს“.

ჯერ ბაში-აჩუკთან, ხოლო შემდეგ — ქსნის ერისთავებთან საუბრის მთელ მანძილზე ზაალ ერისთავი ერთ იმედიან სიტყვასაც არ ამბობს. იგი უყოყმანოდ ცდილობს დაასაბუთოს თავისი სიძისა და ერისთავთა განზრახვის უნიადაგობა, ბიძინასი და შალვას ახალგაზრდული წინდაუხედაობა. აი, რა ხასიათისაა მისი რეპლიკები:

„მარტო ხელის განძრევა ველარას გვიშველის!...“

„მერედა ორი ათასი კაცით სამოცი ათასზე გალაშქრება რა მოსაფიქრებელია?...“

„აბა, ჩემო იმერელო! ყმაწვილი ხარ და წინდახედულობა გაკლია. მიელმა კახეთმა ვერა უყო რა და ახლა ორი ათასი კაცით უპირებთ გადენას? აბა რა სათქმელია! ციხეები ხელში უჭირავთ და

³¹ ქართლის ცხოვრება“, II, 1959, გვ. 438.

³² იქვე, გვ. 439. ასეთსავე ცნობებს გეაწვდის ზაალ ერისთავის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი, ოღონდ კახეთის აჯანყებასა და ვა ტანგ მეფისადმი დამოკიდებულების გამო ის მოკლედ ამბობს: „ზაალ ერისთავმან მოსწყვიტნა ელნი კახეთს და მტერობდაცა ვახტანგ ეფესა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე, მეორე გამოცემა, 1913, გვ. 77). ჩოლოყაშვილსა და ქსნის ერისთავებს ვახუშტი, საერთოდ, არ ახსენებს.

ქალაქი!... ვერცა რას კახეთს ვუშველით და ქართლსაც საფრთხეში ჩავაგდებთ... გამძვინვებული ყვენი მიზეზს ეძებს, რომ ქართლსაც ის დღე დააყენოს, რაც კახეთს!“

„— კი, მაგრამ განგებას უნდა დავაცადოთ... დღეს ასეა, ხვალ ისე იქნება; აი, გუშინ რა ავდარი იყო და დღეს რა დარია! დროსაც შე-რჩევა უნდა“.

„თქვენ შეგიძლიათ თქვენი თავი გასწიროთ, მაგრამ ქვეყანას რას ერჩით? იმას აღარას ჰკითხავთ?... ორი ათასი მხედარი იქ გავწყვი-ტოთ... ჩავკლათ! აქ ვინდა დავახვედროთ, როცა გარისხებული ჩვენზე მოვლენ?...“

თუშეცა ამას ამბობს ზაალ ერისთავი, მისი საბოლოო გადაწყვეტი-ლებიდან ჩანს, რომ იგი საკუთარ თავს მაინც უფრო უფრთხილდება, ვიდრე ქვეყანას: კირილე მოძღვრის წინასწარმეტყველური სიზმრით შთაგონებული, იგი ბოლოს და ბოლოს თანხმდება ერისთავებს შეა-წიოს კახეთს თავისი საყმოდან ხალხი, ოღონდ ისე, რომ თვითონ არ გაერიოს საქმეში. მისი სიტყვებია: „თუ კირილე მოძღვრის შეგონებით ჩემი საყმოდან წამოგყვებათ ვინმე, არ დაეუშლო, მით უფრო, რომ მე არა ვიცი რა“.

მოთხრობაში ზაალ ერისთავი მეფის ერთგული ფეოდალი ჩანს, მეფის პოლიტიკის მომხრე და მიმდევარი. თავის სტუმრებთან კამათ-ში იგი ხშირად იშველიებს მეფის სახელს:

„ჩემი სიძე ჯერ კიდევ ყმაწვილია, გული საგულეს აქვს! მე მი-ჯერის ქსნის ერისთვისაგან, როგორ დაეთანხმა?... არ იცის, რომ მა-გით იქ ყვენი ააშფოთებს და აქ ქართლის მეფეს გაარისხებს?“

„დღეს თუ კიდევ სული გვიდგას, ბატონი მეფის წინდახედულო-ბის ბრალია. ღმერთმა დიდი დღე მისცეს ვახტანგ მეფეს!“

„მაგ ურჩობით მეფეს გავიწყრომებთ და მეტი არა გამოვა რა... ჯერ, ასეა თუ ისე, თავის წინდახედულობით ბატონმა მეფემ ქართლი შეინახა. ყვენის გული მოგებულნი აქვს და ჩვენ რად გავუხდეთ მი-ზეზად, რომ ამდენი ხნის მეცადინეობამ ჩალად ჩაუაროს?“

„მე მეფის ურჩი ვერ გავხდები...“

„ქართლის ცხოვრება“ კი, როგორც ზემოთაც დავინახეთ, გვე-უბნება, რომ ზაალ ერისთავი სწორედ „მეფის ურჩი“ იყო მთელი სოცოცხლე, სიკვდილამდე არ ჰმორჩილებდა და ებრძოდა მას.

განსხვავება „ბაში-აჩუკში“ წარმოდგენილ ზაალ ერისთავსა და „ქართლის ცხოვრებაში“ მის შესახებ მოცემულ ცნობებს შორის სრულიად აშკარაა. რით არის გამოწვეული ეს განსხვავება? რატომ არ მოიხურვა აკაკიმ, ზაალ ერისთავის სახის შექმნისას, „ქართლის ცხოვრებას“ დაჰყრდნობოდა და მთავარი როლიც კახეთის აჯანყება-

ში ერისთავისთვის მიეკუთვნებინა? ცხადია, იმიტომ, რომ კახეთის ამბოხებაში დიდი მონაწილეობის მიუხედავად, ზაალ ერისთავში აკაკიმ ვერ დაინახა ეროვნული გმირი. ერისთავის გაუთავებელ ბრძოლებში ხან ერთი და ხან მეორე მეფის წინააღმდეგ გამოჩნდა ტიპიური ფეოდალის საჩე, ფეოდალის, რომელიც მუდამ საკუთარი ძალაუფლების გაზრდასა და თავისი სამფლობელოს გაფართოებას ცდილობს და, საჭიროების შემთხვევაში, რჯულზე უარის თქმაც არ უძნელდება. როგორც სავსებით სპარტლიანად შენიშნავს პროფ. შ. რადიანი, სწორედ იმის გამო, რომ ზაალ ერისთავი ხშირად იცვლიდა პოლიტიკურ ორიენტაციას, აკაკიმ იგი მოთხრობაში აჯანყების მუთაურად არ გამოიყვანა³³.

მაგრამ „ქართლის ცხოვრებიდან“ ასეთი გადახვევა როდი ნიშნავს საერთოდ ისტორიული წყაროების უგულვებელყოფას და ისტორიული სინამდვილის ღალატს. არ ნიშნავს იმიტომ, რომ აკაკი თავისი სურვილისამებრ კი არ ცვლის ისტორიული პირის სახეს და მის როლს ისტორიულ ამბავში, არამედ, ზემოთ აღნიშნული მოტივებით გვერდს უვლის რა ერთ წყაროს, იმავე დროს, მხედველობაში აქვს სხვა ისტორიული წყაროები, რომელთაც იგი ზედმიწევნით იცავს. ჩვენ ვგულისხმობთ ფარსადან გორგიჯანიძის „როსტომ მეფის ცხოვრებასა“ და ანტონ I მარტირიკას, რომელიც 1882 წელს დაიბეჭდა საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ და ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების მარტივილობაზე მოგვითხრობს.

ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, ყაენის უხვი წყალობა ზაალ ერისთავისთვის შეშურდათ სხვებს და შეუჩინდნენ მოშურნენი მას, „აქეს და აღიდეს და ასრე მოახსენეს: შენს დროშიაო რასთვის უნდა კახეთი თათრით აივსოსო, ასეთი რამე მოახდინეო, რომ საქრისტიანო არ წახდესო“. ამაში ერისთავი ვერ ჩამოიყოლიეს. ასრე ითქვა: „შვილი და სიძეო სიტყვით გაერივნესო“ და კახთ ერისთვის მტერობით თუშნი ერთმანერთს შეაფიცეს, ასრე რომე, საცა კახეთში თათარი დაესანლებინოს, დაესხან და ყათლამი უყონ: და ასრე ჰქნეს, დაესხნეს და საცა თათარი ხმალ-ქვეშ დაველეს და ალიყული-ხან ქანგარლუ თვითონ ციხეში გამაგრდა: ეს ყველა სხვათა ნაქმარი ერისთავს დაბრალებს და ყაენს მისწერეს...“³⁴

33 შ. რ ა დ ი ა ნ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1952, გვ. 42ბ.

34 ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, როსტომ მეფის ცხოვრება, საქარ-თველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა, 1913, გვ. 335.

როგორც ვხედავთ, ფარსადან გორგიჯანიძე გვეუბნება, რომ ზა-
ალ ერისთავს მხოლოდ დაბრალდა კახეთის აჯანყება, თორემ ის აქ
არაფერ შუაში არ ყოფილა. თან ახსენებს ალიყული-ხანს, რომელიც,
აკაკის მოთხოვნის მიხედვითაც, კახეთში იმყოფება, როგორც მისი
ირანელი მმართველი.

ენაქოთ ახლა რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს აკაკის
„ბაში-აჩუკს“ ანტონ I-ის მარტირიკასთან³⁵. კახეთის მდგომარეობის
აღწერის შემდეგ აქ ვკითხულობთ:

„მაშინ გამობრწყინდეს წმიდანი ესე ახოვანი მოწამენი, რამეთუ
უფალმან საკვრველებათამან და ყოვლისა შემძლებელმან და უღონო-
თა ღონიერ მყოფელმან, მოსცა გონებასა სანატრელისა ბიძინასასა გან-
ძრახვა კეთილი და გონიერება შემსგავსებული ღმრთის მსახურებისა
და ახოვნებისა მისისა. წარვიდა წინაშე ორთავე ერისთავთა მიმართ
ქართლისა არაგვსა და ქსნისათა და აუწყა ყოველი ძკრი მოწვეწული
მათ ზედა და ითხოვდა შეწვეწვასა მათ მიერ (მოვიგონოთ: ბიძინა ჩო-
ლოყაშვილი ბაში-აჩუკის ხელით ზაალ ერისთავს მიართმევს წიგნს,
სადაც უამბობს კახეთის გაჭირვებას და შემწეობას სთხოვს. ასეთივე
თხოვნით მიმართავს იგი ქსნის ერისთავებს), რამეთუ მაშინ ერისთა-
ვობდა ხეცა არაგვსასა, რომელსაც ეწოდებოდა ზაალ (აქ სქოლიოში
აღნიშნულია: ზაალ ერისთავი „ნათესავი იყო წმინდისა მთავარ მო-
წამისა ბიძინასი. ასული ზაალისა ქეთევან ჰყუანდა ცოლად წმ. ბი-
ძინას, რომელიც მიიცუტა 1679 წელსა“. მოთხოვრებაშიც ბიძინა სიძეა
ზაალ ერისთავისა, მაშინ, როდესაც „ქართლის ცხოვრება“ ზაალის

³⁵ სრული სათაური: „თუესა სეკდემბერსა იშ დღესა, შესხმა წმიდათა მოწა-
მეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყება წამებისა მათისა“ (საბინინი,
საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 599).

ივ. ლოლაშვილმა 1941 წელს „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამ-
ბეში“ (გვ. 231—258) გამოაქვეყნა წერილი „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის“. ამ
წერილში იგი ეძებს პირიმთვარისას ეპიზოდის უშუალო წყაროს და ასეთად მიუ-
თითებს ანტროქე სტრატიგის „წარტყუნება იერუსალმისაჲ“-ს. ჩვენთვის
საინტერესოა ის, რომ სქოლიოში მას მოაქვს თითო მაგალითი, ერთი მხრივ, „ქარ-
თლის ცხოვრებიდან“ და აკაკის პოემიდან „ნათლა“, ხოლო, მეორე მხრივ,
ანტონის მარტირიკიდან და „ბაში-აჩუკიდან“ —იმის საჩვენებლად, „რომ აკაკი
წერეთელი „ქართლის ცხოვრებას“, ანდა ბიძინას, შალვასა და ელისბარის „მარტ-
ვილობას“ არ ღალატობს და ისტორიულ სინამდვილესაც კვალდა-კვალ მისდევს“
(გვ. 253). მაგრამ ივ. ლოლაშვილი ამას ამბობს მოთხოვნის მხოლოდ ერთ გარ-
კვეულ ადგილთან დაკავშირებით. მისი წერილის მიზანს არ წარმოადგენს მთლიან-
ნად „ბაში-აჩუკის“ შედარება ისტორიულ წყაროებთან, — კერძოდ, ანტონის
მარტირიკასთან, — და მათი ურთიერთ დამოკიდებულების ბოლომდე გარ-
კვევა.

სიძედ შალვა ქსნის ერისთავს თვლის). და ქსანსა ზედა წმიდა ელის-
ბარ და წმიდა შალვა, რამეთუ ელისბარ უშულო იყო და მოხუცებუ-
ლი ღლითა და წმიდა შალვა ძმისწული მისი შულად მიიყუანა და ეს-
რეთ ერისთაობდენ ორივე ქსანსა ზედა (მოთხრობაშიც შალვა ელიზ-
ბარის ძმისწული და შვილობილია. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით
კი, შალვა მამა არის ელიზბარის). ხოლო წმიდა მოწამე ბიძინა იყო
კახეთით, დიდთა თავადთაგანი ნათესავით ჩოლაყაშული. ესე წარვიდა
ვითარც ვთქუ ერისთავთა მათ მიმართ და აუწყა მათ ყოველი ძკრი
მოწვევული მათ ზედა და ეტყოდა: „იხილეთ ჩემი ესეოდენი ჳირი
და განსაცდელი, ვითარ მწარე ესე ოხრება კახეთისა და აწ სრულიად
დაპყრობა თათართაგან და აღხოცა ქრისტიანობისა (მოვიგონოთ ბი-
ძინას წერილიდან ადგილი, ზაალ ერისთავი რომ კითხულობს ხმამაღ-
ლა: „იწერება: „ქრისტიანობა ამოვარდაო, წირვა-ლოცვა აღარ არის,
ზარების რეკა აღარ ისმის, ხატები შეურაცხვეს და ტაძრები გააუ-
ბატიურესო...“) დღეს ჩუენ ზედა არს მოწვევული ესე ძკრი. მცირედ-
და და თქუენ ზედაცა უეჭუელად მოიწვევს განსაცდელი ესე (მოვი-
გონოთ შალვა ერისთავის სიტყვები მოთხრობიდან: „კახეთი გათათრ-
და... ქვეყანა გოდებით აივსო, — მეტი უბედურება რაღა დაადგება
ქვეყანას?!.. დღეს თუ ხვალ, ქართლიც აღარ იქნება, ისიც კახეთით
აოხრდება“). აწ უკუე აღუდგეთ მათ ზედა, დაღაცა თუ შეუძლებელ
არს, არამედ ძალითა და შეწვევითა დამბადებელისა და ღუთისა ჩუ-
ენისა და წინა ძლომითა და განძლიერებითა ცხოველსყოფელისა
ჳიარისათა და თანა დგომითა ახოვანისა მხედრისა წმიდისა გიორ-
გისათა (გაეიხსენოთ კირილე მოძღვრის სიზმრიდან „მხედარი, შუბით
ხელში“, რომლის მეოხებითაც დაამარცხეს მეომრებმა გველეშაპი),
რამეთუ დიდებული ტაძარი მისი დაიპყრეს და შეაგინეს და პატიო-
სანი ხატი მისი შემუსრეს (გაეიხსენოთ: „ალავერდის მონასტერს, დი-
დება მის ძლიერებას, უწმინდური დაჰპატრონებოდა!“). აწ აღუდ-
გეთ მათ ზედა და ბრძოლა ვჳყოთ, ნუთუ ინებოს ღმერთმან და
ვძლიოთ და ვიოტოთ; ანუ თუ მოვსწყდეთ სახელისა მისისათვს, რა-
ზეთუ ვითარცა ქრისტემან მეუფემან ჩუენმან დაღვა სული თვისი
ჩუენთვს და რაჲ საკვრუელ არს, უკეთუ ჩუენცა დავდვათ სული
ჩუენი მისთვს და ძმათა ჩუენთათვს და მოვსწყდეთ სახელისა მისი-
სათვს; დაღაცა თუ მრავალ არიან იგინი და უფროს რიცხვსა და ჩუენ
შეჳცირებულ ვართ დღეს ცოდუათა ჩუენთათვს და არა არს აწ
ჩუენთანა მთავარ და წინა მძღუარ. არცა მხედართა განწყობილება
და ძალი საჳურველთა, არამედ თავითა დამბადლებულითა და სული-
თა გლახაკობისათა აღუდგეთ მათ ზედა და უკეთუ ინებოს ღმერთმან
ერთითაჲ იოტის ათასეულნი და ორმან წარიჳციოს ბევრეულნი და

უკეთუ ესე არა ინებონ ღმერთმან და ვერ მძლე ვექმნნეთ ეგრეთვე მოვსწყდეთვე სახელისა მისისათჳს (მოვიგონოთ ისევ კირილე მოძღვრის სიზმარი, — სამთავან ერთი მეომარი რომ მიმართავს „ზარდაცემულ ხალხს“: „ვინ ქართველი და ვინ გულგატეხილობაო. აღარ გახსოვთ ძველი ანდერძი: „სირცხვილს სიკვდილი სჯობს და ორივე კი ერთად — ჯოჯოხეთიაო“. ამ სოფელს გამოთხოვებიხართ, დღეს თუ ხვალ აღარც ერთი აღარ იქნებით და ცხვრებსავეთ კი დაგიდევიათ თავი!... არ გიჯობსთ, რომ წინააღმდეგეთ უწმინდურს და ბრძოლაში დალიოთ სული? განა ეს უფრო ვაჟკაცი არ იქნება და გულის მოსაოხებელიო?...“ გავიხსენოთ, აგრეთვე, მოხუცი ელიზბარის სიტყვები: „ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია! საქრისტიანო უნდა იმზობოდეს და ჩვენ აქ უნდა ვისხდეთ. გულბელდაკრფელი?... „უგანგებოთ ვერას მიზმენ, გინდ შემებან ხმელთა სპანიო!“ ჩვენც მივენდოთ განგებას!“ ან შალვა ერისთავის განცხადება: „ფუ ვერ გავიმარჯვებთ, სახელოვნად მაინც დავიხოცებით: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანო!“ მოთხრობის გმირთა განწყობილება და ამ განწყობილების გამოხატეაც აშკარად მარტვილობის ანალოგიურია.) „იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ უკუნისამდე“.

ესმა რა ესე ორთავე მათ ერისთავთა, ქმნეს განზრახვა ურთიერთსა და აღუთქმეს შეწევნა. ხოლო ერისთავი არაგვსა ცხადად ვერ იკადრებდა შეწევნასა შიშისათჳს სპარსთასა, არამედ მცირედნი ოდენ კაცნი რჩეულნი მხედრები მოსცნა თანა შემწედ საიდუმლოდ (ეს ადგილი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან არც ერთი სხვა წყარო ზაალ ერისთავს და მის როლს კახეთის აჯანყებაში არ წარმოადგენს ამგვარად; მოთხრობაში კი, როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, როცა საგანგებოდ ზაალ ერისთავზე ვლაპარაკობდით, სწორედ ასეა. ზაალი ამბობს: „მე მეფის ურჩი ვერ გავხდები... მაგრამ, თუ კირილე მოძღვრის შეგონებით ჩემი საყმოდან წამოგყვებათ ვინმე, არ დაეუშლი, მით უფრო, რომ მე არა ვიცი რა). ხოლო ახოვანთა მათ და ღმერთის მსახურებით განშტენებულთა ელისბარ და შალვა დიდითა გულს მოდგინებითა მოირთეს ძალი რაჟსაცა ოდენ შემძლებელ იყტნეს სპითა თჳსითა. მოვიდეს თიანეთს და იხსნეს თუშნი და მთიულნი და მცირედნი კაცნი თუ სადამ იპოვებოდა და ღამესა ერთსა ბნელსა და უმთვაროსა (მოთხრობაში ვკითხულობთ: „უმთვარო ღამე იყო“) გარდავლნეს მთა იგი და ჩავლეს ახმეტა (მოთხრობაშია: „გადაიარეს მთა და ჩავიდნენ ახმეტაში“). და მივიდეს უგრძნობელად მათ ზედა და დაესხნეს მუნ მდგომთა თათართა ზედა. ძალისა პატიოსანისა ჟუარისათა და მეოხებითა და წინა ძღომითა წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისათა და დაუწყეს სრვა და ხოცვა და

ესოდენ ასწყვდეს ვიდრე სრულიად მოსპობადმდე და აოტეს და განაბნინეს და მოსრეს პირითა მახვლისათა და თვთ სულტან (აქ სქოლიოში შენიშვნაა: „მმართველად კახეთისა დადგენილ იყო შაჰ აბაზისაგან სულტან პენკარხან, რომელი ლტოლვილ მიემთხვია სპარსეთს 1659 წელსა“. შეადარეთ ეს „პენკარხან“ აკაკის „ფეიქარხანს“) იგი მთავრად მათდა ჩინებული ძლითა შეესწრა ცხენსა და მცირედითა ოდენ კაცთა ივლტოდა და დამტევებელი ცოლთა და შვლთა თვსთა (გაეიხსენოთ მოთხრობიდან, — ფეიქარხანმა რომ „ცხენიო! — დაიძახა, მოაჭდა უნაგირს და ისეთი სისწრაფით გაუდგა გზას, რომ ორძა-სამძა მხლებელმა ძლავს მოასწრო გაყოლა“). ხოლო მათ ყოველივე ასწყვდეს და იავარ ჰყუეს და სრულიად მოსპეს და განაბნინეს და ესრეთ ძლევა შემოსილნი მადლობდეს ღმერთსა და წმიდასა დიდებულსა მოწამესა გიორგის. რამეთუ ცხადად იხილვებოდა მთავარ მოწამე გიორგი ცხენსა ზედა სპეტაკსა ელვის სახედ მიმომასრბოლი წინა მავლად მათდა (აქ ჩვენ კვლავ კირილე მოძღვრის სიზმარი გვაგონდება, — კერძოდ, ის ადგილი, სადაც ბრძოლით დაქანცულ მეომრებს შემწედ და მხსნელად მოევლინება „თეთრცხენიანი მხედარი“: „ამ დროს გამოჩნდა მთიდან მომავალი მხედარი, შუბით ხელში, თეთრ ცხენს მოაგელვებდა. მიეჭრა გათამამებულ გველეშაპს და უგმირა ლახვარი“. საერთოდ, ვფიქრობთ, რომ სიზმარი, — სიზმარი, არა როგორც ხერხი, არამედ მისი შინაარსი, მისი სურათები, მოქმედი პირნი და მათი განწყობილება, — უშუალოდ ამ თხზულებით არის შთაგონებული).

ხოლო ესეოდენი ძლევა მისცა ღმერთმან ამათ სამგზის სანატრელთა მცირედითა კაცითა, ვიდრელა არა სადა სმენილ არს სხუათა ნათესავთა შორის ესე ვითარი, რამეთუ თათართა მათ ითქმოდა ოთხმეოცი ათასი სახლი, რომელთა დაებანაკა კახეთსა შინა. და ესოდენ ასწყვტეს და განაბნინეს ვიდრელა არცა თუ ერთი იპოვებოდა კახეთსა შინა და ესრეთ განუმარჯუა ღმერთმან და ესე ვითარი ძლევა მოანიჭა ამათ ახოვანთა“ (მოთხრობაში ვკითხულობთ: „რამდენიმე კვირის განმავლობაში ისე გაიწმინდა კახეთი თათრებისაგან, რომ მათი ჰაკანებაც აღარსად იყო“)³⁶.

უთუოდ მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ იკორთა, სადაც, მოთხრობის მიხედვით, აჯანყების დაწყების წინ, „მღვდელმთავარმა გამოიყვანა წირვა, პარაკლისი გადაიხადა და აიაზმა ასხურა ჯარს“, არც ერთ სხვა წყაროში ნახსენები არ არის, გარდა ამ თხზულებისა. აქ ნათქვამია: წამებულთა ძვლები ქირისუფლებმა სპარსე-

³⁶ ს ა ბ ი ნ ი ი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 601—603.

თიდან ქართლს გადმოასვენებს და „სამნივე იგი ერთ ბამად განუყოფელად მოიხუტნეს და დახსნეს ერთსა სამარხოსა შინა იკორთას დაბალსა მონასტერსა შინა მთავარ ანგელოსთასა ჩრდილო კერძო, დამართებით წინაშე სუჭტისა“. — დასკვნა თავისთავად ცხადია.

ზემოთ პარალელურად მოტანილი ტექსტები, ვფიქრობთ, აშკარად მიუთითებს „ბაში-აჩუკის“ ისტორიულ წყაროსა და, აგრეთვე, ისტორიული სინამდვილისადმი აკაკის დამოკიდებულებაზე. იმ ცნობებს, იმ დოკუმენტს, რომელსაც თავისი მოთხრობისათვის იყენებს აკაკი, იცავს კიდევ იგი, არ ღალატობს მას. მოთხრობის მთავარ ისტორიულ პერსონაჟთა არსებითი ხასიათის შტრიხები, გარკვევით, აკაკის მიერ არჩეული ისტორიული წყაროთია ნაკარნახევი. იმავე წყაროთია ნაკარნახევი მოთხრობის გმირთა საერთო განწყობილება და ზოგიერთი მხატვრული პასაჟიც კი. ამიტომ არ შეგვიძლია დავეთანხმეთ პროფ. მიხ. ზანდუკელის აზრს: თითქოს, აკაკი „თვითნებურად ეპყრობა ისტორიულ ფაქტიურ მასალას, ზუსტად არ იცავს ისტორიულ სინამდვილეს“³⁷. აკაკი სწორედ რომ დიდ ანგარიშს უწევს „ისტორიულ ფაქტიურ მასალას“, მაგრამ, როგორც მხატვარს, არ შეუძლია და არც კმორჩილებს მას მონურად. „ისტორიულად მართალ სიუჟეტში“ აკაკის უხვად შემოაქვს „წმინდა რომანტიკული ელემენტები“³⁸, მოთხრობის ისტორიულად მართალ მოქმედ პირებს იგი უერთებს გამოგონილ პერსონაჟებს (დადებითს და უარყოფითს) და ამით ძალიან ბევრს ჰმატებს თხზულების, როგორც მხატვრულ, ისე ისტორიულ ღირსებას.

გ. ქიქოძეს მიაჩნია, რომ აკაკი წარსულს რომანტიკოსი პოეტის თვალით უცქერის და მის „ბაში-აჩუკს“ (აკაკის სხვა ნაწარმოებებთან ერთად), გორგიჯანიძის ისტორიასა ან არქანჯელო ლამბერტისა და მარდენის მოგზაურობათა აღწერასთან შედარებით, ბევრი აკლავ „ისტორიული კოლორიტის და რეალისტური სიმართლის თვალსაზრისით“³⁹. უფრო ადრე ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული კიტა აბაშიძეს: „მისი ისტორიული პოემა „თორნიკე ერასთავი“, — წერს იგი, — „ბაგრატი“, დრამა „თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“, მისი „ბაში-აჩუკი“ ერთისა და იმავე აზრით აღსავსენი, სულ სამშობლოს ისტორიის იდეალიზაციაა და ამ მხრით იგინი ნამდვილი რომანტიკული

³⁷ გ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, II, 1962, გვ. 416.

³⁸ გ. ქიქოძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX საუკ., 1947, გვ. 182.

³⁹ გ. ქიქოძე, აკაკი წერეთელი, როგორც პორტრეტისტი, ლიტერატურული ნარკვევები, 1938, გვ. 125.

ნაწარმოებნი არიან და მარტო პოეტის პირადის შეხედულების გამოქმნაველი. ეს პოემები და დრამები გვარწმუნებენ, რომ ძველ საქართველოს მზებზედ არც ერთი შავი ლაქა არა ყოფილა, ყველანი ძხნენი იყვნენ, გულადნი, მამაცნი, ყოველის სიკეთითა და მშვენიერებით აღსავსენი... თქმა არ უნდა, დიდი გმირული სული უნდა სდგმოდა იმ ერს, რომელმაც ამდენ აოხრებას კიდეც გაუძლო, მაგრამ ისიც მართალია, რომ, თუ დიდ გმირებს გვერდით დიდი სულით დაცემულები არა ჰყოლოდა, ჩვენის ბედის ჩარხი სხვა რიგად დატრიალდებოდა⁴⁰. სავსებით სწორი აზრია. მაგრამ განა იმავე „ბაში-აჩუქსი“ ჩვენ „დიდი გმირების გვერდით“ „დიდ სულით დაცემულებსაც“ არა ვხედავთ? განა ბიძინა ჩოლოყაშვილს, ქსნის ერისთავებს, ბაში-აჩუქს, მელანოს და სხვა გმირებს—ქალსა და კაცს—მხარს არ „უშვებენბენ“: ჯანდიერი, მაყაშვილი და კიკო ბაქრაძე? განა მოთხრობიდან არ ჩანს, რომ ქართველთა შორის იმ დროს მრავალი სხვაც იყო ასეთი ჯანდიერი და მაყაშვილი? რომელი მოგზაურობის აღწერაში ან რომელი ისტორიაში შეიძლება შეგვხვდეს მეჩვიდმეტე საუკუნის ქართველობის ამაზე უფრო ობიექტური, ამაზე უფრო მკაცრი და მიუდგომელი დახასიათება: „სასახლის კარზე უპირველესი ადგილები დაიჭირეს ქართველებმა და ადვილად გამდიდრებულები მიეცენ მცონარებას... შემოვიდა ხალხში სპარსული ზნე, ჩვეულება, რკული და კანონი!... ქართველს ქართველობა აღარ ეტყობოდა!... ენა შეიპლალა, დიდ ოჯახებში ქართულად ლაპარაკი კიდეც ერცხვინებოდათ... ქართველი ქართველზევე მეზვეერებოდა და ბოლოს ისე დაუძღურდა, რომ თვით სპარსელების საზიზღარ-გასაკიცხი შეიქნა ოდესმე სახელგანთქმული ქართველობა... ვინც ადრე ამილახვრობას, ამირეჯიბობას, ეშვიკაღბაშობას და ამირბარობას არად ავდებდა, დღეს იმას ჩაფრობაც კი ენატრებოდა... ერთმანეთშიც ისე აირ-დაირიენ, რომ სისხლ-ხორცობა აღარაა ნაშნავდა და ნათესავი ნათესავს აღარ ზოგავდა, ოღონდ კი ჩამორჩენოდა რაჟამე! თავის წმინდანები რომ აღარ ავგონდებოდათ, „ყენის თავის მზეს“ ფიცულობდნენ!.. და თუ აქა-იქ სადმე თავადაზნაურობაში რიგიანი ვინმე გამოერეოდა, ჯერ კიდეც გადაურკულე-ბული და სამშობლოს მოჭირანახულე, თავისიანებსავე არ მოსწონდათ და უკიციანებდნენ“.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ რა კუთხიდან და რა თვალსაზრისითაც არ უნდა მივუდგეთ აკაკის „ბაში-აჩუქს“, ჩვენ სრულიად გადაუქარბებლად გვეჩვენება მოთხრობის ვახტანგ კოტეტიშვილი-

⁴⁰ კ. აბაშიძე, ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, ტ. 2, 1912, გვ. 33.

სეული შეფასება. კოტეტიშვილი წერს: „პატრიოტული ლიტერატურა ქვეყნად დიდია. გმირობის კულტიც დიდი იყო და არის, შემოქმედება ხშირად იღებს აქედან თემებს, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად მოიძებნება ისეთი მხატვრული თავდაჭერილობით გადმოცემული, უდიდეს პათოსიანი გმირობა. ჩვენ გვახსოვს თერმოპილეს გმირები, რომელნიც საბერძნეთის ლიტერატურამ, თუ ისტორიამ მეორედ დაბადა უკვდავებისათვის, ვიციოთ როდენის „კალეს მოქალაქენი“, და აკაკი წერეთლის მხატვრული სიტყვაც იმავე ძალისაა“⁴¹.

⁴¹ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, 33-396.

ბრძოლა რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურული კრიტიკისათვის 70-იანი წლების ქართულ კრეისაში

კრიტიკული რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, საქართველოში ფეხს იკიდებს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, მაგრამ მისი თეორიული დასაბუთება და მხატვრული სრულყოფა მხოლოდ 60-იან წლებში მოხდა.

როდესაც ქართული ლიტერატურის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა მისი კრიტიკული რეალიზმის გზით წარმართვის აუცილებლობა, სამოდვაწეო ასპარეზზე გამოსულმა „თერგდალეულებმა“ ყურადღება გაამახვილეს რუსული ესთეტიკური აზროვნების მონაპოვარზე, შემოქმედებითად აითვისეს იგი და ამ ათვისებას კი „საძირკვლად საქუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა“ დაუდეს¹.

სამოციანი წლების ქართველმა მწერლებმა წამოაყენეს მთელი რიგი მოსაზრება, რომელთა მიზანი იყო ქართული კრიტიკული რეალიზმის თეორიული საფუძვლების შექმნა, ხელის შეწყობა მისი შემდგომი განვითარებისათვის. კრიტიკული რეალიზმი კი ის ლიტერატურული მიმართულება იყო, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეესაბამებოდა თერგდალეულთა მსოფლმხედველობას, მათ საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ იდეალებს.

რუსეთში ჯერ კიდევ ბ. ბელინსკიმ წამოაყენა მოთხოვნა, რომ ხელოვნების დანიშნულებას ცხოვრების სწორი, მართებული ასახვა წარმოადგენსო. იგი მოითხოვდა ხელოვნებისაგან არსებული სინამდვილის ისეთ წარმოსახვას, რომელიც კრიტიკულ დამოკიდებულებაში იქნებოდა მასთან. „რა არის ჩვენი დროის ხელოვნება? — მსჯელობა. საზოგადოების ანალიზი, მაშასადამე, კრიტიკა“², — წერდა ბელინსკი. ლიტერატურის ამოცანას იგი იმაში ხედავდა, რომ „განავითაროს

¹ ი. ჯ ა ე კ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრული კრებული, III, 1953, გვ. 315.

² В. Г. Б е л и н с к и й, Полн. собр. соч., VII, стр. 298.

სიმართლე, სინამდვილის მხატვრულად სწორი გამოხატებით³. მოითხოვდა რა ლიტერატურისა და ხელოვნებისაგან არსებული სინამდვილის კრიტიკას, ეს კრიტიკა მას თვითმიზნად კი არ დაუსახავს. არამედ დაღებიითი იდეალისაკენ სწრაფვის საშუალებად. მწერალი შეუძლებელია დარჩეს სინამდვილის გულგრილ მყურებლად, იგი ამ სინამდვილეს უნდა განიცდიდეს, როგორც თავისი დროის მოწინავე ადამიანი. „მკვდარია მხატვრული ნაწარმოები, — წერდა იგი, — თუ ის ასახავს მხოლოდ იმისათვის, რომ ასახოს, გარეშე ყოველგვარი ძლიერი სუბიექტური განცდისა, რომლის სათავე ეპოქის ძლიერ აზრში უნდა იყოს, თუ იგი არაა წამების კენესა ან აღფრთოვანების დიფირამბი, თუ იგი არაა კითხვა ან პასუხი კითხვაზე“⁴.

ბელინსკის მომდევნო რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა თაობის ლ. ეთესმა წარმომადგენლებმა ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხელოვნებას, გარდა ცხოვრებისა, სხვა ობიექტი არ გააჩნია და მით უფრო დიდია მწერალი, რაც უფრო ღრმად შეუძლია ჩასწვდეს სინამდვილეს. „ის, რაც პოეზიაში ცხოვრებასთან შედარებით ზედმეტია, ე. ი. არ გამომდინარეობს მისგან პირდაპირ და ბუნებრივად, ყველაფერი ეს უაზრობა და სიმახინჯეა“, — წერდა დობროლიუბოვი⁵.

რუსული კრიტიკული რეალიზმის თეორიული საფუძვლები, ემყარებოდა რა ახალ ეტაპს ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, მარქსამდელი ესთეტიკური აზროვნების უდიდესი მონაპოვარი იყო.

ამ მდიდარ გამოცდილებას ეყრდნობოდნენ ქართველი თერგდალეულები. მათ თავისი მოღვაწეობის დევიზად სინამდვილის სწორი, უტყუარი მხატვრული ასახვისათვის ბრძოლა გაიხადეს და სახელმძღვანელოდ აღიარეს პრინციპი: „პოეზია განსახიფტებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჭაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა“⁶. არსებული სინამდვილე კი მახინჯი და მიუღებელი იყო მათთვის. ამიტომ სინამდვილის უარყოფითი მხარეების გამომზეურებისაკენ მოუწოდეს მწერლობას. „მამ როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრულე არ გეცოდინება?“ — კითხულობდა ი. ჭავჭავაძე და დასძინდა: „ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტისმეტად დამეაყებული სიყვარულისა გამო ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების აღიარება-

³ В. Г. Беллинский, Полн. собр. соч., VIII, гл. 406.

⁴ იქვე, VII, გვ. 298.

⁵ Н. А. Добролюбов, Собр. соч. в 3-х томах, т. I, стр. 278.

⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., III, 1953, გვ. 22.

ნახევარი გასწორებაა“⁷. სწორედ ბოროტების „ალიარებას“ ნიშნავდა არსებული სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, რაც კრიტიკული რეალიზმის ძირითად პათოსს წარმოადგენდა. სამოციანი წლების ჩვენს მოღვაწეებს გულწრფელად სწამდათ, რომ გამომჟღავნებულნი და გამოაშკარავებული ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით ადვილია. ამასთანავე, ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ მწერალი თავისი დროის შვილია და მას არ შეუძლია გულგრილი დარჩეს მის მიერ ასახული ბოროტების მიმართ. „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება, ნაკლებლოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო ჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა“⁸, წერდა ი. ჰავჭავაძე. თვით ილიაც თავისი მხატვრული შემოქმედებით ხომ არა მარტო ცხოვრების ძახინჯ მხარეებზე მიუთითებდა, არამედ სიმამხინჯის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლიც იყო:

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!.

გამოდირდნენ რა აღნიშნული პრინციპებიდან, ქართველმა სამოციანელებმა ბრძოლა გამოუცხადეს ყოველგვარ დრომოქმულს ლიტერატურაში.

რეალიზმისათვის ბრძოლის გზაზე ქართველი სამოციანელები დაუნდობლად ანადგურებდნენ ყველა იმ ლიტერატურულ მიმართულებას, რომლის ზეგავლენას მხოლოდ ზიანის მოტანა შეეძლო რეალიზმის განვითარებისათვის.

ეს მით უფრო გასაგები გახდება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ლიტერატურა იმ სფეროს წარმოადგენდა, რომელიც სასტიკი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ერთადერთ შესაძლებლობას იძლეოდა მოწინავე იდეების პროპაგანდისათვის. „პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებული ხალხისათვის ლიტერატურა ერთადერთი ტრიბუნაა, რომლის სიპაღლიდანაც მას შეუძლია აიძულოს მოუსმინონ მისი აღშფოთებასა და სინიდისის ძახილს“, — წერდა ა. გერცენი⁹. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის იმპერიის იმდროინდელი პროვინციების, კერძოდ, საქართველოს შესახებაც. აქ, სადაც ხალხი, გარდა სოციალური

⁷ ი. ჰავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., III, 1953, გვ. 26.

⁸ იქვე, გვ. 69.

⁹ А. И. Герцен, Полн. собр. соч. и писем, VI, 1919, стр. 350.

ჩაგვრისა, ეროვნულ ჩაგვრასაც განიცდიდა, მხოლოდ ლიტერატურას შეეძლო ცოცხალი აზრის გამოხატვა. „ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა, მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების ფართო მოედნიდან, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — მცირე კუნძული-ღა ჰქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან, მარტო ამ კუნძულშიღა გახდა შესაძლებელი ჩვენის ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა... ეს იყო მწერლობა“¹⁰. მხატვრული ლიტერატურის ზემოქმედების ძალა განპირობებული იყო ქართული რეალიზმის თავისებურებითაც.

ცნობილია, რომ რუსული რეალიზმი მსოფლიო რეალიზმის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენდა. როგორც სამართლიანადაა აღნიშნული, რუსული რეალიზმი წარმოიშვა ლიტერატურის ხალხთან კავშირის ნიადაგზე. დასავლეთ ევროპის მწერლები შედარებით ნაკლებად იყვნენ დაკავშირებული მშრომელ მასებთან. დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმთან და მის გადაწმობებთან ბრძოლის სიმძიმე ბურჟუაზიამ გადაიტანა. რუსეთის ბურჟუაზიაზე კი ამის თქმა არ შეიძლება. იგი თავადაზნაურობას კი არ ებრძოდა, არამედ მასთან ერთად გამოდიოდა ხალხის წინააღმდეგ. განმათავისუფლებელი იდეები რუსეთში მუდამ მკვიდროდ იყო დაკავშირებული ხალხთა მასების მდგომარეობასთან. ამ ნიადაგზე წარმოიშვა რუსული რეალიზმი — მოვლენა, რომლის მსგავსი არ ყოფილა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, მოვლენა, რომელიც თავისი ფესვებით მტკიცედ იყო დაკავშირებული რუსულ სინამდვილესთან, რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

დაახლოებით იგივე შეიძლება ვთქვათ ქართული ლიტერატურის შესახებაც. საქართველოში ნაციონალური ბურჟუაზია კიდევ უფრო მცირერიცხოვანი და, მაშასადამე, გაცილებით სუსტი იყო. რა თქმა უნდა, არავითარი ბრძოლის წარმოება თავადაზნაურობასთან მას არ შეეძლო. იგი ქართველ თავადაზნაურობას კულში მისჩანჩალებდა. ქართული ლიტერატურის პატრიოტული და განმათავისუფლებელი იდეები უშუალოდ ხალხთა მასების წიაღიდან მიმდინარეობდა, ხოლო ქართული კრიტიკული რეალიზმი, რომელიც ამ იდეების მკაფიო გამონატულებას წარმოადგენდა, თავისი ფესვებით ხალხთან, ძირითადად გლეხობასთან იყო დაკავშირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარეობდა ქართული რეალიზმის ხალხურობაც. ცნობილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს, და, მათ კვალდაკვალ, ქართველ სამოციანელებსაც, ლიტერატურის ხალხურობა რეალიზმის განუყრელ თვისებად მიაჩნდათ. ისინი სამართლიანად აღნიშ-

ნავდნენ, რომ ლიტერატურის განვითარების დონე დაკავშირებულია ხალხის სულიერ და გონებრივ განვითარებასთან. ი. ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა: „ლიტერატურა ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია“¹¹. სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეებს მიაჩნდათ, რომ აღწერო ხალხის ზნე-ჩვეულება, შემოიტანო ნაწარმოებში ხალხური ანდაზები, გამოთქმები, ზღაპრები, სიმღერები — ჯერ კიდევ არ ნიშნავს ლიტერატურის ხალხურობას. ხალხურობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადმოცე ხალხის აზრი, მისი სულისკვეთება. ეხებოდა რა კაზლოვის „შეშლილს“, ი. ჭავჭავაძე წერდა: „თუმცა „შეშლილს“ ქვეშ აწერია რუსული მოთხრობაო, მაგრამ ამ მოთხრობაში მარტო ენა, აზრი, მარხილი და იამშჩიკი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი. ქართველმა ბევრიც რომ იკითხოს, არამც თუ ეს საშინელი თარგმანი თავად ერისთავისა, არამედ ათიათას-ჯერ უკეთესი, მაინც იქნება არა გამოვიდეს-რა: ათიათასჯერ არაფერი, მაინც არაფერია; ბევრიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქართველი ვერ გაიცინობს ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფლის გოგოსა, იმიტომ რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კაზლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა; ეგ რაღაც ურუსო რუსია, კაზლოვის ფანტაზიის შვილი, და არა რუსის ცხოვრებისა“¹².

ქართველი თერგდალეულების იდეალს ხალხის, გლეხობის, ქართველების ამ უმეტესი ნაწილის სულისკვეთების გამოხატვა წარმოადგენდა, რადგან იქ დღულდა ცხოვრების მაჯისცემა. ი. ჭავჭავაძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ 60-იან წლებამდე ქართული ლიტერატურისთვის ხალხურობის პრინციპი თითქმის უცხო იყო და იგი თავისი დროის დამსახურებად მიაჩნდა. „სამოციან წლებამდე, — აღ. ჭავჭავაძე დანაწილებული, — ჩვენი პოეზია, თითო ოროლა მარგალიტებს გარდა, ისიც ორმოცდაათიან წლების ბოლო ხანებში, დაჰფუფუნებდა ჩვენის დიდ-კაცობის გულთათქმას, თითქოს უკადრისობს ამათ გარეშე რაიმე საგანი უპოვოს პოეზიას. სამოციან წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავისი ტალღა გაჰკრა და შეამტერიეს ღობეები, ამ ხანში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდამიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა თქმა; რომ ამ მდამიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ღზინისა, ძულებისა და სიყვარულისა“¹³. თერგდალეულების ღრმა რწმენით, მწერლის სიტყვა მხოლოდ მაშინ შესძლებდა ხალხის გულამდე მიღწევას, თუ იგი ხალხისავე გულისნა-

¹¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., III, 1953, გვ. 37.

¹² იქვე, გვ. 14.

¹³ იქვე, გვ. 229.

დების გამომხატველი იქნებოდა. „პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — ამ საფუძვლით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავისი უკვდავების წარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვენ-ბრძანებლოდ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებისა“¹⁴.

ქართველი ხალხის სულიერი განცდის, მისი გულისნადების გამომხატველი იყო ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლისა და სხვათა ლექსითი მხატვრული ნაწარმოებები არა მარტო თანადროულობის, არამედ ისტორიულ თემებზე დაწერილ ნაწარმოებებშიაც კი, ი. ჭავჭავაძე მიზნად ისახავდა ხალხის მდგომარეობისა და მისი სულისკვეთების გამომხატვას. ამიტომ იყო, რომ პოემა „აჩრდილის“ გამო დ. ერისთავისადმი მიწერილ წერილში ილია ჩიოდა: ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს, მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არ ჩანსო. ა. წერეთლის პოეზიის ხალხურობა ჰქონდა მხედველობაში ადურცელაძეს, როდესაც წერდა: „აიღეთ ამის „მუშური“, სადაც ამ გარმონულს და მაღალს ლექსებში წარმოითქმის შიგ სიღრმიდან საბატონო გლეხის გულის პასუხი და მწუხარება, ამის დაფარული დრტივნა და სატანჯველი და იმის ნუგეში; რა რიგად გაიტაცებს კაცს და ჩაახედებს უბედური გლეხის გულში; რა რიგად აგრძნობინებს და მიაკერძებს თვით უგრძნობელი კაცის გულსაცა... რომელი კაცი უნდა იყვეს, რომ ამ გლეხის სიტყვამ, რომელსაც ათქმევინებს წერეთელი „მუშურში“, „ნუთუ გულგრილად უყურებს ჩვენს ტანჯვას მაცხოვარი“, რომ არ შეურყიოს გრძნობა და არ აუღულოს გული...“¹⁵

ლიტერატურის ხალხურობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა ქართველი სამოციანელების მოღვაწეობა სალიტერატურო ენის გამარტივების, გაწმენდისა და ხალხთან დაახლოების საქმეში. ქართული ენის საკითხების გარშემო გამართული კამათი, მოძველებული და დრომოკმული ასოებისა და ფორმების განდევნა ენიდან თერგდალეულთა თვითმიზანს კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი შემადგენელი ნაწილი იყო იმ საერთო ბრძოლისა, რომელსაც ეწეოდნენ ჩვენი მოღვაწეები ლიტერატურის რეალიზმისა და ხალხურობისათვის.

¹⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., III, 1953, გვ. 45.

¹⁵ ა. ფურცელაძე, ქართული ლიტერატურა, „ცისკარი“, 1863, № 7.

თერგდალეულთა ბრძოლა ლიტერატურაში რეალიზმისა და ხალხურობისათვის ჯერ კიდევ 1861 წელს ეურნალ „ცისკარის“ ფურცლებზე დაიწყო, როცა აპრილის ნომერში ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევახ შალვას ძის ერისთავის მიერ კახლოვის „შეშლილის“ თარგმნაზედა“. აღნიშნულ სტატიაში მრავალ საკითხს შეეხო ავტორი, მაგრამ მთავარი მისთვის კრიტიკული რეალიზმის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება იყო. თარგმანის განხილვა მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა, რომელმაც საშუალება მისცა ი. ჭავჭავაძეს, დაეყენებინა საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა წარიმართოს მშობლიური ლიტერატურის განვითარება და საქვეყნოდ განეცხადებინა: ერთადერთი სწორი და უტყუარი გზა, რომელიც საშუალებას მისცემს მწერლობას ხალხის ინტერესებს ემსახუროს — ესაა კრიტიკული რეალიზმის გზაო. ამ მიზანს ემსახურებოდა თერგდალეულთა ბრძოლა ძველი კონსერვატული თაობის პატრიარქალურ შეხედულებათა წინააღმდეგ. ქართველმა სამოციანელებმა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით გადაწყვიტეს, რომ ერთადერთი ბეჭდური ორგანო, რომელიც ჩვენში არსებობდა, თავის შეხედულებათა პროპაგანდისათვის გამოეყენებინათ, თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ და ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ. მაგრამ ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ აღნიშნული ჰიზნის მიღწევა შეუძლებელია. „ცისკარი“, რომელიც ძირითადად ვაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავდა, იძულებული იყო ანგარიშში გაეწია ამ კლასისათვის. საქმე იმაშია, რომ ხელისმომწერთა დიდი უმეტესობა კონსერვატული თავადაზნაურობის წრიდან იყო და იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „ცისკარმა“ ადგილი დაუთმო მისთვის უცხო შეხედულებებს და ბოიკოტით იმუქრებოდა. აღნიშნულის გამო, „ცისკარის“ რედაქტორი ი. კერესელიძე იძულებული იყო ადგილი აღარ დაეთმო ი. ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთათვის.

ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი იმ მიმართულებით, რომ ლიტერატურა ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო. კონსერვატული თავადაზნაურობის შეხედულებანი საბოლოოდ კიდევ არ იყო განადგურებული, რაც ხელს უშლიდა რეალიზმის განვითარებას. დღის წესრიგში დაისვა ისეთი ეურნალის გამოცემის საკითხი, რომლის ბატონ-პატრონი ახალი თაობა იქნებოდა და რომელიც დაუბრკოლებლად გააერცლებოდა ხალხში რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს. ი. ჭავჭავაძემ გარს შემოიკრიბა ახალი თაობა და 1863 წელს შეუდგა „საქართველოს მოამბის“ გამოცემას. მიუხედავად იმისა, რომ ეურნალმა მხოლოდ ერთი წელი იარსება, მან ბევრი რამ გააკეთა პროგრესული იდეების დაწერვისათვის, კრიტიკული რეალიზმის პრინციპების ჩამოყალიბება-გა-

ვრცელებისათვის. „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილში ი. ჭავჭავაძემ ნათლად ჩამოაყალიბა შეხედულებანი ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულების შესახებ. ეს იყო ლიტერატურის როლის ახლებური გაგება. ილია გარკვევით აღნიშნავდა, რომ მწერლობა მხოლოდ მაშინ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, თუ იგი თავს დაანებებს უაზრო ვალობას და სიმართლის გამომხატველი გახდება, თუ იგი დღის სინათლეზე გამოიტანს ცხოვრების ნაკლოვან მხარეებს და ბრძოლას გამოუცხადებს მასო. „საქართველოს მოამბე“, მართლაც, იმის ბრწყინვალე მაგალითი გახდა, თუ როგორ უნდა ემსახუროდესა ეურნალი ხალხის ინტერესებს და ამ გზით წარმართავდეს მწერლობასაც. „საქართველოს მოამბემ“, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი წელი იარსება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას ღრმა კვალი დააჩნია. მან გზა გაუკაფა პროგრესული იდეების შემდგომ გავრცელება-განვითარებას, ქართულ მწერლობას მან შეუქმნა კრიტიკული რეალიზმის დახვეწილი და მწყობრი თეორია, რომელზე დაყრდნობითაც კრიტიკული რეალიზმი ერთადერთ გაბატონებულ ლიტერატურულ მიმართულებად გადაიქცა. შემთხვევითი არ იყო, რომ მომავალში ყველა პროგრესული გამოცემა — „ღროება“, „მნათობი“ თუ „კრებული“ „საქართველოს მოამბეს“ თავის წინაპრად აღიარებდა და მისი ხაზის გამგრძელებლად თვლიდა თავს.

1864 წლიდან თერგდალეულთა თაობა კვლავ საკუთარი ორგანოს გარეშე დარჩა. თუმცა ზოგიერთი მწერალი — ა. წერეთელი, ა. ფურცელაძე და სხვ. — ახერხებს „ცისკარში“ დაბეჭდოს თავისი თხზულებანი, მაგრამ ამ ეურნალში გაბატონებული მდგომარეობა კვლავ კონსერვატული ძველი თაობის წარმომადგენლებს უჭირავთ. „ცისკრის“ პროდუქციის დიდი ნაწილი კვლავ გაბატონებული კლასის მსოფლმხედველობისა და გემოვნების გამომხატველია. საჭიროა ბრძოლის გავრძელება, ამას კი საკუთარი ორგანო სჭირდება. ქართველი სამოციანელები ეურნალის გამოცემის იდეაზე ჭერჭერობით ხელს იღებენ, რადგან მათს მეხსიერებაში საკმაოდ ცოცხალია „საქართველოს მოამბის“ მაგალითი, რომელიც მსხვერპლი შეიქნა იმისა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ჭერ კიდევ არ იყო მომზადებული ასეთი ეურნალისათვის. ამას თვით ი. ჭავჭავაძეც გრძნობდა, როცა „საქართველოს მოამბის“ ნომბრის ნომერში წერდა: „სხვის მოსაწონად არცერთის ჩიენის გული-თადის აზრისათვის არა გვიდალატნია, სხვას მოსაფერებლად არცერთი გრძნობა არ გაგვიყიდნია, რომელიმე ანგარიშისათვის ყალბი ვერცხლად არ გაგვიყიდნია. ჩვენ დაეჩუმებულვართ და სვინდისისათვის კი არ გვიდალატნია. როგორც გონება ჩვენი ჰსჭრიდა, როგორც გული გვი-თხრობდა—ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო, და კვლავაც ისე

მოვიქცევით — თუნდ რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლო მოეღოს“. „საქართველოს მოამბე“ სწორედ იმის მსხვერპლი შეიქმნა, რომ მის რედაქციას და, პირველ რიგში, ი. ჭავჭავაძეს არ უღალატნია საკუთარი მსოფლმხედველობისათვის.

ჟურნალის დახურვის შემდეგ ჩვენი სამოციანელები განაგრძობენ ძალების მოკრებასა და ზრუნვას გაზეთის გამოცემისათვის, რადგან მათი აზრით, გაზეთის გამოცემა გაცილებით ადვილი იქნებოდა, ვიდრე ჟურნალისა, — მას მეტი მკითხველიც ეყოლებოდა და უფრო ოპერატიულად გამოენმარებოდა საზოგადოებრივსა და ლიტერატურულ ცხოვრებას. გაზეთის დაარსების იდეა პირველად ი. ჭავჭავაძეს წამოუყენებია „საქართველოს მოამბის“ დახურვისთანავე¹⁶ და ახალი თაობაც მაშინვე შესდგომია ზრუნვას, მაგრამ ნებართვა მხოლოდ 1866 წელს მიუღიათ და ისიც სატიკი ცენზურის პირობით.

ძალზე რთულ ვითარებაში მოუხდა გამოსვლა გაზეთ „დროებას“. მას არც ავტორთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი ჰყავდა, არც საკმაო ხელისმომწერი, და თანაც მძიმე საცენზურო პირობებში უხდებოდა მუშაობა. ი. მაჩაბელი ასე ახასიათებს „დროების“ გამოსვლის პერიოდს: „მხოლოდ ორიოდ თავგამეტებული ლიტერატორი შრომობდა მაშინ რედაქციაში და თითქმის გაზეთის ყოველი სტრიქონი რედაქციაშივე იყო დაწერილი. არსაიდან კორესპონდენციები, არსაიდან ახალი ამბები, პოლიტიკის წყაროდ მხოლოდ გაზეთი „კავკაზი“ და, რაც უფრო საგრძნობელი იყო, არსაიდან ხელისმომწერლები... მკითხველი საზოგადოება თუ იყო სადმე, გულცივად ეპყრობოდა გაზეთს. რა „დროება“, რის „დროება“, ქართული გაზეთი ვისთვის რა საჭიროა. — ჰქადაგებდა არა ერთი და ორი, ჰქადაგებდნენ მრავალნი და ამ გულცივობით გულს უკლავდნენ იმათ, ვინც იტანდა ამ საზოგადო საქმისათვის სიმშინელს, წყურვილს, უწყალო, განუწყვეტელ შრომას და თან ყოველს ამაზე კიდევ უარესს საზოგადოების გულგრილობას, უმადურობას...“¹⁷ „დროების“ ხელისმომწერთა რაოდენობა 240-დან 400-მდე მერყეობდა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში გაზეთის მატერიალური ბაზა ძალზე სუსტი იყო და მხოლოდ მისი რედაქტორების თავგამოდებული ზრუნვის შედეგი იყო, რომ იგი მაინც განაგრძობდა არსებობას. ამას ისიც უმატებოდა, რომ რუსეთში სასტიკი რეაქცია მძინვარებდა. ჩერნიშევსკის გადასახლებისა და კარაკოზოვის გასროლის შემდეგ რუსეთში თეთრი ტერორი დაიწყო. გაძლიერდა კოლონიური ჩაგვრა და რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ თავის ზენიტს მიაღწია. აი, როგორ

¹⁶ „დროება“, № 24, 1876.

¹⁷ „დროება“, 31 ივლისი, 1883.

ანასიათებს გ. წერეთელი იმ დროს: „ვიდრე ის დიდი შემთხვევა¹⁸ აღმობრწყინდებოდა პეტერბურგის არეზედ, ჩვენი მდგომარეობაც იმდენად სულმეხუთული არ იყო. თუმცა კი ხალხობას აშკარად სდევნიდნენ მაშინაც და სევეროვმა... და ნამესტნიკის ხელქვეით პირებმა შეადგინეს ერთი პროექტი, რომელსაც აზრში აქვს აღმოფხვრას ჩვენი სახსენებელი საქართველოს არეზედ, მაგრამ მაინც კიდევ როგორც იყო უფრო თავისუფლად ვიბამდით სულსა, ეხლა კი სრულებით შევიბორკილენით გონიერებით. არავითარის ხეიოიანის აზრის გამოთქმის ნებას არ გვაძლევენ, აგრეთვე მთავრობის განკარგულებებშიაც იმისთანა ბრძანებანი გაიცა, რომ სრულებით ლამის, ჩვენს ქვეყანაში ან წყვილად სიბნელე მოჰფინოს და ან რუსეთის კამარა თავს გადმოგვახუროს. ...ქართულის ენას სდევნიან; ამტკიცებენ სტატიებით, რომ მეგრელები სულ სხვა ტომისანი არიანო და უნდა სხვა გვარი ანბანი შევეუდგინოთ... მთელი ხალხობა უნდათ გაარუსონ. თვით ჩვენი საზოგადოებაც ისე მიძინებული და შეშინებულია, რომ ან არას გრძნობს და ან თუ გრძნობს, შიშისაგან ხმა ვერ ამოუღია, ამ გვარს მდგომარეობაში მითხარით, რა უნდა ვქნათ. თუ არ ჩამოდით, არ მოგვეხმარეთ, ძლიერ საშიშრო მდგომარეობაში არის ჩვენი საქმე; „ქართველი დაეცა მოსხლეთით და დღითი დღე ეპარება იმას სიცოცხლე“¹⁹. ასე აღწერს გ. წერეთელი საქართველოს მდგომარეობას კ. ლორთქიფანიძისადმი პეტერბურგში მიწერილ წერილში 1867 წ. 3 ივლისს. ასეთ ვითარებაში, როგორც ზემოთა აღნიშნული, მხოლოდ ლიტერატურა წარმოდგენდა იმ ტრიბუნას, საიდანაც კიდევ შეიძლებოდა ცოტად თუ ბევრად თავისუფალი სიტყვის თქმა, მაგრამ ამის გაკეთებას მწერალი მხოლოდ მაშინ მოახერხებდა, თუ იგი თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავდა, თუ იგი სწორად, რეალისტურად ასახავდა სინამდვილეს. საჭირო იყო ბრძოლის განგრძობა დრომოქმეული ლიტერატურული შეხედულებებისა და გემოვნების წინააღმდეგ.

ქართული ლიტერატურის კრიტიკული რეალიზმის გზით წარმართვისათვის ბრძოლა, მისი ხალხის სამსახურში ჩადგომისაკენ მოწოდება გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი ძირითადი დამსახურებაა.

სულ მალე „დროების“ გამოსვლიდან, მე-11 და მე-12 ნომერში რედაქტორი გ. წერეთელი ბეჭდავს სტატიას სათაურით „ქართული თეატრი“. მასში განხილულია მოლიერის ორი კომედია „ცოლის შერთვეინება“ და „ძალათ აქიმი“; მაგრამ, სანამ პიესების განხილვასა და

¹⁸ კარაკოზოვის თავდასხმა ალექსანდრე II, 1866 წ.

¹⁹ გ. წერეთელი, თხზ. სრ. კრ., I. ს. ხუნდაძის რედაქციით, გვ. 413—414.

თეატრის დახასიათებას დაიწყებდეს, გ. წერეთელი აყალიბებს რეალისტური დრამატურგიის ზოგიერთი პრინციპის საკუთარ გაგებას. „...ძალიან ნიჭიერმა კაცმა უნდა მოიგონოს იმისთანა საშუალება, რომლითაც შეიძლებოდეს, რომ ხალხს აჩვენოს ნამდვილი თავის ცხოვრება და მოქმედება. ამისათვის დახელოვნებული მწერალი ამოარჩევს ხოლმე ცხოვრებაში იმისთანა მოვლენას (შემთხვევას), რომელიც კაცის გულის-თქმას მოუხდენია და რომელიც საზოგადოების ნაკლოვანების ბრალია, ცხოვრებაში რამე შესანიშნავი მოვლენა ან ერთისა და ან რამოდენიმე პირის მოქმედებით მოხდება; მწერალი გამოიყვანს ამ პირებს სურათში და ამოქმედებს იმათ იმათს ბუნებისამებრ. მაყურებელი კი, ამ სურათის წარმოდგენაზედ ხედავს თავისივე საკუთარის მოქმედების სახეს და, თუ უმსგავსოა ეს მოქმედება, რცხვენთან თავის თავისა. ამ სახეს მწერლობისას ეწოდება დრამატიკური თხზულება და იმას გამოყავს კარგი და ცუდი მხარე კაცისა... დრამატიკური ხელოვნება შეიცავს ცხოვრების აზრს და იმის სახეს, რომელიც თვით კაცის მოქმედებაში სცენაზედ იხედება“²⁰.

რეალისტური ხელოვნების პრინციპების დაცვა გ. წერეთლისათვის ასალი არ იყო. ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გ. წერეთელმა სტატიაში „ცისკარს რა აკაკანებდა“ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ რეალისტურ ლიტერატურას შესწევს უნარი ემსახუროს ხალხის პროგრესს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ლიტერატურა მოწყვეტილია ხალხის ინტერესებს, მას ვნების მოტანაც კი შეუძლიაო. ეს ნათლად უჩვენა გ. წერეთელმა ფრანგული კლასიციზმის მაგალითზე და დაასკვნა: „აი რა მავნებელია ლიტერატურა და პოეზია, როდესაც ის არ მსახურებს ხალხის ცხოვრებას, ატარებს დროებას ფუჭ დეკლამაციაში; როდესაც გადაღებაში, ნამეტურ ამგვარ განათლების მხარეების, როგორც პოეზია და ლიტერატურა, მისი გადმომღებო ხელმძღვანელობს ერთ გარეგან ბრკიალა სახით და ვერ სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგანს აზრს, ურომლისოდაც თვით ელვარე ფორმა ფუჭია და მავნებელი“²¹. „ცისკარის“ ნაკლს გ. წერეთელი სწორედ იმაში ხედავდა, რომ ნაცვლად ნამდვილი ცხოვრების სურათებისა, მწერლის ღარიბი ფანტაზიის ნაყოფს სთავაზობდა მკითხველს.

მოლიერის კომედიებში, რომლებიც ქართულ სცენაზე 1866 წელს დაიდგა, გ. წერეთელმა იმის შესანიშნავი მაგალითი დაინახა, თუ როგორ შეუძლია თვითმყოფ და უადრესად ნაციონალურ ლიტერატურას, თუ იგი რეალიზმის მზიითაა გამთბარი, ზოგადკაცობრიული ხასიათის

²⁰ „დროება“, № 11, 1866.

²¹ გ. წერეთელი, თხზ., სრ. კრებული, I, გვ. 14.

მატარებელი იყოს, ემსახურებოდეს არა მარტო თავის ერს, არამედ შოფლიოს სხვა ხალხთა პროგრესის საქმესაც: „უმთავრესი კაცის თვისება, — წერს გ. წერეთელი, — ყოველს მხარეში ერთი და იგივეა, კაცი თავის ბუნებით ყოველგან კაცათ დარჩება. ამხანაგების მოყვარე და უპირო კაცი შეიძლება ფრანკუზიც იყოს, ანგლიელიც და ქართველიც“.

იმავე 1867 წელს „დროებამ“ 34—38-ე ნომრებში დაბეჭდა ა. ფურცელაძის ავტორეცენზია „სამის თავგადასავალზე“ სათაურით: „შეუსრულებელი სურათი“. ავტორეცენზია ანონიმურად (ზერახ მოენიძის სელმოწერით) იყო დაბეჭდილი და, როგორც ჩანს, „დროების“ რედაქტორმა გ. წერეთელმაც კი არ იცოდა, ვინ იყო სტატიის ნამდვილი ავტორი. ა. ფურცელაძის „შეუსრულებელი სურათი“ მას დაუბეჭდავს როგორც ისეთი სტატია, რომელშიაც „საზოგადოთ ბევრი კარგი აზრებია გამოცხადებული და კარგი მიმართულებაც არის“. რაა ის კარგი აზრები, ის კარგი მიმართულება, რომელთაც გ. წერეთლის ყურადღება მიიქცის? უპირველეს ყოვლისა. ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქციის სწორი გაგება. რუსული ლიტერატურის, კერძოდ, ნეკრასოვის შემოქმედების მაგალითზე ა. ფურცელაძემ ნათლად ჩამოაყალიბა საკუთარი შეხედულება მხატვრული ლიტერატურის დანიშნულებაზე. მან ყურადღება მიიქცია ნეკრასოვის ერთ-ერთ ისეთ ნაწარმოებს, რომელშიაც გარკვევით იგრძნობა რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა. „ჩვენ არ შევდივართ ახლანდელი „ცისკრის“ განხილვაში და არცა ვკისრულობთ ჯერჯერობით ამასა, — წერს ა. ფურცელაძე, — მაგრამ არ შეგვიძლიან არ განუცხადოთ ჩვენი თანაგრძნობა ნეკრასოვის ლექსის „ფიქრები საპარადო მისავალთან“ გადათარგმნისათვის და ვისაც არ წაუჯიბთხავს ან რუსულათ, ან ქართულათ, ურჩევთ წაიკითხოთ ეს ჩასაფიქრებელი და სამწუხარო საჩივრიანი ლექსი, რომელშიაც არის წარმოთქმული ჩაღველი საუკუნოებით დასჯილისა და ცუდის მდგომარეობისაგან გაუქმებულის კაცისა. ეს ლექსი და სხვა ნეკრასოვის ლექსები ღირსეულადაც დააფასა ყოველმა რუსმა, რომელსაც კი ნამდვილი და მოსაზრული სიყვარული აქვს თავის მამულისა“. ნეკრასოვის აღნიშნული ლექსი ა. ფურცელაძის მიერვე იყო თარგმნილი და, როგორც ჩანს, მისი „ცისკარში“ დაბეჭდვა მთარგმნელს არ მიუჩნევია საკმარისად და „დროებიდან“ დაუწყია ლექსში გამოთქმული რევოლუციური იდეების პროპაგანდა. ცნობილია, რომ ლექსის რევოლუციურმა პათოსმა და მოწოდებამ თავისუფლებისაკენ იმთავითვე მიიქცია როგორც რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის, ისე ხელისუფალთა ოფიციალური წარმომადგენლების ყურადღება. იგი სტუდენტების ერთ-ერთ საყვარელ სიმღერად იქცა.

„ცისკარში“ დაბეჭდილი თარგმანი მხატვრულად მდარე იყო და „დროებას“ არც უცდია თარგმნის ლიტერატურულ ავ-კარგიანობაზე ელაპარაკა. მისთვის ამ შემთხვევაში მთავარი იყო ნეკრასოვის რეალისტური პოეზიის პროპაგანდა და აქედან გამომდინარე მიმართავდა მკითხველს, რომ უთუოდ წაეკითხათ ნეკრასოვის ლექსი „ან რუსულათ, ან ქართულათ“. ლექსის შეფასებიდან „დროება“ ნეკრასოვის შემოქმედების შეფასებაზე გადადის და აღნიშნავს იმ დამსახურებას, რომელიც მას მაუძღვის რუსული კრიტიკული რეალიზმის შემდგომ განვითარებაში, ხაზს უსვამს დიდი რუსი პოეტის შემოქმედების იდეურობასა და ხალხურობას: „რუსების მოლექსეებში თითქმის პირველი ნეკრასოვი იყო, რომელმაც მიაპყრო გონება თავის აღმზრდელ მსაზრდოებელ დაჩაგრულს ხალხს, შეუდგა ამ ხალხის ცხოვრების შესწავლას, დაიწყო ლექსებში წარმოთქმა ხალხის გრძნობისა, იმის მდგომარეობისა, იმის მწუხარებისა და სხვა ვითარებისა. პირველი თითქმის იმან დაიწყო ლექსებში სასარგებლო აზრების გაყვანა და დაიწყო ცდა, რომ ლექსები არა ყოფილიყო ცარიელი ლექსები—უაზრო და უსაგნო, როგორც მანამდინა სწერდნენ ხოლმე: იმან თითქმის ყოველს თავის ლექსს ჩაუდგასული, სახავდა ამ ლექსებში სხვადასხვა სურათებსა, სხვადასხვა დარდსა და ვარჯის დაჩაგრულებისას და ცდილობდა ლექსების ისე ცხოვლად დაწერასა და იმათის აზრების ისე ცხოვლად გამოსახვასა, რომ მოეყვანა მკითხველი გრძნობაზედ და ჩაეფიქრებინა ის ამ ლექსში გამოყვანილს აზრზედ“.

„დროებისათვის“ სამაგალითოა არა მარტო ნეკრასოვის პოეზია, რომლისთვისაც დამახასიათებელია რევოლუციურ-დემოკრატიული სული, არამედ ყველა ის მწერალი, ვისი შემოქმედებაც რეალიზმის გზით ვითარდებოდა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გაზეთი რუსული კრიტიკული რეალიზმის მამამთავრების — გრიბოედოვისა და გოგოლის შემოქმედებას, რომელმაც ფაქტიურად განაპირობა რუსული ლიტერატურის შემდგომი განვითარება, როცა ახალგაზრდა მწერლებმა, გააყენენ რა გრიბოედოვისა და გოგოლის კვალს, უკუაგდეს წმინდა ხელოვნების თეორია. „თითქმის მთელი რუსული ლიტერატურა დაადგა ამ ზემოთ მოყვანილს სასარგებლო გზას“. ასე მოხდა არა მარტო რუსულ ლიტერატურაში, არამედ ქართულშიაც, „რადგან ჩვენი ყმაწვილი თაობა არის აღზრდილი ამ უკანასკნელს რუსის მწერლების შკოლაში“. ასეთია რეცენზენტის აზრი. მას მიაჩნია, რომ თუმცა ქართულ ლიტერატურას კრიტიკული რეალიზმის გზაზე ჯერ კიდევ არა აქვს დიდი მიღწევები, მაგრამ მთავარი მაინც მოპოვებულია. ესაა მისი განვითარების სწორი პერსპექტივა.

ამ ზოგადი შენიშვნების შემდეგ, რომლებიც ძირითადად სამართლიანია, ა. ფურცელაძე იწყებს საკუთარი ნაწარმოების „სამის თავგადასავლის“ შეფასებას. საგულისხმოა, რომ რეცენზიის მიზანია არა იმდენად ნაწარმოების განხილვა, რამდენადაც ზოგიერთი იმ აზრის ხაზგასმა და განვითარება, რომელთა ხორცმესხმა და სრულყოფილ მხატვრულ ფორმაში ჩამოყალიბება ავტორმა ვერ მოახერხა. როგორც ჩანს, ეს თვით ა. ფურცელაძესაც უგრძნვია და იმ მიზნით, რომ მკითხველამდე მიეტანა თავისი პროგრესული იდეები, ავტორეცენზიისათვის მოუქიდებია ხელი.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, სავსებით მართებულად, მიჩნეულია, რომ ა. ფურცელაძის „სამის თავგადასავალი“ ჩერნიშევსკის რომანის — „რა ვაკეთოთ“ საგრძნობი გავლენითაა დაწერილი. ავტორს უცდია, რომ რახმეტოვის სახე ქართულ ნიადაგზე გადმოერგო სვიმონ ბაღდაძის სახით, მაგრამ ამისათვის მას არც ნიჭი და არც იდეური წრთობა. ა. ფურცელაძე ხომ თვითონაც აღიარებს, რომ ამგვარი პირი, როგორც არაუხ სვიმონ ბაღდაძე, უფრო სხვა ხალხის ცხოვრებას ეკუთვნის და ჩვენ, ქართველებს, გვეუცხოვებო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცდილობს დაწვრილებით შეჩერდეს მასზე, რადგან, თავისი რუსი მასწავლებლის მსგავსად, მიაჩნია, რომ მომავალი ასეთ გამირებს ეკუთვნის. ა. ფურცელაძე კარგად ამჩნევს, რომ სვიმონ ბაღდაძე არაა მხატვრული ტიპი იმ დროისათვის ჩვეული გაგებით. ამასვე გრძნობს „დროების“ რედაქციაც. გ. წერეთლის დამსახურება სწორედ იმაშია, რომ რეცენზიისათვის დართულ შენიშვნაში მან ტიპიურობის ცნების ახლებური, გაფართოებული გაგება მოგვცა.

რუსეთში რევოლუციონერმა დემოკრატებმა, ხოლო საქართველოში 60-იანი წლების მოღვაწეებმა საფუძვლიანად დაამუშავეს და თორიულად დაასაბუთეს რეალისტური ტიპიზაციის პრობლემა.

ჩერ კიდევ ბელინსკი თავისი ადრინდელი პერიოდის ერთ-ერთ სტატიასში აღნიშნავდა, რომ ყველა ნამდვილი ტიპი „ნაცნობი უცნობიაო“. რევოლუციონერი დემოკრატები ტიპიურობის პრობლემას რეალიზმის თვალსაზრისით უდგებოდნენ და იმ მხატვრული პრაქტიკის გამოცდილებას ანზოგადებდნენ, რომელიც უკვე საკმაო ჰქონდა დაგროვილი კრიტიკულ რეალიზმს. აქედან გამომდინარე, მათ ძირითადად ერთი სახის ტიპი ჰქონდათ მხედველობაში — ერთ სახეში მსგავსი ნიშნების გამაერთიანებელი, შემკრებლობითი ტიპი. ტიპიურ სახეში მკითხველი ყოველთვის აღმოაჩენდა მისთვის ნაცნობ ადამიანთა კატეგორიის დამახასიათებელ ნიშნებს და ამდენად მწერლის მიერ შექმნილი სახე მკითხველისათვის ნაცნობი იყო. მაგრამ ტიპიური სახე არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი, ადამიანთა გარკვე-

ული ჯგუფის ან კატეგორიის თუგინდ ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნების მექანიკური შეკრება. ასეთ შემთხვევაში ნაწარმოებო დაკარგავდა მხატვრულ ღირსებას და უბრალო სქემად იქცეოდა. ტიპი, ამავე დროს, ინდივიდუალიზებულიც უნდა იყოს, ე. ი. ზოგადი და დამახასიათებელი ნიშნები გაერთიანებული უნდა იყოს ერთ სახეში, რომელიც. ამასთანავე, ინდივიდუალური, კონკრეტული იქნება და არა ადამიანი საერთოდ. სწორედ ამას ნიშნავს ბელინსკის გამოთქმა, რომ ტიპი თუმცა ნაცნობია, მაგრამ ამავე დროს უცნობიცაა, რადგან იგი ყველას ჰგავს და ამავე დროს არცა ჰგავს, რადგან ერთი გარკვეული ადამიანია.

ბელინსკის მიერ წამოყენებული ტიპიურობის აღნიშნული გაგება გაიზიარა შემდგომი პერიოდის რევოლუციურ-დემოკრატიულმა ესთეტიკამაც. ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა მიიღეს ბელინსკის ეს განმარტება და შემდგომი განვითარება მისცეს მას. ჩერნიშევსკი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფრთეული ან ცალკეული შემთხვევა არ შეიძლება მხატვრულ ნაწარმოებში ტიპად ვაქციოთ. რადგან მას მოეთხოვება „მართებული ასახვა ცხოვრების გარკვეული მხარისა და არა რომელიმე ცალკეული შემთხვევისა“²². ტიპიურობის პრობლემის ასეთივე გაგება გაიზიარეს დობროლიუბოვმა, ნეკრასოვმა, სალტიკოვ-შჩედრინმა და 60-იანი წლების სხვა გამოჩენილმა მწერლებმა.

აღნიშნული ზოგადი პრინციპები მიიღეს და შემოქმედებითად აითვისეს 60-იანი წლების ქართველმა მოღვაწეებმაც, რასაც ობიექტური საფუძველი ქართული რეალიზმის განვითარებამ მისცა, რადგან მისმა გამოცდილებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ტიპიურობის ზემოაღნიშნული გაგების სისწორე და მეცნიერული ღირსება.

ქართულმა ესთეტიკურმა აზროვნებამ, უპირველეს ყოვლისა, მიიღო ის ცნობილი დებულება, რომლის თანახმად ტიპი ზოგად, შემკრებლობით ნიშნების მატარებელი უნდა იყოს, რადგან „ამ საზოგადო ნიშნებს ერთად, წყობილად შეკრებიდა იზომება სიბრძნე და გონიერება ხელოვნისა“²³. ტიპის შექმნის უნარი, ი. ჭავჭავაძის აზრით, მწერლის ნიჭზეა დამოკიდებული და იმდენად უფრო გენიალურია მწერალი, რამდენადაც მას ძალა შესწევს შექმნას საზოგადო ტიპი. „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან ყოველთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოვ-

²² Н. Г. Чернышевский, Полн. собр. соч., II, 1949, стр. 88.

²³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., III, 1953, გვ. 168.

ზა²⁴. მაგრამ განზოგადების, ტიპიზაციის საგნად მხოლოდ ის ნიშანი შეიძლება გაჩდეს. რომელიც საზოგადო ცხოვრების ამა თუ იმ მხარის გამომხატველია. ეს იმას ნიშნავს, რომ ტიპიური თავის თავში ამავე დროს სოციალურ შინაარსსაც შეიცავს. „ყოველი კერძო შემთხვევა. მოვლენა, ხასიათი, მდგომარეობა და სხვა, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მარტო მაშინ ხდება მწერლობის ღირსი, როცა იმას რამე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, როცა ის წარმომადგენელია მრავალი სხვა თავის გვარი მოვლენებისა. ყოველი შემთხვევა, რომელსაც სარჩულათ რამე საზოგადო ცხოვრების მხარე არა აქვს, რჩება თითქმის სრულიად უნაყოფოდ და უმნიშვნელოდ მწერლობაში, მაშასადამე, ლიტერატურული გამოსატყვის ღირსი არ არის...“²⁵ იმავე აზრს გამოთქვამდა უფრო მოგვიანებით გ. წერეთელი, როდესაც წერდა: „ხელოვნების რომელიმე ნაწარმოებისაგან ჩვენ მოვიტხოვთ ტიპს (საზოგადო შემკრებლობითს მოვლენის ნაყოფს) და არა განკერძოებულს პირს (შემთხვევითს მოვლენას)“²⁶. ტიპიურობის, როგორც შემკრებლობითის, როგორც მრავალი პირის დამხასიათებელი ნიშნების ერთ სახეში გადმოცემის გაგება მოგვცა ი. ჭავჭავაძემ „კაცია ადამიანის“ წინასიტყვაობის პირვანდელ ვარიანტებშიც, თუმცა, აღნიშნული წინასიტყვაობა ავტორს „კაცია ადამიანისათვის“ არ დაურთავს, რადგან ის აზრი, რაც წინასიტყვაობაშია გატარებული, თვით ნაწარმოების მხატვრულ სახეთა სისტემიდან გამომდინარეობს.

რომ ლუარსაბ თათქარიძე მართლაც ისეთი ტიპი იყო, რომელიც ზემოაღნიშნული გაგებიდან გამომდინარეობდა, ზაზგასმით აღნიშნა ა. ფურცელაძემაც: „ამ სურათის ნამდვილი შეიძლება ყოველ ნაბიჯზე მოინახოს უთაურ და უზრუნველ ქართველ მემამულესთან. ყველაფერი დაძველებული, ყველაფერი დანჯღრეული, ყველაფერი არეულ-დარეული და ჭუჭყიანი. მაგრამ მის ბრწყინვალეობას თავად ლუარსაბ თათქარიძეს არც შეუძლია წარმოიდგინოს თავის სახლ-კარზე უფრო წესიერი და სუფთა“. ლუარსაბ თათქარიძე იმდენად ტიპიური სახე იყო, ზოლო ამ ტიპით გამოხატული სოციალური ბოროტება იმდენად დამახასიათებელი, რომ ა. ფურცელაძემ, მსგავსად დობროლიუბოვისა, რომელმაც ობლომოვში ასახულ ბოროტებას „ობლომოვეშიწინა“ უწოდა, იათქარიძის ტიპს, როგორც ქართული სინამდვილის სოციალური ბოროტების გამოხატულებას „თათქარიძევეშიწინა“ დაარქვა (უთუოდ დობროლიუბოვის გავლენით).

²⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., III, 1953, გვ. 168.

²⁵ ნ. სკანდელი, „კრებული“, 1871, № 3.

²⁶ „კვალი“, 1894, № 11, გვ. 9.

ამრიგად, ქართულმა ლიტერატურამ პრინციპულად გაიზიარა ტიპიურობის ის გაცემა, რომელიც რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა მოგვცეს.

სამოციანი წლების რუსულმა რეალისტურმა ლიტერატურამ შექმნა სწავლავარი ტიპი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჩერნიშევსკის მიერ შექმნილი რახმეტოვის სახე რომანში „რა ვაკეთოთ“. რახმეტოვის მსგავსი ხალხის შესახებ ავტორი წერდა: „ისინი ცოტანი არიან, მაგრამ შათი მეოხებით აყვავდება ყველას სიცოცხლე; ისინი რომ არ იყვნენ, სიცოცხლე ჩაიხშობოდა, დამყავდებოდა; ცოტანი არიან ისინი, მაგრამ ყველა ადამიანს სუნთქვის საშუალებას აძლევენ; ისინი რომ არა, ადამიანები დაიხრჩობოდნენ. უამრავია პატიოსანი და კეთილი ადამიანი, ხოლო ასეთი ადამიანები ცოტანი არიან; ამ მრავალ ადამიანთა შორის ისინი ასეთივე შემადგენელი ნაწილი არიან, ვით ტეინი ჩაიში, ვით სურნელება კეთილშობილი ღვინისა; მათგან წარმოსდგება მისი ძალა და გემოვნება; ისინი საუკეთესო ადამიანთა შორის რჩეულნი არიან, მაშობრავებულთა მამობრავებელნი, იშვენება დედამიწისა“.

რახმეტოვი იყო ახალი ადამიანის სახე, რომლის არსი ტიპიურობის ჩვეულებრივ გაცემას სცილდებოდა. ჩერნიშევსკი ზომ თვითონვე ამბობდა, ასეთი ადამიანები ცოტანი არიანო. მაშასადამე, გაცემა ტიპიურობისა, როგორც გავრცელებულისა, რახმეტოვის სახეს არ მიუდგებოდა. მიუხედავად ამისა, ახალი საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რახმეტოვი მაინც ტიპია, სახელდობრ, ახალი ადამიანის ტიპი. თუმცა ტიპიურობის ამ სახესხვაობის დაწვრილებითი და ამომწურავი განმარტება რევოლუციურ-დემოკრატიულ ესთეტიკას არ მოუცია, სამოციანი წლების ქართულ ესთეტიკურ აზროვნებას იგი მაინც არ გამოჰპარვია. ქართველმა მოაზროვნეებმა უსათუოდ სწორად შენიშნეს, რომ ლიტერატურის მოვალეობას წარმოადგენს არა მარტო გავრცელებულის ასახვა ტიპიურ სახეებში, არამედ იმ იშვიათისაც, რომელიც ამჟამად თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს, მაგრამ მომავალში გავრცელებულად და დამახასიათებლად გადაიქცევა, რადგან მომავალი მას ეკუთვნის. ცხოვრებამ გაამართლა ეს მოსაზრებანი; კერძოდ, რახმეტოვის ტიპმა დიდი როლი ითამაშა განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე, პროლეტარული ეტაპის ადამიანთა ხასიათის ფორმირებაში. საკმარისია მოვიგონოთ გ. დიმიტროვის ცნობილი მოგონება რახმეტოვის სახის ზემოქმედებითი ძალის შესახებ.

თუ ა. ფურცელაძის „სამის თავგადასავალში“ გამოყვანილი პერსონაჟები უფრო ჰქემებს მოგვაგონებენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს, ეს ამის შედეგი კი არაა, რომ შეუძლებელი იყო გამონაკლისის საფუძველზე ტიპის შექმნა, არამედ იმისა, რომ ა. ფურცელაძემ სცადა ჩერ-

ნიშევსკის რომანში გატარებული იდეების მიხედვით შექმნა თავისი რომანის პერსონაჟები და ანგარიში არ გაუწია იმ მღვდმარეობას, რომ ქართულ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ არსებობდა ნიადაგი მსგავსი მოღვაწეობისათვის. შემდგომში ეს ავტორმაც იგრძნო და ავტორიტეტ-ნიშიში კიდევ აღნიშნა: „...სვიმონ არ არის ჩვენი საზოგადოების შვილი და ჯერობით ძალიან ძნელიც არის გამოსვლა ამ გვარის პირისა ჩვენ-ნი; მაგრამ ჩვენ ვგონებთ, ავტორს ისე ის არ ჰქონებია მხედველობა-ში, რომ სვიმონში გამოესახა ჩვენი საზოგადოების აზრი და ლტოლვი-ლება, როგორც ისა, რომ საზოგადოებისათვის გამოესახა ზოგიერთი მაგალითი“. საკუთარ წარუმატებლობას ა. ფურცელაძე არ მიუყვანია იმ დასკვნამდე, რომ თითქოს საერთოდ არ შეიძლებოდა ასეთი სახის შექმნა. მას ჰქონდა მშვენიერი მაგალითი ჩერნიშევსკის რომანისა „რა ვაკეთოთ“ სახით, რომლის შესახებ წერდა: „ამავე აზრით დასწერა ამ უკანასკნელს დროს ერთმა გამოჩენილმა რუსის მწერალმა ერთი რომა-ნი, რომელიც ეხლა ნეტარებით გადადის ხელიდან ხელში და მართლა ჩინებულადაც შეასრულა“...

გ. წერეთელი პრინციპიალურად არ უარყოფდა ისეთი ტიპის შექ-მნის შესაძლებლობას, რომელიც გავრცელებულს არ წარმოადგენდა. ვფიქრობთ, ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ა. ფურცელაძის „სამის თავგადასავლის“ გვერდით და მასზე ადრე უკვე არსებობდა დამაჯერებელი მაგალითი ჩერნიშევსკის რომანისა „რა ვაკეთოთ“. ამი-ტომ იყო, რომ გ. წერეთელი წერდა: „მწერალს შეუძლია გამოიყვა-ნოს ხოლმე თავის თხზულებაში ან იმისთანა გვამი, რომლის მსგავსიც ბევრი იპოვება საზოგადოებაში, ან იმისთანა გვამი, რომელიც ამჟამად სამაგალითოა საზოგადოებისათვის, და თუ ახლა არა, შემდეგ, უფრო გამჭობინებულს ცხოვრებაში მაინც შესაძლებელია ამ გვარი პირების არსებობა“.

რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა და ქართველმა სამოციან-ელებმა მოგვცეს ტიპიურობის პრობლემის თავისი დროისათვის ამომწურავი გაშუქება. მათი აზრით, ტიპიური ძირითადად გავრცელე-ბულს და დამახასიათებელს წარმოადგენს. მაგრამ მათს ესთეტიკურ შე-ხედულებებში ვხვდებით ტიპიურის სტეგვარ გაგებასაც. ამავე დროს დამახასიათებელია ისიც, რომ თუ ჩერნიშევსკიმ მხატვრულ ნაწარმოებ-ში აღნიშნა, რომ რახმეტოვის სახე მნიშვნელოვანია იმით, რომ მას ეკუთვნის მომავალი, გ. წერეთელმა პირველმა გამოთქვა თეორიულად დებულება, რომ მწერალს შეუძლია შექმნას ისეთი სახე, რომელიც მომავლისათვის იქნება დამახასიათებელი. ეს საკითხი მათ არსებითად არ დაუმუშავებიათ, რადგან ერთეული შემთხვევა ასეთი ტიპის შექმნი-სა საკმარის საფუძველს არ იძლეოდა ამისათვის. მოსაზრებანი, რომე-

ლიც თავის დროზე წამოაყენეს რუსეთში ჩერნიშევსკიმ, ხოლო საქართველოში გ. წერეთელმა, ისტორიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობის მატარებელია. როგორც ცნობილია, ამ სახის ტიპმა გავრცელება კპოვა შემდეგდროინდელ ლიტერატურაში, ხოლო წინაპართა ზოგადმა თეორიულმა მონაწილეობამ თანამედროვე ესთეტიკურ აზროვნებაში.

ამრიგად, ა. ფურცელაძის სტატიის დაბეჭდვით გაზეთმა „დროება“ კრიტიკული რეალიზმის თეორიის მრავალი საინტერესო საკითხი დასვა და გადაწყვიტა.

რეალიზმისა და ლიტერატურის ხალხურობისათვის ბრძოლის გზაზე გაზეთ „დროებას“ 1871 წლიდან საიმედო მოკავშირე გაუჩნდა. ეს იყო ჟურნალი „კრებული“, რომელიც 1871—1873 წლებში გამოდიოდა და „დროების“ ჯგუფის ხელში იყო. „დროება“, გაზეთისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გამო, ვერ ახერხებდა დიდტანიანი მხატვრული ნაწარმოებებისა და მოზრდილი სტატიების ბეჭდვას. ამავე დროს, „ცისკარი“ კვლავ განაგრძობდა არსებობას და მასში წამყვანი ადგილი კვლავ კონსერვატული თაობის წარმომადგენლებს ეკიარათ. „დროება“ თუმცა აგრძელებდა „საქართველოს მოამბის“ მიერ დაწყებულ ბრძოლას, მაგრამ ეს ბრძოლა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, თუ გაზეთს ჟურნალიც წამოეშველებოდა, ამიტომ გასაგებია ის აღფრთოვანება, რომლითაც „დროება“ შეხვდა „კრებულის“ გამოსვლას. 1871 წლის №8 და №14-ში დაიბეჭდა ნიკო ყიფიანის რეცენზია „კრებულის“ პირველ ორ წიგნზე. რეცენზიაში „კრებული“ ქებითაა მოხსენებული, როგორც „გამაცხოვებელი საგანი ჩვენს ღარიბსა და მიყრუებულ ლიტერატურაში“. რეცენზენტის აზრით, „კრებულის“ პირველი ორი წიგნი იმის მაჩვენებელია, რომ თავის ძირითად დანიშნულებას — „გაუღვიძოს შკითხველს სურვილი და ჯალისი კითხვისა“ — კარგად ასრულებს. რეცენზიის ავტორი დაწვრილებით განიხილავს ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს“, რომელიც „კრებულის“ მეორე წიგნში იყო დაბეჭდილი და ამ ნაწარმოების ანალიზი საშუალებას აძლევს დღის სინათლეზე გამოიტანოს თანამედროვე ცხოვრების მახინჯი მხარეები. რეცენზენტს მოტანილი აქვს ილიას ცნობილი სიტყვები, რომელშიაც პეტერბურგში გატარებული ოთხი წელიწადია დახასიათებული და კითხულობს: ყველამ ასე რიგიანად მოიხმარა რუსეთში გატარებული წლებიო? დასმულ კითხვას ავტორი ასე პასუხობს: „ზოგმა იქნება გვითხრას, რომ დიად, რიგიანათ მოვიხმარეო ეს ოთხი წელიწადი, კურსა შევასრულეო და ახლა წარმატებაში შევდივარ და ფულს ბლომათ ვიგებო; ამასთან, ლაპარაკი ვიციო, მუსიკა და საზოგადოებაში დროს გატარება, ტანცაობა, ქალებს მოვსწონვარო და ხალხი პატივსა

მცემსო... ყოველი შვილის პატრონი ნატრულობს: ნეტავი ჩვენი შვილიც ამისთანა გამოვიდესო. აი ხომ ხედავთ, რომ კარგად მომიხმარია ის ოთხი წელიწადიო.—კარგი და პატიოსანი, ვიტყვიტ ჩვენცა. მაგრამ, ეს მითხარი, ყმაწვილო, იმ კვირტიდამ, რომელიც რუსეთში გატარებულ ოთხ წელიწადს გამოუკვანძავს შენში, მშვენიერი მტევეანი გამოსულხარ თუ არა. ერთი ეს მითხარი, ყმაწვილო, მოგვლია აქეთკენ რუსეთიდან მომავალსა ის ფიქრები, რომელიც აღელვებდა ჩვენს მგზავრსა და რომელნიც გამოხატულ არიან „მგზავრის წერილებში“ 195 და 196 გვერდზედ. ან შენს დღეში მოგვლია კი მაინც როდისმე ეს ფიქრები? გიკითხავს როდისმე შენი თავისთვის: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანასო და როგორ შემეყრება იგი მეო, ან, რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალსა. და რას მეტყვის იგი მე. შევიძლებ, თუ არა, რომ ჩემს ქვეყანას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვიტ უნუგემოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო“... და სხვ.

ამ გვარ ფიქრებს თავის დღეში არ შეუწუხებია შენი თავი, ჩემო განათლებულო ყმაწვილო. არა, შენ თავსა სხვა ფიქრები აწუხებდა, როცა შენი ქვეყნისაკენ მოდიოდი, შენ თავს ახლაც სულ სხვა ფიქრები აწუხებდა: კეთილი ცხოვრება როგორ შევიძინო, დრო როგორ გავატარო და სხვ“.

როგორც ვხედავთ, მხატვრულ ნაწარმოებში გამოთქმული იდეის მომარჯვებით ავტორი დაუნდობლად ამხელს არსებული საზოგადოების ერთ-ერთ მახინჯ მხარეს. ამ მხილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძის დროს, პეტერბურგის უნივერსიტეტში მყოფ ქართველ ახალგაზრდათა მხოლოდ ერთმა ნაწილმა გამოიყენა იქ მიღებული ცოდნა თავისი ხალხის საკეთილდღეოდ (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.). მეორე ნაწილი კი პირადი ცხოვრების უკეთ მოწყობას მოუნდა. გაეიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ილიამაც თავის გამოცანებში არ დაინდო ისინი:

ახლის აღთქმის კაცი იყო.
ეხლა ქვემძრომი ხელიკია.
ახლისა და ძველის შუა
ის ჩატხილი ხიდა,
ამ ტყუილს ბრძენსაც ქვეყანა,
ძმაო, ფეხებზედ ჰქილია.

ა. წერეთელი, როდესაც „ანმედ-ფაშა კახაბერში“ მოგვითხრობს ახალგაზრდობის ერთი კრების შესახებ, რომელზედაც კახაბერის პასუხი (ილიას „გამოცანები“) განიხილეს, ასე გადმოგვცემს ზოგიერთი

ახალგაზრდის მოქმედებას: „შემდეგ თავმჯდომარემ სთქვა: „ვინც წინააღმდეგია ამ განჩინებისა და მოპასუხეს მართლად არ იცნობს, გამოაცხადოს“. მაშინ წამოდგა ერთი ახალგაზრდათაგანი და სთქვა: „მე სრულიად თანახმა ვარ თქვენი, მაგრამ რადგანაც მე სამსახურში ვარ და მაღალი ადგილი მიჭირავს, მეშინია ცხადად თანაგრძნობისათ და აურაფერს უკაცრავად“. მეორემ თქვა: „მე გამდიდრება და კეთილი ცხოვრება მიყვარს და ახმედ-ფაშას საწყენში რომ გავერიო, ხელს შემიშლიან, რადგანაც ბევრი მისთანა სულმდაბალი კაცია, რომ იმ დიდი კაცის მოსაგერებლად, მეც დევნას დამიწყებსო, და ჩუმად გულში კი თანაგიგრძნობთო“²⁷.

ნ. ნიკოლაძემ „სტუდენტობის პირველ დროში“ ღრეკიას სახით შექმნა დამახასიათებელი ტიპი იმ კაცისა, რომლის დევიზი იყო „ჯერ გავმდიდრდეთ, მერე ხალხს ვემსახუროთ“. უნივერსიტეტში გატარებული დრო, ნ. ნიკოლაძის აზრით, ზოგმა იმისათვის გამოიყენა, რომ სიმდიდრე შეეძინა და პირადი კეთილდღეობა შეექმნა: „ღრეკიას ყოველთვის ის პირები მიეკედლებოდნენ-და ეხლაც ის პირები ეკედლებიან, ვისაც ყველაფერზე მალლა თავისი კერძო სარგებლობა აქვს დაყენებული. ადვოკატები, ადგილის მამძიებელი ჩინოვნიკები, კერძო თავმოყვარეობით გატაცებული პირები“. აქვე გავიხსენოთ გ. წერეთლის კიკოლიკიც, რომლის ყოველი ნაბიჯი თუ მოქმედება პირადი კეთილდღეობის შექმნისკენ არის მიმართული და რომელსაც საზოგადოებრივი საქმიანობა მხოლოდ საკუთარი ბედნიერების მისაღწევად სჭირდება.

მოყვანილი პარალელები ერთხელ კიდევ ამტკიცებენ, რამდენად მართებული იყო „დროების“ რეცენზენტის კრიტიკა.

ყურნალ „კრებულის“ განსილვა — რეცენზირებისას გაზეთმა „დროებამ“ ყურადღება, სხვათა შორის, ქართული სალიტერატურო კრიტიკის სისუსტესაც მიაქცია. მართლაც, არ შეიძლებოდა კმაყოფილების გამოთქმა კრიტიკის იმ დონის გამო, რომელზეც იდგა იგი 70-იან წლებში. საქმე იმაშია, რომ 60—70-იან წლების მოღვაწეები კარგად იცნობენ რუსული ლიტერატურული კრიტიკის ბრწყინვალე ნიმუშებს.

რუსეთში კრიტიკა წარმოადგენდა იმ სფეროს, რომელშიაც უჩვეულო ძალით გამომქდავნდა მატერიალისტური მსოფლმხედველობა, დემოკრატიული და რევოლუციური იდეალები. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა ჯერ კიდევ ბელინსკის ცნობილი სტატიები, მისი ყოველწლიური მიმოხილვანი. თანამედროვეთათვის ცხადი გახდა, რომ ბელინსკის მოღვაწეობაში საქმე ჰქონდათ კრიტიკის სრულიად ახალ

²⁷ ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრ., VII, გვ. 232—233.

სახესთან. განსაკუთრებით ეს ითქმის ბელინსკის სტატიებზე 1840 წლის შემდეგ, როდესაც იგი მტკიცედ დადგა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებზე.

60-იანმა წლებმა რუსეთში ახალი ეტაპი შექმნეს ლიტერატურული კრიტიკის განვითარების დარგში. კრიტიკას გარკვეული ადგილი ეჭირა ჩერნიშევსკის მრავალმხრივსა და ნაყოფიერ მოღვაწეობაში. მისი სტატიები იმის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა, თუ როგორ შეიძლებოდა ერთი შეხედვით უბრალო და ჩვეულებრივ ლიტერატურულ სახეებში მომავალი რევოლუციური ცვლილებების საწყისები მოძებნილიყო.

დობროლიუბოვისთვის ხომ ლიტერატურული კრიტიკა იყო ძირითადი სფერო, სადაც იგი მოხერხებულად და უნარიანად ატარებდა მატერიალისტურსა და რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს. დობროლიუბოვის დამსახურებას წარმოადგენს არა მარტო ცნობილი კრიტიკული სტატიების შექმნა, არამედ ე. წ. „რეალური კრიტიკის“ თეორიის ჩამოყალიბებაც. ანვითარებდა რა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებს და ქმნიდა რა კრიტიკული რეალიზმის თეორიას, დობროლიუბოვმა წამოაყენა ცნობილი დებულება ე. წ. „რეალური კრიტიკის“ შესახებ, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ რეალისტური ლიტერატურის განჩაღვისადმი მიძღვნილი კრიტიკა თვითონაც რეალისტური უნდა იყოს, რომ რეალიზმი არა მარტო მხატვრული ლიტერატურის მეთოდია, არამედ ლიტერატურული კრიტიკისაც.

მოთხოვნა, რომელიც ლიტერატურულ კრიტიკას წამოუყენეს რევოლუციონერმა დემოკრატებმა, შემდეგში მდგომარეობდა: „კრიტიკა — ესაა განსჯა ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების ღირსებათა და ნაკლოვანებათა. მისი დანიშნულებაა გამომხატველი იქნეს საზოგადოების საუკეთესო ნაწილის შეხედულებებისა და ხელი შეუწყოს მასებში მის შემდგომ გავრცელებას“²⁸.

კრიტიკის დანიშნულების ამ პრინციპიალური გაგებიდან გამომდინარეობდნენ 60-იანი წლების მოწინავე ქართველი მოღვაწეები. ცნობილია, რომ 60-იან წლებამდე საქართველოში ლიტერატურული კრიტიკა, ამ სიტყვის სრული და ფართო მნიშვნელობით, არ არსებობდა. მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკი“ პოეტიკის საკითხებს ეხებოდა და კრიტიკის დანიშნულებიდან შორს იყო, ხოლო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ცალკეული ცდები (ს. დოდაშვილი, მ. თუმანიშვილი, ბერძენიშვილი და სხვ.) ან ისტორიულ-ლიტერატურული ღასიათისანი იყვნენ, ან მოკლებულნი საკითხების საკმაო თეორიულ გააზრებასა და იმ თეო-

²⁸ Н. Г. Чернышевский, Полн. собр. соч., II, 1949, стр. 254.

რიულ და პრაქტიკულ გამიზნულობას, რაც 60-იანი წლების კრიტიკას გააჩნდა. ამ აზრით, ნამდვილი სალიტერატურო კრიტიკის დასაწყისად საქართველოში 60-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული თერგდალეულების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლასთან.

ბუნებრივია, რომ 60-იანი წლების ქართველი მოღვაწეები, ერთი ნხრით, ეყრდნობოდნენ იმ მცირე გამოცდილებას, რომელიც ქართულ სალიტერატურო კრიტიკას გააჩნდა, მეორე მხრით, კლასიკურ ფორმებამდე განვითარებული რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკული აზროვნების მიღწევებს. ცნობილია, რომ რუსულ სალიტერატურო კრიტიკას რეალიზმისათვის ბრძოლის საკმაო ტრადიციები ჰქონდა, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების საქმეშიაც. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ თავის ერთ-ერთ პირველ სტატიას — „პასუხი“ ი. ჭავჭავაძემ ეპიგრაფად წარუძღვარა ბელინსკის ცნობილი ციტატა. სალიტერატურო კრიტიკას ილია იმავე როლს ანიჭებდა, რომელიც მან რევოლუციონერ-დემოკრატების ხელში შეასრულა — ეს იყო ბრძოლა რეალიზმისათვის ლიტერატურაში.

ისე, როგორც ბევრ სხვა დარგში, ქართულ სალიტერატურო კრიტიკის განვითარებაში წამყვანი როლი ი. ჭავჭავაძემ ითამაშა. ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვები შეებრძოდნენ იმ გავრცელებულ შეხედულებას, თათქოს ქართული სალიტერატურო კრიტიკის მაშინდელი მდგომარეობა თვით ლიტერატურის სისუსტით ყოფილიყო გამოწვეული. მათთვის უცხო იყო წარსულისა და თანამედროვეობის ესთეტიკური ღირებულებებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება. სტატიაში „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“ ი. ჭავჭავაძემ დამაჯერებლად უჩვენა, რომ ლაპარაკი ქართული ლიტერატურის სისუსტეზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და მიზნად ისახავს კრიტიკული აზროვნების სისუსტის მიჩქმალვას. ილიას აზრით, სრულყოფილი ლიტერატურული კრიტიკის გარეშე შეუძლებელია მხატვრული ლიტერატურის შემდგომი განვითარება, რადგან „ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით, გონების ნაკირნახულები ხვავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა. რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის“²⁹. ლიტერატურული კრიტიკის განვითარებისაკენ მოუწოდებდა აკაკი წერეთელიც. სტატიაში „პირველი და უკანასკნელი სიტყვა „დროებისადმი“ ა. წერეთელმა მკაცრად გაილაშქრა კრიტიკის სისუსტის გამართლე-

²⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., III, 1953, გვ. 152.

ბის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. „ბევრისაგან გაშიგონია. — წერდა იგი, — რომ „ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოჩნდეს. და დაწეროს მისი განხილვაო“, მაგრამ ეს სულ ტყუილი თვალის ახვევა არის; ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბართაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით; არაფერი გვაქვს“³⁰.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას დასაბამი მისცა ი. ჭავჭავაძემ „ცისკარში“ გამოქვეყნებული სტატიებით. კრიტიკის განვითარების ნომანწავებელი იყო სხვა თერგდალეულთა გამოსვლებიც „ცისკარის“ ფურცლებზე. „საქართველოს მოაზრებებში“ ზომ სამუდამო კვალი დატოვა ქართული კრიტიკის ისტორიაში, მაგრამ ჟურნალის დახურვის შემდეგ კრიტიკას ერთგვარი დაცემა დაეტყო: „ცისკარში“ მხოლოდ ა. წერეთელი და ა. ფურცელაძე თანამშრომლობდნენ; სხვა თერგდალეულები: პრინციპული მიზეზების გამო, ამ ერთადერთ ჟურნალში სტატიებს აღარ ბეჭდავდნენ. „დროების“ და „კრებულის“ გამოსვლის შემდეგ კრიტიკული აზროვნება ნაწილობრივ გამოცოცხლდა, მაგრამ ლიტერატურის განვითარების მაღალ დონეს ჯერ კიდევ არ შეესაბამებოდა. „დროებას“, როგორც გაზეთს, არ შეეძლო ვრცელი სტატიების ბეჭდვა, რომელშიაც ყოველმხრივ იჭნებოდა განხილული ესა თუ ის ნაწარმოები, „კრებულში“ თერგდალეულთა მხოლოდ ერთი ნაწილი ბეჭდვდა კრიტიკულ სტატიებს. ი. ჭავჭავაძე ფაქტობრივად „საქართველოს მოაზრებების“ დახურვიდან „ივერიის“ დაარსებამდე ლიტერატურულ კრიტიკას ჩამოშორდა, ა. წერეთელი პოეტურ შემოქმედებას ეწეოდა და რომელიმე შემთხვევის გამო თუ იტყოდა თავის სიტყვას კრიტიკაში, გ. წერეთლის ნიჭი ამ პერიოდში ძირითადად სარედაქციო მუშაობამ შთანქვა. ნ. ნიკოლაძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში საზღვარგარეთ ყოფნის გამო ნაწილობრივ ჩამოშორებული იყო მშობლიურ ლიტერატურას, მაგრამ 70-იან წლებში მან რამდენიმე საინტერესო სტატია დაბეჭდა „დროებასა“ და „კრებულში“. ასეთი იყო ის სურათი, რომლის შედეგადაც მწვავედ დაისვა საკითხი ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესების შესახებ. ამ მიზეზებმა განაპირობეს ნ. ნიკოლაძის სტატია ჟურნალ „კრებულში“ — „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“, რომელშიაც ავტორმა სწორად ჩამოაყალიბა რეალისტური ლიტერატურული კრიტიკის ამოცანები.

ქართული ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობაზე შეჩერდა „დროების“ რედაქტორი ს. მესხიცი 1873 წლის 13—14 ნომრებში, და აღნიშნა მისი სამწუხარო ჩამორჩენა: „ჩვენი ეხლანდელი ლიტერატურ-

³⁰ „ცისკარი“, 1868, № 5.

რა არაფერში არ გრძნობს ისეთ ნაკლულევანებას, როგორც კრიტიკაში. რა გვარი მწერალიც გნებავთ, მონახავთ ჩვენში: მოთხრობისა და რომანების მწერლები, მოლექსეები და პოეტები, დრამატურგები და უბრალო სცენის მწერლები და სხვა ყოველგვარი მწერლები არიან, მაგრამ კრიტიკოსი კი, რიგიანი კრიტიკოსი, ჯერჯერობით არც ერთი არ მოიპოვება, არავინ არ გამოჩენილა. ეს მოვლენა ძლიერ სამწუხარო მოვლენაა, მით უფრო, რომ ჩვენს ლიტერატურას ეხლა, მგონი, ისე არაფერი და არავინ ეპირება, როგორც ხეირიანი კრიტიკოსი. როგორც მეფე რიჩარდი ჰევირის გაქირვების დროს: „ცხენი, ცხენი. ნახევარ სამეფოს მივცემ, ვინც ერთ ცხენს მიშოვნისო“, ისე სრულის საფუძვლით ჩვენც შეგვიძლია დავიყვიროთ: „კრიტიკოსი, კრიტიკოსი. ნახევარ მწერლებს მივცემთ, ვინც ერთ კარგს კრიტიკოსს გვიპოვის“.

ძნელია თქმა, ამ მოწოდების შედეგი იყო „დროების“ რედაქციის მეტი ყურადღებისა თუ კრიტიკის ჟანრში ახალი ძალების გამოჩენისა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევარში „დროება“ გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს კრიტიკული სტატიების ბეჭდვას. ეს ყურადღება გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ მათი შინაარსითა და ხასიათით. გაზეთი ცდილობს ახლო წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობის განხილვით პოპულარული გახადოს მშობლიური ლიტერატურის ცნობილი რეალისტური ნაწარმოებები და ამით ხელი შეუწყოს კრიტიკული რეალიზმის განმტკიცებას თანამედროვე ლიტერატურაში. ამ მიზნის მისაღწევად „დროება“ არ ერიდება ისეთი ვრცელი სტატიების ბეჭდვასაც კი, რომელნიც 4—5 ნომერში გრძელდება.

ერთ-ერთი ასეთი სტატია დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1875 წლის №117, 118, 119-ში და „სურამის ციხის“ განხილვისადმი მიძღვნილი. სტატია ჩვენს ყურადღებას იქცევს არა მარტო იმიტ, რომ მასში დ. ჭონქაძის შემოქმედება მართებულადაა შეფასებული, არამედ იმიტაც, რომ მასში რეალისტური ლიტერატურული კრიტიკისათვის დამაჩასიათებელი ბევრი საინტერესო საკითხია დასმული და გადაწყვეტილი.

რეალიზმის პროპაგანდისა და მისი უკეთესი წარმომადგენლების შემოქმედებითი გამოცდილების განზოგადების გვერდით „დროებას“ უარი არ უთქვამს იმ კლასიკურ მემკვიდრეობაზედაც, რომელიც რომანტიზმმა დაგვიტოვა. საერთოდ ქართული ლიტერატურის განვითარების თავისებური გზით, ქართული რომანტიზმისა და ქართული რეალიზმის სპეციფიკური ნიშნებით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება-განვითარებისათვის ბრძოლა ჩვენში რომანტიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებათა ნიშნის ქვეშ

არ ჩატარებულა. რეალიზმი ჩვენში ეროვნული ლიტერატურის ლოგიკური განვითარების შედეგი იყო და არა ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან შემოტანილი უცხო ხილი. ეს იმას ნიშნავდა, რომ რეალიზმმა რომანტიზმისაგან მიიღო ის უკეთესი, რაც მას გააჩნდა და შემდგომი განვითარება მისცა. ეს პროცესი ცოტად თუ ბევრად სხვა ქვეყნებშიც შესავსად წარიმართა, მაგრამ რეალიზმს ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმთან სპეციალური მხარეც აკავშირებდა. ეს იყო პატრიოტული მოტივი. მართალია, თერგდალეულებმა შემდგომში, ეპოქისათვის შესაფერი განვითარება მისცეს ამ მოტივს, სამშობლოს სიყვარული მათ წარსულზე მოთქმა-გოდების ნაცვლად მომავლისათვის ბრძოლის იდეას დაუკავშირეს, მაგრამ არც ქართული რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენელის ნ. ბარათაშვილის პოეზიისათვის იყო უცხო უკეთესი, თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველი მერმისისაკენ სწრაფვა.

გარდა ამისა, რომანტიკული ნაკადი დამახასიათებელი იყო თერგდალეულთა საუკეთესო წარმომადგენლების ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შემოქმედებისათვისაც. „კაცია აღამიანის“ ავტორის კალამს მიეკუთვნებოდა ისეთი ნაწარმოებები, როგორც „დედა და შვილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და სხვ., ხოლო ა. წერეთელმა „მუშურისა“ და „იმერული ნანას“ გვერდით, „გამზრდელიც“ შექმნა.

ცნობილია ის მაღალი შეფასება, რომელიც ქართული კრიტიკული რეალიზმის უკეთესმა წარმომადგენელმა ი. ჭავჭავაძემ მისცა ა. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის პოეზიას. თვით „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის მეორე ეტაპზედაც კი, როცა გ. ორბელიანმა მამათა ბანაკის მეთაურის როლში გამოვიდა, გაზეთი „დროება“ პატივისცემით იხსენიებდა გ. ორბელიანის შემოქმედებას. ამიტომ ბუნებრივად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ 1876 წელს ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემას „დროებამ“ თავის მე-60 და 61-ე ნომრებში გ. თუმანაშვილის რეცენზიით უპასუხა. აღნიშნული რეცენზია, გარდა იმისა, რომ საუკეთესო შეფასებას აძლევს ნ. ბარათაშვილის ნიქს, იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში ხაზგასმულია ახალი თაობის ღვაწლი დიდი ქართველი პოეტის მხატვრული მემკვიდრეობის შეკრება-გამოცემის საქმეში. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ პოეტის უღროო გარდაცვალების შემდეგ, „იმის თაყვანისმცემლებმა, ნათესაებმა და ამხანაგებმა დაივიწყეს დაუფიწყარი პოეტი და იმის ლექსები. მხოლოდ ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ ახალ თაობამ გამოსძებ-

ნა და ჯერ ბეჭდა სხვადასხვა ჟურნალებში და ბოლოს ამ წელს გამოს-
ცა კიდეც მთლად. რეცენზენტის ეს შენიშვნა ჩვენთვის ორმხრივაა
მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, რეცენზია დაწერილია თაობათა ბრძოლის
მეორე ეტაპის დასასრულს და მასში მინიშნებულია გ. ორბელიანზე,
როგორც ბარათაშვილის ახლო ნათესავზე (ბიძაზე), რომელსაც სათა-
ნალო მზრუნველობა არ გამოუჩენია და, მეორე, ბარათაშვილის უშუ-
ალო მემკვიდრედ და პატივისმცემლად გამოცხადებულია არა „მამა-
თა“ ბანაყის წარმომადგენლები, რომლებიც პირადად იცნობდნენ
პოეტს და მასთან თავის დროზე ნათესაური ან მეგობრული ურთიერ-
ობა ჰქონდათ, არამედ ასალი თაობა, რომელმაც მიიღო და განავითარა
ბარათაშვილის შემოქმედების უკეთესი ტრადიციები.

70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში
„დროება“ თუმცა განაგრძობს სტატიების ბეჭდვას ლიტერატურის
საკითხებზე, მაგრამ შესამჩნევია კრიტიკულ-თეორიული აზრის
ერთგვარი შესუსტება. თუ მანამდე გაზეთი ყოველთვის ცდილობდა
კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებსა ან მწერლის შემოქმედების
გარშემო საუბარი დაეკავშირებინა კრიტიკული რეალიზმის თეორიის
რომელაღე საკითხთან, 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლე-
ბის დასაწყისის ნომრების გაცნობა გვიჩვენებს, რომ ვრცელი სტატი-
ები, რომლებიც რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა, როგორც წესი,
ადგილს უთმობს მოკლე რეცენზიებს, ხოლო თეორიული მსჯელობა
ლიტერატურის რაობისა და დანიშნულების შესახებ — რომელიმე ნა-
წარმოების ან წიგნის კრიტიკულ ანალიზს. ამის მიზეზი მრავალი იყო.
გაზეთი იძულებულია ადგილი დაუთმოს რუსეთ-თურქეთის ომის
ქრონიკას, რომელმაც გარკვეული დიდი დაჩნია მის გამოცემას. გარ-
და ამისა, გაუამწყვეტი როლი იმან ითამაშა, რომ „დროებას“ ჩამოს-
ცილდნენ ისეთი გამოჩენილი და ნიჭიერი მოღვაწეები, როგორიც გ. წე-
რეთელი და ნ. ნიკოლაძე იყვნენ. აქ საქმე მართა მათს თანამშრომ-
ლობაში კი არ იყო, არამედ იმ გავლენაში, რომელსაც ახდენდნენ
ისინი გაზეთის შინაარსსა და მიმართულებაზე. „დროების“ პარალე-
ლურად რამდენიმე გამოცემამ დაიწყო გამოსვლა: „ობზორმა“, „ივე-
რია“, „იმედმა“, „შრომამ“. ეს ფაქტი თავისთავად მისასაღმებელი
იყო, რადგან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობაზე მიუ-
ხიბებდა. „ობზორიდან“ გაისმა ჩვენი ცნობილი პუბლიცისტის ნ. ნი-
კოლაძის მძლავრი ხმა, რომელიც რევოლუციურ-დემოკრატიული
ესთეტიკის პრინციპების დაცვისაკენ მოუწოდებდა, „ივერია“ ხელთ
აღლო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა და

ლიტერატურას მშობლიური ერის სამსახურისაკენ მოუწოდა. ქართველი ხალხოსნები, რომლებიც ესთეტიკის ძირითად საკითხებში აერგდალეულების პოზიციებზე იდგნენ, თავიანთ სტატიებს „იმედსა“ და „შრომაში“ ბეჭდავდნენ. ყველა ეს გამოცემა, ერთად აღებულად, ლიტერატურული კრიტიკის განვითარებისათვის გაცილებით მეტს აკეთებდა, ვიდრე ეს მართო „დროებას“ შეეძლო გაეკეთებინა.

ქართული სამოციანელები და ხალხოსნების
ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა

ქართული რეალისტური კრიტიკის აღმოცენება კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებას უკავშირდება. მართალია, ქართული კრიტიკული აზროვნების საწყისები ძველ ქართულ მწერლობაშიც მოიპოვება, მაგრამ რეალისტური ლიტერატურული კრიტიკის დამკვიდრება შესაძლებელი გახდა საქართველოში ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცების შემდეგ. ქართული კრიტიკული რეალიზმი ფართოდ იკაფავს გზას ჟურნალ „ცისკრის“, „საქართველოს მოაზრების“ და გაზეთ „დროების“ საშუალებით. აქედან იღებს სათავეს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაც.

ქართული კრიტიკული რეალიზმი დაამკვიდრა, გააღრმავა და მაღალ საფეხურზე აიყვანა სამოციანი წლების სახელოვანმა თაობამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის გამოჩენა ლიტერატურის სარბიელზე 80-იან წლებში ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარების ახალი ეტაპია. თითქმის ამავე ხანებში გამოჩნდნენ ხალხოსანი მწერლები და კრიტიკოსები. ხალხოსნებმა ვერ შესძლეს სამოციანი წლების ქართველ განმანათლებელთა იდეების შემოქმედებითად განვითარება და ბევრ შემთხვევაში უკიდურესი უტილიტარიზმისაკენ ეწევიან ქართულ მწერლობას.

ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, რაც 60-იანი წლების ცნობილ რეფორმასთან იყო დაკავშირებული, თავის გამოხატულებას პოულობდა ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თვითმპყრობელობის პირობებში ლიტერატურა წარმოადგენდა ერთადერთ ტრიბუნას, სადაც შედარებით ადვილად აისახებოდა ეპოქის დამახასიათებელი ტკივილები; დაპირისპირებულთა ბრძოლა ქართულ სინამდვილეში 60-იან წლებში ივანე კერესელიძის „ცისკრის“ ფურცლებზე დაიწყო. ეს პრინციპული ბრძოლა იწყება ამ ჟურნალის 1861 წლის აპრილის

ნომერში დაბეჭდილ ი. ჭავჭავაძის კრიტიკული წერილით „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კახლოვის „შემლილის“ თარგმნაზედა“. ამ წერილში ილია ჭავჭავაძე ლიტერატურის პრაქტიკულ დანიშნულებაზე, მის მებრძოლ ფუნქციაზე მიუთითებდა. „ცისკრის“ ფურცლებზე დაწყებული ბრძოლა ენისა და ლიტერატურის დანიშნულების საკითხებზე ღრმა შინაარსის მატარებელი იყო. ეს ბრძოლა უფრო ჩამოყალიბებულ ხასიათს იღებს, როდესაც ახალმა პროგრესულმა მიმდინარეობამ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით დააარსა ყურნალი „საქართველოს მოამბე“. ი. ჭავჭავაძემ, თავის თანამებრძოლებთან ერთად (აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი და სხვ.) დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურაში მატერიალისტური ესთეტიკისა და რეალისტური კრიტიკის საფუძვლები. ლიტერატურული კრიტიკა გახდა მწერლობის ტონის მიმცემი და გზის გამკვლევი. „თერგდალეულთა“ საწინააღმდეგო პოზიციაზე მდგარმა კრიტიკოსებმა — ბარბარე ჯორჯაძემ, უიორგი ბარათაშვილმა, სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა და სხვებმა საზოგადოებრივი აზრის განვითარების თვალსაზრისით, საინტერესო წერილებით უპასუხეს ახალი თაობის გამოსვლას. რადიკალური პოზიცია ეჭირა ანტონ ფურცელაძეს.

„თერგდალეულთა“ გამოსვლა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ახალი ეტაპი იყო ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. მათ ეროვნული ლიტერატურა ხალხის ინტერესებს დაუმორჩილეს, ცხოვრების გამაუმჯობესებელ საშუალებათა ფუნქციით აღჭურვეს. ი. ჭავჭავაძის მოწინავე შეხედულებები გამომდინარეობდა ეპოქის პროგრესული მოთხოვნებისაგან, რაც ი. ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან ახლო ურთიერთობითა და მოწინავე რუსული პრესის საშუალებით შეიძინეს.

ეს ახალი იდეები, როგორც ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, ბრმაღ კი არ მიუღიათ ქართველ სამოციანელებს, არამედ საკუთარ აზროვნების ქურაში გადაუმუშავებიათ და ქართველი ხალხის ეროვნული სპეციფიკის შესაბამისად გამოუყენებიათ. ქართული აზროვნება, ლიტერატურა და კრიტიკა, მანამდეც ნაზიარები მდიდარ ქართულ დემოკრატიულ ტენდენციებს, 60-იანი წლებიდან გაბედულად იკაფავს გზას თავისუფლებისაკენ. ქართველმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ი. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით მალა ასწიეს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა.

ქართული ლიტერატურული კრიტიკა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ცხოვრების განვითარების მხარდამხარ იზრ-

დებოდა. იგი ჩვენი ეროვნული მწერლობის სისხლწორცეული ნაწილია და გარდა ლიტერატურისა მოიცავდა ქართული საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს. ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, კრიტიკოსები, მეცნიერები, კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაეები პრინციპული, მებრძოლი კრიტიკით დაუცხრომლად იღწვოდენ საქშობლოს უკეთესი მომავლის ინტერესებისათვის.

განათლებისა და პროგრესის საქმეში სამოციანელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხალხის ფართო მასების დარაზმვას. ახალი ცხოვრების აშენება კი ხალხის განათლების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, როგორც ყველა განმანათლებელი, ქართველ სამოციანელთა სასიქადულო თაობაც, ურის წინსვლას საზოგადოების ფართო ფენების კულტურის ამაღლებაში ხედავდა. ისინი ცხოვრების გარდაქმნაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლიტერატურას. რომელსაც უნდა გაენათებია ხალხისათვის ქეშმარიტი ცხოვრებისაკენ სავალი გზები. ამიტომ „თერგდალეულები“ ჯერ „ცისკარში“, შემდეგ თავიანთ საკუთარ ბეჭდვით ორგანოებში („საქართველოს მოამბე“, „დროება“, „მნათობი“, „კრებული“ და სხვ.) ეწევიან ფართო ხასიათის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას და ვისაც „ლიტერატურული განათლება“ არ ჰქონდა, უფლებას არ აძლევდნენ მწერლობის სახელით ელაპარაკათ, „ფეხი გამოდგან“.

ილია ჭავჭავაძემ თავის წერილებში „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“, — პირველმა ქართულ ლიტერატურაში, განსაზღვრა ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულება, ლიტერატურის თეორიის, ისტორიისა და კრიტიკის მნიშვნელობა და აზოცანები. „საქართველოს მოამბემ“ და მისმა საქმის გამაგრძელებელმა გაზეთ „დროებამ“ დაიცვა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპები და საბოლოოდ გააბატონა კრიტიკული რეალიზმი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი.

„საქართველოს მოამბეში“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით „თერგდალეულთა“ მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულებაზე საბრძოლო პროგრამად მიიღო „საქართველოს მოამბის“ შემდეგ მეცხრამეტე საუკუნეში გამოსულმა თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთმა და, პირველ რიგში, მისმა უშუალო მემკვიდრემ გაზეთმა „დროება“. ლიტერატურული კრიტიკის მეთაურობა „დროების“ ხელში გადავიდა.

„დროების“ წერილების შინაარსი „საქართველოს მოამბეში“ ჩამოყალიბებულ თეორიული დებულებების პრაქტიკულ განხორციე-

ლებას ემსახურება. აქ აღარ არის ფართო ხასიათის მსჯელობა ლიტერატურისა და ხელოვნების, ლიტერატურული კრიტიკის დანაშნულეობაზე, რაც ვრცლად გაშუქდა სამოცანელთა წერილებში „დროებას“ გამოსვლამდე, — „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“. მართალია, „დროების“ გამოსვლისას ბრძოლა „შვილებსა“ და „მაშებს“ შორის ძირითადად დამთავრებულია, მაგრამ „დროება“ აგრძელებს „საქართველოს მოამბის“ ტრადიციებს და საჭიროების შემთხვევაში პრინციპულ პოლემიკას აწარმოებს „ცისკრის“ მისამართით. 1869 წლის „დროებაში“ კვლავ „ცისკრის“ ჩამორჩენილობაზეა ლაპარაკი: რომ „ცისკარმა“ ვერ დაამთავრა კამათი ქართული ენის „დამდაბლება-ამაღლებაზე“. „დროება“ მართებულად მიუთითებდა, რომ „ცისკარს“ არამკითხვით მიუსაკუთრებია ქართული ენის პატრონობაო¹ და სხვ. სხვა ადგილზე „დროება“ ეწევა „საქართველოს მოამბის“ იდეური მიმართულების პროპაგანდას. „ცისკარი“ მეცამეტე წელია ცოცხალია, მაგრამ ვაი, ამისთანა სიცოცხლეს: „საქართველოს მოამბე“ აღარ გამოდის, მაგრამ იგი ცოცხალია თავის სტატიებით, სულით, ხოლო „ცისკარი“ არის სულით მკვდარი... „საქართველოს მოამბის“ ნომრებს დღესაც უფრო ბევრნი კითხულობენ“¹, ვიდრე „ცისკარს“.

70-იან წლებში ქართველ განმანათლებელთა შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მძლავრ ნაკადად შემოდის და ახალ აღმავლობას განიცდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეალები. სოციალური პრობლემატიკა, რეფორმის შემდეგაც, გადაწყვეტალ საკითხების სფეროს არ განეკუთვნება და კვლავ დაკვირვების ობიექტად რჩება.

ქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი სოციალურ საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობდა. რადიკალიზმი სოციალური პრობლემატიკის გაშუქებაში იმდენად საგრძნობი იყო, რომ ქართული ინტელიგენციის ამ ფრთამ, 1869 წელს, თავისი ჟურნალი „მნათობი“ დააარსა. „მნათობის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ხალხოსნური მიმართულების როგორც პუბლიცისტური წერილები, ისე ამ იდეალების შესაფერისი მხატვრული ნაწარმოებები. თავის მოწინავე წერილში „მნათობი“ განუმარტავდა მკითხველებს, რომ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ქართულ საზოგადოებას არ გააჩნდა ისეთი ხასიათის ჟურნალი, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა მასებში ხალხოსნური იდეების გატანაო. დაუპირისპირდა რა „დროება“ — „კრებულს“. „მნათობი“ თავის დევიზად აცხადებდა ხალხთან დახლოებას, ხალხის სასარგებლო იდეალების ქადაგებას, სწავლა-განათლების საშუალებით

¹ „დროება“, № 27, 1869.

გლებობის კულტურული დონის ამაღლებას. ეს გადაუდებელი საქმე, — განაგრძობდა „მნათობი“, — მართალია, „საქართველოს მოამბემ“ წამოიწყო, მაგრამ ახლა მიტოვებულია და არავინ ფიქრობს მის მოგვარებაზე.

„ჩვენი დრო, — აღნიშნავდა „მნათობი“ თავის საპროგრამო წერილში, — არის კრიტიკული დრო, ჩვენ ვცხოვრობთ ძველსა და ახალს შუა, ძველი სამუდამოთ წავიდა ჩვენგან, მაგრამ ახალი გზა კი ჯერ არ გაგვიკვლევიან. ჩვენ უნდა ვეცადოთ გაუნათლოდ ხალხს მსვლელობის გზა გონებითი, ზნეობითი და ნივთიერებითი წარმატებებისათვის“. ეურნალმა უნდა გაუნათოს ხალხს მომავალი ბრძოლების გზა. „შეიყვანოს ხალხი თავის ცნობაში, ახსნას და შეიმუშაოს ის კითხვანი, რომელნიც ყველაზე მომეტებულად შეეხებიან ხალხის ცხოვრებას, მის კეთილდღეობას“².

„მნათობის“ რედაქციაში შემავალ ქართველ ინტელიგენტთა ხალხოსნური იდეალების გამომხატველი წერილები ამ ეურნალის დაარსებამდე უნდა იბეჭდებოდა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე (დიმიტრი ჯანაშვილი, ნ. ინაშვილი, ან. ფურცელაძე, მ. ქიქოძე და სხვ.), მაგრამ „მნათობის“ დაარსების შემდეგ იგი გადაიქცა ხალხოსნური მოძრაობის პროპაგანდისტად საქართველოში. მის ფურცლებზე გამოჩნდა რუსული ნაროდნიკული იდეალების გამომხატველი წერილები, სადაც ხშირად ვხვდებით რუსული ხალხოსნური ეურნალების „ნედელიას“, „დელოს“ და „ოტეჩესტვენიე ზაპისკის“ დასახელებას. მიუხედავად ამისა, ხალხოსნობამ საქართველოში ვერ ჰპოვა გავრცელება ისეთი მასშტაბით, როგორც რუსეთში. ამის მიზეზია ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი განსხვავებული ობიექტური პირობები, განსაკუთრებით ის, რომ საქართველოში არ არსებობდა რუსული „ობშინის“ შესატყვისი ობიექტი. შეიძლება ამითაც უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქართველ ხალხოსნებს არ გამოუშუშავებიათ თავილი ორთოდოქსალური პროგრამა. მათი იდეალები შეზავებულია დასავლეთ ევროპის უტოპიური სოციალიზმით. „დროება“ — „კრებულთან“ პოლემიკის დროს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა „მნათობის“ პოზიციების სისუსტე, ფაქტიურად ხალხოსნებს არ უთქვამთ ახალი სიტყვა სამოციანი წლების მოღვაწეებთან შედარებით. მთავარი, რითაც ისინი გამოირჩეოდნენ სამოციანი წლების თაობისაგან, იყო მათი უკიდურესი რადიკალიზმი და ხალხთან ახლოს მისვლის სურვილი. „მნათობს“ არ გააჩნდა გამოკვეთილი პროგრამა, თანამშრომელთა

² „მნათობი“, 1869 № 2, გვ. 5

მაოფლმხედველობა მერყევია, არ არიან გარკვეულნი თავიანთ ქიზნებსა და მიმართულებაში.

70-იანი წლები ქართველი ხალხოსნები, რუსეთის ნაროდნიკების მსგავსად, თვლიდნენ, რომ შესაძლებელია თემურ მიწათმფლობელობაზე დაყრდნობით, კაპიტალიზმის საფეხურის გაუვლელად, უშუალოდ სოციალიზმზე გადასვლა. გლახობამ ინტელიგენციის მეთაურობით უნდა დაამზოს მეფის თვითმპყრობელობა და დაამყაროს სოციალიზმი. ხალხოსნების ერთ-ერთი ხელმძღვანელი სოფ. მგალობლიშვილი თავის მოგონებაში წერდა, რომ „ჩვენ ვცდილობდით, ხალხი პირდაპირ გადაგვესკუპებია კაპიტალისტური ხანის გაუვლელად სოციალიზმში. ჩვენ გვეგონა, ხალხს ერთს რომ დავუწრუპუნებდით, მაშინვე ანაზღად გასოციალისტებოდნენო“.

უდავოა, რომ ხალხოსნური მოძრაობის გამოძახილი ძლიერ ნაკადად მოდიოდა რუსეთიდან საქართველოში. ეს მოვლენა განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება 70—80-იან წლებში, როდესაც სამოღვაწეოდ გამოდიან რუსეთში სწავლა-განათლება მიღებული და თავისი დროის ნაროდნიკული იდეებით შეიარაღებული ქართველები: ანტონ ფურცელაძე, რომელიც ყოველთვის მერყეობდა განმანათლებლობასა და ნაროდნიკობას შორის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხოსანთა ლიდერი ეგნატე იოსელიანი, მწერლები სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, შიო დავითაშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი და სხვები. ცნობილია, რომ ქართველმა ხალხოსნებმა დიდი კვალი დატოვეს რუსეთის ხალხოსანთა საიდუმლო ორგანიზაციებში მუშაობით. ქართველი ხალხის შვილები ვარლამ და გრიგოლ ჩერქეზიშვილები, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი კარაკოზოვის საქმეზე, იშიუტინის საიდუმლო ორგანიზაციაში მუშაობდნენ. რუს რევოლუციონერთა საიდუმლო საზოგადოებებთან იყო დაკავშირებული, აგრეთვე, სხვა ქართველი ხალხოსნების საიდუმლო მუშაობა რუსეთში: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, მიხეილ ფალავანდიშვილი, ივანე თარხნიშვილი, ალექსანდრე ბაქრაძე და სხვები. 1873—1874 წლებში პეტერბურგში ქართველ რევოლუციონერთა ხალხოსნური წრე ყოფილა ჩამოყალიბებული, რომელიც მთავრობის საბუთებში „ქართველთა წრედ“ მოიხსენიება. ამ წრეში აღდილან: რაფიელ ყაზბეგი, მიხეილ ყიფიანი, ელისაბედ ყაზბეგი და სხვ.³

³ ზ. შ ვ ე ლ ი ძ ე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 52.

ქართველი რევოლუციონერი ხალხოსნები იყვნენ, აგრეთვე. მოსკოვის ხალხოსნური ორგანიზაციის აქტიური წევრები: ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარი, გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი-მაიაშვილი, რომელმაც შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა „50-ის პროცესზე“, მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩიკოიძე, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ციციშვილი, ანთიმოზ გაჰყრელიძე, პარმენ მიქელაძე, ნიკო ხუდადოვი და სხვ. 1877 წლის 14 მარტის განაჩენით, „50-ის პროცესზე“ გასამართლებულ ხალხოსან ალექსეევთან ერთად, ქართველებს — ო. ჯაბადარს, ა. ციციშვილს, მ. ჩიკოიძეს და სხვებს კატორღა მიუსაჯეს.

ხალხოსანი მწერლები და პუბლიცისტები თავის ძალ-ღონეს ახალი საზოგადოებრივი წყობილების განხორციელებისათვის ბრძოლას წირავდნენ: ილაშქრებდნენ წარსულის გაიდევლების წინააღმდეგ. იღწვოდნენ ცხოვრების გაუმჯობესებისა და კეთილ წარმატებისათვის. ისინი თერგდალეულთა მსგავსად ლიტერატურას დიდ საზოგადოებრივ ფუნქციას ანიჭებდნენ. მათი რწმენით, ლიტერატურის და კულტურის მუშაებს ხალხისათვის უნდა ეწერათ, გლეხობას უნდა დახმარებოდნენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. ამიტომაცაა, რომ ხალხოსანთა მსატერულ ნაწარმოებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქადაგებას, პუბლიცისტიკას, აგიტაციას, გლეხის დუხჭირი ცხოვრების გაშიშვლებულ დახატვას, ხალხის ტყვიულების ნატურალისტურ ჩვენებას.

ქართველი ხალხოსნების მუშაობა მეფის მთავრობას ყურადღების გარეშე არ დარჩენია. 1876 წლის შემოდგომაზე ეანდარმერიამ დააპატიმრა ხალხოსნური ორგანიზაციის ყველა აქტიური წევრი. დასრულდა 70-იანი წლების ხალხოსნების მოღვაწეობა, დამთავრდა საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის პირველი პერიოდი. ღიბურა მათი იდეების გამომხატველი „მნათობი“. ხალხოსნები „დროება“ „კრებულში“, ხოლო შემდეგ „ივერიაში“ აგრძელებენ მოღვაწეობას.

ცარიზმის რეპრესიებმა კიდევ უფრო გააშიშვლა კლასთა ბრძოლა, გააღრმავა სოციალური წინააღმდეგობანი. რთული სოციალური უსამართლობა ახლებურ გადაწყვეტას მოითხოვდა. სხვა, ახალ ასპექტში ვლინდება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. გაფართოვდა და გამრავალფეროვნდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის საშუალებები. რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკურ საკითხებში თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ. ამ რთული საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზად მარტო „დროება“, „კრებული“ და სხვა პატარა მასშტაბის

გამოცემები ვერ გამოდგებოდა. 1879 წლიდან დასახელებულ გამოცემებს გვერდს უმშვენებენ და ენაცვლებიან „ივერია“, „ოზორი“, „იმედი“, „შრომა“ და სხვ. 80-იანი წლებიდან „ივერია“, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, კვლავ ხდება ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ.

80-იან წლებში ახალი ძალით გაჩაღდა ბატონყმობის ნაშთებთან და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ყურნალ-გაზეთებს მეტი მუშაკი და მკითხველი გაუჩნდა. ქართული საზოგადოებრივი აზროვნება და კულტურა კვლავ მოწინავე რუსულ კულტურასთან მჭიდრო კავშირში ვითარდება. ქართული პრესის ფურცლებზე იბეჭდება სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებისა და მათ იდეურ თანამოაზრეთა სტატიები, სადაც თავის ადგილს პოულობს 80-იანი წლების ნაროდნიკ პუბლიცისტებისა და საზოგადო მოღვაწეების ნიკო ავალაშვილის, სტეფანე ჭრელაშვილის, ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელი), მიხეილ ასათიანის, ზაქარია გულისაშვილის, მიხეილ გურგენიძის და სხვათა წერილები.

80-იან წლებში გამოჩნდა ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის მონოლითური ფიგურები. მათმა ნიჭმა გააღრმავა და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული კრიტიკული რეალიზმი და რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნება.

80-იან წლებში მთელი სიგრძე-სიგანით გამოაშკარავდა რეფორმის მოჩვენებითი ხასიათი. ღლები ორმაგი ექსპლოატაციის ჭეშმარიტად აღმოჩნდა. ქართულ მიწა-წყალს ნელ-ნელა ეპატრონებოდნენ უცხო კაპიტალის მქონე პირები. სოციალურ უთანასწორობასა და უსამართლობას თან ერთვოდა ეროვნული ჩაგვრა. ამან განაპირობა თავისუფლებისათვის ბრძოლის სხვადასხვა ფორმების ძიება, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ მაგისტრალურ მიმდინარეობას ერთვოდა.

80-იანი წლებისათვის გამოცოცხლებას იწყებს ლეგალურ ხალხოსანთა იდეალები. 1881 წლიდან თბილისში გამოდის ხალხოსნური ყურნალი „იმედი“. ამ ყურნალის პარალელურად ქუთაისში იბეჭდება გაზეთი „შრომა“ (1881—1883), რომელიც აგრეთვე გლეხურ ხალხოსნური მიმართულებისა იყო. გაზეთ „შრომასა“ და „იმედის“ გარშემო უმთავრესად თავს იყრიდნენ ის ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც „ივერიასა“ და „დროებას“ მიმართულებაში არ ეთანხმებოდნენ. ესენი იყვნენ: სტეფანე ჭრელაშვილი, გიორგი მიაშვილი (ზდანოვიჩი), ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), ზაქარია გულისაშვილი (შაქრო), მიხეილ გურგენიძე, გრიგოლ ჭრელაშვილი, მიხეილ ასათიანი, გრიგოლ

ყოფშიძე, ესტატე მკვლელი (ბოსლეველი), უმწიფარიძე (გრაგოლ ვოლსკი), დავით კეზელი და სხვ.

„80-იანი წლების ლეგალურმა ხალხოსნებმა, რომლებიც ძირითადად „იმედისა“ და „შრომაში“ მოღვაწეობდნენ, დაჰკარგეს წინანდელი რევოლუციური უღფერი და არსებითად ბურჟუაზიული ლიბერალების პოზიციამდე ჩამოქვეითდნენ“⁴.

როგორც ლენინი მიუთითებდა, ლიბერალ ნაროდნიკების მიერ წამოყენებული თეორია ცხოვრების გარდაქმნისა ერთადერთი სწორი და პროგრესული იყო ისეთ პირობებში, თუ კაპიტალიზმის გაუვლელად გლეხური რევოლუცია მოხდებოდა, რაც ნაკლებ მოსალოდნელი იყო.

ცნობილია, რომ ლიბერალი ნაროდნიკები მთელი ენერგიით იბრძოდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მათი მოთხოვნები, ობიექტურად, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას უწყობდა ხელს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „წვრილმანი ღონისძიება (რომელთაც ახლა ასე გულმოდგინედ ეძღაუჭება „რუსსკოე ბოგადსტვო“ და მთელი ჩვენი ლიბერალურ-ნაროდნიკული პრესა) ნიშნავს გამოხატავს და ახორციელებს „ახალ-მეშხანურ“ დანაშრევებს, კაპიტალისტურ წესებს“⁵.

ხალხოსანი მწერლები, „იმედის“ და „შრომის“ ჰუმლიციისტების მეთაურობით, ვულგარულ-სოციალოგიური მეთოდით ხსნიდნენ წარსულს კულტურულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულებას. ისინი ვერ ეგუებოდნენ წარსულის იდეალიზაციას, რასაც საზოციანი წლების სახელგანთქანი მოღვაწეები სამართლიანად უკავშირებდნენ ქართველი ხალხის აწმყოსა და მომავლის იმედებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეალებს. ხალხოსნების აზრით, წარსულის იდეალიზაცია ისტორიული ფაქტების დამახინჯება იყო, რომელსაც, თითქოს, არავითარი საარგებლობა არ მოჰქონდა ხალხისათვის.

„იმედის“ ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი ზაქარია გულისაშვილი წერდა, რომ „იმედის“ თანამშრომელნი, წინააღმდეგ „დროება“-„ივერიის“ თანამშრომელთა, მაინც და მაინც მაგდენად არა სწყალობენ და ქადაგებენ წარსულზე, რომ საქმე სისხლშია და არა ძალაში, სიცოცხლეში და არა სიკვდილში, აწმყო მომავალში და არა წარსულში“⁶.

ქართველ ხალხოსან კრიტიკოსთა მახვილი მთელი თავისი სიტლანჭით მიმართული იყო თერგდალეულთა და „დროება“-„ივერიის“

⁴ „საქართველოს ისტორია“, II, 1962, გვ. 143.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., I, 1948, გვ. 440.

⁶ „იმედი“, 1881, № 9.

თანამშრომელთა წინააღმდეგ. მათი აზრით, თერგდალეულთა თაობა დაბერდა და დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. ამ საქმეში, აღნიშნავდა ხალხოსანი მიხეილ ასათიანი, მათ წოდებრავმა წარმოშობამ შეუშალა ხელი. ახლა კი 60-იანი წლების თაობა პირადი ცხოვრების მოწყობის საქმეშია გართული და ხალხისათვის არა სცალარო. ამიტომ ხალხის საქმის წინამძღოლობა ახლა ახალგაზრდებმა — ხალხოსნებმა უნდა ჩავიბაროთო. ხალხოსანთა აზრით, 80-იანი წლების „ახალ თაობას“ უფრო შეუძლია ხალხის ცხოვრების გამაუმჯობესებელი გზების გამონახვა, ვიდრე 60-იანი წლების „თავად-აზნაურთა“ თაობას და სხვ.

ხალხოსანი პუბლიცისტები და მწერლები მთელ თავის ყურადღებას ამახვილებდნენ გლეხთა მდგომარეობის რაც შეიძლება დეტალურად წარმოსახვაზე. ხალხოსანთა უურნალი „იმედი“, ერთ-ერთ თავის მიმოხილვაში, მიუთითებდა რეფორმის შემდგომდროინდელ სოფელში გამეფებულ კლასთა ბრძოლაზე, „რომელსაც ხოცვა-ჟლეტა მოსდევს და თითქმის მთელი თვეობით გრძელდება“. ყველაფერი ეს, აღნიშნავდა „იმედი“, იმისათვის ხდება, რომ გლეხკაცობა უყუარებს თავად-აზნაურობას არა როგორც ძმას, როგორც ეს ჩვენს პრესაში გვხვდებო, არამედ როგორც მტერს. „თავადს ან აზნაურს რომ სახლი ეწოდეს, ან ყანა მოუშეკლი და გაულეწავი რჩებოდეს და გლეხი კი სრულიად მოცილი იყოს — ფასითაც ხშირათ არ ემარება ხოლმე“⁷. ეს სურათი მაშინდელი სოფლის ყოფისა იმდენად დამახასიათებელია, რომ საჭირო არ იყო ამის თაობაზე „წოდებათა განსხვავების“ თეორიის მოშველიება და ამ განსხვავების უცოდინარობის დაწამება ისეთ ცნობილ მოღვაწეთათვის, როგორნიც აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი იყვნენ.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელს, თავისი თაობის შესაფერისად, კარგად ესმოდა კლასთა შორის ბრძოლა, წოდებათა შორის განსხვავება და მთელი სიცოცხლე იგი სოციალური უსამართლობის მოსპობისათვის იბრძოდა.

აკაკი წერეთელი ხალხოსან პუბლიცისტებს გამოეხმაურა წერილით „ზოგიერთების საპასუხით“. ამ წერილში აკაკი დამაჯერებლად განმარტავდა ბატონყმური წყობილების ავკარგიანობას. სხვათაშორის, პოეტი თავის მოსაზრებას გამოსთქვამდა ბატონყმობის შესახებ, კერძოდ, რომ ძველ დროში, სანამ კლასთა ბრძოლა ნათლად გამოიკვეთებოდა და ხალხში განათლება შევიდოდა, „ბატონსა და ყმას თავიანთი

⁷ ურ. „იმედი“, 1881, № VI, გვ. 109—110.

უფლებები თათქოს ღმერთისაგან ჰქონდათ მინიჭებული. ბატონს უნდა ებატონა ყმაზე, ხოლო ყმა ბატონის მორჩილი და მუდამ „კეთილი ბატონის“ მონატრული ყოფილიყო“. „მისი ნატვრა, — აღნიშნავდა აკაკი, — ამაზედ მალლა ვერ იწევდა და როდის? მაშინ, როდესაც არც ბევრი და არც ცოტა მისი არ იყო რა, მისი საკუთრება სხვის უფლებებში იყო და მისი სულიც კი სხვას ეკუთვნოდა. ცხადია, რომ ყველა ესეები მოჩვენებელი ნატვრა იყო უსაფუძვლო და უნაყოფო. ამას მხოლოდ ერთი რამ ეპირვებოდა, რომ ბედნიერი ყოფილიყო: სხვის დამოკიდებულებიდან თავის გამოხსნა და თავისუფლება, რომ მისი ქონებაცა და მისი საკუთარი თავიც თვითონვე ხელთ ჰქონოდა“⁸.

აქ ნათლად ნაჩვენები ბატონყმობის მოსპობისა და ყმების განთავისუფლების აუცილებლობა. უფრო მეტიც, ცოტა ქვემოთ აკაკი წერეთელი ანვითარებს აზრს ბატონყმობის მოსპობისათვის საჭირო ხერხების შესახებ და ასკვნის: „ეს ერთი თავი და თავი საჭიროა (ბატონყმობის გაუქმება—შ. ვ.) რომ მოეთხოვათ ყმებს, ამისათვის ხელი გამოიღოთ თვითონ კერძოთ, ყველას ერთად, მაშინ მათი საქმე უფრო კარგად წავიდოდა და არა თუ ჩვენ, ჩვენი მამა-პაპებიც ველარ მოესწრებოდნენ ბატონყმობას“⁹. როგორც ვხედავთ, აქაც აქტიური ბრძოლის საჭიროებაზე მიუთითებდა პოეტი, მაგრამ რომ ამ ბრძოლას ტყუილად არ ჩაეგლო, და გამარჯვება მოეპოვებია ხალხს—აკაკის, როგორც განმანათლებელს, აუცილებლად მიაჩნდა სწავლა-განათლების ფართოდ შეტანა ხალხში. „სწავლა-განათლება პირველი და უმთავრესი იარაღია ყოველგვარ საჭიროებისათვის“, მაგრამ „სწავლა-განათლება და წინსვლელობა არა მექანიკურად გადმონერგილი, არამედ ეროვნულ თავისებურებებთან შეფარდებული და ხალხის ტრადიციებთან დაკავშირებულიო“, — წერდა აკაკი ამავე სტატიისში.

ხალხოსანი პუბლიცისტები, ისე, როგორც მათზე ადრე ქართველი სამოციანელები, კარგად გრძნობდნენ რეფორმის შემდგომი დროის გლეხის ცხოვრებას, მშრომელთა მდგომარეობის გაუარესებას. ხალხოსანთა ჟურნალი „იმედიც“ თავის ფურცლებზე დამაჯერებლად აღნიშნავდა სოციალური უსამართლობის ამ უტყუარ ფაქტს. მაგრამ ხალხოსნები ცდებოდნენ, როცა ისინი უმართებულოდ უპირისპირდებოდნენ სამოციანელებს. მათი აზრით, ეს თაობა ხალხის მდგომარეობაზე არ ფიქრობდა და მხოლოდ ძველის მოგონებით სურდა საქართველოს კეთილდღეობის მოპოება.

⁸ „სრომა“, 1882, № 43.

⁹ იქვე.

ერთი ცხადია, რომ ქართველი ხალხოსნები კარგად ხედავდნენ რეფორმის შემდეგდროინდელი სოფლის მძიმე სოციალურ ყოფას, ობიექტურად სწორად აღიქვამდნენ გაჭირვებული გლეხის სიღუპიერეს. ვარდა ამისა, რუს ხალხოსნებთან შედარებით, ქართველი ხალხოსნები თავის წერილებში საკმაო ადგილს უთმობდნენ ვაჭრობა-ძრეწველობის განვითარების საკითხებს. ბევრი მათგანი სწუხს კიდევ მრეწველობისა და ვაჭრობის განუვითარებლობის გამო. ეს მხარე აშორებს მათ ორთოდოქს რუს ნაროდნიკებს, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებაში ქვეყნის (რუსეთის) დაღუპვას ხედავდნენ. ქართველ ხალხოსნებს თანამედროვე ცხოვრების სრულყოფილი განვითარებისათვის მართებულად მიაჩნიათ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და საქონლის გასასაღებელი „ხეირიანი ბაზრის“ გაჩენა და სხვ.¹⁰

„ივერიასთან“ პოლემიკაში ხალხოსანი ნიკო ხიზანიშვილი გარკვეულად გამოსთქვამდა თავის მოსაზრებას სოფლის დიფერენციასა და კაპიტალისტური ყოფის დამკვიდრებისა და სოფელში მანქანების გამოყენების აუცილებლობაზე. ყველაფერ ამახ სოფელი მიჰყავდა კაპიტალისტური განვითარების გზაზე, რაც, რასაკვირველია, ცხოვრების ობიექტური კანონზომიერებით იყო ნაკარნახები. მიუხედავად იდეოლოგიური შეზღუდულობისა, ხალხოსნებმა მაინც დაინახეს მშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების რეალისტური სურათი.

ვრცელ რეცენზიაში ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ შესახებ, სტეფანე ჭრელაშვილმა უნებლიედ აღიარა კაპიტალიზმის განვითარების ფაქტი, რითაც, ობიექტურად, ბრძოლა გამოუცხადა ხალხოსნურ პრინციპებს. „ეს მოთხრობა, — აღნიშნავდა სტ. ჭრელაშვილი, — ეკუთვნის ისეთ ნაწარმოებთა რიგს, სადაც ცხოვრებას ხელს არ აფარებენ, სადაც იმის მოვლენებს არ აფუჩეჩებენ. ეს თხზულება პირუთენელად იყურება ჩვენს ცხოვრებაში და გვამცნობს მის უმთავრეს აზრს“¹¹.

ხალხოსანი კრიტიკოსი მისთვის საჭირო შტამპით განიხილავდა ლ. არდაზიანის აღნიშნულ მოთხრობას. იგი ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ უარყოფით მხარეზე მეჯღანუაშვილის პიროვნებაში, რასაც, მართლაც, ბურჟუაზიული საზოგადოების დაღი აზის; მისი აზრით. სოლომონი საბრალო, კაპიტალიზმისაგან გაუბედურებული პიროვნე-

¹⁰ „იმედი“, 1881, № 1, გვ. 59—60.

¹¹ „იმედი“, 1881, № 3—4, გვ. 7—8; სტ. ჭრელაშვილი, „ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი“.

ზაა, მაგრამ ვინაიდან ობიექტურად იგი ექსპლოატატორია, ამიტომ საზიზღარიაო.

მიუხედავად ასეთი მტკიცებისა, სოლომონ მეჯღანუაშვილი კრიტიკოსს მაინც მიაჩნია იმდროინდელი ცხოვრების მთავარ ძალად, რომელსაც ადგილი უნდა დაეთმო. ეს უნებლიე აღიარება მწერლის მიერ. არის ობიექტური ქვეშარიტების აღიარება. ამით ორთოდოქსი ხალხოსანი სტეფანე ქრელაშვილი ობიექტურად გაემიჯნა თავის შეხედულებას, მის ცდას — დაუპირისპირდეს „ივერია“-„დროებას“ და ხალი მიმდინარეობა შექმნას „იმედში“, ხელოვნურობის ბეჭედი აზის. სტ. ქრელაშვილს ბურჟუაზიული ცხოვრების მომავალი გმირი სოლომონი მართებულად მიაჩნია ჩვენი ცხოვრების რეალურ ტიპად და მომავალსაც მას უწინასწარმეტყველებს: „მეჯღანუაშვილი და კიდევ მეჯღანუაშვილი: ეს არის თავი და ბოლო ჩვენი ცხოვრების ბორბლისა. ეს ამშვენებს და აძლევს სპეტაკ ფერს დღევანდელ ჩვენ უფერულობას. ყველანი გულწრფელად ვიტყვი, რომ უამისოთ ჩვენ ჩალათაც არ ველირებოდით. ამიტომაც მეჯღანუაშვილს შეუძლია ამაყად და გულდაგულ შეპყროს ქვეყანას, რომლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს დაუთმოს ყველგან უპირველესი ადგილი... მეჯღანუაშვილი გახლავთ ყველაფერში მოწინავე პირი ჩვენი ცხოვრებისა, ნამდვილი იდეალი ჩვენი ხალხისა... რის წყალობით დაუჭერია ჩვენს გმირს ასეთი მაღალი ადგილი, რით გამხდარა ასეთ მოწინავე პირად? ჯერ პირველად იმითი, რომ იმას ზურგზე აკრავს ვეებერთელა ტოპრაკი, პირამიდის ფაჭვილილი თითქმის ერთი მილიონი თეთრი ფულით“¹². კაპიტალისტური მეურნეობის შემოჭრის ფაქტს და მის უპირატესობას ადასტურებენ აგრეთვე სხვა ხალხოსანი მწერლების აზრებიც. მაგ.: დ. აბდუშელაშვილას წერილი „იმედში“¹³, ჩ. ხიზანიშვილის სტატია „ივერიის ეკონომისტი“¹⁴ და სხვ.

ცნობილია, რომ ორთოდოქსი ხალხოსანების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია კაპიტალიზმის სიძულვილი, არა მისი არსებობისა და განვითარების აღიარება, რაც ქართველ ხალხოსანებისათვის არის დამახასიათებელი, არამედ კაპიტალიზმის „შეჩერება“, „მოსპობა“. ეს გარემოება გვაფიქრებს, რომ „დროება“-„ივერიისა“ და „იმედს“ შორის გაჩაღებული პოლემიკა მიმდინარეობდა არა იმდენად ნაროდნიკული იდეოლოგიის გარშემო, არამედ, უმთავრესად, განპირობებული იყო კაპიტალიზმის შემოჭრის შედეგად წარმოშობილ გამწვავე-

¹² „იმედი“, 1881, № 2, გვ. 59—60.

¹³ „იმედი“, 1881, № 1, გვ. 105.

¹⁴ „იმედი“, 1882, № 9—10, გვ. 82.

ბულ კლასთა ბრძოლით. ცნობილია, რომ კლასთა ბრძოლას დასაწყის სტადიაში ასეთი მოძრაობა გაურკვეველია, მოპირდაპირე ძალთა პროფილი ჩამოუყალიბებელია, ისე გამოკვეთილად არ ჩანს სხვადასხვა მიმდინარეობათა პოზიციები, როგორც 1890—1900-იან წლებში.

როგორც ცნობილია, ეროვნული და სოციალური პრობლემატიკა ერთმანეთს ერწყმის ქართველ სამოციანელთა შემოქმედებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ყველა ეტაპზე, ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის, 90-იან წლებამდე, ქართველ სამოციანელთა სახელოვანი თაობა ხელმძღვანელობდა.

საქართველოში გაჩაღებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლის დიდმა მასშტაბმა, რომელიც უერთდებოდა რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხთა ხმას და რომელსაც მხარს უჭერდნენ რუსე ხალხის საუკეთესო შვილები, უაღრესად კეთილმყოფელი გავლენა იქონია 80—90-იანი წლების თითქმის ყველა მიმდინარეობაზე. ბუნებრივია, ამ სამართლიანმა ბრძოლამ თავისი დადებითი გავლენა მოახდინა ხალხოსნებზე, — „იმედისა“ და „შრომის“ პუბლიცისტებზე. ქართველი ხალხოსნების ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი თავიანთობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი ხალხოსნები, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, სოციალურთან ერთად, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლასაც გულისხმობდნენ. „იმედი“ ერთ თავის წერილში აღნიშნავდა, რომ ჩვენი საზოგადოების ძარღვებში ორნაირი სურვილი გამჭდარა ბრძოლისა — ბრძოლა ხალხის ეკონომიკური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

ქართველ ხალხოსან მწერალთა და პუბლიცისტთა შემოქმედებაში ეროვნულ პრობლემატიკას გარკვეული ადგილი უკავია. სწორედ ეს არის ის მთავარი და არსებითი, რითაც ქართველი ხალხოსნები რუსი ჩაროდნიკებისაგან განსხვავდებოდნენ. „იმედისა“ და „შრომის“ პუბლიცისტებისათვის ცხადი გახდა თვითმპყრობელობის ანტიხალხური პოლიტიკა, მათი სწრაფვა პატარა ერების დამონებისა და ექსპლოატაციისათვის. უფრო გვიან, ხალხოსანი პუბლიცისტები თავის ხმას გაბედულად უერთებდნენ „ივერიასა“ და „დროებას“ ეროვნულ საკითხთა მართებულ გადაწყვეტაში. ქართველი ხალხოსნები ილამქრებდნენ დიდი ერების მიერ პატარა ერების ჩაგვრის წინააღმდეგ. ისინი დამაჯერებლად განუმარტავდნენ ხალხს, რომ ერი, დიდია თუ პატარა, პატივსაცემია, ვინაიდან ყველა პატარა ერს გააჩნია ისეთი ღირსებაანი, რომლებიც მას განასხვავებს სხვა ერებისაგან. არ მოიპოვება ისეთი ხალხი თუ ერი, — წერდა „იმედი“, — რომელსაც ერთი

რომელიმე კარგი მხარე არ ჰქონდეს, რომელიმე ღირსებით მაღლა არ იდგეს სხვა ხალხზედ. რაც უნდა დაეწიყებული და თვალყურაშორებული ფრი აიღოთ, თუ კი იმის ვინაობასა და ცხოვრებას დააკვირდებით, უეჭველად ერთს მაინც ისეთს თვისებას იპოვნით, ზნეობითს, თუ გონებითს, რომელიც იქ მარგალიტით გამოსკვრიტავს... ეს ობოლი მარგალიტი ყოველივე ისტორიული ერისა, ეს ხალხის „გენია“ დიდათ პატივისცემი და ყურადღების ღირსია და ჩეტავი იმ სახელმწიფოსაც, რომელიც ამ პატივისცემას არ იფიწყებს“¹⁵.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული საკითხბადაში დამოკიდებულებაში ხალხოსნები საკმაოდ არათანამიმდევრულნი იყვნენ: სოციალურ და ეროვნულ საკითხთა ერთიანობის პრინციპი ძალზე ხშირად ირღვეოდა მათ შემოქმედებაში, რამდენადაც უმთავრეს ყურადღებას ისინი, მეტწილად, მაინც სოციალური უსამართლობის მხილებაზე ამხვილებდნენ, ხოლო რიგ შემთხვევებში სრულიად ივიწყებდნენ ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის დიდ მნიშვნელობას და მთელი ყურადღება სოციალურ ჩაგვრაზე გადაჰქონდათ, ქართველი ხალხოსნები, ხშირად, აკრიტიკებდნენ კიდევ მათ, — და მათ შორის განსაკუთრებით კი თერგდალეულებს, — ვინც ეროვნულ თემატიკას ენებოდა, ვინც ეროვნული თემატიკით დაინტერესებას იჩენდა. სწორედ ეს იყო ქართველ ხალხოსანთა მთავარი შეცდომა, რამაც გარკვეული ასახვა ჰპოვა როგორც მათ პუბლიცისტიკაში, ანუვე მსატერულ შემოქმედებაშიც.

ამიტომაცაა, რომ პუბლიცისტიზმი, ხალხოსნურ იდეათა პრიმიტიულად ქადაგება უსვადაა წარმოდგენილი არა მარტო ხალხოსან პუბლიცისტების, არამედ ცნობილ ხალხოსან მწერალთა, ნიკო ლომოურისა და სოფრომ მგალობლიშვილის ნაწარმოებებში.

80-იანი წლების ხალხოსნები წინა პლანზე აყენებენ სოციალური წარმოშობის საკითხებს. ნაწეს უსვამდნენ თავიანთი მდაბიოთა წრიდან გამოსვლას. ამას ისინი ისეთი აშკარა დაყენებით ქადაგებდნენ, რომ არ შეიძლება მკითხველმა მასში ნაძალადეობა და ხელოვნურობა არ ამოიკითხოს. მაგალითად, „იმედის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია ხალხოსანთა განწყობილების გამომხატველი ასეთი ლექსი:

არ გახლავართ მდიდრის შვილი,
არც თავადი, აზნაური,
ამის მეტად ჭერეთ ხელში
არც მკერია მე ჩონგურის..

¹⁵ ურ. „იმედი“, 1882, № 5, გვ. 19—14.

მამა მყავდა მიწის მუშა,
 დედას მე არ მოვსწრებოვარ!..
 დაბრეყვებას, სისაწყლესა
 თვის უბეში გაუზრდივარ!..
 ვისაც ვთხოვე ხელის მოწვდა,
 წადი იქით რეგვენოო,
 სოფლის ლხინში არ გაქვს წილი,
 უნდა იყო უენოო!..¹⁶

„იმედში“ დაბეჭდილ მოხეილ ასათიანის მოთხრობაში „შოკრაკი“ ნათლადაა ჩამოყალიბებული მისი ნიპილისტური, უტილიტარული შეხედულებანი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. მის მტკიცებაში გამოთქმულია „იმედის“ პუბლიცისტების საერთო აზრი 60-იანი წლების მოღვაწეთა შესახებ. მათი აზრით, „იმედი“ წარმოადგენდა ძველი თაობისაგან განსხვავებულ, მოწინავე შეხედულებების დამცველ ყურნალს. ახალი თაობა გმოზდა ძველი თაობის საქმიანობას, თერგდალეულთა შეხედულებებს ცხოვრებაზე და თვითონ აცხადებდა პრეტენზიას ჩაღბის, ცხოვრების აგლმძღვანელობაზე.

ხალხოსანი მწერლები მხატვრულ ნაწარმოებებშიც კი ვერ თავისუფლდებიან მათთვის დამახასიათებელი პუბლიცისტური სტილისაგან. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია „იმედში“ დაბეჭდილი მ. ასათიანის ავტობიოგრაფიული მოთხრობა „მე და ონისიმი“, სადაც ნატურალისტურადაა აღწერილი პერსონაჟთა თავგადასავალი. ნიშანდობლივია, რომ „იმედის“ რედაქციის თანამშრომლები ხოტბას ასხაზდნენ მ. ასათიანის ამ უაღრესად სუსტ ნაწარმოებს.

ხალხოსნები ცდილობენ ღრმად ჩაწვდნენ ცხოვრების ყველა დეტალს, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, კლასთა ბრძოლის არსს. მაგრამ აღნიშნულ საკითხთა შესახებ მსჯელობისას „იმედისა“ და „შრომის“ პუბლიცისტებმა შორს შესტოპეს, მათ მხოლოდ თავისი თავი მიიჩნიეს ამ საკითხების შესწავლის პიონერებად საქართველოში. აქედან გამომდინარეობდა მათი გამომწვევი ტონი, გადაჭარბებული ქედმაღლობა. ხალხოსნებმა თავი წარმოიდგინეს ქართველი ხალხის ყველა უფლების ერთადერთ დამცველად, რითაც ისინი დაუპირისპირდნენ 60-იანი წლების თაობას. დაიწყო წარსულის კულტურულ მემკვიდრეობათა დაუსაბუთებელი კრიტიკა, სამოციანელთა ავტორიტეტის დაუმსახურებელი შეურაცხყოფა. „იმედის“ ჩვეუთმა ლიტერატურა და მწერლობა ვიწრო უტილიტარულ-„გლეხურ“ მოთხოვნილებათა დონემდე ჩამოიყვანა. ხალხოსნებმა გააბა-

¹⁶ „იმედი“, 1881, № 1, გვ. 3—4.

ტონეს ავტობიოგრაფიულ-პუბლიცისტური ნარკვევის უნარი. მოკლენების ჩატურალისტურმა აღქმამ და ემპირიულმა აღწერამ დაიკავა ლექსის, მოთხრობის, რომანის ადგილი. მუშა ხალხის უფლებათა ამ „ერთადერთ დამცველთა“ გამოსვლებში აშკარად შეინაშნებოდა ბენტორული ტონი, ვინც მათ არ თანაუგრძნობდა, უჩვეულო გამძაფრებით ესხმოდნენ თავს. ხალხოსანთა ყურნალის „იმედის“ ფურცლები გაივსო უნიჭო და შინაარსიდან დაცლილი, ტენდენციური ხასიათის წერილებით, რომელთა კრიტიკული მახვილი მიმართული იყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის წინააღმდეგ. 1881 წლის „იმედში“ ხალხოსნებმა დაბეჭდეს ასეთი შინაარსის ლექსი:

ის ჰია, რაიე თერგის ნაპირზედ
ილიას „მგზავრსა“ გულს უღრღნიდა,
ახლა სრულიად მე არ მაწუხებს,
ის დრო ჩემთვისა მანდვე წავიდა.
მე ეს კითხვები კარგა ხანია
დამიძლევია, გამომიხსნია!..
ჩემ გულის ბოღმა, თქვენთან საკითხი,
თქვენთან სრულებით სხეანაირია:
მექნება ნება ლაპარაკისა?
ხალხთან საუბრათ მე მიმიშვებენ?
სწორე სიტყვასა სამართლიანსა
განა მისთვისა მათქმევიანებენ?¹⁷

ასეთი ლექსის წინა პლანზე წამოწევა, მისი პრიმიტიული შინაარსით ამაყობა და საბრძოლო დევიზად მიღება, ნათლად ამტკიცებს ხალხოსნების ვიწრო უტილიტალურ გაგებას მაშინდელი საზოგადოების სოციალური და ეროვნული საკითხების გადაწყვეტაში. ასეთმა მოუმზადებელმა ნაწილმა 80-იანი წლების ქართველი ხალხოსნებისა სცადა თერგდალეულთათვის წაერთმია ერის ბელმძღვანელობის ფუნქციები და თვითონ ჩადგომოდნენ სათავეში ხალხს, უკეთესი ცხოვრების მოპოვებისათვის ბრძოლაში. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი იდეალები ხალხის „ნამდვილი იმედია“, ცხოვრების ახალი ფორმების უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე სამოციანი წლების თაობისა, რომელმაც, იურმე, „ულალატა ხალხის საქმეს და მთავრობას შეუერიგდა“ საკუთარი ბედნიერების მოწყობისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად, „იმედის“ ჯგუფმა თავისი ორგანოს ფურცლებზე დაიწყო ტენდენციური ხასიათის კრიტიკული წერილების ბეჭდვა, სადაც 60-იანი წლების თაობის შემოქმედებისა და საზოგა-

¹⁷ „იმედი“, 1881, № 2, გვ. 54.

დოებრივი მოღვაწეობის რევიზიას, მათი შემოქმედების გადამასებას მოითხოვდნენ. ხალხოსნების პოლემიკა მიმართული იყო ილია ქავ-ქავაძისა და აკაკი წერეთლის წინააღმდეგ. ხალხოსანთა ერთი ჯგუფი — მიხეილ ივრჯენიძე, ნიკო ხიზანიშვილი და სტეფანე ჭრელაშვილი, ხალხოსნური მიმართულების სუსტად ქადაგების გარდა, არასწორი პოზიციებიდან შეებრძოლენ 60—70-იანი წლების თერგდალეულთა თაობას. ამ უფრანლის ფურცლებზე დაბეჭდა სტეფანე ჭრელაშვილის არაობიექტური შინაარსის მცდარი წერილები ქართული ეროვნული კულტურის სახელოვან მოღვაწეებზე. ერთ-ერთ წერილში მან ვულგარულ-სოციოლოგიური პრინციპის საფუძველზე დაყო პერიოდებად XIX საუკუნის ქართული მწერლობა: ე. წ. თავალურო მწერლობა (60-იან წლებზე), აზნაურული მწერლობა და ხალხური ანუ ხალხოსნური. მწერლობა, რომლის წარმომადგენლადაც თვლიდა თავისთავს. ამ წერილებში სტეფანე ჭრელაშვილი მოუბრუნებლად ქადაგებდა წმინდა წყლის ვულგარულ უტილიტარიზმს. მის კრიტიკას არავითარი ობიექტურობის ნიშანწყალი არ გააჩნდა. იგი 60—70-იანი წლების მწერალთა სახელოვან თაობას უმართებულოდ წამებდა ცილს გზის უქონლობაში, აცხადებდა, რომ, თითქოს, ამ თაობის მწერლობას არავითარი გავლენა არ ჰქონდა ხალხზე.

1882 წლის „ივერიაში“ (№ VII—VIII) დაიბეჭდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის გ. მაიაშვილის (გ. ზდანოვიჩის) სტატია: „წერალო ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“. გ. მაიაშვილი ბოდიშის მოხდით და დიდი ივლუსტიკივლით უსაყვედურებდა 60—70-იანი წლების თაობას იმის შესახებ, რომ, თითქოს, მათ არ გააჩნდათ „მე-მუშავებული“ და „მტკიცე ნიადაგზე დამყარებული“ მოქმედების პროგრამა. „საჭირო კია, — აღნიშნავდა გ. მაიაშვილი, — დაწკრი-ლებით იქნას შესწავლილი ჩვენი ხალხის ეკონომიური ცხოვრება და მისი ზნეჩვეულებანი: ხალხის — გლეხობის ოჯახური და საზოგადოებრივი (თემური) ცხოვრება, მის წევრთა იურიდიული მდგომარეობა და უფლება... შევაწყოთ და შევათანხმოთ ჩვენი ნაწერების ხასიათი და მიმართულება ხალხის ინტერესებსა და მოთხოვნილებათა, ვისწავლოთ და განვითარდეთ ხალხთან ერთად, მასთან ერთადვე შევი-მუშავეთ საზოგადოებრივი იდეალები, რომელნიც მხოლოდ ხალხის მიერ მიიღებენ უადრეს ძალას და შეიძლებენ ყოველგვარ ბრძოლისა და დევნის ატანას“.

ჩვენი აზრით, ზემოდასახელებულ წერილში, ობიექტურად, მრავალჯერ თქმული თერგდალეულთა აზრების განმეორებაა. აქ არსად არ

ჩანს ხალხოსანთა იდეოლოგია და მათი მოქმედების პროგრამა, რასაც ამ სტატიას მიაწერუნ.

„ლიტერატურა, — განაგრძობს გ. მაიაშვილი, — უნდა შეიქმნეს უპირველეს ყოვლისა სახალხო ლიტერატურად, უკეთეს გვესურს, რომ მას ჰქონდეს ვაჟენა და ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის საქმეების და საგნების გადაწყვეტის დროს. მხოლოდ ეს მაშინ მოხდება, როცა ლიტერატურა ერთად ერთ ნამდვილ გზას და ჭეშმარიტს მიმართულებას დაადგება, როცა იგი მიიღებს პატივდებაში ხალხის სურვილს და, რაც უფრო პირველია, დაიცავს მის ინტერესებს. ე. ი. როცა ლიტერატურის მიერ ხშირად და უმთავრესად წამოყენებული იქნება სასპარეზოდ ხალხის გულის მომგები საგნები“¹⁸.

წერილის ამ ნაწილშიც არაფერია იმაზე მეტი თქმული, რაც არაერთხელ დაბეჭდილა ქართველ სამოციანელთა მიერ. ზოგიერთ მკვლევარს კი გ. მაიაშვილის ეს სტრიქონები მიაჩნია თერგვალეულთა წინააღმდეგ მიმართულ ხალხოსნურ მიმდინარეობის საპროგრამო აზრად ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და გაკვირვებას გამოთქვამს, რატომ დაიბეჭდა იგი „ივერიაში“ და არა „იმედში“. როდესაც წერილის შინაარს ვეცნობით, გასაგები ხდება, რომ წერილის ავტორი საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით. იგი ერთხელ კიდევ უსვამდა ხაზს ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულებას. ეს აზრები საესებით ემთხვეოდა „დროებისა“ და „ივერიის“ მთავარ მიმართულებას, ამიტომ აქ გაკვირვების აღგალიც კი არ რჩება, თუ რატომ დაიბეჭდა გ. მაიაშვილის სტატია „ივერიაში“. რაც შეეხება ახალი ცხოვრებისათვის საჭირო პროგრამის გამოთქმას, რასაც ასეთი დაჟინებით მოითხოვდა გ. მაიაშვილი, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ასეთი პროგრამული დებულებები არც მას წამოუყენებია და, საერთოდ, არც ერთ ხალხოსანს არ ჩამოუყალიბებია ისე, როგორც ეს რომელიმე გარკვეულ მიმდინარეობას შეეფერება. ამას არც თვითონ უარყოფს წერილის ავტორი. ამიტომ ეს სტატია არ შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ხალხოსნების პროგრამად. ამიტომ არადამაჯერებლად გამოიყურება მოსაზრება, თითქოს ამ წერილის ხალხოსნური „მიმართულება გახდა საფუძველი იმ ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელმაც 80-იანი წლების დასაწყისშივე თავი შემოიკრიბა ყურნალ „იმედის“ გარშემო და მოინდომა მათგან გამიჯვნა“¹⁹.

¹⁸ გ. მაიაშვილი, წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ. „ივერია“, 1882, № 9, გვ. 24.

¹⁹ მ. ხანდოქელი, ახალი ქართული ლიტერატურა, III, გვ. 20.

მოწინავე კრიტიკამ, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით, იმთავითვე საკადრისი პასუხი გასცა ნაროდნიკების გზაბნეულ მსჯელობას. მაგრამ არ შეიძლება იმის დავაწყება, რომ ქართული კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეთა რანგებულ დაყოფის ვულგარულ-სოციალოგიური პრინციპი სხვადასხვა დროს რამდენჯერმე სხვადასხვა ვარიაციებით განმეორდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქართულ რეალისტურ კრიტიკას.

„იმედის“ ბაზაროვისებურ ვულგარულ კრიტიკას, რაც ქართული ლიტერატურის მცდარ შეფასებაში გამოიხატებოდა, აკაკი წერეთელმა რეალისტური კრიტიკის პოზიციებიდან უპასუხა. „დროები“ ფურცლებზე დაბეჭდილ „ცხელ-ცხელ ამბებში“ აკაკიმ ბოლომდე აწილა ზნე-იანი წლების ე. წ. ახალი თაობა, რომელიც მთელი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის გადასინჯვას მოითხოვდა.

„ბატონობას დაჩვეული გმირები, — წერდა აკაკი, — ისე გაუმწარებია ჩვენს წინააღმდეგობას, რომ მათ მოსაჩრღე ავტორს მართლმსაჯულობა დაჰკარგვია და თავის თავს ცილსა სწაჩებთ.“

აკაკის არ მოსწონდა ხალხოსნების ყურნალის — „იმედის“ პუბლიცისტთა თავაშვებული ტონი და მხატვრული შემოქმედების ნიმუშები. „ამ დღეებში, — წერდა აკაკი 1881 წლის მარტში, — ყურნალი „იმედი“ გამოხონორიკდა და მართლა რომ ხოსორიკივით არც თავი ეტყობა და არც ბოლო! ნამორია გამოუკობიტებულა, და მისი ხუროები კი იძახიან — ეს არის ჩვენი ქვეყნის ბედისწერაო! დღემდის არც მწერლობა ყოფილა, არც მწიგნობრობა და არც ახალგაზრდობაო! ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადი გამთენებელი ღამისო, რადგანაც მისთანა ხელობას ვადგევართ, რომელსაც არც ნიჭი ეჭირვება და არც სწავლა-ხელოვნებაო!..

იმე! იმე! რა ხელობაა იმისთანა, რომელსაც არაფერი არ ეჭირვება, უთუოდ ლობიოს ჭამაა!.. და მართლაც, ამ მუშებს ეტყობათ, რომ ლობიოს ოსტატები უნდა იყვნენ. გაბერილან ლობიოთი, ჩაუვლიათ ერთმანეთისათვის ხელი, ერთმანეთს ყურს უჯღებენ და ალტაცებაში მოდიან!.. რაუბს არ ამბობენ?!

არ გახლავართ მდიდრის შვილი,
არც თავადი, აზნაური-ო!

ამას ისეთის დატრიაბახობით იძახიან, თითქო რამე ღირსება იყოს. თურმე, მათის აზრით, ვისაც ან თავადი ჰყოლია წინაპარი და ან აზნაური, მომაკვდინებელი ცოდვა ჰქონია დღეს და მხოლოდ მღვდლის შვილობა საკვირველი რამ ყოფილა, და არც გვეკოდნია!.. დახეთ, დღემ-

დის კი ჩვენს თვალში დიაკვნობას მაინცდამაინც დიდი ფასი არა ჰქონია და არც რამე გაგვიღონია მათზე შესამჩნევი, გარდა ამ ლექსისა:

დიაკვანო კერასა,
თავი გიგავს ძერასა,
აი. თვალი კი დაუდგა
მაგ შენ კითხვა-წერასა!

აკაკი წერეთელი დასცინის „იმედის“ „ტეტიურ ენას“, მათ ჩამორჩენილ, გაუგებარ, ტრაბახა მისწრაფებებს. ჟურნალ „იმედის“ ერთი თანამშრომელი (სტ. ჰრელაშვილი — შ. ვ.) 30 წლის გამხდარა, — განაგრძობს აკაკი, — და თავის თავს ნორჩს უწოდებს და გვპირდება „ვინც ჩვენ სამეფოში (რატომ სარესპუბლიკოში არა?) მოვა, შევიწყნარებთ და ვინც არა, მოვთხრითო“. მაგრამ თუ „ოცდაათის წლის ნორჩნი არიან, --- განაგრძობს აკაკი, — სანამ ასის არ გახდებიან, ვერც დამწიფდებიან და მამ კიდევ მიტომ ვერაფერი გაგვიგია იმათი ამ საუკუნეში!.. იმათ საქმე და მოედანი თურმე იმ საუკუნის ყოფილა, რომელიც ჯერ არ მოსულა...“²⁰

აკაკი დასცინის ხალხოსანთა ჟურნალის კრიტიკოსთა გაუთავებელ მსჯელობას სწავლა-განათლების და ცხოვრების ურთიერთობის აუცილებელ საჭიროებაზე. მწერალი აქაც ხალხოსან კრიტიკოსთა უთავბოლო მსჯელობასა და მათ მიერ გაუთავებელ „წყლის ნაყვას“ ხედავდა, რის გამო სამართლიანად შენიშნავდა: „შედგომიან მტკიცებას, ჯერ გზა უნდა გაკეთდეს და მერე ურემ-ფურგუნო, თუ ჯერ ფურგუნი და მერე გზაო? და ან რომელი უფრო საჭიროაო... და ბოლოს გადაუწყვეტიათ, რომ არც ერთი საჭირო არ არისო!..“

ეს კი მეტი რისხვაა ჩვენს თავზე! მართალია, იმათთვის არც გზაა საჭირო და არც კვალი, რადგანაც იმათ ისეც კარგათ შეუძლიათ პერფრენა და მეცნიერების ტვირთის გადატან-გადმოტანა, მაგრამ ჩვენ კი (60-იანი წლების თაობას — შ. ვ.), რომელთაც მათოდნობა არ შეგვიძლია და ჩამორჩენილები ვართ, რაღას გვერჩიან?“²¹...

აკაკი წერეთელი ირონიით მოიხსენიებდა ხალხოსანთა უტოპიურ ჯეგმებს, ცხოვრებისაგან განყენებულ პრიმიტიულ მსჯელობას ხალხის გამდიდრების თაობაზე: „იმედის“ პუბლიცისტებს „ბევრი რამ გამოუჩენიათ ჩვენს ქვეყანაში, სიმდიდრის ნიშნებათ: ხეებში ბალახი, მთებში და ბარში ყოველგვარი ველური ბალახი და თაბუნები, მიწაში კიდევ სხვადასხვა მადნეულები და მათ რიცხვში, როგორც მადნეული, თუჯიც-

²⁰ აკაკი წერეთელი, ცხელ-ცხელი ამბები, „დროება“, 1881, № 44.

²¹ აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, XII, გვ. 48.

რატომ გუნდა-ლახუსტაკიც არა? ეგებ ეს „იმედიც“ მადნეული იყოს? ვინ იცის!... „იმედის“ კრიტიკოსების მტკიცებით, — განაგრძობს აკაკი, — ლომი, ფეტვი, დიკა და სიმინდი თურმე სულ შემოდგომაზე ითვისება!.. პური ჭერ ილეწება, მერე იმკება და მერე ნამგალი ილესება... ერთგან ამბობენ: ნუ გავამხელთ, რომ გლეხებს რაიმე შემოსავალი აქვს, თორემ გადასახადს მოუმატებენ, ხარჯს დაადებენო; მეორეგან კი იძახიან: ნათლობასა და ქორწილებში ჩვენი გლეხობა წელიწადში შვიდ-მილიონ-ნახევარს ხარჯავსო!.. კაცო, ეი, მაგას ნუ ამბობთ, თორემ ხომ დავიღუპებით: ერთიც ვნახოთ, პოლიცია ნებას აღარ მისცემს ქორწილ-ნათლობისას და იმ შვიდ-მილიონნახევარს წლიურ გადასახადთ გაუნდიან ჩვენ გლეხებსო!..“²²

აკაკი წერეთელი მწარედ დასცინის სტეფანე ჰრელაშვილის ეულ-გარულ-სოციოლოგიურ მტკიცებას ქართული მწერლობის პერიოდულად დაყოფის თაობაზე. აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით:

„იმედის“ თანამშრომლებს სულიერ-ქართველებს გარდა „უსულო ქართველებიც“ გამოუჩენიათ და საზოგადოთ მათ მწერლობის პერიოდს სანათა ჰყოფენ: 1. თავადების — საძაგელი და მავნებელი, როდესაც მხოლოდ ფიქრობდნენ გავაზედ (უკაცრავათ, ეს ჩემი სიტყვა არ გახლავთ); 2. ახნაურების, — უმნიშვნელო და უსარგებლო და 3. ახალი, შესანიშნავ „საიმედო“ პერიოდი დიაკვნების...“ ეს ვაი კრიტიკოსები. აღნიშნავდა აკაკი, „პოეზიას სწონიან და ალაბობით ზომავენ: რამდენი ფუთია? რამდენს იწონის? რა ღირს, და რამდენს გადაიტანსო?.. მაგრამ ამას მგონი, იმიტომ ამბობენ, რომ პოეზიას და პოეოზკაში განსხვავებას არ ჰხედავენ და ერთი და იგივე ჰგონიან...“

80-იანი წლების ხალხოსნების მემარცხენე უტილიტარული შეხედულებანი ქართულ მწერლობის შეფასებაში ა. წერეთელს არა მარტო ბეცდარ, არამედ განვლილ ეტაპად მიაჩნდა, ამიტომ იგი მათ გამოხდომებს სერიოზული მსჯელობის საგნათაც კი არ ხდიდა და მისთვის დამახასიათებელი სატირით მოაგონებდა, რომ გზას აცდენილ ლიტერატორებს ერისათვის სასარგებლო საქმე ეკეთებინათ და თავი ენებებიანთ ათასჯერ კარგად თქმულის დამახინჯებულად გადმოცემისათვის. „იმედის“ კრიტიკოსთა მსჯელობას აკაკი „საკვირველებას“ უწოდებდა, რომელთაც „აღარ დარჩენიათ-რა აუხსნელი, გარდა სამის საგნისა:

ა) რატომ არ ლბება წყალში ქვა?

ბ) რა მიზეზია, რომ შავ ძროხასაც თეთრი რძე აქვს? და

გ) რატომ ამტკიცებენ ზოგიერთები, რომ კაცის მიმართულება

ცხოვრებაში, თავის საქმეაო. მაშინ როდესაც კაცი ფეხებით დაიარება და მიმართულდება ფეხებში უნდა იყოსო²³“.

80-იანი წლების დასაწყისში, ხალხოსანი პუბლიცისტების საპასუხოდ დაწერილ რიგ წერალებსა და ფელეტონებში, აკაკი წერეთელი, ილია ქავჭავაძის მსგავსად, მთავარ იმედებს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების შენარჩუნებაზე ამყარებდა. ამიტომ იგი, დღენიადაგ, მამულის აყვავებისა და მისი კეთილდღეობისათვის, ერის ყველა მებრძოლი ძალების გაერთიანებაზე ჯაღაგებდა. ამ საქმეში, აღნიშნავდა აკაკი 1881 წლის ივნისის „დროებაში“ დაბეჭდილ წერილში („მცირე რამ შენიშვნა“), ახალგაზრდობას ეკუთვნის მომავალი; ახალმა ამბებმა „თვალნათლივ დაგვანახვეს,... რომ ჩინოსნების ძლიერებას ფრთები ეკვეცება და ადრე გამოგჩიმულნი დღეს ჭირიან ინდაურებივით იფულებიან... ამიერიდან ველარ გადაეღობებიან და ვერ შეაჩერებენ ჩვეულებრივად ნიქსა და პატიოსნებას.

ხალხი იღვიძებს... თვალს ახელს... ადრე თუ გვიან გაიგებს რა ეჭივრება და მაშინ ვაი ორგულთა!.. ჩვენ ეგება კი ველარ მოვესწროთ იმ დროს, მაგრამ ბედნიერი და პატიოსანი მომავალი, უეჭველად მოსალოდნელია... და ჩვენ მხოლოდ გვმართებს, რომ ჩვენი მხრით, შეძლებისდაგვარად, ხელს უწყობდეთ იმ მომავლის დაჩქარებას“²⁴.

ნამდვილ მამულიშვილებს, რომლებიც ქართველი ხალხის საქმეს შეუცდომლად ემსახურებოდნენ, აკაკი დიდი ქების საგნად ღდიდა, რათა მათი მაგალითი გამრავლებულიყო და სახელოვანი მამულიშვილები დაზრდოდა ქვეყანას. ამ მხრივ საინტერესოა 1881 წელს რუსეთიდან ჩამოსული ქართველი მოღვაწეების შესახებ (დ. ჩუბინიშვილი, ალ. ცაგარელი, ი. ოქრომჭედლიშვილი) აკაკის შესანიშნავი, ოპტიმიზმით აღსავსე სიტყვები. თუ, ერთი მხრივ, აკაკი სამშობლოს ორგულებს კეთილ გზაზე გადმოსვლას უქადაგებდა, მეორე მხრივ, იგი არ ივიწყებდა ქვეყნისთვის თავდადებულ მამულიშვილებს, რა საზოგადო საქმიანობაშიც არ უნდა გამოეჩინათ მათ თავი. „ჩვენ წარსულში საარაკო მამულიშვილები გვყავდა, მაგრამ დღესაც არ გვაქვს უფლება ქართველის ლექსიკონიდან გამოვრიცხოთ სიტყვა „მამულიშვილი“, — წერდა აკაკი. — რატომ ვერ ვხედავთ ამ რჩეულებსო? გვეტყვიან შორს ვერ მჭვრეტელნი. და აი, ჩვენ რას მოვახსენებთ:

ღლიური მუშა, საღამოს ყამს დაბრუნებული თავის ქოხში, ხედავს კერაზედ გამქრალ ცეცხლს და ნაცარს გაციებულს. ჰხედავს, მაგრამ მაინც რალაც იმედით, გაქექს იმ ცივ ნაცარს, მიატანს ღადრამდე და იქ

²³ აკაკი წერეთელი, სრული კრებული, XII, გვ. 40.

²⁴ „დროება“, 1881, № 123.

ჰპოვებს ობოლ ნაკვერცხალს, რომლის საშუალებითაც აჩენს ხელახლა საოჯახო ცეცხლს. ის ცეცხლი არის გაგრძელება წინა ცეცხლისა.

სწორედ ამ ობოლ ნაკვერცხალივით დაფარულ არიან იქა აქ დღეს ჩვენი მამულისშვილები; დროთა ვითარება ცივ-ნაცარს აყრის მათ თავზედ, მემრე ოდესმე მათის საშუალებით ხელ-ახლად აინთება ჩვენი ცხოვრება!.. ისინი არიან ნასკვი ჩვენი წარსულისა და მომავლის შემაერთებელნი“²⁵.

80-იან წლებში აკაკი წერეთელი, ი. ჭავჭავაძესთან ერთად, განაგრძობდა ერის მტკივნეული საქმის მუშაობას. ისინი მამულიშვილური გრძნობით თავს დასტრიალებდნენ თავიანთ სამშობლოს და ყოველნაირად უმსუბუქებდნენ ხალხს ცხოვრების სიმძიმეს. მათ ნამდვილად ჩააყენეს ქვეყნის სამსახურში სწავლა-განათლება, ლიტერატურა, თეატრი. ქართული მწერლობა პასუხობდა ერის ყველაზე უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამიტომ მათი კრიტიკა მცდარ გზაზე მდგარ დამწყებ მწერლების თუ საზოგადო მოღვაწეობის მისამართით მართო წყრომას კი არ შეიცავს, არამედ ჭეშმარიტ გზის ჩვენებას და გონიერ დარიგებას. ამ წერილებს განეკუთვნება აკაკი წერეთლის პატრიოტული ლექცია-მოხსენებები და სიტყვები „ვეფხისტყაოსანზე“, კახეთში მოგზაურობისას, გრიგოლ ორბელიანისა და სერგეი მესხის გარდაცვალებაზე და სხვა.

80-იან წლებში „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის სტატიები „შინაური მიმოხილვის“ სახელწოდებით. ამ წერილებში მთელი სისრულითაა გაშუქებული ოთხმოციანი წლების ეროვნული და სოციალური ტკივილები, ნაჩვენებია ჩვენი ლიტერატურის განვითარების გზები და გამოთქმულია მართებული მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ ქართულმა ლიტერატურამ კვლავ არ გაიმეოროს ის უნაყოფო დავა „წამებას“ და „შვილებს“ შორის, რაც რუსულ საზოგადოებას მოუვიდაო ჩაქართველოსათვის, აღნიშნავდა ი. ჭავჭავაძე, უფრო საზიანო იქნება წარსულის ცუდის განმეორება, ვიდრე რუსეთისათვის, ვინაიდან ქართველ ერს სულ სხვა საქირო „თავი და თავი“ საქმე აქვს მოსაგვარებელი.

ამ წერილებში ი. ჭავჭავაძე ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქართული კულტურის ეროვნულ საწყისებზე განვითარების აუცილებლობაზე მიუთითებდა. ამ მიზნის მიღწევისათვის უნდა ეზრუნა ყველა ქართველს, ყველა ქართულ დაწესებულებას, სკოლას, თეატრს, გაზეთს; უნდა ეზრუნა ისეთი თავდადებით, აღნიშნავდა ილია, რო-

ეორც ამას შექლებისდაგვარად აკეთებდა „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „კრებული“ და „ივერია“.

ი. ჭავჭავაძე, როგორც ერის აღიარებული ბელადი, უყურადღებოდ არ ტოვებდა არა მარტო ხალხოსან კრიტიკოსთა გამოხდომებს „იმედში“, არამედ ღრც ერთ წვრილმან საკითხს მომხდარს ერის ცხოვრებაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ 80-იან წლებში „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილ „შინაურ მიმოხილვებში“ ამოიკითხება როგორც ახალი ვითარების შესაფერისი გზის ჩვენება, ასევე გზიდან ამცდარი ხალხოსანი კრიტიკოსების კრიტიკა, თუმცა ილია ჭავჭავაძე არსად არ ასახელებდა ხალხოსან კრიტიკოსთა გვარებს. ამის დამტკიცებას შევეცდებით ცალკეული ადგილების მოტანით ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვებიდან“.

იმ საკითხის გარკვევისას, თუ რა როლი უნდა შეესრულებინა ლიტერატურას ხალხის მომავალ ცხოვრებაში, „თითქმის მთელი რუსეთი გაიყო ორ დიდ ბანაკად, — აღნიშნავდა ი. ჭავჭავაძე, — ერთში მოექცნენ ძველის, არსებულის მომხრენი, მეორეში — ძველის უარყოფელნი და ახლის მესვეურნი. პირველ ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი“, მეორეს — „შვილებისა“. ეს სწორედ რუსეთში მოგონილი სახელებია და სრულებით არ უხდება იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებს კონსერვატორების და ლიბერალების გასარჩევად. „მამობა და შვილობა“ თვალად გასარჩევი საქმეა. ამისთანა გარეგნად სანიშნავმა სახელოდებამ ბევრს წყალწყალა ჭკუას გზა და კვალი დაუბნია რუსეთში და რუსეთის ბაძით ჩვენშიაც. ერთის სიბერე და მეორის სიყმაწვილე სამყოფი იყო ზოგიერთა ცრუპენტელა კაცისათვის, რომ ერთი ერთს ბანაკში მოექცია და მეორე — მეორეში, ამისდა მიუხედავად, თუ რა აზრების მალიარებელნი არიან ან ერთნი და ან მეორენი“²⁶.

„აქ „მამებმა“ იხე გაიწიეს, — განაგრძობს ი. ჭავჭავაძე, — რომ ყველაფერს ძველს გამოესარჩლენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუწყეს ძაგება და დევნა; გაქირი ჭქმნეს ამაზედ და წინ ფეხი ველარ გადმოაბიჯეს. ამისი მაგალითი „რუსკი ვესტნიკია“ და „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, ეგ ორი უპირველესი ფალავანი „მამებისა“...

ეგრეთმა წყალ-გალმა ვაბიჯებამ „მამებისა“-მ, ანუ უკეთ ვთქვათ, გაქირმა, — გააგულისა „შვილები“. ამან გაათიცხა, გაამწყავა და გააკაპასა „მამებსა და შვილებს“ შორის ბრძოლა და „შვილების“ ბანაკი იქამდინ მიიყვანა, რომ უარყოფინა არამც თუ მარტო ის, რაც ღირსი იყო უარ-

²⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზ., 5, გვ. 89 („შინაური მიმოხილვა“, 1881, მაისი. ქურ. „ივერია“, 1881, № 5).

ყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის წამოწითლდება სირცხვილ-მორეული ეხლანდელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა. შედგა „შვილების“ ბანაკიც მარტო უარყოფაზედ და მესვეურობა ახლისა უკან კუთხეში მიავლო²⁷. რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზის შუქზე ი. ჭავჭავაძე ნათელს ხდის, თუ რა არის მისაღები რუსული ცხოვრების განვლილი გამოცდილებიდან და რა უარსაყოფელი. მაგრამ იმ შეცდომის განმეორებას, რაც რუსულ ლიტერატურულ ცხოვრებაში მოხდა 20 წლის წინ, ჩვენ, საქართველოში, შეიძლება ავცდენოდითო.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ ქართველი ლიბერალ-ხალხოსნები. რუსეთის მიბაძვით, შეეცადნენ მექანიკურად დაენერგათ ხალხში საზოგადოებისათვის მცდარი და მიუღებელი აზრები ცხოვრების განვითარების შესახებ. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში მათ ვერ გაიგეს რუსული ნაროდნიკული მოძრაობის არსი და, რადგანაც „ჩვენებურს შიგამომცხვარს ლიბერალებს ღმერთმა იმოდენა ჭკუა არ მისცათ, თითონ აჩნუსხონ ის, რაც დღეს რუსეთის ლიბერალების მოძღვრებას შეადგენს, ამიტომაც ჩვენი ტყუილი-ლიბერალები დღესაც იმ აზრებში ტრიალებენ, რომელთაც კარგა ხანია თავისი დრო და ჟამი მოიქამეს, თავისი ჭქმნეს და ჩაილულის წყალი დალიეს“.

ოცი წლის წინ რუსეთში მომხდარმა აშბებმა, აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, „ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილკაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც ვადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილკაცობის სასახლოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო; გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზე. მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარმყოფელის მიმართულებიდან ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა გამოეტანათ რა... ახალი გუნდის მომხრენი კი დააკვირდნენ ჩვენი ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა პილადღებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალღონითა... ის სხვა რამე, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — არის ჩვენი დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველი მოსალოდნელის ფათერაკისაგან.

²⁷ ი. ჭავჭავაძე, თხზ., 5, გვ. 91—92.

იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრო მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „ღროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუქსა და ნალარასა სცემდნენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენი პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას ეგიგალობდნენ დღეს — აქამომდე“.

ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ ყოველი მიმართულების ქართველი კაცი დღესაც ასეთ ჭეშმარიტ გზას უნდა ადგეს ჩვენში. „ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უქადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის. დეე ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვი, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერის და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში... სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლია, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შეუერთდეს, ქვეშ დაუყენოთ. სკოლაა, ბანაკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, მაგ მიმართულების სასწორზე უნდა ავსწიოთ. აი ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში. ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდლის დღის მღალადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აწყვება. გინდათ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშობა, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არისო“²⁸.

გაზეთ „შრომის“ გამოსვლას ქუთაისში ილია კმაყოფილებით შეხვდა. მაგრამ არ მოსწონდა გაზეთის დაპირისპირებული ტონი „ღროების“ მიმართ, რაც ამხილა კიდევ თავის მიმოხილვებში. „ჩვენ, — აღნიშნავდა ილია, — ყველანი ვალდებულნი ვართ პატიოსნად ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს ვისაც როგორ შეგვიძლია და საჭირო არ არის „შრომამ“ ცალკე ეწიოს მძიმე ტვირთი მწერლობისა. და „ღროებამ“ ცალკე. ერის ბედობალზე ყველამ უნდა იზრუნოს. მაგრამ მაინც გზას ვულოცავთ ჩვენს ახალს მოძმეს. ღმერთმა მშვიდობით გგზავრობა

²⁸ ი. ჭავჭავაძე, თხზ., 5, გვ. 97.

მისცეს ამ უკუღმართს წუთისოფელში და მტკიცედ შეასრულებინოს მართლა-და პატიოსნის გაზეთის მოთხოვნილება, რომ ზოგად ინტერესებს ემსახუროს და თავიდან აიცილოს — ლიტერატურის უკადრისი — პიროვნების და კერძო ცხოვრების გაუპატიურება“.

სხვა ადგილზე ი. ჭავჭავაძე ჰკიცხავს „შრომის“ რედაქციის მუშაკებს გაუბედობისა და მთავრობის მონური მორჩილების გამო, რომ გაზეთი ვერ იყენებს საზოგადოებრივ სფეროში მისთვის მინიჭებულ უფლებებს, „ლიბერალების კარნახს იმეორებს, როგორც თუთუყუში.“

80-იანი წლები რთული სოციალ-პოლიტიკური ვითარებით ხასიათდება. კლასთა შორის ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ნათლად შეიმჩნევა ღრმა შინაგანი დუღილის პროცესი, სხვადასხვა მიმდინარეობათა და დასთა ჩამოყალიბებას, კარდინალურ საკითხებში შეუთანხმებლობის გამო, ხშირ შემთხვევაში თან ახლდა გამწვავებული ბრძოლა.

ი. ჭავჭავაძე, როგორც განმანათლებელი, „ერთიანი ერის“ პოზიციებიდან განმარტავდა 80-იან წლებში შექმნილ ვითარებას.

მართლაც, 80-იანი წლების ქართული ცხოვრება მოითხოვდა ხალხის ყველა ფროვნული ძალის გაერთიანებას, საზოგადო საქმისათვის თავდადებას, პატრიოტიზმის გაღვივებას ხალხში. ცალკეული პიროვნებები. თუ მიმდინარეობანი, „ცხოვრების უკეთ წარმართვის“ პრეტენზიით, ობიექტურად, უკან ეწეოდნენ ეროვნული კულტურის განვითარების საქმეს. ამას ემატებოდა ინდიფერენტიზმი და უყურადღებობა საზოგადო საქმისადმი. მთავრობის ბიუროკრატიული რეჟიმი კი, სხვადასხვა საბაბით, აფერხებდა ეროვნული კულტურის აღორძინებას, მისი მოხელეები კიდევ უფრო აშიშვლებდნენ ეროვნულ წყლულებს.

1883 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“ ი. ჭავჭავაძე მამულიშვილური გრძნობის გაღვივების, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისაკენ მოუწოდებდა ქართულ საზოგადოებას, სადაც ხალხოსან პუბლიცისტების და ჟურნალ „იმედის“ დაუსაბუთებელი გამოხდომების კრიტიკაც იგრძნობდა:

„ჩვენ... როგორც მემატთანე ჩვენი შინაურის ცხოვრებისა, — წერდა ილია, — შევნიშნავთ, რომ დღეს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს ღელს უცრის, სწყლავს, ათახსირებს, გზაკვალს ურევს და სულს ართმევს ჩვენი გულგრილობა, ჩვენი მომაკვდინებელი მოძღვრება თვითთული-სა ცალკედ: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნუ იქნებაო.“

თუ ზემოხსენებულნი საზოგადოებანი იმით სანუგეშონი არიან, რომ მაგალითს წარმოგვიდგენენ, რომელშიაც ცხოვლად ჩანს ჩვენის

ერის სურვილი, ხელახლად „ჩვენობას“ ფეხი აადგმევინოს და კუთვნილი ადგილი მოუპოვოს ჩვენს ცხოვრებაში, იმის ნიშნად არიან, თუ რამოდენად ძლიერია დღეს ჩვენში თვითეულობა, განცალკევება, განზედ დგომა და საკუთარი „მე“.

თვითეული ის საზოგადოება, თუ გაზეთი, თუ ყურნალი, ორიოდე კაცის მხნეობით. ხარჯით, ოფლით და ღვაწლით თუ ზღვადგმულობენ, თორემ სხვა შემწე და მშველელი არსაიდან ჰყავთ. ყველა სხვა გულაყრილია, თითქო ამ ერისა, ამ ქვეყნისა არ იყოს. ეს ამბავი იმოდენად უღონოდა ხდის ყოველს ჩვენს საზოგადო დაწყობილებას, რომ დიდი და პატარა ჩვენს საზოგადო საქმეს ჰქელავს დაუსჯელად, და იმიტომ ჰქელავს, — რომ ქომავად და მოსარჩლედ მართო ორიოდე კაცია და არა მთელი ერი, მთელი საზოგადოება ერთად. ხმის ამომღები არავინ არის“²⁹.

ერის ბელადი, ილია ჭავჭავაძე ოლიმპიური სიმშვიდით მსჯელობს ამ არამკითხე „ახალ თაობაზე“, იმ თაობაზე, რომელიც პრესის ფურცლებიდან, პატრიოტობის აღმით. საზოგადოებას თავს ახვევდა ლიტერატურისა და ხელოვნების ვულგარიზატორულ პრინციპებს, ქართული კულტურული მემკვიდრეობის შეურაცხყოფელ აზრებს.

1883 წლის აპრილის „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძე, სათაურით „შინაური მიმოხილვა“, ბეჭდავს ღრმა შინაარსის სტატიას, რომელშიც მეცნიერულადაა დასაბუთებული ქვეშარიტი ახალი თაობის მნიშვნელობა, მისი მოწოდება და საქმიანობა. ილია მიუთითებდა, რომ აზრის „ახალგაზრდობას“ ადასტურებს არა მისი მთქმელის სიახალგაზრდავე, არამედ ის საქმე და იდეები, რომლებიც ობიექტურად უწყობს ხელს ცხოვრების წინმსვლელობას. რაც შეეხება ცილისწამებას და შეუფერებელ ლანძღვას, რასაც „ახალი თაობის“ სახელით ზოგიერთები ჩადიან, ეს ადამიანის სინდისის დამამცირებელი თვისებაა, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს ცხოვრების განმაახლებელ ნამდვილ ახალგაზრდობასთან.

„ჭორი და ცილი — ეგ უკადრისი იარაღი სუსტისა და უკადრისის კაცის — ჩვენი იარაღი არ იქნება საომარს სარბიელზედ და არც უმართებულოდ ხსენება ჩვენის მოპირდაპირისა, — წერდა ილია ჭავჭავაძე. — ჩვენს თავს არ ვაკადრებთ, ადამიანის სინდისი — ეგ უძვირფასესი ზნეობითი განძი ადამიანისა — საქლევად გავიხადოთ... ეს პირველი ანბანი ზნეობისა და ადამიანობისა შერყეულია ჩვენში, და ჩვენდა სამწუხაროდ — შერყეულია ახალთაობის სახელითა..., რომელზედაც დამყარებულია ჩვენის ზნეობის ამაღლების იმედი,

²⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., V, გვ. 213—244.

ჩვენის განკარგების სასოება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ დანაშაულობაში ნამდვილი და ქეშმარიტი ახალი თაობა არაფერს შუაშია, და მით უფრო ვწუხვართ, რომ მის წმინდა სახელს ასე ამოდ და მოურიდებლად ამ უკადრის ქცევაში იხსენიებენ³⁰. ილია ჭავჭავაძე საზოგადოების სახელით კიცხავდა არაპკითხვ ახალთაობას, — „ვინც ეგრე გულმოადგინედ ყვირის, ახალი კაცი ვარო, რატომ არ ვკითხულობთ, რით არის ახალი? ნუთუ მარტო იმითი, რომ სხვაზედ გვიან მოვიდა? რატომ არა ვკითხულობთ, რა მოიტანა ახალი? აბა კვალში ჩაუდგეკით ყოველ მყვირალს, ახალ-თაობის კაცი ვარო, გაუხინჯეთ სიტყვა და მოქმედება, იკითხეთ იმ სიტყვასა და მოქმედებაში ახალი რა არის, და მაშინ ნახეთ, რომ იგი ახლის თაობის ბერეკაა და არა ახალი თაობის კაცი. თითონაც რომ ჰკითხოთ, აბა, ახლო კაცო, ახალი რა მოიტანეო, დამიჯერეთ, ოფლში გასწურავთ მაგ კითხვით და ძნელ საქმეს დააყენებთ. ახალი კაცი ძლიერია თავისი აზრით, მსჯელობით, ცოდნით... იგი თავმოსაწონებელს სახელს ახლის კაცისას მართლა და ახლის აზრით, მსჯელობით და ცოდნით დამსახურებს და არა ყვირილით და ფიცით, ღმერთმანი, ახალი კაცი ვარო“³¹.

• სხვა ადგილზე, ი. ჭავჭავაძე კვლავ კიცხავდა ცარიელი ფრაზეებით მოლაპარაკე, ცხოვრების უარმყოფელ „ახალთაობას“, რომელთაც საკუთარი სერიოზული აზრი არ გააჩნდათ ცხოვრებაზე, მაგრამ მოდის აყოლით მაინც აკრიტიკებდნენ ყველაფერს. ილია მისთვის ჩვეული სიღინჯით ცდილობდა შეეჩერებინა მცდარ გზაზე მიმავალი „ახლის მაძიებლები“. მართალია, ილია ჭავჭავაძე კონკრეტულად არც ამ წერილში მიუთითებს, თუ ვისზე ლაპარაკობს, მაგრამ 80-იანი წლების მონაკვეთში მომხდარი ლიტერატურულ-პუბლიცისტური აზროვნების შესწავლა-გაანალიზება აშკარად ხდის, რომ ილიას მახვილი და დამრიგებლობითი ტონი 80-იანი წლების ხალხოსანი პუბლიცისტებისა და მათ მსგავს კრიტიკოსების წინააღმდეგაა მიმართული.

„ყველაფერი საოცარია, — აღნიშნავდა ილია, — ამ უცნაურს ღეროში, თითქო ყოველისფერი აირივ-დაირიაო და ლოდიკა სამარცხვინო დანაშაულებად გადაიქცაო. აქეთ მიიხედავ თუ იქით, შეჰნიშნავთ, რომ ზოგი კაცი ჰკიცხავს, ზოგი საზოგადო საქმეს სახელს უტეხავს, სძრახავს, და ყოველი ეს მარტო ლიტონის სიტყვით, იმისთანა

³⁰ ი. ჭავჭავაძე, თხზ., V, 1955, გვ. 253.

³¹ იქვე, გვ. 254.

ფრაზებით, რომელთაც განსაკუთრებული, განსაზღვრული აზრი არა აქვს რა“³².

ხალხოსანი პუბლიცისტები თავს ესხმოდნენ წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას, ხელყოფდნენ ყოველგვარ კარგს, რაც რეფორმის შემდეგ გაკეთდა. ზოგიერთი მათგანი ვერ ხედავდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად ერის გაერთიანების რთულ პროცესს. ი. ჭავჭავაძე დადებითად აფასებდა ბატონყმობის გადავარდნისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტს, მაგრამ ყურადღებას ამახვილებდა მტკივნეულ საკითხთა რაგზე, რომლებიც გადასაწყვეტი რჩებოდა. ასეთ მტკივნეულ საკითხთა რიგს ამ წერილში ილია მიაკუთვნებდა ქართველობის უმრავლესი ნაწილის — გლეხობის სოციალურ მდგომარეობას და მათ გაუნათლებლობას. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე 1883 წლის „ივერიის“ სექტემბრის ნომერში წერდა: „ოცი წელიწადი გადის, რაც ქართულის ენის უფლებას იცავს ჩვენი უღონო აზრი და გონება, იცავს ძლიერად და თავგანწირულად და აქნობამდე არამც თუ სასამართლო უწყებაში [და საერთოდ საზოგადოებრივ საქმეებში, არამედ თვით პირველ დაწყებით სკოლაში და, ასე გასინჯეთ, სასულიერო უწყებაშიაც კი ვერ დამკვიდრებულა რიგიანად]“.

განათლების შეფერხების გამო უმეტრებაშია ჩავარდნილი გლეხობა, — „ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა“³³. ამავე წერილში ი. ჭავჭავაძე აუწყებდა საზოგადოებას, რომ სინოდის განკარგულებით სასულიერო სემინარიამი დაარსდა ქართული მეტყველების გაკვეთილები. ილია იმდენად ყოფილა დაინტერესებული ამ საქმით, რომ ადგილზე შემოწმებია სემინარიის მმართველობისაგან შედგენილი „ქართული მეტყველების“ პროგრამა და თავისი რჩევა მიუცია სემინარიისათვის. ამით, აღნიშნავდა ილია, „ჩვენ გამოვაცლით ფარხმალს იმათ, ვისაც არ ეპიტნავენათ ბუნებითად ამ-გვარის წესების შემოღება. მე ვლაპარაკობ იმ უსაფუძვლოდ და იმ ტყუილ-უბრალოდ გავრცელებულს ხმაზედ, ვითომც არც ქართულ ენაზე სწავლება შეიძლება რისამე, არც წიგნებია იმისათვის და არც არის რამე, რაც ღირდეს შესასწავლებლად“. ილიას მხედველობაში ჰქონდა კატკოვის, სემიონოვისა და მათ მსგავსთა ველიკორუსული გამოხდომები, რომლებიც ქართულ ლექსიკას სიღარიბეს სწამებდნენ და ამ საბაბით მოითხოვდნენ ქართული ენის სწავლების განდევნას სასწავლო პროგრამიდან. ამ ანტი-

³² ი. ჭავჭავაძე, თხზ., V, 1955, გვ. 259.

³³ იქვე, გვ. 281.

ეროვნულ გამოსვლას საკადრისი პასუხი გასცა ქართულმა პრესამ. ამის თაობაზე „ღროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა აკაკი წერეთლის, სერგეი მესხის, გიორგი წერეთლის, რაფიელ ერისთავის და სხვ. წერილები.

ილია ჭავჭავაძე ღრმად ჰკვრეტდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს. იგი განსაკუთრებული გულისტკივილათ აღნიშნავდა ქართული კრიტიკული აზროვნების ჩამორჩენილობას. 80-იან წლებში ამ საკითხს მიუძღვნა ილიამ რამდენიმე წერილი და მათ შორის ორი უმნიშვნელოვანესი სტატია: „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“ („ივერია“, 1887, № 29, 30) და „კრიტიკული აზრის უქონლობა“ („ივერია“, 1889, № 5). ილია მიუთითებდა, რომ „ღღემდის ვერ დაგვიდგენია სამართლიანი კრიტიკული აზრი ჩვენის ცხოვრების შესახებ. მართებული კრიტიკული აზრის უქონლობა იმდენად შესამჩნევია ჩვენში, რომ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, თუ ცოტათი მაინც ჩაუკვირდებით ჩვენს აზროვნებასო“³⁴. მხოლოდ ილიას შეეძლო 80-იანი წლების რთულ პოლიტიკურ სიტუაციებში გარკვევა და მართებული სიტყვის თქმა. იგი დაკვირვებით და კონკრეტულ ანალიზზე დაყრდნობით იკვლევდა ლიტერატურული კრიტიკის ბუნებას, ზოლო ამის შემდეგ განსაზღვრავდა კრიტიკის ჩამორჩენილობის ობიექტურ მიზეზებს. ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა გაურკვეველი აზრის არსებობას ილია კრიტიკული აზრის ჩამორჩენილობით ხსნიდა. „ჩვენში, — წერდა ილია 1888 წელს, — ზშირად ერთსა და იმავე საგნის შესახებ იმდენად შეუთანხმებელს და წინააღმდეგს აზრს გაიგონებთ, მერე ისეთ საგნებზე, რომელთა შესახებ მორიგებულნი უნდა ვიყოთ, რომ სწორედ გასაოცარია... გაბედეთ და სთქვით, რომ ესა და ეს მწერალი დიდად შესანიშნავია, თავისის ნაწერებით დიდი სამსახური გაუწია სამშობლო მწერლობასა და ენასო, და მაშინვე მოგვადგებიან და შეგვძახებენ, რომ თქვენა სცდებით და უღირს მწერალს აღიღებთო. საბუთად იმას დაცვისახელეებენ რომ ამ მწერალმა ამა და ამ ღროს ესა და ეს უგვანო აზრი წარმოსთქვა და თანაც ესა და ეს საქციელი ჩაიდინაო. თუ გაბედეთ და სთქვით, რომ ჩვენი მწერლობა დიდი ძალაა საზოგადოების წარმატებისაო, მაშინვე, თქვენის აზრის მიუხედავად, გაიძახიან, რომ ჩვენი მწერლობა სრულიად უძლურია, უფერულია, ენა გარყენილიაო... ამასთანავე დაგწამებენ, რომ საკუთარის ნაკლულევანების აღმოჩენას ერიდებით და უფრთხითო“³⁵. ილიას თქმით, — ცხად

³⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზ., VIII, 1957, გვ. 255.

³⁵ იქვე, გვ. 257—258.

და ელემენტარულ საკითხებზე სხვადასხვა აზრის არსებობა, „უსაფუძ-
ვლო შეტაკება აზრისა“ მოითხოვს „გარდამეტებულ ლაპარაკს“,
ტყუილად დროს ხარჯვას. ყოველივე ეს კი ხელს უშლის „საზოგადო
საქმის“ წარმატებასო.

ი. ჭავჭავაძე მამულომედიური გულისტივილით წერდა კრიტი-
კის ჩამორჩენილობაზე. იგი ანგარიშს უწევდა საზოგადოებრივ აზრს
კრიტიკის უქონლობაზე, ეთანხმებოდა მათ ძირითადად, მაგრამ იქვე
კიცხავდა ზერელეთ მოლაპარაკეთ, რომლებიც კრიტიკის ჩამორჩე-
ნილობას ქართული ლიტერატურის სისუსტეს მიაწერდნენ და აცხა-
დებდნენ, თითქოს მწერლობა ღირსი არ იყო განხილვა-გაჩხრევისა
და კრიტიკისა. „ლიტერატურა, — წერდა ილია, — თავისი ფართო
მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულევი ზეავია, საცა წმინდა ხორ-
ბალიც არის და ბალახბულახის თესლიცა. რაც ცხავია ზეავისათვის
ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის. ამ ნაკლის მიზეზად ზოგი იმას
ამბობს, რომ ჩვენი ლიტერატურა კრიტიკისათვის მეტად ცოტას
საზრდოს იძლევაო: ჯერ ხეავი ჩვენის ლიტერატურისა იმოდენა არ
არის, რომ ღირდეს კაცმა კრიტიკის ცხავში გაატაროს და წმინდა
ხორბალი ბალახ-ბულახისაგან გამოარკვიოსო. ამ თქმას დიდი სა-
ბუთი არ მიუძღვის. ცოტაა თუ ბევრი, მაინც გარჩევა უნდა და გარ-
კვევაო“³⁶. წინააღმდეგ სექტაციოს პუბლიცისტებისა, ილია ჭავჭა-
ვაძის მართებული მტკიცებით, ქართული ლიტერატურა თავისი ში-
ნაარსითა და ღირსებით სავსებით იმსახურებდა „ხეირიანი“ კრიტი-
კოსის ყურადღებას. გონებამახვილ, ნიჭიერ კრიტიკოსს ელოდება
წარსულის დიდი ქართული ლიტერატურა, რომელიც შოთა რუს-
თაძელის „ვეფხისტყაოსნის“ გენითაა გასხივოსნებულიო, წერდა
ილია.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა დავით გურამიშვილის პოეზიის ღირ-
სებაზე, რომლის დიდაქტიკური პოეზია „პირს არ შეირცხვენს“ ლუკ-
რეციუსსა თუ პორაციუსის დიდაქტიკური პოეზიის წინაშე და რომ-
ლის სარწმუნოებრივი ღაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალ-
მუნების სიმალეზეა ასული. ამას თუ მიუმატებთ მეცხრამეტე სა-
უკუნის ქართული ლიტერატურის მშვენიერებს ალექსანდრე ჭავჭავა-
ძიდან, გრიგოლ ორბელიანიდან და ნიკოლოზ ბარათაშვილიდან და-
წყებული დღევანდლამდე, მაშინ აშკარად დაეინახავთ, რომ „კრიტი-
კის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას კი არ უნდა
დაჰბრალდეს, არამედ ჩვენს ქონდრის-კაცობას, რომელიც იმოდენად
უძლურია, იმოდენად უღონოა, რომ ვერც ჩვენის ლიტერატურის

³⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზ., III, გვ. 152.

სიღრმისათვის გონების თვალი ჩაუწვდენია და ვერც ჩვენი პოეზიას სიმალლისათვის თვალი გაუსწორებია³⁷.

ვინც ბრალს დებს ქართულ ლიტერატურას, პოეზიას ჩამორჩენილობაში, — წერდა ილია იმავე სტატიაში, — იგი უმართებულოდ „ექვევა ჩვენს... ნაღვაწა გონებისას და გულისას, და ეს მოსდით ან უვიცობით ან ჭანჭებ, რომ კრიტიკის უქონლობის სირცხვილი თავის-თავს მოაშოროს და სჭვას“ გადააბრალოსო. ამ აზრს ილია ქვე-ქვადაქ სხვა ადგილზე მისთვის ჩვეული მოხდენილი არგუმენტებით ასაბუთებდა. მისი აზრით, ქართული ლიტერატურა „ხელუხლებელი განძია“, რომელსაც ჯერ არც უცხოური და არც შინაური კრიტიკოსის ხელი არ შეხებია და მის შესახებ „მზამზარეულ აზრს ვერ ამოიკითხავთ ვერც გაზეთებში და ვერც წიგნებში. ამ საგანზედ ერო სიტყვასაც ვერ იბოვით ვერსად. ეს გარემოება იძულებულ ჰყოფს ყოველს ჩვენგანს, ვისაც კი მოუწადინია ჩვენი ლიტერატურის კრიტიკა, თავისის საკუთარის ჰკუთით, საკუთარის ცოდნით, საკუთარის მსჯელობით შეუდგეს კრიტიკის რთულს და მძიმე საქმესა, რომ თავისი საკუთარი განაჩენი დაადგინოს. ჩვენი უბედურებაც სწორედ ამ იძულებაშია... ჩვენი ეგრედ წოდებული „ინტელიგენცია“ მეტად სუსტია ამ თვითმოქმედებისათვის. ჩვენი „სწავლული“... ჰეველის ესტეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას თავისის ხელის-გულისავეთ გადაგიშლიან; შექსპირზედ, გეტეზედ, ბაირონზედ და თუნდაც ჰომიროსზედაც... მთელს უზარმაზარ წიგნებს დასწერენ..., ჰაგრამ ერთ პაწია ლექსს-კი ჩვენის რომელისამე პოეტისას ვერ გაუძღვებიან, როგორც რიგია“³⁸.

ილიას ჰქონდა სრული უფლება ასე გაბედულად ეწერა ქართულ კრიტიკის ჩამორჩენილობაზე, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრმა მისმა თანამედროვემ მართებული სიტყვა ვერ თქვა ილია ქვეკვადაძის „განდეგილზე“, „ოთარაანთ ქერიზე“ და სხვ. ხოლო, ქართული კულტურის ვულგარიზატორები უმადურად იხსენიებდნენ ილიას დეაწლს.

მაგრამ ილია იმედს არ კარგავდა, რომ ქართულ მწერლობასაც გამოუჩინდებოდნენ თავისი დამფასებლები, რომლებიც დაგილდობული იქნებოდნენ „თვითმსჯელობისა“ და „თვითმხედველობის“ მომადლებული ნიჭით. ილიას თქმით, — ეს იქნებოდა ქართული „სულიერი ძალღონის აღმატების და განდიდების ნიშანი“.

³⁷ ი. ქვეკვადაძე, III, 1953. გვ. 153.

³⁸ იქვე.

ცხოვრების განვითარება თავისი კანონზომიერებით წარიმართა. ლიბერალური ხალხოსნების ყურნალი „იმედი“ და გაზეთი „შრომა“ 1883 წელს დაიხურა. მთავრობამ ხალხოსნების მიმართ ახალი რეპრესიები განახორციელა. სამოციანელთა ბელადები — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი კვლავ სათავეში უდგანან ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს. ძირითადად კვლავ მათ გარშემო იყრიდა თავს ყველა კარდინალური საკითხი, რომელიც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დღის წესრიგში იდგა. ამავე დროს, 60-იანი წლების მოღვაწეები კვლავ ბრწყინვალე შედეგებს ქმნიან ლიტერატურაში. 1883 წელს დაიბეჭდა „განდეგილი“, ხოლო 1887 წელს „ოთარაანთ ქვრივმა“ დაამშვენა ქართული ლიტერატურა. 80-იან წლებში დაიწერა აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ და „ჩემი თავგადასავალი“, გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“ და „გულქანი“. ამ პერიოდს ემთხვევა ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის მონოლითური ფიგურების გამოჩენა. ქართული კრიტიკული რეალიზმი თავისი განვითარების ზენიტშია. ხალხოსნური მხატვრული პროზა კრიტიკული რეალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნებით ვითარდება (ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერანე გაბაშვილი). „ივერიისა“ და „კვალს“ ფურცლებზე იბეჭდება ეგნატე ნინოშვილის სოციალური ყოფის ამსახველი მოთხრობები, რომლებიც, აგრეთვე, კრიტიკული რეალიზმის მეთოდითაა შექმნილი და სამოციანელთა მხატვრული პროზის დიდ გავლენას განიცდის. ბევრმა ხალხოსანმა დათმო უკიდურესი უტილიტარობა და ნიპილიზმი (სტეფანე ჭრელაშვილი, ანტონ ფურცელაძე; გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), გრიგოლ ყიფშიძე და სხვ.).

ხალხოსნური იდეების გამოძახილმა საქართველოში და ქართველმა ხალხოსნებმა იგარკვეული კვალი დატოვეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ისტორიამ იცის საზოგადოების გარდაქმნის უამრავი გეგმები, პროექტები. ყველა ამ პროექტების მთავარი აზრი ცხოვრების უკეთ წარმართვის სურვილი იყო, მაგრამ მათ შესრულება არ ეწერა, ვინაიდან არ გააჩნდათ ობიექტური საფუძველი. ამიტომ ისინი მეცნიერებიდან უტოპიად იქცეოდნენ. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ხალხთა უკეთესი მომავლისაკენ ლტოლვას უქმად არ ჩაუვლია, ვინაიდან ასეთი გაბედული კეთილი მისწრაფებები ხალხში აღვიფებდნენ უკეთესი მომავლისა და გამარჯვების იმედებს. ხალხოსანთა უტოპიური იდეები წინ უძღოდა იმ დიდ მომავალს, როცა საზოგადოების გარდაქმნა რეალობა გახდა, უტოპიიდან მეცნიერებად გადაიქცა. ამ მიმართულებით ქართველ ხალხოსანთა შემოქმედება, რომელიც 80-იან წლებში „იმედისა“ და „შრო-

შის“ პუბლიცისტურ წერილებში გამოჩნდა, ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია.

მაგრამ, როცა ქართველ ხალხოსან მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებას ვიხილავთ, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი თავისებურებაც: ხალხოსანთა იდეოლოგიის გავრცელება საქართველოში გაცილებით გვიან (70-იან წლებში) დაიწყო, ვიდრე რუსეთში; გარდა ამისა, გამოკვეთილი პროფილი ხალხოსნობას საქართველოში არ ჰქონდა. ეს გარემოება უნდა აიხსნას უპირველეს ყოვლია იმ მიზეზით, რომ ქართული სოფლის მეურნეობის ეკონომიური წყობა არ იძლეოდა რუსული „ობშინის“ ტიპის იგივეობის საფუძველს. ამიტომ საქართველოში ვერ მოიკიდა ფეხი ხალხოსანთა იდეოლოგიამ ისე ძლიერად, როგორც რუსეთში. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა ხალხოსნური იდეოლოგიის სისუსტე და, აქედან გამომდინარე, ხალხოსან მწერალთა არატიპიურობა. ამიტომაც, რომ ხალხოსანთა პუბლიცისტიკა რუსული და უცხოური ლიტერატურიდან ნასესხებ ბევრ განყენებულ აზრებს შეიცავდა. მათ სამოციანელთა მსგავსად თავისი ერის ბუნების შესაბამისად არ გადაუმუშავებიათ ის თეორიები, რომლებიც რუსულიდან ქართული პრესის ფურცლებზე გადმოჰქონდათ. ამიტომ ბუნებრივია ქართველ ხალხოსანთა აღიარება იმის შესახებ, რომ მათ ვერ მოიპოვეს ავტორიტეტი, მშრომელი ხალხი — გლებობა არ გაჰყვა მათ. ხალხოსნურმა იდეებმა ვერ ჰპოვეს გავრცელება. ამიტომ ისტორიის მსვლელობამ დააჩქარა მათი იდეური დაშლის პროცესი და სამოციანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმდინარეობას შეერწყნენ. 80-იანი წლების ლეგალურმა ხალხოსნებმა, რომლებიც, ძირითადად, „იმედსა“ და „შრომაში“ მოღვაწეობდნენ, დაჰკარგეს წინანდელი რევოლუციური ელფერი და არსებითად ბურჟუაზიული ლიბერალიზმის პოზიციამდე ჩამოქვეითდნენ³⁹.

ამიტომ კიდევ უფრო სამართლიანად გამოიყურება ილია ჭავჭავაძის საყვედური „იმედის“ ჯგუფის პუბლიცისტების მისამართით, რომ 80-იანი წლებისათვის ლიბერალობა (ილიას გაგებით, ხალხოსნობა — შ. ვ.) რუსეთში დიდი ხანია მორჩა, ხოლო ჩვენში მოგვიანებული მიმდევრები გამოუჩნდა და ვინც მათ აზრებს არ იზიარებდა, მას ქვა და გუნდას აყრიდნენ. ილია ჭავჭავაძე მართებულად სვამდა კითხვას: საჭიროა ახლა უკან მიბრუნება? და თვითონვე პასუხობდა შის მიერ დასმულ კითხვაზე: ამ პოლიტიკურმა მიმდინარეობამ რუსეთშიც უკვე ძალა დაკარგა და მისი მიმდევარიც აღარავინა ჩანს.

³⁹ საქართველოს ისტორია, II, 1962, გვ. 143.

ჩვენშიც ამ მიმდინარეობას არასოდეს არ ჰქონია მტკიცე საფუძველი და, მით უმეტეს, როცა იგი განვლილ დროს ეკუთვნის, მის დევნაზე ზედა უნდა ავიღოთ.

გვიან ი. ჭავჭავაძე ქართულ ხალხოსნურ მიმდინარეობაზე უფრო გარკვევით წერდა: „ამ უკანასკნელ ხანებში, როცა რუსული ლიტერატურის ძალმომრეობამ ჩაგვითრია წინ-დაუხედავად, უკრიტიკოდ და ამ გზით რუსეთის აზრთა და მიმართულებათა ბრძოლა ჩვენში გადმოვიტანეთ და ვლამობდით ჩვენის ცხოვრებისათვის ძალად მოგვეხვია თავზე, ვითომც და ჩვენც ნახირ-ნახირაო, ის კი დაგვაიწყადა. რომ ჩვენს ცხოვრებაში ამ ბრძოლას არავითარი მიზეზი არ ჰქონდა, არამც თუ არსებობისა, ფეხის ნელად მოკიდებისაც კი“. ამ მოძრაობამ, ილიას თქმით, „წინსვლა შეუფერხა და გადაეღობა“ ქართულ მწერლობას, საზოგადოებრივი ცხოვრების იდეურ („მოაზრე“) და პრაქტიკულ („მოსაქმე“) მიმართულებასო. ეს ორი ტოტი „მოაზრე“ და „მოსაქმე“ ცხოვრებისა ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგანა⁴⁰.

განვლილმა დრომ დაგვანახა ლიბერალი ხალხოსნების ნამდვილი სახე. ილია ჭავჭავაძის თქმით, დრომ გამოაკვლია „ვინ იყო „ძველი“ და ვინ „ახალი“ დროის მქადაგებელი“, ვინ აძლევდა ქართველ ხალხს უკეთესი მომავლის პერსპექტივას. ხალხოსანთა მყვირალა ფრაზები ხალხმა არ მიიღო, ისინი ცხოვრებამ გარიყა. მათი ბეჭდვითი ორგანოები დაიხურა. „იმედის“ და „შრომის“ მოღვაწეთა დიდმა ნაწილმა „ივერია“-„მოამბის“ რედაქციას შეაფარა თავი (ქრელაშვილი, გრ. ყიფშიძე, გ. მაიაშვილი და სხვ.), ხოლო მეორე ნაწილი „კვალში“ გადავიდა.

დაუმთავრებელ „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“, 1892 წელს, ი. ჭავჭავაძე აჯამებდა რა მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის გავლილ გზას, ხალხოსანთა მოძრაობას არ თვლიდა ისეთ სერიოზულ ძალად წარსულში, რომელსაც შეეძლო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის მაგისტრალური მიმართულების შეცვლა. უფრო მეტიც, მთელ მეცხრამეტე საუკუნეში ილიას არ ეგულებოდა ისეთი სერიოზული ძალა თუ დაჯგუფება, რომელიც „წარმოგვიდგენდეს აზრთა და მიმართულებათა ერთმანეთთან დაჯახებას... ცხოვრების მოედანზე ადგილის დასაჭერად“. რასაკვირველია, აღნიშნავდა ილია, ამ გრძელი დროის განმავლობაში იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ არა ისეთი, რომ „ცალ-ცალკე ბანა-

⁴⁰ ი. ჭავჭავაძე, თხზ., III, 1953, გვ. 201—202.

კებად გასვლა-გამოსვლა საზოგადო მოღვაწეებისას რაიმე საქიროება წინ გასძლოლოდა“. აქ, ილიას მხედველობაში ქონდა ისეთი მთავარი აზრებისა და მიმართულებების სხვადასხვაობა, „რომლემაც სახსენებლად ღირსნი არიან, თორემ ჩინიკედლობის ჰო-არაობა ბევრი იყო, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებშიო“⁴¹.

ი. ჭავჭავაძეს, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეს, კვლავ შეურყევლად სწამდა, რომ ქართველი ხალხისათვის, პირველ რიგში, საქირო იყო სასიცოცხლო მეტროქოლა ძალების გაერთიანება, მისი ერთი მიმართულებით წარმართვა. დაჯგუფებანი და „შინაგანი არეულობანი“, ილიას განმარტებით, ასუსტებდა ეროვნულ პოტენციას.

ამ თვალსაზრისით აფასებდა ილია მეცხრამეტე საუკუნეში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების რთულ პროცესს. მისა განმარტებით, ქართულ სინამდვილეში სამოციანელთა „აზრს. თუ მიმართულებას ბუნება ჟამთა სიარულში არ გამოსცვლია, არ დაშლია, და ყოველივე იგი, დაწყებიდან დღევანდლამდე, თითქმის ერთისა და იმავე ბუნებისაა, ერთისა და იმავე თესლისაა, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ როგორც ყოველივე მოზარდი, დღეს ისეთი აღარ არის, როგორიც გუშინ იყო. დღეს უფრო დასრულებულია, უფრო ტანადოვანია, თუ ასე ითქმის, უფრო განწმენდილი და გაფაჩიზებულიო“. ამიტომ, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ასკვნინდა ილია, ყველა მოღვაწე მეცხრამეტე საუკუნისა „ერთ დიღს უღელში ჰმძულან, და ვისაც სად, რა და როგორ ეხერხებოდა, ეს უღელი უწევია, იმიტომ აქ ყოველი გზა რომში იყო მისასვლელი“⁴².

„აჩრდილის“, „კაკო ყაჩაღის“ და „მგზავრის წერილების“ ავტორს სწამდა, რომ ეროვნული და სოციალური იდეალებისათვის ბრძოლის გზა იყო ერთი უპირველესი და სათაყვანებელი, არა მართო სამოციანელებისა, არამედ ყველა ქართველი მოღვაწისათვის, რისთვისაც უკანა პლანზე უნდა გადაწეულიყო „შინაური კინკლარობა“ და ცალკეული შეუთანხმებლობანი. ამიტომ ქართული სინამდვილისათვის ილიას საზიანოდ შიანია ისეთი ვითარება, როდესაც ერთი რომელიმე მიმართულება მეორის საზიანოდ წარიმართებოდა, რომელსაც თან მოჰყვებოდა „გაბატონება, ბრძანებლობა... ერთის დაჩაგვრა და ყმობა მეორისა“⁴³. მართლაც, 90-იანი წლებისათვის ბევრი ყოფილი ხალხოსანი ი. ჭავჭავაძის „ივერიის“ არა მართო უბ-

⁴¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., III, გვ. 201.

⁴² იქვე, გვ. 202—203.

⁴³ იქვე, გვ. 202.

რალო თანამშრომელი გახდა, არამედ მათ თითქოს დაივიწყეს თავთა-
ვიანთი ახალგაზრდული გატაცება და სამოციანელთა თავყანისმცემელ-
ნი გაზღნენ (სტეფანე ჭრელაშვილი, ანტონ ფურცელაძე, გიორგი
მაიაშვილი, გრ. ყიფშიძე და სხვ.). 90-იანი წლებისათვის მათ ილია
ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედება მართე-
ბულად მიიჩნიეს ქართული ეროვნული ლიტერატურის უდიდეს შე-
ნაძენად, ხოლო ილია ჭავჭავაძის თაობა—ახალი იდეების და კრიტი-
კული რეალიზმის დამწერგველად. ხალხოსანმა კრიტიკოსებმა ხელა-
აიღეს თერგდალეულებთან პოლემიკაზე. ისინი შეერწყნენ ქართველი
ხალხის სოციალურ-ეკონომიური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი
ბრძოლის მთავარ ნაკადს, რომელსაც თერგდალეულთა რევოლუცი-
ურ-დემოკრატიული თაობა ხელმძღვანელობდა. ეს ბუნებრივი და
კანონზომიერი პროცესი იყო 80-იანი წლების ქართული სინამდვი-
ლისათვის. შემდეგში, როცა პარტიათა შორის მძაფრი ბრძოლა და-
იწყო საქართველოში (90-იანი წლები), თერგდალეულთა ისტორიუ-
ლი მისია თითქმის ამოწურულია, სამოციანელთა მემკვიდრეობა მარქ-
სიზმით შეიარაღებულმა მუშათა კლასის პარტიამ ჩაიბარა. ამ ახალმა
რევოლუციურმა კლასმა იკისრა ქართველი ხალხის ეროვნული და
სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების სათავე-
ში სამოციანი წლებიდან მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში
ვაზდელულად იდგა 60—70-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიუ-
ლი იდეების მატარებელი განმანათლებელთა თაობა ი. ჭავჭავაძის
ძეთაურობით. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე,
გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და ქართველ განმანათლე-
ბელთა სხვა სახელოვანი შვილები — ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე
ყაზბეგი, ეგნატე ნინოშვილი და სხვები, „ისტორიული ოპტიმიზმით“
განსაზღვრავდნენ ქართველი ხალხის უკეთეს მომავალს და მის სა-
ნუკვარ იდეალებს გამოხატავდნენ.

ჩვენ არ უგულებელვყოფთ ქართველ ხალხოსანთა როლსა და
დამსახურებას, მაგრამ ჭეშმარიტებაა, რომ მარქსიზმის გავრცელებამ-
დე საქართველოში, ობიექტურად, 60-იანი წლების თაობა ეწეოდა ერის
შესაჭეობას. ისინი ხელმძღვანელობდნენ ქართველი ხალხის ეროვნ-
ულ-განმანათავისუფლებელ ბრძოლას ცარიზმისა და გაბატონებული
კლასების წინააღმდეგ, ისინი პირველნი იმალეობდნენ ხმას ქართვე-
ლი ხალხის ბედ-იღბალზე.

ანტონ ფურცელაძე და ხელოვნების უტილიტარული თეორია

ანტონ ფურცელაძის მდიდარ და მრავალფეროვან ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწერებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ და მათი შესწავლა უაღრესად საყურადღებოა არა მარტო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ამ მეტად საინტერესო, მრავალმხრივი და ენერგიული, პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწის შემოქმედებითი ცხოვრების მთლიანი სურათის წარმოსადგენად, არამედ, აგრეთვე, გასული საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების და, კერძოდ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარების გზების ნათელსაყოფადაც.

რა თქმა უნდა, მე-19 საუკუნის ჩვენი მწერლების ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევი არაა თანაბარი ღირებულების მქონე, არც იმ როლით, რომელიც მათ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში შეასრულეს და არც მათი მეცნიერული ღირსებებით. სადავო არ უნდა იყოს, რომ 60-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არა მარტო ისტორიულ, არამედ დღევანდელი დღისთვისაც ნამდვილად მაღალ შემეცნებით ღირებულებას, — დასმულ საკითხთა კვლევისა და ამოხსნის მეცნიერული გეზითა და სიღრმით, თუ ესთეტიკურ შეხედულებათა ერთ-მთლიანი, კონცეფციური ხასიათით, — მხოლოდ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერები ინარჩუნებენ. მაგრამ, ცხადია, ქართული ესთეტიკური აზროვნებისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარების ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მითითებული პერიოდის სხვა ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა და, მათ შორის, პირველ რიგში, ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობაც, რომელიც იმ პერი-

ოდის ქართული ესთეტიკურა აზროვნებისა და ლიტერატურული კრიტიკის ფაქტიურად არსებულ მაღალ დონესა და შესაძლებლობებს თუ ვერ ცხადყოფს, ყოველ შემთხვევაში ნათლად მეტყველებს მის თავისებურებებზე და, რაც მთავარია, მის მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიულ ტენდენციებსა და განწყობილებებზე.

ანტონ ფურცელაძე მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა იმ მოწინავე პლედის წარმომადგენელია, რომელიც მთელი თავისი ძალების დაძაბვით იბრძოდა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესთა დასაცავად, იბრძოდა „სიტყვის იარაღითა“ თუ საქმით, იბრძოდა გატაცებითა და თავდადებულად, ერთი წმიდათაწმიდა სურვილით, ერთიანი დიადი მიზნით შეპყრობილი და ანთებული: „მკვდრეთით აღმდგარი“ და „სალათას ძილისაგან გამოფხიზლებული“ ეხილა თავისი მრავალტანჯული სატრფო-სამშობლო, დამოუკიდებელი და თავისუფალი ეხილა თავისი ქვეყანა და მშობელი ხალხი, — განთავისუფლებული ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მძიმე ხუნდებისაგან, აღორძინებული ეკონომიკითა და კულტურით, მტკიცედ, მუხლშეუღრეკელად დამდგარი განახლებისა და პროგრესის გზაზე.

ეს საერთო პატრიოტული მიზანი ამოძრავებდათ როგორც ჩვენს სახელოვან „თერგდალეულებს“, ასევე იმ მოწინავე ქართველ მოღვაწეებს, და მათ შორის ანტონ ფურცელაძესაც, რომელთაც, თუმცა „თერგდალეულთა“ მსგავსად უშუალოდ რუსეთში არ აუთვისებიათ რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა, მაგრამ რომელთათვისაც ბელინსკის, ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლიუბოვის, პისარევის, ნეკრასოვის და სხვათა მოწინავე იდეები ახალგაზრდობის წლებიდანვე გონების მასაზრდოებელ წყაროდ იქცა.

ანტონ ფურცელაძე თვითვე მიუთითებდა, რომ ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან ერთად, მათი მომდევნო „მთელი ღალანგა“ გატაცებული იყო იმ „აზრებით... რომელნიც ტრიალებდნენ რუსეთში, საიდანაც გადმოდიოდა ჩვენს ძარღვებშიაც და ჩვენს თავშიაც, როგორც თვით ჭავჭავაძის თავშიო“¹. და, მართლაც, ანტონ ფურცელაძის რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთება თვალნათლივ მქდავანდება მის მრავალრიცხოვან ნაწერებში და, მათ შორის, საკუთრივ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებშიც, სადაც, ისევე, როგორც მხატვრულ შემოქმედებასა თუ პუბლიცისტიკაში, იგი „მუდამ იდგა სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში და გაბედულად ილაშქრებდა დრომოკმეულ საზო-

¹ ანტონ ფურცელაძე, „საწყალი კუდაბზიკა!“ ჟურნალი „მნათობი“, 1872, № 10—12, გვ. 39.

გადობრივ ურთიერთობათა წინააღმდეგ², — დაუნდობლად ამხელდა ყოველგვარ მანკიერებას, ყოველგვარ უსამართლობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში, ამხელდა ყოველგვარ ბოროტებას, რომელიც მძიმე უღლად აწვა დაბეჩავებულ მშრომელ ხალხს, — ბატონყმობის ინსტიტუტი იქნებოდა ეს. თუ კაპიტალისტური წყობილება, როცა, ანტონ ფურცელაძის სიტყვით, „შემძლე უფლების მქონე კაცთ დასდევს იაეთი წესი, რომლითაც გადააჭარბეს მონობასაც და ბატონ-ყმობასაც. ეს წესი არის ბატონობა ქონებისა, ანუ უკეთა ვთქვათ, კაპიტალისაო“³. ანტონ ფურცელაძემ, თერგდალეულების მსგავსად, ძალუმად განიცადა რუს რევოლუციონერ-დემოკრატიულ რადიკალური იდეებისა და, კერძოდ, დემოკრატიული ესთეტიკის კეთილმოყოფელი გავლენა. ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, მისი თეორიული მოსაზრებანი თუ გამონათქვამები ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგადი საკითხების შესახებ, — ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, მისი მიზნების, მისი როლის შესახებ, — უპირველეს ყოვლისა, იმით იპყრობენ ჩვენს ყურადღებას, რომ ისინი, ძირითადად, მატერიალისტური, რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის პრინციპებს ეყრდნობიან, რაც დამახასიათებელი იყო, საერთოდ რეალისტური ხელოვნების დამკვიდრებისათვის მებრძოლ მოწინავე ქართველ მწერალთა და ლიტერატურულ მოღვაწეთათვის.

„ჩვენ სრულებით არ ვეთანხმებით იმათა, რომელნიცა გაზღვევენ ძველს აზრს და იძახიან: ხელოვნება ხელოვნებისათვის უნდა იყვესო. ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგის აზრისა ვიყავით“⁴, — წერდა ანტონ ფურცელაძე თავისი საზოგადოებრივი და კრიტიკული მოღვაწეობის დასაწყისში; „ჩემთვის წარმოუდგენელი იყო ქადაგება „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, — წერდა ანტ. ფურცელაძე დიდი ხნის შემდეგაც, — მე იმავე თაობითვე იმ აზრისა ვიყავი, რომ ხელოვნება თავის თავად, საქმის გარეთ არ არის. ხელოვნება, რაც უფრო დიდებულს საქმეს ემსახურება, უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება, რასაკვირველია, თუ აღებულს საქმეს შესაფერი ხელოვნებაც მოჰხმარდება; და

² გ ი ო რ გ ი ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 301—302.

³ ა ნ ტ ო ნ ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, მამულების საერთო მფლობელობა, გაზ. „გუთნის დედა“, 1874, № 9.

⁴ ქერელი ბექა (ანტონ ფურცელაძე), სურამის ციხე დ. კონქაძისა, „ცისკარი“, 1863, № 1, გვ. 117.

ოაკი კაცობრიობას ყველანაირად უფრო უჭირს თავისი დღევანდელი ცხოვრების და მომავლის გაუმჯობესება, რომ კაცი გამოვიდეს დღევანდელი ეკონომიური, სოციალური და ზნეობრივი ტყვეობიდან, მნიშვნელობაში არ უნდა ჰქონდეს ალაგი წერილმან ქება-შემკობას ვარდისა, მთვარისა, მზისა, ბულბულისა და სხვა ამგვარისა. დღევანდელს მწერლობრივ ხელოვნებას უნდა ჰქონდეს სახეში უფრო პოლიტიკური აზრი. უნდა ჰქონდეს სახეში დავრდომილი და დაცემული კაცობრიობა ჩააგდეს გონებაში, გააცნოს იმას თავისი თავი, თავისი გარემოება, თავისი ღირსება და თავისი უფლებანი⁵.

ანტონ ფურცელაძის ზემოთ ციტირებულ სიტყვებში, როგორც ვხედავთ, გამოთქმულია საერთოდ სამოციანი წლების ეპოქის მწერალთა და მოღვაწეთა ესთეტიკური კონცეფციისათვის დამახასიათებელი თვალსაზრისი ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულებისა და როლის შესახებ, თვალსაზრისი, რომელიც განუხრელადაა გატარებული ჩვენი კრიტიკოსის მთელ ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწერებში. ამავე დროს, როგორც ვხედავთ, ანტონ ფურცელაძე ძიუთითებს, აგრეთვე, ხელოვნებისათვის აუცილებელი მხატვრული მხარის, შესაფერი ოსტატობის („შესაფერი ხელოვნების“, როგორც თვით წერს) შესახებაც და, ამდენად, ცხადია, შეუძლებელია, რომ მას ხელოვნებისათვის მხატვრული ფორმის უგულებელყოფა დაეწამოთ; თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენი აზრით, არც იმის უარყოფა მოხერხდება, — ამის საბუთი ანტონ ფურცელაძის მთელი ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწერებია, — რომ „მხატვრულობა“, ჩვენი კრიტიკოსისათვის, მუდამ მეორე პლანზე იდგა ლიტერატურულ ნაწარმოებთა განხილვა-შეფასების დროს, და ხელოვნების ნაწარმოების კემდარბიტი ღირებულების დასადგენად, გადამწყვეტი და, ხშირად, ერთადერთი მნიშვნელობა მისთვის ნაწარმოებში გამოთქმულ აზრს, ტენდენციას, იდეას ჰქონდა, მაშინ როცა, როგორც ეს დღეს ყველასათვის უდავოა, ხელოვნების და, კერძოდ, მხატვრული ნაწარმოების თვით ცნება აუცილებლობით გულისხმობს მხატვრული ფორმისა და შინაარსის ორგანულ ერთიანობას. ხოლო რაც შეეხება საკუთრივ ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების ანტონ ფურცელაძისეულ გაგებას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის მსოფლმხედველობრივ პრინციპებზეა დაფუძნებული და თავისი დროისათვის უდავოდ მოწინავე თვალსაზრისის შემცველია.

⁵ გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ა. ფურცელაძის არქივი, დოკ. № 46.

ანტონ ფურცელაძის რწმენით, ქეშმარიტი ხელოვნება მოვალეა „შიაპკრას გონება თავის აღმზრდელ მსაზროლებელს დაჩაგრულს ხალხს, შეუდგეს ამ ხალხის ცხოვრების შესწავლას“ და მუდამ უტყუარი გამომხატველი იქნეს „ხალხის გრძნობისა, იმის მდგომარეობისა, იმის მწუხარებისა და სხვა ვითარებებისა“⁶. მხატვრულმა ლიტერატურამ საზოგადოებას „სიმართლისა და სიმრუდის ვითარება და კანონები“ უნდა აუხსნას, წარუძღვეს საზოგადოებას წინ და აჩვენოს სწორი გზა. „ლიტერატურის ვალია,—წერდა ანტონ ფურცელაძე,—რომ სხვა და სხვა ქეშმარიტის და ძლიერის საბუთებით უმტკიცებდეს ხალხსა და საზოგადოებასა საზოგადო სასარგებლო საქმეზედ დადგომასა და უნდა უხსნიდეს, რაში მდგომარეობს ის საზოგადო სასარგებლო საქმეები, შეეხოს ყოველრიგს საზოგადო საჭიროებასა და აცნობოს მკითხველს იმისი ვითარება, შეეხოს ხალხის ცხოვრებასა და უჩვენოს ყოველი მხარე ამ ცხოვრებისა. ხოლოდ მაშინ ექნება ლიტერატურას ქეშმარიტი სასარგებლო მნიშვნელობა“⁷.

ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით, ანტონ ფურცელაძე, სავსებით შეგნებულად, მუდამ დაუცხრომლად იბრძოდა „წმინდა ხელოვნების“ თეორიის დამცველთა და მიმდევართა წინააღმდეგ, მათ წინააღმდეგ, რომელნიც, ანტონ ფურცელაძის სიტყვით, „მკვიდრით და შეუტყუველათ ადგენენ იმ აზრსა, რომ ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ხელოვნებასა და არა ცხოვრებასა,—ესე იგი ხელოვნებას არ უნდა ჰქონდეს არავითარი სასარგებლო სახმარისი აზრი: იმითი ხოლოთ უნდა სტკებოდნენ და შეექცეოდნენ“⁸. ასეთივე დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ანტონ ფურცელაძე იმ ლიტერატორებსაც, რომელნიც, ჩვენი კრიტიკოსის დახასიათებით, „არ მისდევდნენ ხალხის საჭიროებას და ჰბლახნიდნენ, ვითამ და შეიტყუეთ, რომ მეც კაცი ვარ და ქვეყანაში ურევივარო“⁹.

ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ ამ მოწინავე თვალსაზრისის მომარჯვებას ცდილობდა

⁶ ზ უ რ ა ბ მ თ ე ნ ი ძ ე, (ანტონ ფურცელაძე), შეუსრულებელი სურათი, გაზ. „დროება“, 1867, № 35, გვ. 1.

⁷ ა ნ ტ ო ნ ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ჩვენი ლიტერატურისა და ბეჭდვის შესახებ, ჟურ. „ცისკარი“, 1867, № 1, გვ. 75.

⁸ ზ უ რ ა ბ მ თ ე ნ ი ძ ე, შეუსრულებელი სურათი, გაზ. „დროება“, 1867, № 35, გვ. 1.

⁹ ქ ე რ ე ლ ი ბ ე ქ ა (ანტონ ფურცელაძე), ქართული ლიტერატურა, ჟურ. „ცისკარი“, 1863, № 7, გვ. 347.

მუდამ ანტონ ფურცელაძე კონკრეტული ლიტერატურული მოვლენების ანალიზის დროსაც.

ანტონ ფურცელაძეს მრავალი მართებული შეხედულება აქვს გაშთქმული ქართველ მწერალთა ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებთა ირგვლივ (მაგ. აკაკი წერეთლის ლექსების და, საერთოდ, აკაკის პოეტური ტალანტის შესახებ, ბარათაშვილის პოეზიის რიგ ნიშანთვისებებთან დაკავშირებით, საყურადღებოა მისი ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობის საკითხებზეც (და სხვ.), მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ მემკვიდრეობაში — ესაა მისი წერილები დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხისა“ და ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ შესახებ, კრიტიკული წერილები, რომლებიც საპატიო ადგილს იმკვიდრებენ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, რამდენადაც მათში მკვეთრად გამოვლინდა იმ პერიოდის ქართული კრიტიკისათვის დამახასიათებელი მოწინავე, დემოკრატიული მისწრაფებანი.

პირველი ამ წერილთაგან, სათაურით — „სურამის ციხე“ დ. ჭონქაძისა“, რომელიც ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობის დასაწყისში, 1862 წლის დეკემბერშია დაწერილი, წარმოადგენს დანიელ ჭონქაძის ამ ცნობილი ნაწარმოების პირველ კრიტიკულ განხილვას. და, რაც მთავარია, ეს არის პირველი წერილი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, რომელიც მთლიანად სოციალური უსამართლობის წინააღმდეგაა მიმართული, წერილი, სადაც — ისე, როგორც მანამდე არსად ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, — თამამად და მძაფრადაა გამოთარახებული ბატონყმობის ინსტიტუტი, კრიტიკული წერილი, რომელიც „სურამის ციხის“ მსგავსად, არსებული სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართულ სრულიად აშკარა პროტესტს შეიცავდა, რაც ჩვენი კრიტიკოსის დიდ მოქალაქეობრივ შეგნებულობასა და გამბედაობაზე მიუთითებს. ანტონ ფურცელაძის კრიტიკული წერილი „სურამის ციხის“ შესახებ დამადასტურებელია მისი ახალგაზრდა ავტორისა და მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ახლად გამოცოცხლებული ქართული კრიტიკული აზროვნების პროგრესული, რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობისა, მისი პრინციპულობის და მებრძოლი განწყობილებისა და შემართებისა.

ანტონ ფურცელაძის ჩვენ მიერ დასახელებულ მეორე კრიტიკულ წერილს (ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ შესახებ), შესაძლოა, „სურამის ციხის“ განხილვისადმი მიძღვნილი წერილის გვერდით შედარებით ნაკლები, მაგრამ მაინც უთუოდ მნიშვნელოვანი ადგილი

ეკუთვნის როგორც ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ ძემკვიდრეობაში, ასევე მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში საერთოდ.

ანტონ ფურცელაძის ეს კრიტიკული წერილი, რომელშიც ვრცლადაა გადმოცემული „კაცია აღამიანის“ შინაარსი და, ძირითადად, მაღალი შეფასება აქვს მიცემული ილია ჭავჭავაძის ამ შესანიშნავ ნაწარმოებს, — მაღალ ღირებულებას იძენს, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მისი ავტორი, ისევე, როგორც „სურამის ციხის“ ღირსებათა შესახებ მსჯელობის დროს, საგანგებოდ ჩერდება განსახილველ ნაწარმოებში წერლის მიერ დასმულ საჭირობოტო საკითხებზე და აღტაცებით უერთდება ბატონყმური სინამდვილის ავტორისეულ მძაფრ და მამხილებელ კრიტიკას. ასევე, მითითებული კრიტიკული წერილის მნიშვნელობა იზრდება იმიტაც, რომ სწორედ მასშია პირველად განხილული მე-19 საუკუნის ქართული რეალისტური ლიტერატურის ეს ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლი; საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ანტონ ფურცელაძემ თავისი კრიტიკული წერილი რუსულ ენაზე დაბეჭდა (გაზ. „კავკაზის“ დამატებაში, ყურნ. „ლიტერატურნი ლისტოკის“ 1864 წ. № 3—9-ში), რითაც რუს მკითხველთა ფართო წრეებს საშუალება მიეცათ საკმაოდ დეტალურად გააცნობიანდნენ „კაცია-აღამიანის“ როგორც სიუჟეტური განვითარების ხაზს, ასევე მასში გამოხატულ ხასიათებსა და მასში დასმულ — მისი შინაარსიდან გამომდინარე პრობლემებს.

ექვს გარეშეა, რომ ანტონ ფურცელაძის მოთხოვნა — მხატვრული ლიტერატურის ცხოვრებისეულობის, მისი მამხილებელი ხასიათის, „ცხოვრების განკარგებისათვის“ მებრძოლ საშუალებად მისი გადაქცევის შესახებ, უთუოდ პროგრესული იყო და 60-იანი წლების ეპოქის მოწინავე ლიტერატურულ მოღვაწეთა მიერ ლიტერატურის დანიშნულების საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ გამოთქმულ შეხედულებათა მსგავსი. მაგრამ ამ გარემოების აღნიშვნა, რა თქმა უნდა, სრულიად არაა საკმარისი ანტონ ფურცელაძის ესთეტიკური შეხედულებების, მისი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერების ხასიათისა და თავისებურებების გასარკვევად.

ის არსებითი და ნიშანდობლივი, რაც ახასიათებთ მეცხრამეტე საუკუნის სამოც-სამოცდაათიანი წლების მოწინავე ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს, ეს იმ პროგრესულ, მებრძოლ იდეათა და პრინციპთა ათვისება და შესისხლხორცებაა, რომელნიც ეპოქის სულით იყო ნაკარნახევი, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს პასუხობდა, და რომელთა პირველ მოციქულებად და მქერმეტყველად მქადაგებლებად. რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ბელადე-

ბი — ბელინსკი, გერცენი, დობროლიუბოვი, ჩერნიშევსკი გვეკვლინებიან; მაგრამ ამ ძირითადი იდეებისა და, ასევე, პრინციპულ ესთეტიკურ თვალსაზრისთა, არსებითად, ერთიანობის გვერდით ქართველ სამოციანელთა შეხედულებანი საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ ლიტერატურის ცალკეულ კონკრეტულ საკითხებზე, ამოსავალ დებულებათა მსგავსების მიუხედავად, არც ერთმანეთის იდენტურნი იყვნენ და არც რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის წარმომადგენელთა ანალოგიური შეხედულებების მექანიკურ განმეორებას წარმოადგენდნენ. გასული საუკუნის მეორე ნახევრის თითოეულ მოწინავე ქართველ მწერალსა თუ ლიტერატურულ მოღვაწეს თავისი, საკუთარი ესთეტიკური კრედო, ლიტერატურულ მოვლენათა თავისებური, ორიგინალური ხედვაც გააჩნდა. სწორედ ამით იპყრობენ ისინი ჩვენს ყურადღებას, სწორედ ეს გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ მათი, როგორც მოაზროვნეების, როგორც კრიტიკოსების, ესთეტიკური იდეალების, მათი ესთეტიკური თვალსაზრისის შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, ანტონ ფურცელაძეზეც ვრცელდება, მაგრამ არ შეიძლება არ შეინიშნოს ისიც, რომ 60-19 საუკუნის 60-იანი წლების პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შორის, რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის წარმომადგენელთა შეხედულებებთან მიმართების მხრივ, ანტონ ფურცელაძე მეტად თავისებურ ფიგურად წარმოგვიდგება.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე — ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრე, საგანგებოდ მიუთითებდა იმ დიდ გავლენაზე, რომელიც მოწინავე რუსულმა ლიტერატურამ 60-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მოახდინა: „თქმა არ უნდაო, — წერდა ილია, — რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას. ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თაქვისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მი-

ხედვით გამოურჩევია“, მაგრამ, ილია იქვე დასძენდა, რომ „რასაკვირ-
ველია, ამ ზემოქმედებამ რუსული ლიტერატურისამ მარტო იმას შესძი-
ნაო სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის
საკუთარ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ
მიიჩემა და ამ-რიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვ-
ლისათვის. ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც
კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია...
ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსულ ლიტერა-
ტურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ
მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ
გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ ან
უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიახ: იმავე
კრიტიკით და გამოძიებით მხარადა-მხარ ასდევნებიან ამ ლიტერატუ-
რის წინსვლას, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხა-
ნაზედ“¹⁰.

ჩვენთვის ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძეს, ზემოთ ციტირებულ
სიტყვებში, მხოლოდ საკუთრივ მხატვრული ლიტერატურა —
„სიტყვაკაზმული მწერლობა“, ბელეტრისტიკა კი არა აქვს მხედველო-
ბაში, არამედ ლიტერატურა ამ ტერმინის ფართო გაგებით და, კერძოდ,
რუს რევოლუციონერ-დემოკრატიულ ესთეტიკური და ლიტერატურულ-
კრიტიკული ნაწერებიც. და ცხადია ისიც, რომ, როგორც ცნობილია,
ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ სამოციანელთა ერთი უდიდესი
დამსახურებათაგანი სწორედ ისაა, რომ მათ გაუაზრებლად, საკუთარი
კრიტიკის ქარცეცხლში გაუტარებლად კი არ მიუღიათ მზამზარეული
იდებები და შეხედულეებები რუსული სინამდვილიდან, არამედ შემო-
ქმედებითად აუთვისებიათ ისინი, საკუთარი „გონების ქურაში“ გამო-
უწრთიათ და „გამოუფოლადებიათ“.

რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის ცალკეული
წარმომადგენლების შეხედულეებებთან 60-იანი წლების ქართველ მო-
ღვაწეთა დამოკიდებულების საკითხი სპეციალური კვლევის საგანს
წარმოადგენს და ამ საკითხზე სათანადო მოსაზრებებია გამოთქმული
ქართველ მკვლევართა მიერ. ამიტომაც აქ მხოლოდ იმ ზოგადი შე-
ნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ რუს რევოლუციონერ-დემოკრატიულ
უდიდესი პატივისცემისდა მიუხედავად, არც ილია ჭავჭავაძე ყოფილა
არასოდეს „ბრმად მიმჩემებელი“ და მოწაფურად განმმეორებელი
ბესარიონ ბელინსკისა და არც, ვთქვათ, ნიკო ნიკოლაძე — ჩერნიშევს-

¹⁰ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად,
პ. ინგოროყვას რედაქტორობით, 1953, VIII, გვ. 332—333.

კისა, თუმცა ჩერნიშევსკის იგი თავის სათაყვანებელ მასწავლებლად სთვლიდა და სამუდამოდ დავალებულად მიაჩნდა თავისი თავი მისგან, ნიკო ნიკოლაძისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაფერი იმის გამო“, რაც ჩერნიშევსკიმ გააკეთა „მისი გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის“. ხოლო აკაკი წერეთელი თავის შესახებ ასე წერდა: „სხვებსავეთ წამხედურობით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ. ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიჟიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მეჭერა მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილხმოვნება იყოს და კმარაო. ორთაშუა მყოფს, მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად“. და ეს მაშინ, იმ „ახირებულობის დროს“, როგორც აკაკი წერეთელი ამბობს, როცა „ლიტერატურა ორად გაიყო: უმეტესობა სრულიად უარყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე, ბევრად ნაკლები, ისე გადაჰყვა ხელოვნებას, რომ გარდა კეთილხმოვანებისა და მუსიკისა აღარა სწამდა რა მწერლობაში“¹¹.

მაგრამ გვაქვს თუ არა უფლება, ანტონ ფურცელაძის მიმართ იგივე სიტყვები გავიმეოროთ, რაც აკაკიმ თავის მიერ „ორთაშუა არჩეული გზის“ შესახებ სთქვა? იძლევა თუ არა ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის შესწავლა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მათი ავტორი ურ უკიდურესად ურთიერთდაპირისპირებულ ლიტერატურულ ბანაკთაგან ერთ-ერთს არ მიეკუთვნებოთ?

ზემოთ ჩვენ მივუთითეთ, რომ ანტონ ფურცელაძე, მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შორის, რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის წარმომადგენელთა შეხედულებებთან მიმართების მხრივ, საკმაოდ თავისებურ ფიგურად წარმოგვიდგება. ეს თავისებურება კი, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, 60-იანი წლების სხვა ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნაწერთაგან განსხვავებით, ყველაზე მეტად და ყველაზე უფრო მკვეთრად იჩინა თავი უკიდურესმა უტილიტარიზმმა და რუსული ესთეტიკური ნიჰილიზმის, კერძოდ, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, დიმიტრი პისარევის რიგ შეხედულებათა გავლენამ, რამაც განაპირობა ანტონ ფურცელაძის მიერ არაერთი ლიტერატურული მოვლენის შეფასებისას დაშვებული შეცდომების უმეტესობა.

პროფ. გ. აბზიანიძის სამართლიანი შენიშვნით, „პისარევთან ფურ-

¹¹ აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, 1956, VII, გვ. 92—93.

ცელაძის დამოკიდებულების საკითხი რთულია, რამდენადაც ერთის მხრივ, რთულია და წინააღმდეგობრივი პისარევის აზროვნების განვითარების გზა და, მეორეს მხრივ, რთულია თვით ქართველი აწერას მსოფლმხედველობრივი ევოლუცია.

პისარევთან დამოკიდებულების საკითხში ა. ფურცელაძე ძირითადად სწორ პოზიციებზე დგას, როცა ანალიზებს მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს 60-იანი წლების ბრძოლის პროცესში, მაგრამ ქართველი მოაზროვნე ცდება, როცა ესთეტიკურ ნიჰილიზმს ხშირ შემთხვევაში უკრიტიკოდ იზიარებს¹²; ამიტომაცაა, რომ ანტონ ფურცელაძე „ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ცნობილია, როგორც პისარევის მიმდევარი, ნიჰილისტური ესთეტიკის მედროშე“¹². თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენის აზრით, ეს აშკარა გავლენა მაინც უფრო ზედაპირული იყო, და არა ღრმა და არსებითი. არა კონცეფციური ხასიათისა.

ჩვენ არ შევუღებთ დიმიტრი პისარევის ესთეტიკურ შეხედულებათა დეტალურ ანალიზს, — ამ საკითხზე სპეციალური ნაშრომები არსებობს, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ პისარევის ესთეტიკურმა შეხედულებებმა, საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სარბიელზე ამ უაღრესად საყურადღებო ახალგაზრდა მოაზროვნის ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს: მაგალითად, თუ 1861 წელს დაწერილ ცნობილ ნაშრომში „XIX საუკუნის სქოლასტიკა“, მასში გამოთქმულ რიგ მცდარ მოსაზრებათა მიუხედავად, პისარევი არა თუ არ უარყოფს ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელობას, არამედ მოითხოვს, რომ ხელოვნება, ლიტერატურა სინამდვილის, ცხოვრების უტყუარი გამოხატველი უნდა შეიქმნეს და უნდა დაგვანახოს ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც მრავალი ადამიანი ჩავარდნილი სოციალური ჩაგვრის გამო, მეორე მხრივ, მოღვაწეობის ბოლო პერიოდში დაწერილ ნაშრომში — „ესთეტიკის დამსხვრევა“ — პისარევი ხელალებით უარყოფდა ხელოვნებასა და ესთეტიკას, მკენედ მიაჩნდა იგი და აცხადებდა, რომ სჯობს, ამ ფუჭი და უსარგებლო გასართობის ნაცვლად, ადამიანებმა ზუსტ მეცნიერებებს მიაშურონ, რათა კარგი შემანქანები, მეურნეანი თუ მოხელეები გახდნენო. თავისი პოზიციის გასამტკიცებლად, პისარევი ჩერნიშევსკის ავტორიტეტსაც კი იშველიებდა და ცდილობდა მისთვის მიეწერა „ესთეტიკის დამსხვრევის“ იდეის პრიორიტეტი, თუმცა, რასაკვირველია, ასეთი ცდა ყოველგვარ რეალურ საფუ-

¹² გ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 316.

ძველს იყო მოკლებული¹³. რაღა თქმა უნდა, ხელოვნების ღირებულებისა და მისი საზოგადოებრივი დანიშნულების გაგების მხრივ ანტონ ფურცელაძეს არაფერი აქვს საერთო იმ პისარევთან, რომელიც — ამ უკანასკნელის მიერ ჩერნიშევსკის შესახებ ნათქვამი სიტყვები რომ გამოვიყენოთ, — მოღვაწეობის ბოლო პერიოდში თავგამოდებით ცდილობდა „არა ახლის შექმნას, არამედ მხოლოდ განადგურებას ძველისა და, საერთოდ, ყოველგვარი ესთეტიკური თეორიისა“; ანტონ ფურცელაძის ესთეტიკური თვალსაზრისისათვის, არსებითად, უცხოა პისარევის უცნაური სურვილი საერთოდ ესთეტიკის დამსხვრევისა, გალაშქრება საერთოდ ხელოვნების წინააღმდეგ; უცხოა მისი კატეგორიული მოთხოვნა: „ძირს, ესთეტიკა, ძირს კულტურისა და პროგრესის ის მსარენი, რომელნიც პასუხს არ გვაძლევენ მთავარ საკითხზე, თუ როგორ გავაძლოთ დამშეუღლი და როგორ უზრუნველყოთ ყველანი...“

ჩვენის აზრით, შეუძლებელია იმ შეხედულების გაზიარება, რომ ანტონ ფურცელაძეც ამ პოზიციებზე იდგა, — თუნდაც მაშინ, როცა იგი უკიდურესობამდე მიყვანილი უტილიტარული ხელოვნების თეორიის გავლენით, ცხადია, სრულიად უსაფუძვლოდ, ილაშქრებდა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ლექსების, თუ, საერთოდ, პუშკინის პოეზიის წინააღმდეგ, სწამებდა რა მათ უსაგნობასა და უსარგებლობას.

ამა თუ იმ ლიტერატურულ მოვლენასთან დაკავშირებით მსჯელობისას დაშვებულ თვით ყველაზე უხეშ შეცდომების დროს, ანტონ ფურცელაძე არასოდეს არ მისულა პისარევისეულ, საფუძველშივე მცდარ თვალსაზრისამდე — საერთოდ ხელოვნების უსარგებლობისა და, მაშ, მისი უარყოფისა და მოსპობის, საერთოდ ესთეტიკის „დამსხვრევის“ შესახებ. თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს კრიტიკოსს საგანგებოდ არსად უარუყვია და არც კრიტიკულად შეუფასებია პისარევის ეს უკიდურესი თვალსაზრისი, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანტონ ფურცელაძის მიერ ზოგადად თქმულ სიტყვებს, რომ პისარევსაც, „როგორც ყველა ახალი აზრების შემომტანს და შემუშავებულს, ბლომათა ჰქონდა შეცდომილებანიო“. — მეტიც, ანტონ ფურცელაძის ნაწერებში, კერძოდ, 1882 წლის „იმედში“ გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილში — „რამდენიმე სიტყვა „ოვერიის“ მაისის „შინაურს მიმოხილვაზედ“ — სრულიად აშკარა სიმბათია და თანაგრძნობაა გამოთქმული დ. პისარევის ამ „ყოვლად უარყოფილობის“ მიმართ:

¹³ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დ. პისარევის შესახებ და, კერძოდ, პისარევის ზემოაღნიშნული მტკიცების უსაფუძვლობის ირგვლივ, იხ. პროფ. გ. ჯიბლაძის ნაშრომი „ხელოვნება და სინამდვილე“, 1955, გვ. 512 და შემდეგ.

„ესთქვათ, რომ კიდევაც ასე იყო, რომ პისარევი და იმისი მიმდევარი იყვნენ თითქმის ყოვლად უარ-ყოფელნი. — წერს ანტონ ფურცელაძე, — ნუთუ ეს იყო გასაკიცხი და არა საქებურა? რომ ჩაკვირდეთ კაცთა ცხოვრებასა და მეტადრე ჩვენსა და იმ ხალხისას, რომელსაც პისარევი ეკუთვნოდა, ნუთუ ბევრს რასმე ვიპოვნით, რომელიც არ იყოს უარ საყოფელი და ბოლო მოსაღები? რა არ იყო უარ-საყოფელი: საზოგადო წყობილება? სარწმუნოება? სახელმწიფო წყობილება? კანონები? ეკონომიური წყობილება? წესები? ჩვეულებანი? ოჯახობა? ქორწინება? სწავლა? ხელოვნება? გაწვრთნილება? — სიტყვით, რას გვიჩვენებთ ისეთსა, რომელიც არ იყვეს უარ საყოფელი და შესაცვლელი?... რათ არის ამ უარ ყოფის გამო პისარევი ტალახსასაროლი და არა სათაყვანო?...“¹⁴ ამდენად, ბუნებრივია, მკითხველს გარკვეული ეჭვი დაჰბადებოდა თვით ჩვენი კრიტიკოსის პოზიციის შესახებ საერთოდ ხელოვნებისა და ესთეტიკის პისარევისეული „ყოვლად უარყოფელი“ თვალსაზრისისადმი. მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩვენთვის უდავოა, რომ თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწერებში ანტონ ფურცელაძე, ლიტერატურისა და ხელოვნების არსებით, თეორიულ საკითხთა შესახებ მსჯელობისას, ძირითადად, მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკველად გვევლინება, არასოდეს არ უარყოფს ხელოვნებისა და ლიტერატურის უდიდეს როლს საზოგადოების ცხოვრებაში; ხოლო ცალკეული ლიტერატურული მოვლენების შეფასებისას ჩვენი კრიტიკოსის მიერ დაშვებული აშკარა შეცდომების მთავარი მიზეზი, ერთის მხრივ, ხელოვნების დანიშნულების უკიდურესად უტილიტარული გაგებისა, ხოლო მეორეს მხრივ, პისარევის რიგ შეხედულებათა „საკუთარი კრიტიკის ქარცეცხლში გაუტარებლად“ აღიარებისა და ქართულ სინამდვილეში მათი უნიადგოდ დანერგვის ამაო ცდის შედეგი იყო.

„წმინდა ხელოვნების“ უარყოფისა და რეალისტური ხელოვნების დამკვიდრებისათვის ბრძოლის პათოსით გატაცებულ ანტონ ფურცელაძეს, მხატვრულ ნაწარმოებთა განხილვა-შეფასების დროს, ხშირად დალატობდა ზომიერების გრძნობა ავია და კარგის გარჩევის უნარი და ქეშმარიტი ხელოვნების ქმნილებების მიმართაც არა ერთხელ აღუმართავს მას დაუნდობელი კრიტიკის მახვილი და ჯოვლად შეუწყნარებელი მსჯავრი გამოუტანია მათ მიმართ, მსჯავრდება, რომლის გაზიარება, რა თქმა უნდა, ღირსებად ვერ ჩათვლებოდა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას. მაგრამ, საბედნიეროდ, მოწინავე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას

¹⁴ ანტ. ფურცელაძე, რამდენავე სიტყვა „ივერიის“ მაისის „შინაურს შიშობილვახედ“, „იმედი“, 1882, № VII—VIII, გვ. 90—91.

ა. ფურცელაძის მსგავსად არასოდეს უარუყვია ის საპატიო, კუთვნილი ადგილი, რომელსაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ბარათაშვილის ლექსები იკავებენ, თუ რუსული ლიტერატურის ისტორიაში — პუშკინისა. აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კრიტიკოსის მიერ მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობის მანძილზე დაშვებული ესა თუ ის ცალკეული შეცდომა არავითარ შემთხვევაში არ აუფასურებს ამ უანგარო და თავდადებული მოწინავე ქართველი მწერლის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობის მნიშვნელოვან დადებით როლს ქართული ლიტერატურის კრიტიკული შესწავლა-შეფასებისა და, საერთოდ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარების საქმეში. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, თუნდაც ასეთი მტკიცება პარადოქსულად უღერს, რომ, საბოლოო ჯამში, ანტონ ფურცელაძის მიერ ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ განვითარებულმა თვით უმართებულო შეხედულებებმაც კი გარკვეული დადებითი როლი ითამაშეს, რამდენადაც, როგორც ეს, საერთოდ, საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე საზოგადოებრივი აზროვნების ამა თუ იმ სფეროში, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაშიც. სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოთქმული ესა თუ ის მცდარი მოსაზრება არაიშვიათად სტიმული გამხდარა ამ საკითხთა შესახებ ქეშპარიტი აზრის შემუშავებისა, — რადგან სწორედ მცდარ დებულებებთან პაექრობისას რელიეფურად იკვეთებოდა საკვლევი ობიექტის მნიშვნელოვანი თუ მეორეხარისხოვანი მხარეები, ირკვეოდა კრიტიკული მიდგომის სწორი, მეცნიერული გეზი, ყალიბდებოდა და იხვეწებოდა მართებული თვალსაზრისი. ხოლო ფაქტიურად უდავოდ მალაღობი ღირებულების მქონე მხატვრულ ნაწარმოებთა არაობიექტური შეფასების შემთხვევებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში საკმაოდ ხშირად ჰქონია ადგილი. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ანტონ ფურცელაძე არ წარმოადგენდა ერთადერთ გამონაკლისს და სავსებით დაზღვეული, ამ მხრივ, არც ჩვენი სახელოვანი „თერგდალეულების“ ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერებია. მაგრამ ეს, ცხადია, სავსებით ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა მე-19 საუკუნის საქართველოს 60-იან წლებში, ძველისა და ახლის, დრომოკმულისა და პროგრესულის ბრძოლის პერიოდში, როცა ახლის დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის, ტრადიციით დაკანონებული ბევრი რაიმეს უკუგდება და უარყოფა იყო საჭირო. ამ გამწვავებულმა ბრძოლამ და ახლის ძიების გატაცებულმა სურვილმა კი, — 60-იანი წლების რუსეთის „მამათა და შვილთა“ ბრძოლის შესახებ თქმული ილია ჭავჭავაძის სიტყვები რომ ვისმართო, — „შვილების“ ბანაკი იქამდინ მიიყვანა, რომ უარყოფინა არამც თუ მარტო ის,

რაც ღირსი იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის თვითვე „წამოწითლდებოდა“ შემდგომში¹⁵ და თუმცაო, წერს ილია ჭავჭავაძე, რუსეთის „მამებისა და შვილების“ ბრძოლამ ბრძოდ აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და იმ ბრძოდ აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილ-კაცობის სასახელოდ ესეც უნდა ესთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე ჯინდად დადგა ცხოვრების მოედანზედ“¹⁶

რალა თქმა უნდა, ანტონ ფურცელაძის ადგილს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში მხოლოდ მისი ნიჰილისტური შეხედულებანი თუ ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებთა არაობიექტური, უარყოფითი შეფასების შემთხვევები როდი განსაზღვრავს. ანტონ ფურცელაძეს, როგორც ეს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში სამართლიანადაა აღნიშნული, მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ქართული მატერიალისტური ესთეტიკისა და რეალისტური კრიტიკის განვითარებაში. და, ცხადია, საგანგებო განხილვას იმსახურებენ მისი ის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რომელთაც უთუოდ საპატიო ადგილი ეკუთვნით ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში. მაგრამ ჩვენი კრიტიკოსის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის თავისებურებათა გარკვევისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ „ყოვლის უარყოფელი“ მიმართულების აშკარა გავლენის გათვალისწინება, რომელიც ხშირ შემთხვევაში განაპირობებდა ანტონ ფურცელაძის როგორც ცალკეულ მცდარ შეხედულებებს, ასევე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი კრიტიკული მოღვაწეობის საერთო სტილსაც.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ანტონ ფურცელაძე, 60-იან წლებში, „მამათა და შვილთა ბრძოლის“ პერიოდში, „ცისკარის“ ფურცლებიდან ტენდენციურად აკრიტიკებდა ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეს“ და, საერთოდ, „შვილების“ თაობას, და ეს მაშინ, როცა თვითაც, ფაქტიურად, თავისი მსოფლმხედველობრივი პრინციპებითა და მიზანსწრაფვით, ამავე თაობას ეკუთვნოდა. „ჩვენი იმედი იყო მოსწრებული ნასწავლი ყმაწვილ კაცობა, — წერდა ანტონ ფურცელაძე თერგდალეულთა შესახებ, — მაგრამ სწავლის მაგივრათ

¹⁵ ილია ჭავჭავაძე: თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, V, 1955, გვ. 92.

¹⁶ იქვე, გვ. 95.

ამათ მოიტანეს გაბერილი ფრაზები, წახალისების მაგივრათ — პედანტობა; ერთობისა და სიყვარულის მაგივრათ — ამაყობა. ერთის სიტყვით, შრომის მაგივრათ ლაპარაკობენ, საქმის მაგივრათ ჰყვირიან¹⁷. მეორე მხრივ კი, ანტონ ფურცელაძე, იმავე „ცისკარის“ ფურცლებიდან, თავს ესხმის „მამების“ ბანაკის წარმომადგენლებსაც — „ქვემოულ ცდტიმე წერეთელს, ბერიძეს, რჩეულოვს და სხვა ამ გვართ უნიჭოს და კონსერვატორულს მწერლებს“¹⁸.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არაერთგზის ყოფილა მითითებული იმის შესახებ, რომ ანტონ ფურცელაძე „ცისკარის“ ჩგუფის მწერლებთან მხოლოდ ფორმალურად იყო გაერთიანებული, რომ თავისი პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებებით იგი ამ პერიოდში გვევლინება, როგორც მებრძოლი დემოკრატი, რადიკალური აზროვნების მედროში, და რომ ისეთი რადიკალური იდეებით გამსჭვალული აღმზიანი, როგორიც ანტონ ფურცელაძე იყო, შეუძლებელიცაა ძველი, კონსერვატორული თაობის მომხრე ყოფილიყო; ხოლო იმ უთანხმოებებსა და ბრძოლას, რომელსაც ანტონ ფურცელაძესა და თერგდალეულებს შორის ჰქონდა ადგილი, „იდეური წინააღმდეგობის ხასიათი არ ჰქონია. ეს ბრძოლა უმთავრესად აღმოცენებული იყო პირადი უთანხმოების საფუძველზე“¹⁹.

ანალოგიური მოსაზრება დიდი ხნის წინათაც იყო გამოთქმული. კერძოდ, მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის ცნობილი მკვლევარი ვახტანგ კოტეტიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „...შიძლება, უკვე დაშორებულებს, იმ ატმოსფეროს ყნოსვა აღარ შეგვიძლიან, რომელიც იმ დროს იყო და რომელსაც თავისი თვალსაზრისი ჰქონდა, არა ვდავობთ, მაგრამ ეს გარემოებაც ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს: ჩანს, რომ უთანხმოება, არსებული ანტონ ფურცელაძესა და იმდროინდელ ჩგუფთა შორის, არ იყო პრინციპული ხასიათისა, თორემ დღესაც შეგვეძლებოდა მისი დანახვა. იგი უფრო ტონის საკითხი იყო... და ამ „ცული“ ტონის ავტორი კი ანტონ ფურცელაძე იყო უმთავრესად. ამ „ცულ“ კილოს ქმნიდა ის დაჟინებული სურვილი საკუთარი სიტყვის თქმისა, ის ჭირვეული პირდაპირობა, რომელიც ზოგჯერ უტაქტობად იქცევა, რაც ანტონ ფურცელაძეს ახასიათებდა“. ზაერთოდ კი, მიუხედავად იმისა, რომ „იგი არ

¹⁷ ქ ე რ ე ლ ი ბ ე ქ ა (ანტონ ფურცელაძე), ქართული ლიტერატურა, „ცისკარი“, 1863, № 3, გვ. 444.

¹⁸ ქ ე რ ე ლ ი ბ ე ქ ა, სურამის ციხე დ. კონქაძისა, ეურ. „ცისკარი“, 1863, № 1, გვ. 116.

¹⁹ ი ბ. გ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 314.

ეკუთვნოდა „თერგდალეულთა“ ანუ „სტუდენტების“ რიცხვს. იდეოლოგიურად ის იმავე პოზიციებზე იდგა, რადიკალიზმის უფრო მკვეთრი გამოჩენით თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ანტონ ფურცელაძის ეს უკიდურესობა ხშირად გადამეტებული იყო, ჯეროვან საფუძველს ნაკლებული...“²⁰ ამავე დროს, ვ. კოტეტიშვილი იმაზეც მიუთითებდა, რომ ანტონ ფურცელაძესა და თერგდალეულთა შორის არსებულ უთანხმოებაში, „იმ დროსაც და შემდეგშიც მხოლოდ საპირაღო ინტერესებს ეძებდნენ და ანტონ ფურცელაძეს ამტყუნებდნენ. ჩვენ კი იმ აზრისა ვართ, რომ ანტონ ფურცელაძის აზროვნება ამ მხრივ განაჩევა „საქართველოს მოამბე“ — „დროება“ — „კრებულის“ აზროვნებისაგან. მართალია, ეს უკანასკნელნიც... უტილიტარიისტები იყვნენ ხელოვნებაში, მაგრამ ანტონ ფურცელაძე სულ უკიდურესობაში იყო გადავარდნილი, რაც გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ერთგვარი აზროვნების დიფერენციაცია უკვე დაწყებული იყო...“²¹

მართლაც, ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწერებში აშკარად იგრძნობა უკიდურესი უტილიტარიზმის სული, ისევე, როგორც, ხშირად, ცხადად ვლინდება განსახილველი მასალისადმი ავტორის ნიჰილისტური დამოკიდებულებისა და გადაჭარბებულად კრიტიკული მიდგომის ტენდენცია, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად განასხვავებს მას 60-იანი წლების მოწინავე თაობის სხვა წარმომადგენელთაგან; თუმც, როგორც უკვე ითქვა, ეს შენიშვნა, უმთავრესად, ანტონ ფურცელაძის პრაქტიკულ მოღვაწეობას ეხება, კრიტიკოსის მიერ კონკრეტული ლიტერატურული მოვლენების ანალიზს და არა მის თეორიული ხასიათის მსჯელობებს. რომელთაც ხშირად მიმართავდა ხოლმე ჩვენი კრიტიკოსი და რომელნიც ძირითადად მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებს ემყარებოდნენ.

ილია ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“, ახასიათებდა რა რუსული „უარყოფილობის“ გავლენას ქართველ „ყმაწვილკაცებზე“, წერდა: „უკანასკნელი ფალავანი ამ თითქმის ყოველად უარყოფელის მიმართულებისა იყო მეტად სხარტე და ნიჭიერი მწერალი პისარევი. მისის მეთაურობით, ამ გადაჭარბებულმა უარყოფამ იქამდე მიუშვა სადავე, რომ უარყოფით თვით პუშკინის მოღვაწეობაცა და მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა. ამ მიმზიდველმა, ლამაზად მოუბარმა, მაგრამ ხელსუბუქმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი მოზარდი

²⁰ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (1925), თბილისი, 1959, გვ. 446—447.

²¹ იქვე, გვ. 417.

ყმაწვილი ჩაითრია და ბრმად აიყოლია. პისარევის მიმზიდველს ძალას ვერც ჩვენებურები გაღურჩნენ.

ეს ჩათრევა, რასაკვირველია, მარტო პისარევის მიმზიდველობით არ აიხსნება. აქ ყმაწვილის გონების გასატაცებლად უარყოფელის მიმართულების სითამამე და გაბედულობაც იყო. ყმაწვილის გონებას ისე არა მიიზიდავს რა, როგორც სითამამე, გაბედულობა. სითამამეს, გაბედულობას ბევრი ბრწყინვალე მხარე აქვს და რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ყმაწვილმა იმას მიატანოს, რაც ბრწყინავს... ჩვენ ამას ვამბობთ მარტო იმ ყმაწვილ-კაცობაზედ, რომელთაც ჯერ გონების თვალი არ უჭრიდათ, რომ მაგ მიმართულების არსებითი ძარღვი ეპოვნათ. არც იმას ვამბობთ, რომ უარყოფელს მიმართულებას კარგი არა მოუტანია-რა. ბულბულივით უაზრო გალობას პოეზიისას კრიჭა აუკრა და მადა წაართვა, ავტორიტეტებზედ ბრმად დანდობა საიქიოს გაისტუმრა, ისტორიას, დიდკაცების ცულლუტობის მაგიერ, საგნად ერის ყოფაცხოვრება მისცა, ყმა ადამიანად აღიარა და განათავისუფლა.

ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ბოლოს და ბოლოს, უფრო პისარევის წყალობით, ბევრი რამ მაგ მიმართულებაში ისეთი იყო, რომ ჩალასავით ტკაც-ტკუცით აპილპილდა და გონებაგაუხსნელი ყმაწვილ-კაცობა წაიტყუა, როგორც ფარვანა ცეცხლმა²².

ილია ჭავჭავაძე, იმ „ჩვენებურ ყმაწვილკაცებში“, რომელნიც პისარევისეულმა „თითქმის ყოველად უარყოფელმა მიმართულებამ“ ისე „წაიტყუა, როგორც ფარვანა ცეცხლმა“, შესაძლოა, უშუალოდ ანტონ ფურცელაძეს არც გულისხმობდა, მაგრამ, ფაქტიურად, ეს დახასიათება, 60-იანი წლების ახალგაზრდა ქართველ ლიტერატურულ მოღვაწეთა თაობის წარმომადგენელთან, ერთ-ერთ პირველთაგანს სწორედ ანტონ ფურცელაძეს ეხებოდა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე აღიქვა თვით ანტონ ფურცელაძემ ილია ჭავჭავაძის ეს „შინაური მიმოხილვა“, და არა მარტო ილიასაგან პისარევის დაცვის სურვილმა ააღებინა მას ხელში კალამი, არამედ პირადი, შელაზული თავმოყვარეობის გრძნობამაც, როცა ზემოთ მითითებული წერილით აღშფოთებულმა დაწერა თავისი საპასუხო „რამდენიმე სიტყვა „ივერიის“ მარისის „შინაურს მიმოხილვაზედ“²³, სადაც, თავისდა უნებურად, კიდევ

²² „ივერია“, შინაური მიმოხილვა. 1881 წელი, მაისი. — იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, 1955, V, გვ. 92—93.

²³ სხვათაშორის, შესაძლებელია, ანტონ ფურცელაძისათვის არც იყო ცნობილი, თუ ვის ეუთვნოდა „ივერიის“ 1881 წლის მაისის „შინაური მიმოხილვა“, რადგან იგი, ისევე, როგორც ჟურნალ „ივერიის“ სხვა „შინაური მიმოხილვები“ ხელმოუწერლად დაიბეჭდა.

უფრო ცხადად, ვიდრე ოდესმე, დაადასტურა მასზე პისარევის ესთეტიკური ნიპილიზმის აშკარა გავლენის უეჭველობა.

ზემოდასახელებულ წერილში ანტონ ფურცელაძე საგანგებოდ ეხება პისარევის როლს რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში და, ძირითადად, სავსებით სწორ მოსაზრებებს გამოთქვამს, როცა მსჯელობს პისარევის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებსა და 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში მისი დამსახურების შესახებ. მაგრამ, რაც შეეხება, კონკრეტულად, პისარევის ესთეტიკურ ნიპილიზმთან დამოკიდებულებას, ადვილი შესამჩნევია, რომ ამ მხრივ, ჩვენი კრიტიკოსი აშკარა შეცდომას უშვებს, როცა სავსებით იზიარებს პისარევის მცდარ თვალსაზრისს პუშკინის პოეზიის შესახებ და ამ თვალსაზრისის თავგამოდებულ დამცველად გვევლინება.

„ასე გაკიცხვის უკან პისარევის უარყოფისა, — წერს ანტ. ფურცელაძე ილიას „შინაურ მიმოხილვაში“ გამოთქმულ შეხედულებებთან დაკავშირებით, — ავტორმა მარტო ერთს მაგალითზე გვიჩვენა. მაგალითიც არის ისა, რომ თვით პუშკინიც კი უარ-ყოვო. მე ეს ასე მეყურება, რომ რაკი „მიმოხილვის“ დამწერი პუშკინის უარ-ყოფას ასე ცოდვათა სთვლის, ის უნდა თანაუგრძნობდეს პუშკინის პოეზიის ხასიათს, — ანუ, უფრო უკეთა ესთქვათ, იმ პოეზიას, რომელიც უქცევს გზას საზოგადო კითხვათა, და ჰიკვიკობს ვითარცა აშიკი ბულბული ახალთა კოკორთა ზედა გაზაფხულის ვარდისათა და შჩედრინის ივანუშკა-დურაჩოკივით ჰხარხარებს და დასტევენს საქორწინო ხმათ იქა, სადაც ღვანან გლოვის კარავნი და დასტირიან თავს შესუღრულ მკედრებსა. მაგრამ მიმოხილვის დამწერს უნდა კარგათ ახსოვდეს, რომ პუშკინი უარჰყევს პისარევამდის ჯერ ისევ ბელინსკიმ თავის უკანასკნელს სტატიებში, და პისარევამდის კიდევ ჩერნიშევსკიმ და დობროლუბოვმა, და თვით ნეკრასოვმაც კი თავის „Поэт и гражданин“-ში, მამასადაძმე ეს ცოდო თუ ცოდოა, ეკუთვნის ჯერ სხვებსა და პერე პისარევს, — იმავე სხვებს, რომელთაც ავტორი პატივის ცემით იხსენიებს. მაგრამ ეს ცოდო ისე დამკვიდრდა რუსეთის დაწინაურებულ საზოგადოებასა და მწერლობაში, რომ ველარავინ ამოჰკვეთს, და იქამდის მიადწია, რომ პისარევი ლაპარაკობდა მაინც ამაზედ და ბოლოს მწერალნი დაწინაურებული საზოგადოებისა, ლაპარაკის ღირსათაც არა ჰხდიან პუშკინს. ერთი საუკეთესო დაწინაურებული მწერალთაგანი, მიხაილოვსკი, ამბობს პუშკინის ძეგლის აგების დროს, რომ პისარევის დროს კიდევ საჭირო იყო, რომ პუშკინზედ ჰქონოდათ ბაასი, და დღეს ისე დაეწივებულაო, რომ ლაპარაკითაც აღარა ღირსო“.

ცხადია, რომ ანტონ ფურცელაძეს არათუ „ცოდოდ“ არ მიაჩნია პუშკინის პოეზიის უარყოფა, არამედ სავსებით კანონიერადაც სთვლის ამ გარემოებას, რადგანაც პუშკინს იგი „წმინდა ხელოვნების“ წარმომადგენლად მიიჩნევს: „უკეთუ რუსეთში ამის პოეზია აღარ არის ყურადღების ღირსი, — წერს ანტონ ფურცელაძე, — ნუთუ ჩვენ, რომელთათვისაც ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა უნდა იყოს მიმარჯვებული იმაზედ, რომ ამითი ემატებოდეს რამ ჩვენ ღარიბ ცნობასა. ცოდნასა და შეგნებასა, უნდა ვბაძვდეთ ჭიკტიკს, ჭინდა ეს ჭიკტიკი იცევს თვით ბულბულის ჭიკტიკზედ უშვენიერესი?!“²⁴

ანტონ ფურცელაძე სთვლიდა, რომ პუშკინს არ გააჩნდა „შეგნება ცხოვრებისა, გაგება საზოგადოთა და ზოციალურთა საჭიროებათა“, ეგონა, რომ პუშკინის პოეტური ქმნილებანი მოკლებულნი იყვნენ „ქვეყნისა და საზოგადოების სასარგებლო და წარმატების მომცემ ძალას“ და ასკვნიდა: „ჩვენი ყველა კალმის მოსმა, ყველა ხელის განძრევა პოეზიაში, პროზაში თუ რაშიაც გნებავთ, უნდა იყოს მიმართული სასარგებლო და ჩვენს წინ წამყენებულს აზრებზედ. ჩვენ იმისთანა მდგომარეობაში ვართ, რომ სრულიად არა გვეჭიკტიკ-პუშკინ-პოეზიება-რა! აქამდის სულ ვჭიკტიკობდით და გვისწრო უსაგძლოდ ზამთარმა. ნუთუ ჩვენ კიდევა გვაქვს გული და მოცალეება ჭიკტიკისათვის?“²⁵

ზემოთ ციტირებული სტრიქონები თვითვე მჭერმეტყველად დალადებენ ანტონ ფურცელაძის მიერ პისარევის ნიჰილისტური თვალსაზრისის უკრიტიკოდ გაზიარებისა და პუშკინის პოეტური მემკვიდრეობის უღიღესი მნიშვნელობისა და ღირებულების სრული უგულვებელყოფის შესახებ.

ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწერებში პუშკინის პოეზიის მნიშვნელობის უარყოფა მხოლოდ ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ხელოვნების ქეშმარიტი ნაწარმოებების მიმართ, მთელ რიგ შემთხვევებში, ჩვენი კრიტიკოსის უკიდურესად უტილიტარული დამოკიდებულებისა. არანაკლებ ნიშანდობლივია, ამ მხრივ, ანტონ ფურცელაძის მიერ 1863 წლის მარტის „ცისკარში“ გამოქვეყნებული კრიტიკული სტატია: „ქართული ლიტერატურა“, სადაც იგი განიხილავდა „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნებში მოთავსებულ ლიტერატურულ პროდუქციას.

როგორც ცნობილია, 1863 წელს ახალდაარსებულ „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა ნიკოლოზ

²⁴ ანტ. ფურცელაძე, რამდენიმე სიტყვა „ივერიის“ მაისის „შინაურს მიმოხილვაზედ,“ „იმედი“, 1882, № VII—VIII, გვ. 92—93.

²⁵ იქვე, გვ. 96—97.

ბარათაშვილის ორი ნაწარმოები: პოეტური შედევი — „შემოღამება მთაწმინდაზე“ და ხალხური პოეზიის ძირებზე აღმოცენებული და შთაგონებული, შესანიშნავი ლექსი „მადლი, შენს გამჩენს, ლამაზო“.. და აი ანტონ ფურცელაძე ზემოდასახელებულ კრიტიკულ წერილში ბარათაშვილის ამ ლექსებსაც ეხება, და თუმცა ბარათაშვილს იგი „ჩვენ გამოჩენილ პოეტს“ უწოდებს, ეჭვი არ ეპარება, რომ იგი „ნამდვილი პოეტი ყოფილა“ და „ჰქონია მგრძნობიარე სული“, მაგრამ სარეცენზიო ლექსები მას „უმნიშვნელო“ და ქეშმარიტ ღირებულებას მოკლებულ ნაწარმოებებად ესახება.

როდესაც, სტატიის დასაწყისში, ანტ. ფურცელაძე მსჯელობს ჟურნალისტიკისა და ჟურნალის დანიშნულების შესახებ და წერს, — „ჟურნალისტიკა...“, როგორათაც მზრუნველი საზოგადოების წარმატებისა, უნდა ერიდოს ყოველრავს უაზრო და უსაგნო წერილების ბეჭედასა. ჟურნალისტიკაში არც უნდა იყვეს დაფერება, არც ნიკის ხათრიო“ და რომ ჟურნალმა, რომელიმე ნაწარმოების გამოქვეყნებისას, იმით კი არ უნდა იხელმძღვანელოს, თუ რამდენად გამოჩენილი კაცის დაწერილია იგი, არამედ თვით ამ ნაწარმოების ავ-კარგიანობით, რადგანაც „მკითხველი ნიჭიანის კაცის ნიჭიანათ და საზრიანათ დაწერილს წაიკითხავს სიამოვნებით და გამოიყენებს კიდევაც, და იმისი უაზროთ რამე ნაბლაქნი, რომელიც ვინ იცის, ოცნების გასათამაშებლათ, ან ისე, უსაქმურობისა გამო უწერია, ესენი რაში ეპიტნავება მკითხველსო“, როგორც ვხედავთ, კრიტიკოსი თავისთავად სავსებით სამართლიან შეხედულებებს გამოთქვამს. მაგრამ რაღა თქმა უნდა, ყოვლად შეუწყნარებელია ანტონ ფურცელაძის თვალსაზრისი, როცა ზემოაღნიშნულ მსჯელობას იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ ქმნილებებზეც ავრცელებს და „შემოღამება მთაწმინდაზე“ „გონების მსაზრდობებელ“ თვისებებს მოკლებულ ნაწარმოებად აქვს გამოცხადებული: „ჩვენ გადავშალეთ თუ არა „მომამის“ პირველი წიგნი, — წერს ანტონ ფურცელაძე, — თავშივე დაგვიხვდა ჩვენი გამოჩენილი პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მთაწმინდაზედ შემოღამება“, რომელსაც ეგრეთვე მიეწერება ზემოთ ხსენებული ჩვენი აზრი. ეს დიახ, კარგი და ჩინებული ლექსია, ამ ლექსიდანა სჩანს, რომ ავტორი ნანდვილი პოეტი ყოფილა, ჰქონია მგრძნობიარი სული და, სხვა არაფერი! მკითხველი რაღაც მომზადებით შეუდგება ამ ლექსის კითხვას და როდესაც გაათავებს, რჩება ხახა-მშრალი, გულცარიელი, ეს იმიტომა რომ აქედან არ ამოგაქვთ გონების მასაზრდობელი ლუქმა და როგორც მშაერის გონებით შესდგომიხართ ამის კითხვას, ისეთივე და უფრო

მშვიერი რჩებით, რადგანაც ეს იმ საქმელსა ჰგავს, რომ კაცს მადან უხსნის და კუქს კი არ ეცხობა რამდენიც გინდა სქამო“²⁶.

ასეთივე თვალსაზრისით განიხილავდა ანტონ ფურცელაძე „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ ბარათაშვილის მეორე ლექსსაც — „მადლი, შენს გამჩენს“, და თუმცა მის ღირსებებსაც იხსენიებდა („ამით მაინც არის კარგი, რომ სიმღერათ გამოდგება და როგორღაც ქართული პოეზიის სული უდისო“), მაგრამ იქვე დასძენდა: „თუმცა სხვა მნიშვნელობა ბევრი არა აქვს რაო“ და ბარათაშვილის ამ ლექსსაც „ყოვლად უმნიშვნელოდ“ მიიჩნევდა.

ეჭვსგარეშეა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ღირიკული შედევრებისადმი ანტონ ფურცელაძის ეგზომ უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზები იგივეა, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა მითითებული პუშკინის პოეზიის ფურცელაძისეული შეფასებისა; თუმცა, რაღა თქმა უნდა, ამ მცდარ შეხედულებათა გამომწვევი მიზეზების დასახელება სრულიადაც არ ამცირებს თვით ამ შეფასების უმართებულობას. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებული სტატია ერთადერთია ანტონ ფურცელაძის ნაწერთა შორის, სადაც კრიტიკოსი უარყოფით შეხედულებებს გამოთქვამდა ბარათაშვილის ლექსების შესახებ. ს.ე. მაგ., 1864 წელს, კრიტიკულ წერილში „კაცია ადამიანის“ შესახებ, ანტონ ფურცელაძე, აკრიტიკებდა რა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ პოეტებს, წერდა, რომ „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქონქაძე იყვნენ ერთადერთნი, რომელთაც თავისი თხზულებებით გამოხატეს, რომ ისინი გრძნობდნენ ირგვლივ არსებული წრისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სიმძიმესო“²⁷; ხოლო 1867 წლის „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში — „შეუსრულებელი სურათი“, მიუთითებდა, რომ „ნიკოლოზ ბარათაშვილის ზოგიერთა ჩინებულს ლექსებსა... თვითონ ბაირონიც არ დაიწუნებდა, რომ თავისი დაწერილი ყოფილიყო“²⁸. 1872 წელს კი, სტატიაში — „საწყალი კუდაბზიკა“, ანტონ ფურცელაძე სხვათა შორის ეხებოდა „ბედი ქართლისას“ და „მერანას“ და მიუთითებდა: ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის „ქართლის ბედში“ სტირის თავის სამშობლოს ცუდ ბედს, ჰლაპარაკობს და ქა-

²⁶ კ ე რ ე ლ ი ბ ე ქ ა (ანტონ ფურცელაძე), ქართული ლიტერატურა („საქართველოს მოამბე“, 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები), კურ. I „ცისქარი“, 1863, № 3, გვ. 435—436.

²⁷ ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, კაცია, ადამიანი — მოთხრობა მ. ჯიმშერიძისა, — იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, ს. ხუციშვილის შესავალითა და შენიშვნებით, 1955, გვ. 373—374.

²⁸ ზ უ რ ა ბ მ ო ე ნ ი ძ ე (ანტონ ფურცელაძე), შეუსრულებელი სურათი, „დროება“, 1867, № 35, გვ. 1.

დაგებს იმგვართა აზრთა, რომელიც მაშინ თვით რუსის მწერლობაში-
აც არ ისმოდა... ეგრეთვე რა იყო „მერანა“ ბარათაშვილისა, თუ არა
ცხოველი ბრძოლა და ქადაგება ახალის აზრებისა და ახალის ცხოვ-
რებისათვის?“²⁹

ნიკოლოზ ბარათაშვილის ზემოთ დასახელებულ ორ ლექსთან
(„შემოღამება მთაწმინდაზე“, „მაღლი შენს გაჰჩენს“) დაკავშირებით
გამოთქმული უარყოფითი შეხედულებანი არ წარმოადგენდნენ ჩვენი
კრიტიკოსის საერთო თვალსაზრისს ბარათაშვილის პოეზიის ხასიათი-
სა და ღირებულების შესახებ; ეს არც საერთოდ წარსულის პოეტური
წინეკიდრეობის ხელაღებით უარყოფის სურვილით იყო გამოწვეული,
არამედ, ძირითადად, ხელოვნების დანიშნულების შესახებ უკიდურე-
სობამდე მიყვანილი უტილიტარული თვალსაზრისის ნებისმიერი ნაწარ-
მოებისადმი მექანიკური მიყენების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა.

როგორც აღვნიშნეთ, ანტონ ფურცელაძე მხატვრულ ნაწარმოე-
ბებს უკიდურესად უტილიტარული თვალთახედვით განიხილავდა და
უთუოდ, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ უკიდურესობის შედეგი იყო
როგორც განსახილველ ნაწარმოებთა მიმართ კრიტიკოსის ცალმხრივი
მიდგომის, ასევე გადაჭარბებით მკაცრ მოთხოვნათა წაყენე-
ბისა და, მეტწილად, მათი უარყოფითი შეფასების შემთხვევაში. ხო-
ლო, რამდენადაც ამას ურთოვდა ჩვენი კრიტიკოსის ნიჰილისტური
განწყობილებებიც, მის მიერ მოცემული ეს შეფასებანი, მთელ რიგ
შემთხვევებში, ყოველგვარ ობიექტურ საფუძველს მოკლებულნი
რჩებოდნენ. ამის გამო მას არაერთხელ დაუმსახურებია თანამედროვე-
თაგან მკაცრი, მაგრამ ძირითადად სამართლიანი კრიტიკა;³⁰ ეს კი
კიდევ უფრო აღიზიანებდა და ამწვავებდა, საერთოდ, როგორც ჩანს.
საკმაოდ ექსპანსიური ბუნების მქონე ანტონ ფურცელაძეა, და მისი
პოლემიკური წერილების ტონიც — საკუთარ შეხედულებათა დაცვა-
სა ან სხვების, მისი აზრით, მცდარ შეხედულებებთან პაექრობისას,
აქ მასთან გამწვავებული პირადი ურთიერთობის მქონე პიროვნე-
ბების ლიტერატურული თუ პუბლიცისტური მოღვაწეობის დახასია-
თება-შეფასების დროს, — ხშირად სცილდებოდა ლიტერატურული
ეთიკის ნორმებს და პიროვნების შეურაცხმყოფელ პასკვილს უფრო
მოაგონებდა მკითხველს. ვიდრე პროგრესულად მოაზროვნე და ეროვ-

²⁹ ანტონ ფურცელაძე, საწყალი კუდაბზიკა „მნათობი“, 1872, № 10—12, გვ. 38—39.

³⁰ იხ. მაგ., ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული სტატია „ჩვენი მწერლობა“, რომე-
ლიც ნ. სკანდელის ხელმოწერით დაიბეჭდა ჟურნალ „კრებ ლში“, 1872, № X—
XII.

ნული კულტურის აღორძინებისათვის მზრუნველი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და კრიტიკოსის ნაწერებს. ეს, უდავოდ, ნაკლოვანი მხარე იყო ანტონ ფურცელაძის როგორც პუბლიცისტური, ასევე ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობისა. მაგრამ, მეორე მხრივ, თავისი მიზანსწრაფვით, იდეური მრწამსით, რადიკალური, რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობათა და არსებული სინამდვილის უარყოფით მხარეთა თამამი, მახვილი და დაუნდობელი მბილვებითა და კრიტიკით; რეალისტური ხელოვნების დამკვიდრებისათვის შეგნებული და დაუცხრომელი ბრძოლითა და მთელი თავისი არსებით, შეძლებისდაგვარად, თავისი ერას კეთილდღეობისათვის უანგარო და თავდადებული მოღვაწეობით, ანტონ ფურცელაძე, თავის სახელოვან თანამედროვეთა და თანამებრძოლთა — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და გასული საუკუნის სხვა მოწინავე ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ვერძღოთ, თვალსაჩინო და საპატიო ადგილს იმკვიდრებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურული კრიტიკის, ასევე როგორც, საერთოდ, ქართული მწერლობის ისტორიაში.

ნოდარ ალანია

პოეზია გავით „კვალში“

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ქართული პრესის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიან ყოველკვირიულ გაზეთ „კვალს“, რომელიც 1893 წლიდან გამოდიოდა, როგორც საყმაწვილო ჟურნალ „ჭეჭილის“ დამატება.

გაზეთ „კვალის“ ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, მაგრამ ფაქტიურად მას გიორგი წერეთელი ხელმძღვანელობდა. ამ ორგანოს გარშემო თავი მოიყარეს „მესამედსელებმა“ და მალე გაზეთი მათ ხელში გადავიდა. „კვალის“ მთავარი თანამშრომლები იყვნენ: გ. წერეთელი, ეგ. ნინოშვილი, ფ. მახარაძე, ნ. ჟორდანიას, ს. ჯიბლაძე, ალ. წულუკიძე, ივ. გომართელი და სხვები. გაზეთი იბეჭდებოდა 1000 უგზემპლარის რაოდენობით. 1904 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გაზეთი „კვალი“ სამუდამოდ დახურული იქნა, როგორც მეფის ხელისუფლებისათვის მავნე და მიუღებელი აზრების მქადაგებელი ორგანო.

პირველსავე ნომერში გაზეთი მეთაური წერილით: „ჩვენი გულის-პაჟახი“ აცხადებდა: „...საზოგადოება დღითი დღე ცდილობს წარმატების გზაზე დადგომას და ჩვენი გაზეთიც ამ საზოგადოების წადილს კვალში ჩაუდგება, მხარს მისცემს და ცხოვრების წინსვლას ემსახურება, როგორც კი დრო და გარემოება ხელს შეუწყობს... ჩვენ ვეცდებით ჩვენსა და ჩვენს მკითხველს შორის მგრძობიარე ხიშტი გავაბათ, იმის სიხარულით გავიხაროთ; იმის მწუხარებით შევსწუხდეთ ჩვენ ვეცდებით ყოველსავე მოვლენაზედ უტყუარა და საფუძვლიანი სიტყვა წარმოვსთქვათ, სამართლიანი აზრი დავადგინოთ. ცხოვრებას მეცნიერება გვერდში ამოუყენოთ და მეცნიერების ყურით ვისმინოთ,

მეცნიერების თვალი ვაღვებნოთ ქვეყნის ჩარხის წაღმა-უკუღმა ტრაი-ალს“¹.

ეპოქა, როცა გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „კვალმა“, როგორც რუსეთში ისე საქართველოში არის კაპიტალიზმის განვითარებისა და აღმავლობის ხანა; როგორც ცნობილია, კაპიტალიზმი საქართველოში რუსეთის გზით შემოვიდა და თავის ფერხულში ჩაითრია საქართველოს სახალხო მეურნეობა. სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ დაარღვია და დაშალა ფეოდალური მეურნეობის პატრიარქალური საფუძვლები, ეკონომიურად დასცა ქართველი გლეხობა და მათი წრიდან წარმოშვა ბოგანო პროლეტარული ფენები.

კაპიტალიზმის აღმავლობამ გამოიწვია მრეწველობის ზრდა-განვითარება. მასთან ერთად იზრდებოდა და მძლავრ პოლიტიკურ ძალად იწრთობოდა პროლეტარიატი, რომელიც იწყებდა ორგანიზებულ კლასობრივ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში გაჩნდა მუშათა პირველი რევოლუციური წრეები. დაიწყო მარქსისტული მსოფლმხედველობის გავრცელება, რაშიაც მთავარი როლი იმ ჯგუფმა შეასრულა, რომელსაც „მესამე დასის“ სახელი დაერქვა.

„მესამე დასი“ საქართველოში რუსეთის მარქსისტული წრეების უშუალო გავლენით წარმოიშვა. ამ მხრივ წინასწარი მუშაობა ჯერ კიდევ 1890 წელს იქნა ჩატარებული ეგნატე ნინოშვილის ხელმძღვანელობით. ოფიციალურად ეს დასი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აპარეზზე გამოვიდა 1894 წელს, ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დღეებში „მესამე დასის“ საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა სილიბისტრო ჯიბლაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორ ახალს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით — ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენლები, მეორე მხრით, — მუქთა ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ზვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა... ეს ჭეშმარიტება შეიგნო და მისიკენ ჰქონდა მიმართული თავისი ქნარი ჩვენს შესანიშნავ ნიჭის მქონე ინჰოროყვას“². ორატორმა ვრცლად ილაპარაკა განსვენებული მწერლის შემოქმედებაზე და მის პოლიტიკურ მრწამსსა და იდეალებზე. ამის გარშემო გაზეთის 21-ე ნომერში გიორგი წერეთელი „დამსწრეს“

¹ გაზეთი „კვალი“, 1393, № 1.

² „კვალი“, 1894, № 22.

ფსევდონიმით, წერილში: „ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გასვენება“, — წერდა: „ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე. მის კუბოს გაჩაღ შემოკრებენ, ასე ვთქვათ, მესამე დასი ახალგაზრდობისა, ესე იგი სულ უკანასკნელო წლების თაობა — ისინი, რომელნიც გამოაულან ასპარეზზე მეოთხმოც-და-ათე წლებიდან. ნამღვრილი ამათი მოთავე, ამათი საბელი და ამათი იმედი ყოფილა ნინოშვილი... ნინოშვილის კუბოზე პირველად წარმოთქვეს ამათ თავისი პროგრამა მოქმედებისა და თითქოს რაზმად დაუწყვენ, რომ ხალხში შეიტანონ განათლების შუქი და ზურგი შეაქციონ იმ ინტელიგენციას, რომელიც დღეს თავს იხრჩობს ბანკოსა და ქალაქის არჩევნებში. ამ მესამე დასმა საგნათ აღირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელს ხალხში მოჰფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებისაგან გამორკვეული ნათელი აზრები, მკვირცხლად აღეწვოს თვალნი მსოფლიო ცხოვრების მოძრაობაში მისთანას, რაც კი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წააყენებს მის ბედ-იღბალს“.

„მესამე დასმა“ პირველმა შეამჩნია ჩვენში მუშა ხალხი, პროლეტარიატი, რომელიც ახლად ჩასახული კლასი იყო და ამ კლასს ჩაუღვა სათავეში. მართალია, ეს კლასი მცირერიცხოვანი და დაუწმენდავი იყო, მაგრამ ეს არ იყო მნიშვნელოვანი.

„მესამე დასი“ არ იყო ერთფეროვანი ორგანიზაცია. მ-ს უმრავლესობას შეადგენდა ფრთა, რომელიც „ლეგალური მარქსიზმის“ პოზიციებზე იდგა, მაგრამ აქვე იყო მეორე, რევოლუციური ნაწილი. რომელიც თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა მუშებს, ეწეოდა არალეგალურ პროპაგანდას და აწარმოებდა ბრძოლას იდეურ მოწინააღმდეგეებთან. ასე მზადდებოდა საქართველოში ნიადაგი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად.

გაზეთმა „კვალმა“ გარკვეული როლი ითამაშა საქართველოში მარქსიზმის გასავრცელებლად. მისი ფურცლებიდან ვლადიმერ ილიას ძე ლენინის წიგნი: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, ქართველ საზოგადოებას ცააცნო ამერიკაყვასიაში მარქსიზმის ერთ-ერთმა პირველმა პროპაგანდისტმა ივანე-ლუზინმა „ზ“-ის ფსევდონიმით („კვალი“, 1899, № 30); აქვე, 1901 წელს, „idem“-ის ფსევდონიმით გამოქვეყნდა გ. პლენანოვის წერილი — „როგორც ქუხს, ისე არ წვიმს“ („პოლემიკა ვ. მარველთან ჰეგელის ფილოსოფიის გარშემო“). 1900 წელს „კვალში“ დაიბეჭდა რეცენზია როზა ლუქსემბურგის ნაშრომზე „პოლონეთის მრეწველობის განვითარება“; ითარგმნა და ამ გაზეთში გამოქვეყნდა ნაწყვეტები კარლ რაიტის წიგნიდან „რაოდენობა მო-

მუშავეთა სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებებში და მათი ხელფასის საერთო ჯამი“ და ა. შ.

საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის გავრცელებას დიდად შეუწყობ ხელი ალექსანდრე წულუკიძის, ევნატე ნინოშვილისა და სხვათა პუბლიცისტურმა წერილებმა (ალ. წულუკიძე — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, „საუბარი მკითხველთან“, „ოცნება და სინამდვილე“, „ჩვენი უთანხმოება“, „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“ და სხვ.; ევ. ნინოშვილი — „ძველი დავა ახალ ქერქში“, „უბარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“ და ა. შ.).

საზოგადოებრივ ცხოვრებაში კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეულმა ცვლილებებმა თავისი ასახვა პოეზია 90-იანი და 900-იანი წლების ქართულ მწერლობაში. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის მთავარი საგანი გახდა კაპიტალიზმის უპოქაში მუშათა და გლეხთა მდგომარეობის ასახვა.

გაზეთ „კვალში“ პოლიტიკური, პუბლიცისტური და სამეცნიერო წერილებს გვერდით სისტემატურად იბეჭდებოდა როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რუსული ლიტერატურის მხატვრული ნიმუშების თარგმანებს. „კვალში“ ქვეყნდებოდა ვრცელი სტატიები დიდი რუსი მწერლების ა. პუშკინის, ნ. გოგოლის, ი. ტურგენევის, ბ. ბელინსკისა და სხვათა ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო. აღსანიშნავია, რომ გაზეთ „კვალში“ პირველად წაიკითხა ქართველმა მკითხველმა შობლიურ ენაზე პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებლის მ. გორკის, დიდი რუსი მწერლის ა. ჩეხოვის, უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ივანე ფრანკოს ნაწარმოებები. „კვალში“ დაიბეჭდა ზემოდასახელებული მწერლების შემოქმედების ისეთი ნიმუშები, როგორცაა მ. გორკის „შავარდენის სიმღერა“ (ორი სხვადასხვა თარგმანი), „ოცდაექვსი და ერთი“, „ცხოვრების წინაშე“, „წილიელი ვასილი“ და სხვ.; ა. ჩეხოვის „მარცხი“, „მსხვილი და წვრილი“, „ჩინოვნიკის სიკვდილი“, „უქანობა“, „სასამართლოში“, „იონჩი“ და მრავალი სხვა; აქ გამოქვეყნდა ი. ფრანკოს „კარგი ხელფასი“, „მირონა“, „მისივე ბრალი“ და ა. შ. „კვალში“ იბეჭდებოდა, აგრეთვე, ტარას შევჩენკოს, მიხეილ ლერმონტოვის, ჰაინრიხ ჰაინესა და მრავალ სხვა რუს, უკრაინელ და უცხოელ მწერალთა ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებთა მთარგმნელები იყვნენ იროდიონ ევდოშვილი, ჯოლა ლომთათიძე, ი. პოლუმორდვინოვი, ი. ახალციხელი (სალარიძე) და სხვები.

ქართველი მწერლებიდან გაზეთ „კვალში“ თანამშრომლობდნენ და თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ეგნატე ნინოშვილი, გიორგი წერეთელი, შიო არაგვისპირელი, ვასილ ბაჩნოვი, ანასტასია ეროსთავ-ბოშტარია, იროდიონ ევდოშვილი, ქოლა ლომთათიძე, ია ეკალაძე, ნინო ნაკაშიძე, დუტუ მეგრელი, დომენტი თომაშვილი, თედო რაზიკაშვილი და სხვები.

გაზეთში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ლექსები. პოეზიის ხვედრითი წონა განსაკუთრებით დიდი იყო გაზეთის დაარსების პირველ წლებში, შემდეგ კი იგი თანდათან კლებულობს. 1893 წლიდან 1903 წლის ჩათვლით სულ ამ გაზეთში 145 ავტორის 692 ლექსი და ექვსი პოემა გამოქვეყნდა, ხოლო აქედან 650 ლექსი ორიგინალური იყო, დანარჩენი კი თარგმნილი ან გადმოკეთებული.

გაზეთ „კვალში“ მოღვაწე პოეტთა შემოქმედება თავისი მხატვრული ღირებულებისა და იდეური მნიშვნელობის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია, მაგრამ მაინც შეიძინევა ერთი საერთო ხაზი, — ესაა წვრილბუჩქუაზიული, ნაციონალურ-ლიბერალური მოტივი, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იშვიათი არ არის ნამდვილად რევოლუციური პათოსით აღსავსე ხმა.

შემოქმედებითი პროდუქციის მხრივ გაზეთში განსაკუთრებით გამოირჩევიან ჩვენი დიდი კლასიკოსების აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას გარდა, იროდიონ ევდოშვილი, დომენტი თომაშვილი, დუტუ მეგრელი, სილოვანი (ს. ბუნდაძე), რუს-იმერელი, ილია ჩხერიძელისპირელი (ილია ფერაძე) და სხვ.

დიდი ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი „კვალში“ 1893 წლიდან 1896 წლამდე თანამშრომლობდა. სამიოდე წლის მანძილზე, მთელი რიგი მხატვრული და პუბლიცისტური პროზაული ნაწარმოებების გვერდით მან ოცდათექვსმეტი ლექსი გამოაქვეყნა. მათ შორის ისეთნი, როგორცაა: „განთიადი“, „ქალაქა“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „თემურლენგის ტყვე“, „ახლანდელი სიმღერა“, „სტუმრები“ და ა. შ. აკაკი წერეთლის ფელეტონები („ცხელ-ცხელი ამბები“), წერილება იმდროინდელ საჭირობოროტო საკითხებზე, პროზაული მხატვრული ნაწარმოებები („ბაში-აჩუკი“, „ჩემი თავგადასავალი“, „სიკვდილი“ და სხვ.) და ლექსები სიცხოველეს მატებდნენ „კვალს“ ფურცლებს და გაზეთს დიდ რეზონანს აძლევდნენ. ამასთან ერთად, აკაკის ნაწარმოებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენის განვითარების თვალსაზრისით. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აკაკის ნაწარმოებთა ეს ღირსება კარგად ესმოდათ „კვალის“ მესვეურებს. გაზე-

თის 1899 წლის მე-14 ნომერში ვკითხულობთ: „იმ პირთა შორის რომლებმაც ჩვენი ლიტერატურული ენა შექმნეს, აკაკის პირველი ალაგი უქირავს და, რანაირი ღირსებისაც უნდა იყოს მისი ლიტერატურული განძი აზრის მხრივ, ქართული ენის მასწავლებლათ ის ღიბ-ხანს დარჩება ყოველი ქართველისათვის. რაგვარი შეხედულებას ადამიანმაც უნდა წაიკითხოს უმეტესი ნაწილი აკაკის ნაწარმოებისა, მისი მარტივი, მკაფიო, მახვილი და მუსიკალური ენით უეჭველად დატკებება“.

გაზეთ „კვალის“ პირველსავე ნომერში აკაკი წერეთლის სამი ლექსი გამოქვეყნდა; ერთ-ერთ მათგანში — „მიმკვლევა“ პოეტი საახალწლო ლოცვას თან ურთავს ნატვრასა და სურვილებს ახალი გაზეთის საკეთილდღეოდ.

1897 წლიდან აკაკი იწყებს საკუთარი ჟურნალის — „აკაკის თვიური კრებულის“ გამოცემას და თავს ანებებს გაზეთ „კვალს“³.

დაარსებიდანვე დაიწყო გაზეთ „კვალში“ აქტიური თანამშრომლობა დღეტუ მეგრელმა (დიმიტრი ხოშტარიამ). იგი პოეზიაში აკაკის სკოლას წარმომადგენელია. მის შემოქმედებას ძირითადად სოციალური მოტივი ასაზრდოებდა.

„კვალში“ წარმოდგენილ შემოქმედებაში დღეტუ მეგრელი, ერთი შეხედვით, თითქოს პესიმისტია და ხშირად მიმართავს ცრემლებსა და კვნესას, მაგრამ აქვე შეიზიჟნება უკეთესი მეგრების იმედი და რწმენა. გაზეთში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ პირველ ლექსში „ბუნებავ, რისთვის დაღონებულხარ...“, პოეტი გამამხნეველი იმედის ხმით მიმართავს ჩაგრულსა და შეწუხებულ სამშობლოს:

სამშობლოვ, რისთვის დაღონებულხარ,
რად იგლოვ წარსულს დიდებულს დროსა,
მწარე ნაღველით რად აღევებულხარ,
რად ემზავსები უსულდგმულოსა?
ნუ თუ არ იცი, რომ ეს დრო შავი,
ვით წინანდელი მალე გაჰქრება,
კვლავ გაგიღიშებს ბედის ვარსკვლავი,
კვლავ მოგაემა შენ ძლიერება?..

პოეტი თხოვს მეგობარს⁴, რომ გაუწოდოს მას და მის ბედში მყოფთ ხელი, რათა ან აღიარებულონ სურვილი წყურვილის მოკვლისა და ან ბრძოლაში დაიხოცონ; ერთ ბედში მყოფთა, ჩაგრულთა დამე-

³ აკაკის „კვალთან“ დამოკიდებულების გარშემო იხ. მ. დუდუჩავა — აკაკი წერეთლის პირადი წერილები, ჟურნ. „მნათობი“, 1940, № 5—6.

⁴ „ჩემს მეგობარს“, „კვალი“, 1893, № 4.

გობრებასა და მტრის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში ხელავს პოეტის ხსნას.

დუტუ მეგრელი მოუწოდებს მამულს, ექსპლოატაციით ჩაგრულებს გამოიფხიზლონ, მოქმედებით და უკეთესი მერმის-სათვის თავდადებით ებრძოლონ არსებულ მდორე ცხოვრებას, მის სიყალბესა და უმოძრაობას:

დე. „ნანინა“ მათ უმღერონ ხალხს,
ვინც დაძინებას მას უპირებენ,
ვისაც ვშინისთ მოძრაობისა
ვინც თვის მშვიდობას მხოლოდ ეძებენ...

მე კიო, — ამბობს ის, — მოვმართავ ქნარს ერის საკეთილდღეოდ; რათა მას განცხრომის ძილი დავუფრთხო და წყლულთა ტკივილი ვაგრძნობინო⁵.

პოეტს არ სურს ტკივილებით დასუსტებული მოკვდეს საწოლზე. იგი ნატრობს ბრძოლის ველზე გამარჯვებით სიკვდილს⁶. დამატკობელი მუსიკის ნაცვლად მას სურს ესმოდეს ბრძოლისაკენ მომწოდებელი ჰანგები⁷. ასეთი მებრძოლი განწყობილებას დროს დუტუ მეგრელის ლექსებს მოულოდნელად შეეპარება ცრემლები და უსასობა. პოეტი ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდე მიდის⁸. მისი სული შეუპყრია მწარე სევდა-ნაღველს, მისი გული შეეჩვია ტანჯვას. ამ დროს პოეტი ცდილობს გამოიფხიზლებას და თავის მუხას მიმართავს:

კმარა, მუზავ, კმარა ცრემლი და მოთქმა,
მწუხარების მხოლოდ ვნით გამოთქმა!
დროა, ვიპყრათ ხელთ ნაღარა და ბუკი,
სამოქმედოდ აღვძრათ მოხუც-კაბუკი
თვარა მარტო ტირილი და წუწუნი
არას გვარგებს, არ გაქრება უკუნი..

ვამცნოთ ყველას, რომ არა ვართ სულ მკვდარი,
რომ ტყუილად გვახვევია სუდარი!...⁹

პოეტის სურვილია „სენით პყრობილ“ ერს უმკურნალოს და „მომავლისაკენ გზა ვაუკათოს“; რათა სიკვდილს შემდეგ შეეძლოს მის „სულს... წინაპართ შეხვდეს იქ პირნათელი, და, ვით მამულია: შვილსა ღირსეულს აქ საუკუნო დარჩეს სახელი“.

⁵ „დეე ნანინა...“, „კვალი“, 1893, № 5.

⁶ „მე არ მსურს მოკვდე...“ 1893, № 22.

⁷ „მუსიკა“, 1893, № 23.

⁸ „შეეჩვია ტანჯვას სული...“ 1893, № 29.

⁹ „კვალი“, 1895, № 15.

დუტუ მეგრელი ერთ-ერთ ლექსში ამბობს, რომ ბნელში „უბრალო კრაქიც სწევს სანთლობას“, რადგან „ოდნავ მბუქუტავი სინათლე სჯობს სულ არაობას“. მეცო, — ამბობს პოეტი, — იმ კრაქს ვგავარ.

და თუმც არა ვარ,
ზეგარდმო მადლით უხვად ცხებული,
გარს შემორტყმულ ბნელს ვფენ მცარე ნააელს,
წმინდა გრძნობითა აღფრთოვნებული...¹¹

მიუხედავად მხატვრული სისუსტისა და წვრილბურჟუაზიული მერყეობისა, დუტუ მეგრელის პოეზია გულწრფელად ემსახურებოდა მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების საქმეს.

1893 წლიდან გაზეთ „კვალის“ ნომრებში ხშირად გვხვდება ილია ჩხერიმელისპირელის (ილია ფერაძის) ლექსები, რომლებიც მიმართულია იმ გაქსუებული და მცონარა თავადაზნაურების წინააღმდეგ, რომლებმაც პირადი კეთილდღეობისათვის დაავიწყეს ყოველგვარი ეროვნული და ადამიანური გრძნობა. მეფის რუსეთის ბიუროკრატიისაგან მოწყალეების დამსახურების მოსურნეები პოეტის მიერ იუმორისტულ და სატირულ ფორმებში არიან დახატულნი.

გარდა ი. ჩხერიმელისპირელისა, სატირითა და მკაცრი ჭიმახვილით გამოირჩევა, აგრეთვე, კორტოხას (სტეფანე ძიმისტარაშვილის) ლექსები: „მაზრის ექიმი“, „გლეხის ჩივილი“, „ჩინოვნიკის მცნება“ და მრავალი სხვა, რომლებშიაც მწვავედ არის გაკიცხული არსებული სოციალური ურთიერთობა და მხილებულია თვითმპყრობელობის ერთგული ჩინოვნიკებისა და მეფის მოხელეების უარყოფითი მხარეები.

მძაფრი სოციალური მოტივით გამოირჩევიან თედო და ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილების, ნინო ორბელიანის, მალ. ბოლქვაძის, ი. ივანიშვილის, რუს-იმერელის (იურკევიჩის) და სხვათა ლექსები.

1893 წლის № 41-ში გამოქვეყნებულია ი. ბულბულაშვილის ლექსი „შორით მომესმა“, რომელიც ყურადღებას იპყრობს პოლიტიკური სიმახვილითა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის მოწოდებით. პოეტი ამბობს:

შორით მომესმა ხმა უცნაური,
საამო, წყლულთა გამკურნებელი,
მუშათა რაზმი აღნიშნულ მის გზას,
ადგასო, მიდის გალომებული.

¹⁰ „კვალი“, 1894, № 4.

¹¹ იქვე, 1896, № 37.

ეს ძახილი ენერგიას მატებს პოეტს. მას სჯერა, რომ ერთა შორის
აქვერით დაითრგუნება ტანჯვა, იშვება ახალი ცხოვრება, ხალხთა
გრავინვა მშრომელებს მანუგეშებლად შემოესმებათ და წინსვლის
იმედს გაუკაყებს. ამ დროს, მიუხედავად ყოველგვარი ძალმომრეობა-
სა, წარუშლელი იმედის კვალს ვერ ჩაჰკლავს „მტარვალის ტლანქი
ზელი“ და მშრომელი ხალხის სიმართლე გაიმარჯვებს:

იციან, მტარვალო, კეშმარტება
შენი მანქანით არ მოისრება
და წყვეა-კრულვა ხალხის გულიდან
აღმოხეთქილი თავს დაგვეყრება.

1894 წელს გაზეთ „კვალში“ უმთავრესად იმავე პოეტთა ნაწარ-
მოებნი ქვეყნდებოდა, რაც წინა წელს. „კვალის“ ფურცლებს კვლავ
ამშვენებს აკაცის და ვაჟა-ფშაველას პოეზიის ნიმუშები. თანდათან
მეტ ადვილს პოულობს რუსი და უცხოელი პოეტების თარგმანები.
გაზეთში განსაკუთრებით ხშირია დუტუ მეგრელის, თედო რაზიკაშ-
ვილის, რუს-იმერელის და ცახელის (თვალჭრელიძე) ლექსები. ამ
წლის გაზეთის პოეზიიდან აღსანიშნავია სილოვანის (ს. ხუნდაძის)
ვრცელი ლექსი „ქობულელი“¹², სადაც ავტორი ლაპარაკობს მაჰმა-
დიანს ქართველების შესახებ, აგვიწერს სამშობლოს ტანჯვით გამოწ-
ვეულ მათ ჟილაჯო მდგომარეობას და რწმენით მიმართავს მათ:

ნუ გეშინის, ქობულულო,
ნუ გეკარგვის სასოება:
აყვადება საქართველო,
შენი მხარეც აყვადება.

მომდევნო, 1895 წელს ქართველმა საზოგადოებამ აღნიშნა
კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავი. გაზეთ „კვალის“ პოეტები, ამ თარი-
ღისადმი მიძღვნილი ლექსებით, მოაგონებდნენ ქართველ მკითხველებს
კრწანისის ტრაგედიას და წარსულის მძიმე მდგომარეობის ასახვით
ამსელდნენ თანადროულ უსამართლობას¹³. ეს ლექსები გაქლენთილნი
არიან თანადროულობის აზრებით და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მოუ-
წოდებენ. მაგალითად, ილია ჩხერიშელისპირელის ლექსი „სიმღერა
შაჰ-აბაზის დროინდელი XVII საუკუნისა“ უშუალოდ ეხმაურებოდა
თვითმპყრობელობისაგან შევიწროებული XIX საუკუნის საქართვე-
ლოს მშრომელთა მდგომარეობას და უკეთესი მერმისის იმედს ნერ-
გავდა. პოეტი აშკარად მიმართავდა მკითხველს:

¹² „კვალი“, 1894, № 26.

¹³ „კვალი“, 1895, № 12.

გამოიღვიძე, ქართველო,
გამოახილე თვალები,
გაიგე თუ ვინ არიან
დღეს შენი დამჩაგვრელები;

გამტკიცდი ჭირში, ქართველო,
და ნუ მოიკლავ იმედსა:
კვალათ იხილავ ბრწყინვალეთ
დღეს დაჩაგრულსა შენს ბედსა.

ასევე საინტერესოა კორტოხას ლექსი „ჩემს მტარვალს“, სადაც ავტორი მტკიცე რწმენით და მომავლის იმედით გასალკდევებული, ქედს არ იხრის დამმონებელთა წინაშე.

ამ წელს გამოქვეყნებულ მთელ რიგ ლექსებში ჭაკიცხულნი არიან მექრთამეები, მძარცველები, მშრომელი ხალხის მჩაგვრელები (ბ. ჯორჯაძე — „გამომძიებელს“, ვისია — „უსათაურო“ და სხვ.). გაზეით თანდათან მეტ ყურადღებას აქცევს მუშათა მასების საერთო მდგომარეობას, შრომის კატორღულ პირობებს, ხელფასის სიმცირეს, სამუშაო დროის ხანგრძლივობას და ა. შ. ერთ-ერთ წერილში: „ჩვენი მუშებისა და ნოქრების მდგომარეობა“ საგულისხმო ცნობებს ვკითხულობთ: „სამწუხაროდ, — წერს გაზეთი, — ჩვენი ხელოსნების და მუშების მდგომარეობისათვის ჯერ არავინ ფიქრობს. ევროპაში თუ ცდილობენ სამუშაოს ვადის შემეცირებას, აქ თითქმის უმატებენ კიდევ. მაგალითად, ჩვენში ზოგიერთ ქარხნებში დღემდე თორმეტ საათს მუშაობენ. ზოგან მეტსაც. მუშის ფასიც ძალიან ნაკლებია. დროა, თვით მექარხნებმა ტფილისში, ბაქოში და ბათუმში წაბადონ ევროპის მექარხნეებს მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, სანამდის თვით მუშები გამოიღებდნენ ხელს მათ წინააღმდეგ...“¹¹ და ა. შ. ამავე წლის მე-16 ნომერში არსებული შრომის პირობები დაგმობილია და გამოთქმულია ნატვრა რვასათიანი სამუშაო დღის შემოღებისა. აი, რას ამბობს ერთ-ერთი ავტორი ფსევდონიმით „ერთი მუშათაგანი“:

...მიულოცოთ,
ვინც შეცვალს ჩვენი შრომა,
რვა საათთ ვინც გახადოს
შესაზარი დღეის შრომა.

ცხადიაო, — ამბობს პოეტი, — იმ დროს ყველანი ბედნიერნი შევიქნებით, გაჰქრება მაწანწალობა და „გაიხარებს მთელი ერია“.

¹¹ „კვალი“, 1895, № 2.

1896 წლიდან გაზეთში ჰარბობს იროდიონ ევდოშვილის, დომენტი თომაშვილის (დ. ოყრეშიძე), განდევილის (დომინიკა ერისთავის) და სხვათა ლექსები. ცოტა უფრო გვიან მათ მიემატათ კ. გოგოლაძე. ბ. ახოსპირელი, დარია ხუნდაძე, კ. ჭაფარიძე, ვარლამ რუხაძე და სხვანი. ამავე წელს დაიბეჭდა ცნობილი რევოლუციონერის ლადო იოსების ძე იაშვილის (1872—1910) ორი ლექსი „ლაშინის“ ფსევდონიმით. როგორც ცნობილია, რევოლუციონერმა ლ. იაშვილმა „შავბიქას“ ფსევდონიმით მშვენიერი ლექსი უძღვნა 1901 წელს თბილისში მოწყობილ მუშათა პირველმაისობას; ეს ლექსი სათაურით „ოცდაორ აპრილს“ ქართულ ბოლშევიკურ არალეგალურ გაზეთ „ბრძოლას“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა.¹⁵ გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ ლ. იაშვილის ლექსებში ჩანს ავტორის მახვილი პოლტიკური აზრო, მშრომელი კლასის ბედნიერებისათვის ბრძოლის მისწრაფება. ავტორი დღეგრძელობას უსურვებს „საქვეყნო სარბიელზე გამოსულ“ და „ხალხისათვის წმინდა აზრით გამსჭვალულ“ ადამიანებს, „ვინც თავის თავს რაცხს მოვალეთ ხალხისათვის მოსახმარად“¹⁶. მეორე ლექსში — „გამოიკვალა ქვეყანა“ პოეტი აღშფოთებით ლაპარაკობს მის სამშობლოში გამეფებულ ჭიყაღბესა, სულმდაბლობასა და უნდობლობაზე.

ამ პერიოდში სამშობლოს შესახებ ხშირად ლაპარაკია ალეგორიულად; თანდათან უფრო და უფრო ძალუმად გაიჰმის შეიარაღებული ბრძოლისაკენ, თავისუფლებისათვის თავდადების მოწოდება. გაზეთში იბეჭდება ი. ევდოშვილის ლექსები: „გმირი“ (№ 18), „იმედი“ (№ 16), „გვირგვინი“ (№ 19), „გავჩუმდე?“ (№ 28), „მუშის სიზმარი“ (№ 10), „ჩვენი დროის სამშობლოს მოგვთ“ (№ 15), „ორი სამი“ (№ 18), „სიმღერა ასოთამწყობისა“, „განთიადი“, „ფიქრები“ და სხვ.

იროდიონ ევდოშვილი 1896 წლიდან გაზეთ „კვალს“ ერთ-ერთი მთავარი თანამშრომელი იყო და სისტემატურად აქვეყნებდა ლექსებსა და ფელეტონებს, რომელთა ძირითად მიზანს მშრომელი ხალხის ინტერესები განსაზღვრავდა.

მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის ამოძრავებისა და გათვითცნობიერების გზაზე გამოსვლას აღფრთოვანებით ეგებებოდა პოეტი დომენტი თომაშვილი. იგი თვალს ადევნებდა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას და აშკარად იდგა ჩაგრულთა მხარეზე. „კვალში“ გამოქ-

¹⁵ ი. ხ. ლ. ა. ს. ა. თ. ი. ა. ნ. ი., მუშათა რევოლუციური პოეზია ლეგალურ და არალეგალურ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში, თბილისი, 1 53.

¹⁶ „კვალი“, 1896, № 36.

ვეყნებულ მის ლექსებში ჩანს ის განუწყვეტელი ქიდილი „იმედისა და უიმედობისა“, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო გასული საუკუნის 90-იანი წლების მწერლობისათვის. იგი პირდაპირ შესცქერის თვალში სინამდვილეს და გულისწყრომით აღსავსე ლექსებს უძღვნის მშრომელი ხალხის მტერსა და ორგულს („რა მოხელეა ცრემლები“, „კუდ-ქიცინა მეგობარს“, „ჩვენი დროის არმაზი“ და ა. შ.).

ყურადღებას იპყრობს კ. გოგოლაძე, რომლის შემოქმედება ძირითადად ი. ევლოშვილის პოეზიითაა შთაგონებული. თავის ლექსებში პოეტი აცხადებს მზადყოფნას ყოველგვარი ბოროტებისა და სოციალური უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი მოუწოდებს მწერლებს, პოეტებს, რომ თავი დაანებონ ვარდსა და ბულბულს და ნაცვლად ამისა უმღერონ ბეჩავი ხალხის ქირ-ვარამს, მიანიჭონ შვება ჩაგრულ ხალხს და ამცნონ დიალი მომავლის მოახლოება:

მაშ, დაქარ სიმთი ყურს გიგდებენ,
გაგვაგონე წმინდა ხმები,
შიგ აღბეჭდე ჩაგრულთ ხვედრი
მძიმე ტვირთათ დანადები...¹⁷

მომავლის იმედით გამხსნევებული პოეტი თვის ჩანგს მიმართავს:

მაშ, ჩემო ჩანგო, ამა იმედით
გავსწოთ ამ ძნელ ეკლიან გზაზე
და ჩვენც სხებთანა, მცირედი მაინც,
ჯვალი დავტოვოთ იმის სავალზე ¹⁸.

ლექსში „ჩვენი სიმღერა“¹⁹ იგი მშრომელ ხალხს საბრძოლო ძახილით აღაფრთოვანებს და უსახავს ერთადერთ გზას: „წინ, ნარ-ეკლის მოსასპობათ! წინ! სიმართლის დროშით ხელში!“

გაზეთში გამოქვეყნებული რიგე ლექსებისა ეძღვნება ლუმენ-პროლეტარიატის, ცხოვრების გერების უნუგეშო მდგომარეობას (ი. ევლოშვილის—„განკიცხული“, „ქუჩაზე“, „ბიძია ლუკა“; ვ. რუხაძის—„გლახაკი“, „ლოთი“, „მშვიერი“; ბ. ახოსპირელის—„მაწანწალას საფლავზე“ და მრავალი სხვ.). რამდენადაც ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად ჩამოყალიბებული მუშათა კლასი, როგორც ცხოვრების მამოძრავებელი და ღირებულებათა შემქმნელი, ამდენად პოეზიაც უმთავრესად ლუმენპროლეტარებს, კაპიტალისტური წყობილების მიერ ცხოვრების ნადირალებად, მაწანწალებად ქცეულ ადამიანებს

¹⁷ „ჯვალი“, 1899, № 8.

¹⁸ იქვე, № 18.

¹⁹ იქვე.

გვიხატავს, რომლებიც არსებულადაღმი პროტესტანტული სულისკვეთებით არიან გაჟღენთილნი. მაგრამ ამასთან ერთად ზოგჯერ გვხვდება წარმოებაში ჩაბმული მუშების ცხოვრების ასახვაც (ი. ევლოშვილის „შქედელი პეტრე“, „სიმღერა ასოთამწყობისა“ და სხვ.).

მიუხედავად მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდისა და გაძლიერებისა, რასაც 1898 წლიდან თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში, გაზეთ „კვალის“ ფურცელზე ხშირად გაისმის უიმედობის და უსასოობის კვენსა-ვაება; მებრძოლ-რევოლუციურ განწყობილებას ხშირად ცვლის წვრილბურჟუაზიული წუწუნი და უიმედობა. სულ უფრო ხშირად გვხვდება ლექსების სათაურებად: „ცრემლი“, „აჩრდილი“, „მწუხარება“, „მე მისთვის ეტირი“, „გული მოკვდა“ და ა. შ. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ, როგორც ზემოთაღ აღვნიშნეთ, მიუხედავად „კვალის“ პოეტების ერთი გარკვეული ფრთისა, რომელიც მტკიცედ ადგა მომავლისათვის რევოლუციური ბრძოლის გზას, „კვალში“ მოღვაწე პოეტთა უმრავლესობა წვრილბურჟუაზიული, ნაციონალურ-ლიბერალური მიმართულებისა იყო და ამდენად მერყეობა და უიდეობა, მოთქმა-წუწუნი მათი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი და ბუნებრივია.

მებრძოლი ხასიათის ლექსების თანდათანობით შემცირებას ხელს უწყობდა, აგრეთვე, ცენზურის იმდროინდელი განუსაზღვრელი სისასტიკე. 1898—99 წლიდან „ცენზურამ ხმარებიდან გამორიცხა მთელი რიგი სიტყვებისა: ბრძოლა, დამარცხება, აჯანყება, შეტევა, სოციალიზმი, კომუნისმი და მრავალი სხვა²⁰“. აღსანიშნავია, რომ 1899 წელს ცენზურამ აკრძალა „კვალის“ ერთ-ერთი ნომრისათვის აწყობილი წერილი, სადაც აღწერილი იყო პირველი მაისის დღესწაული ევროპაში და რომელიც, ცენზურის ვარაუდით, თბილისის ამბებს ჩამოგავდა. ასევე აიკრძალა „კვალში“ დასაბეჭდად გამზადებული ი. ევლოშვილის ფელეტონი „პატარა ყარამანიანი“ „დაიპყრეს“, „განდევნეს“, „დევი“, „გველეშაპი“ და სხვა ამგვარი სიტყვებისათვის²¹.

გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა საპოლემიკო ხასიათის წერილები ენის საკითხებზე (უმთავრესად 1893—1898). ამ წერილებიდან ჩანს, რომ ენის სიწმინდის საკითხი იმდროინდელი საზოგადოებრივი აზროვნების ცენტრში იდგა. 1895 წელს გაზეთში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „გვესმის, შევიგენით ჩვენი ენის სიმდიდრე-სიმშვენიერე... თქვენ მხოლოდ აასრულეთ ის, რაზედაც წერთ, — შეუდექით სალიტერატურო ენის დაწმენდას და შე-

²⁰ პ. გ. უ. შ. ე. ი. ლ. ქართული წიგნი, თბილისი, 1929, გვ. 255.

²¹ იქვე.

მუშავეებს“²². ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აკაკი წერეთელი გზებით დახასიათებულია, როგორც ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი შემქმნელი.

„კვალში“ გამოქვეყნებული ლექსების უმრავლესობას ერთგვარად დასავლური კილოს გავლენა ეტყობა (უმთავრესად იმერული და გურული). ერთი თვალის გადავლებით აშკარა ხდება ის საერთო ენობრივი მონაცემები, რომლებიც გაზეთში გამოქვეყნებულ თითქმის ყველა ლექსს ახასიათებს და ქართული სალიტერატურო ენიდან გადახვევაწაწარმოადგენს. მაგალითად, ხშირად ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დდაყრუებულია თ-დ (უთვისტომოთ, ობლათ, ნათლათ, უტყუარათ, ფარათ, მრავლათ, ტკილათ და ა. შ.); ლექსის ზომის დაცვისთვის, ერთი წერტილი, ხშირად შეკუმშულია ან შეკვეცილი სიტყვები (უკვდავ, ებნება, სწირვენ, ფრინველები და სხვ.), ხოლო მეორე მხრივ, ჩამატებულია ხმოვანი (ხმაი, უსულოს და ა. შ.), ზოგჯერ სასაუბრო ენის ნაკადი მეტისმეტად გაუბრალოებულია.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ გაზეთი იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის; როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ერთი მხრივ ბრძოლა სიწმინდისათვის და მეორე მხრივ პროვინციალიზმები და ენობრივი უსწორობანი? როგორც აღვნიშნეთ, გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა აკაკი წერეთლის პოეტური და პროზაული ნაწარმოებნი; ასევე ი. ევდოშვილის, შიო არაგვისპირელის და სხვ. სწორედ ა. წერეთელი და მისი სკოლის მიმდევრები იბრძოდნენ ლიტერატურული ენისათვის, მისი სიწმინდისათვის და ამიტომაც სრულიად გასაგებია ამ მხრივ ორი ტენდენციის არსებობა გაზეთ „კვალში“.

სტილის თვალსაზრისით დამახასიათებელია, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ლექსების დიდი ნაწილი მიმართვასა და მიძღვნას წარმოადგენს. ხშირად ლექსებს პოლემიკის ხასიათი აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „კვალის“ პოეტების დიდი ნაწილი სარგებლობს ქართული კლასიკური პოეზიის სახეობრივი არსენალიდან ნასესხები აქსესუარებით და მხატვრულობის თვალსაზრისით რაიმე საგრძნობი სიახლითა და ნოვატორობით არ გამოირჩევა.

თუ ყოველივე ნათქვამს გავითვალისწინებთ, შემდეგ დასკვნამდე მივალთ:

გაზეთი „კვალი“, რომელმაც თავის დროზე გარკვეული დადებითი როლი ითამაშა საქარველოში მუშათა მოძრაობის განვითარების დიდმნიშვნელოვან საქმეში და რომელიც 1898 წლიდან „მესამე და-

²² „კვალი“, 1895, № 30.

სის“ უმრავლესობის ხელში გახდა „ლეგალური მარქსიზმის“ მქადაგებელი, თავის ფურცლებზე საკმაო ადგილს უთმობდა მხატვრულ ლიტერატურას, კერძოდ, პოეზიას.

„კვალში“ მოღვაწე პოეტთა შემოქმედება შინაარსის მხრივ სხვადასხვაგვარაა. ქარბობს წვრილბუჩქუაზიული მოტივი. ხშირა ვიწრო, ინტიმური, უიდეო ლირიკა, მეორეს მხრივ. გაზეთის ფურცლებზე საკმაო რაოდენობით გვხვდება რევოლუციური პოეზიის ნიმუშები,—არსებული სოციალური უსამართლობის ძხილებით, მკნებარე პატრიოტიზმის გრძნობით, საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლის პათოსით გაელენთილი ლექსები. პოეზიის ეს ორი საწინააღმდეგო მხარე გამოწვეულია გაზეთში მოღვაწე პოეტთა სხვადასხვაგვარ იდეურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობით.

გაზეთ „კვალის“ პოეზიას თავისებურ მნიშვნელობას ანიჭებს მასში გამოქვეყნებული მოწინავე მწერლების ნაწარმოებები. კერძოდ, ამ პოეზიის მხატვრულ და იდეურ ღირებულებას ზრდის დიდი კლასიკოსების აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას, აგრეთვე იროდიონ ევლოშვილის, თედო რაზიკაშვილის, ბაჩანას, ვ. რუხაძის, დ. თომაშვილის და სხვათა შემოქმედების ნიმუშები.

მიუხედავად იმისა, რომ „კვალში“ ხშირად მხატვრულად სუსტი ლექსები იბეჭდებოდა, ამ გაზეთის ფურცლებზე მოთავსებულმა პოეტურმა ნაწარმოებებმა გარკვეული როლი შეასრულა ქართველი მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებისა და დარაზმვის საქმეში. მებრძოლი, რევოლუციური ხასიათის ნაწარმოებებით, მან ხელი შეუწყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროლეტარიატის საიერიშო მზადების საქმეს. რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა 1905 წლის პირველ რევოლუციაში.

შალვა გოჯალიშვილი

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

უკვდავი იქნება იგი, ვინც საკუთარი
სისხლით შეძლებს ხალხს ძნელად სავალი
გზა შეუმსუბუქოს.

ა ლ . ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი

საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის შესწავლას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის თავდადებულ, დაუღალავ მკვლევართა ნაყოფიერი მუშაობით. წარსული კულტურის მკვლევართა უფროსი თაობის მოწინავე წარმომადგენლები: დავით ჩუბინაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ცაგარელი, ილია ოქრომჭედლიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, თედო ყორდანია, მოსე ჯანაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი უნათებენ გზას ქართველი ხალხის ფორმით ეროვნულსა და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებას.

უფროსი თაობის მკვლევართა მიერ მრავალ ჭირნახულგამოტარებულ ქართული კულტურის კვლევის ბრწყინვალე ტრადიციები ღირსეულად განაგრძეს ქართული საბჭოთა პერიოდის ცნობილმა მეცნიერებმა ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ, გიორგი ახვლედიანმა და სხვებმა.

ქართული კულტურის მოამაგე მკვლევართა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილს. იგი ეკუთვნის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა იმ თაობას, რომელმაც მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე და ცოდნა მოახმარა მშობლიური ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას, ქართული კულტურის, ენის, ლიტერატურისა და ისტორიის კვლევას, მის განვითარებას და აღორძინებას.

„უკედავი იქნება იგი, ვინც საკუთარი სისხლით შესძლებს ხალხს ძნელი სავალი გზა შეუმსუბუქოს“, — წერდა ალ. ხახანაშვილი 1905 წელს მოსკოვში ერთ თავის მოწაფეს. როცა ამას აღნიშნავდა, იგი სიყვარულით თავს ევლებოდა იმ სახელოვან ადამიანებს, რომელთაც მთელი ცხოვრება ხალხის საერთო სამსახურს შესწირეს.

ალ. ხახანაშვილისათვის არ არსებობდა სხვა მიზანი, გარდა მშობლიური ხალხის, მისი კულტურისა და ისტორიის აღორძინებისათვის სამსახურისა, რომლის უსაზღვრო სიყვარულს იგი მთელი გულით ატარებდა. ამას შეაღია მან მთელი თავისი ხანმოკლე სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

* * *

ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის დაბადების თარიღად აღრეული პერიოდის გამოცემებში: ბროკგაუზისა და ეფრონის ლექსიკონში¹, დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში², ქართველთა შორის წერა-კითხვის განავრცელებელი საზოგადოების 1912 წლის ანგარიშში, ჟურნალ „ჭეჭილში“ (№ 7—8, 1912), გაზ. „სახალხო გაზეთში“ (№ 660, 1912) და სხვ. სამი სხვადასხვა თარიღი — 1862, 1864 და 1866 წელია აღნიშნული.

საჭიროა, ამათგან დადგინდეს თუ რომელია ალ. ხახანაშვილის დაბადების ნამდვილი თარიღი, რომ ამის შესახებ შემდეგში აღრევას ადგილი არ ჰქონდეს.

უკანასკნელ პერიოდში გამოვლენილ საარქივო დოკუმენტებში ალ. ხახანაშვილის დაბადების თარიღად — 1862 და 1866 წელი არსად არ არის მოხსენებული.

ალექსანდრე ხახანაშვილის მამის — სოლომონის „ნამსახურობით სიაში“, რომელიც დაცულია მოსკოვის საოლქო ისტორიული არქივის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის ფონდში (იხ. საქმე № 285), მოხსენებული არიან შვილები: ივანე, დაბადებული 1852 წლის 28 მარტს; ალექსანდრე, დაბადებული 1864 წლის 2 იანვარს.

აქვეა მოხსენებული, რომ 1861 წლის 19 აპრილს დაბადებულა ალექსანდრეს უფროსი და — დარო, ხოლო 1866 წლის 15 აგვისტოს მისი უმცროსი და ელენე.

ამ დოკუმენტში აღნიშნული ფაქტების მიხედვით შეუძლებელია ალექსანდრე ხახანაშვილის დაბადების თარიღად მიჩნეულ იქნეს — 1862 ან 1866 წელი.

¹ Энциклопедический словарь, том XXXVII, 1903, стр. 128.

² БСЭ, том 46, 1957, стр. 98.

საქართველოს სინოდალური კანტორის მიერ 1884 წლის 27 ივნისს გაცემულ დაბადების მოწმობაში წერია, რომ ალექსანდრე ხახანაშვილი დაბადებულია 1864 წლის 3 იანვარს; ზუსტად იგივე თარიღია ჩაწერილი 1902 წელს შედგენილ ალ. ხახანაშვილის „მამსახურობით სიაში“. დაბადების ამევე თარიღს ადასტურებს ალ. ხახანაშვილის 1884 წელს თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების ატესტატი და სხვა ანალოგიური საბუთები.

ამრიგად, ალექსანდრე ხახანაშვილი დაბადებულია ქ. გორში 1864 წლის 3 იანვარს (ახალი სტილით 15 იანვარს), და არა 1862 ან 1866 წელს³.

ალექსანდრე ხახანაშვილის მამა—დეკანოზი სოლომონი იყო თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული, ქართული მწერლობის კარგი მცოდნე, შესანიშნავი მკითხველი, მქადაგებელი და მგალობელი სახარებისა და სხვა საერო და საეკლესიო წიგნებისა, ხოლო დედა მისი იყო ანა ღვთისავერიშვილის ასული.

ცნობილი ქართველი მწერალი ქალი ანასტასია ერისთავ-ხოშტარია თავის მოგონებაში ალ. ხახანაშვილის ბავშვობის შესახებ წერდა: „იყო დრო, როცა ქ. გორის მოხდენილ ქუჩებში გაირბენდა ხოლმე პატარა ბიჭი, შეჭხაროდა მოკრიალებულ ცას. უკანასკნელიც თანაგრძნობით უღიმოდა. გარემოს ლამაზი მდიდარი ბუნება ნორჩ არსებაში აღვიძებდა უნარს მხნეობისას, სტოვებდა შთაბეჭდილებას, გულის სიღრმეში ახედებდა, თან ჩასჩურჩულებდა — „ჩემო მანუგეშებელო შვილო, მე ვარ ის შენი აკვანი, რომელზედაც ძილის დროს ნანას გიმღერებს ხოლმე ცელქი ნიავე და საზღაპრო ქვეყანაში გადაჰყვებარ, სიფხიზლეში კი ფიანდაზად გიშლი თვალუწვდენს ველმინდვრებს, ხელში გაძლევ ჩენის წარსულის დიდების ნაშთთა, გთხოვ, ნუ დაივიწყებ შენს ნაჭირ-ნახულევ, მოამაგე სამშობლოს“⁴.

ალ. ხახანაშვილი თავიდანვე შრომისმოყვარე, ნიჭიერი, მგრძნობიარე და ფაქიზი ბუნებისა იყო. განათლების მისაღებად მამამ იგი პირველად გორის სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარა, ხოლო იქიდან შემდეგ თბილისში გადაიყვანა. აქ იგი ჭწავლობდა ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, რომელიც 1884 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წელს, უმაღლესი განათლების მისაღებად, ალ. ხახანაშვილი მოსკოვს გაემ-

³ ალ. ხახანაშვილის საარქივო ფონდი, № 1, ფ. 1, — მეტრიკული ამონაწერი. დღემდე ალ. ხახანაშვილის დაბადების თარიღს შეცდომით აღნიშნავენ 1862 და 1866 წელს: ანგარიში ქ. შ. წ.-ჯ. გ. საზოგადოების მოქმედებისა, 1912 წ.; გაზ. „სახ. ვაზეთი“, 1912, № 660; ეურ. „ჭეჩილი“, 1912, № 7—8, გვ. 473 და სხვ.

⁴ იხ. „სახ. ვაზეთი“, 1912, № 668.

გზავრა და შევიდა უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1888 წელს მან უნივერსიტეტი კანდიდატის ხარისხით დაამთავრა და იქვე დატოვეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად. ამ დროს აღმოსავლური ენების მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტთან დიდი ხანია, რაც ქართული ენის კათედრა არსებობდა. ამ კათედრასთან ქართული ენის ლექციებს კითხულობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ილია ოქრომჭედლიშვილი, რომელსაც სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის 25 წელი შეუსრულდა, 1889 წლის 15 იანვრიდან სამასხურს თავი დაანება და პენსიაზე გადავიდა.

ილია ოქრომჭედლიშვილი დიდი გულისყურით ეკიდებოდა ალ. ხახანაშვილის საუნივერსიტეტო მუშაობას. იგი მასში საიმედო ძალას ხედავდა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ქართული კულტურისა და ისტორიის კვლევის საქმეში მის სამეცნიერო სარბიელზე გამოსვლას. ჭერ ისევ უნივერსიტეტში სწავლობდა ალ. ხახანაშვილი, როდესაც დაწერა შრომა — „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ და წარუდგინა ფაკულტეტს. ამ ნაშრომმა საერთო მოწონება დაიმსახურა, ხოლო უნივერსიტეტის საბჭომ ვერცხლის მედალი მიანიჭა. ამ ნაშრომის პირველი რეცენზენტი ილია ოქრომჭედლიშვილი იყო. მანვე მისცა სამეცნიერო რეკომენდაცია, რომ მის შემდეგ ახალგაზრდა ავტორს ალ. ხახანაშვილს დაეკავებინა აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა და ლექციების კითხვასაც შესდგომოდა.

ილია ოქრომჭედლიშვილის შემდეგ, 1889 წლის 23 იანვრიდან ალ. ხახანაშვილი იწყებს ქართული ენის ლექციების კითხვას აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტში.

მოსკოვის სამეცნიერო და საზოგადოებრივ წრეებში ალ. ხახანაშვილის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, მოწინავე რუსი მეცნიერების მხარდაჭერითა და დახმარებით, 1900 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტთან დაარსდა ქართული ენის კათედრა. ამ ფაქტს ქართული საზოგადოებრიობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა და ერთხმად აღიარებდა მის პროგრესულ მნიშვნელობას ქართული კულტურის განვითარებისათვის. 1900 წლის იანვრიდან ალ. ხახანაშვილი მიღებული იყო უნივერსიტეტში პრევატ-დოცენტად, ქართული ენის ლექციების წასაკითხად.

1900 წლის 16 სექტემბრიდან ალ. ხახანაშვილმა უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე დაიწყო ლექციების კითხვა საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაში. ამის შესახებ „კვალი“ ქართველ საზოგადოებას კმაყოფილებით აუწყებდა: „როგორც გაზ. „ივერიას“ ატყობინებენ, პირველ ენკენისთვიდან მოსკოვის უნივერსი-

ტეტში ქართულ ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ ლექციების კითხვას დაიწყებს პროფ. ა. ს. ხახანაშვილი. იმედია, ქართველი სტუდენტობა სიხარულით მიეგებება ამ ამბავს“⁵.

აღ. ხახანაშვილმა თავისი პირველი ლექციების შესავალში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული ენის კათედრა არსებობს მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე და სხვაგან არსად, ევროპის არც ერთ სახელმწიფოს უნივერსიტეტში. ამით იგი სწორედ მის აუცილებელ საპირობასა და მნიშვნელობაზე ამაზვილებდა რუსეთის მეცნიერული საზოგადოებრიობის ყურადღებას. იმავე დროს, ახალგაზრდა მკვლევარმა დიდი სიამაყის გრძნობით განაცხადა, რომ ქართული ისტორია მდიდარ, სრულებით დაუმუშავებელ მასალას წარმოადგენს ისტორიკოსისათვის, რომ ეს პატარა ქვეყანა მომწყვდელი იყო გარეშე მტერთა შორის და საუკუნეთა მანძილზე გმირულად იცავდა თავის არსებობას, ეროვნებას, კულტურას, სარწმუნოებას. მკვლევარი შეეხო, აგრეთვე, ახალ ქართულ ლიტერატურას და აღნიშნა, რომ ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლისა და სხვა ქართველ მწერალთა თხზულებანი, გარდა მათი მხატვრული ღირსებებისა, დიდად საინტერესოა იმ მხრივაც, რომ გვაჩვენებენ, თუ როგორ შეითვისა ევროპული განათლება ქართველმა ხალხმა, როგორია მისი ეროვნული კულტურა.

ლექციის დასასრულს ალ. ხახანაშვილმა აღნიშნა, რომ XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის პოეტებმა შეამკეს დიდებული, მშვენიერი საქართველოს ბუნება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ XX საუკუნის რუსეთის მეცნიერნი ახდიან ბნელ ფარდას, რომელიც ფარავს მისი შვილების გონებრივ და სულიერ საუნჯეს, შეგროვილს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ეს საუნჯე შიგ ჩამარხული იდეთაც და გარეგან. ფორმითაც შეადგენს საქართველოს ერის წმიდათაწმიდას.

მოსკოვის უნივერსიტეტის მთელი ფილოლოგიური ფაკულტეტისა და დეკანის თანდასწრებით, ალ. ხახანაშვილმა თავის პირველ შესავალ ლექციაშივე დააყენა საკითხი, თუ რა დამოკიდებულება აქვს ქართულ ისტორიას, ლიტერატურას და ენას სხვა ფილოლოგიურ საგნებთან, რატომ არის აუცილებელი მათი შესწავლა და რას შესძენს საქართველოს ლეტალური გაცნობა მეცნიერებას. ამ საკითხის ფართოდ გაშუქებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდა მეცნიერმა დამსწრე აუდიტორიას მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ნათელი სურათი გადართავა.

⁵ იხ. „კვალი“, 1900, № 36, გვ. 569.

ქართული კულტურის აღორძინებისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში ისტორიული მნიშვნელობის მქონეა მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, რუსეთის პროგრესული საზოგადოების მოწინავე მეცნიერთა მხარდაჭერით, მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დაარსება. ამ სანუკვარი ოცნების განხორციელება შესაძლებელი გახდა ალ. ხახანაშვილის დაუღალავი მეცნიერული შრომითა და მოღვაწეობით. მაშინ პეტერბურგში მყოფმა ქართველობამ ალ. ხახანაშვილის ამ ღვაწლის აღსანიშნავად მას ძვირფასად შემკული „ვეფხისტყაოსანი“ ადრესით⁶ მიართვა საჩუქრად. „ადრესში“ ალ. ხახანაშვილს სწერდნენ: „მრავალგზის გულგატეხილნი, მით უფრო მეტის თანაგრძნობით და სანუგეშო გულისთქმით ვეგებებით ქართული ისტორია-სიტყვიერების სანიმუშო კათედრის დაარსებას რუსეთის უძველეს უნივერსიტეტში.

...მეცნიერების ტაძარმა თავის პირუთვნელი კვლევები კარი გაუღო ჩვენს ლიტერატურა-ისტორიას, რომლის შინაარსი სავსებით მტკიცეობს არაერთ ზოგადდაცობრიულ მოვლენას. ამიერიდან ჩვენი ავლადიდება ერთხელ კიდევ გვერდში ამოუდგა საუნივერსიტეტო დანარჩენ საგნებს და იქნება ჯეროვან მხარის დამამშვენებლადაც შეიქნეს იგი თავის დროზე“.

ადრესის მიმრთმევენი, დასასრულ, ალ. ხახანაშვილის დიდ დანახურებას სამშობლო ქვეყნის წინაშე შემდეგნაირად გამოხატავდნენ: „სამეცნიერო ასპარეზზე უკვე ნაცადი თქვენი მოღვაწეობა... დაბეჭივებით გვითავდებებს, რომ მეცნიერების და სამშობლოსადმი თქვენებური სიყვარულით ეცდებით, თქვენსავე მეოხებით დადებულ სანდო ქვაკუთხედს მოყვეს სანდოვე შენობა, შემკობილი ღირსახსოვარ წარწერით: ქართველს უფლება აქვს თავი მოიწონოს წარსულით, ნუგეში იცეს აწმყოში და იქონიოს იმედი მომავლისა“⁷.

ალ. ხახანაშვილი ცობილი ორიენტალისტი იყო. იგი, როგორც ქართული სიტყვიერების ისტორიის პროფესორი, მოსკოვის აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტში სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ნაყოფიერ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. ასწავლიდა, აგრეთვე, რუსეთის მწერლობის ისტორიას მოსკოვის I და II ქალთა გიმნაზიაში. ალ. ხახანაშვილი, როგორც სამაგალითო, გულისხმიერი პედაგოგი და აღმზრდელი, სტუდენტობასა და მოსწავ-

⁶ „ვეფხისტყაოსანი“ ადრესით უკანასკნელ დრომდე დაცული იყო ქ. ერევანის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში; ამჟამად ინახება საქართველოს სსრ კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის განყოფილებაში. ადრესის სრული ტექსტი ხელისმომწერლებით იხ. „კვალი“, 1903, № 22, გვ. 354.

⁷ „კვალი“, 1903, № 22, გვ. 354.

ლეთა შორის დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა-
ალ. ხახანაშვილის კეთილშობილურ ადამიანურ ბუნებას ზედმიწევ-
ნით გამოხატავს ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში შესრულე-
ბული ავტობიოგრაფიული ჩანაწერი. იგი ერთგან თავის შესახებ
დღიურში წერდა: „ბუნებით მე ვარ გულჩვილი, ლმობიერი გულით-
არ შემიძლიან დავინახო მწუხარე ადამიანი, რომ გული არ შემტკიცდეს,
არ ავლელდე, არ შეეწუხდე იმის უბედურებითა... არ შემეძლო დამე-
ნახა მუშა ძონსებში, ოთხად მოკაკული, ტვირთით წამოკიდებული მიმა-
ვალი, რომ ცრემლი არ ჩამომვარდნოდეს და არ მენატრა შეძლება, რომ
ყველა საწყლისათვის გამეყო.

არ შემიძლიან ავიტანო უსამართლობა, უღმერთოდ, უსკინდისოდ
ქცევა. არ შემეძლო ყურება ხალხის გამყვლეფებზე. რომ არ მესურვა
მათი გაწყვეტა, გამუსვრა. ვერ ავიტან ცრუ მოლაპარაკეს, არ შემეძლო
მართალი არ მეთქვა ყველასათვის, არ დამენახებინა კაცის ნაკლულე-
ვანებანი, არა შესაფერად ქცევანი“⁸.

ქაბუკობის დროის დღიურში აღნიშნული ყველა ეს თვისება დამა-
ხასიათებელი იყო ალ. ხახანაშვილის მთელი სიცოცხლის მანძილზე. სამ-
შობლო ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული მკვლევარი
დაიფერფლა მშობლიური ხალხის სამსახურში, მისი თავისუფალი და
ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

ალ. ხახანაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა საქართვე-
ლოს ისტორიის, ლიტერატურის, განათლების, ეთნოგრაფიისა და მა-
ტერიალური კულტურის მნიშვნელოვან საკითხებზე. მის კაპიტალურ
ნაშრომს წარმოადგენს „ქართული სიტყვიერების ისტორია“, დაწერი-
ლი რუსულად, ოთხ ტომად გამოცემული მოსკოვში 1895—1907 წლებ-
ში, ხოლო შემოკლებული რედაქციით ქართულადაც ორ წიგნად დაი-
ბეჭდა.

„ქართული სიტყვიერების ისტორიის“ მეორე ტომის რუსულად
1897 წელს მოსკოვში გამოსვლის გამო, ცნობილი მწერალი გიორგი წე-
რეთელი წერდა: „გაბედვით შემიძლიან ეთქვა, რომ არც ერთს ქართ-
ველ მეცნიერს და მოღვაწეს იმდენი დამსახურება არ მიუძღვის თავის
ერის წინაშე, როგორც ალ. ხახანაშვილს. ამ ახალგაზრდა მეცნიერმა
მთელი თავისი ნიჭი, ღონე და ძალა მოანდომა სამშობლოს გონების
საუწიხის შესწავლას იმ განზრახვით, რომ შემდეგ უცხო ენაზე გამოე-
ქვეყნებინა მთელი ორი ათასი წლის კულტურული მოძრაობა საქარ-
თველოს ერისა და მისი დამსახურება კაცობრიობის წინაშე“.

⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტის ალ. ხახანაშვილის არქივი, უბის წიგნაკი, № 1.

აძლევედა რა დიდ შეფასებას ალ. ხახანაშვილის დამსახურებას სამ-
შობლოს წინაშე, გ. წერეთელი ბოლოს დასძენდა: მისი შრომის მეო-
ხებით „ევროპის მეცნიერებმა შეიტყვეს, რომ საქართველოს ერი
მართლაც ღირსშესანიშნავი ყოფილა თავისი წარსულით, მისი მდიდარი
ლიტერატურით, სუროთმოდლებით, საერო პოეზიის ნიმუშებით, რო-
მელნიც ჯერ კიდევ არ არიან საკმაოდ დაფასებულნი, მაგრამ შესაძლე-
ბელია კი, რომ ეს კულტურის ნაწარმოებნი ყოფილიყოს ევროპის
გონების განვითარებისათვის მისაბაძ წყაროთ“⁹.

1899 წელს „კვალი“ (№ 12) აღნიშნავდა, რომ ნიუ-იორკის ერთ-
ერთ ჟურნალში დაბეჭდილი წერილით ინგლისელი მეცნიერი პროფ.
მორფილი ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის“
რუსულად დაბეჭდილ პირველ და მეორე წიგნს დიდი ქებით იხსენიებ-
და. იმავე დროს იგი მკითხველთა ყურადღებას მიაქცევდა ძველი ქარ-
თული მწერლობის მნიშვნელობაზე საზოგადოდ ისტორიის მსვლელო-
ბაში.

მიმომხილველი ჟურნალ „მოგზაურში“ წერდა: „ხახანაშვილის
ქართული სიტყვიერების ისტორია, ეს ის კაპიტალური შრომაა, რომე-
ლიც სხივს ჰფენს საქართველოს წარსულს და აცნობს ევროპასა და
რუსეთს... ჩვენი ქვეყნის კულტურულ მოძრაობას, ჩვენი ქვეყნის გონე-
ბრივ ნაწარმოებთ. აქედან ტყობილობენ, რომ საქართველოსაც უცხოვ-
რია, მასაც გამოუცდია ის ისტორიული და გონებრივი მოძრაობანი, რო-
მელნიც განიცადეს ევროპის და აზიის კულტურისან ხალხებმა“¹⁰.

ალ. ხახანაშვილი იყო პირველი ქართველი მეცნიერ-მკვლევარი,
რომელმაც თავისი კაპიტალური ნაშრომით — „ქართული სიტყვიერების
ისტორია“ შექმნა ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი სის-
ტემატური კურსი. ამაში მდგომარეობს სწორედ მისი განუზომელი
მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის, თუმცა დღეისა-
თვის იგი ვეღარ უპასუხებს მაღალ მეცნიერულ საფეხურზე აყვანილი
ქართული ლიტერატურისა და ისტორიის კვლევის გაზრდილ მოთხოვ-
ნილებას. მიუხედავად ამისა, მისი შრომა, მაინც, პირველი ცდა იყო
ქართული მწერლობის თავმოყრისა, მისი სისტემაში მოყვანისა. ამისათ-
ვის კი მას მაშინ ბევრი რამ უშლიდა ხელს; იმ დროისათვის ქართული
ხელნაწერების ფემტესი ნაწილი არ იყო შესწავლილი და გამოცემული,
რაც ძალიან ართულებდა შრომას.

ალ. ხახანაშვილის დიდი დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ
იმან ამ ნაშრომებით ქართული კულტურა მსოფლიო არენაზე გაიტანა.

⁹ იხ. „კვალი“, 1893, № 45, გვ. 749.

¹⁰ იხ. ჟურ. „მოგზაური“, 1902, № 2, გვ. 110—112.

ამ მხრივ, იმ დროისათვის, განუზომელი იყო მათი მნიშვნელობა. მისი „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ ტომები იყო პირველი და ერთადერთი სახელმძღვანელო ქართულ სასწავლებლებში, სადაც კი ქართული ენა ისწავლებოდა. ამ წიგნებზე აღიზარდა მრავალი თაობა ქართული კულტურის მოღვაწეებისა. ქართველ ახალგაზრდობას მან შეასწავლა და შეაყვარა მშობლიური ლიტერატურა, მისმა წიგნებმა ჩაუნერგა მათ წარსული კულტურული მემკვიდრეობის დიდი სიყვარული.

აღ. ხახანაშვილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც დიდი პატრიოტული მგზნებარებით იღვწოდა ქართული კულტურისა და მშობლიური ხალხის კეთილდღეობისათვის.

— — —

აღ. ხახანაშვილი დიდად ნაყოფიერი მკვლევარი იყო. მის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა ქართული კულტურის სხვადასხვა საკითხებზე; ისინი დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ყურნალ-გაზეთებში („ივერია“, „კვალი“, „Русская мысль“, „Жизнь“, „Кавказский Вестник“, „Русск. Ведом.“, „Этногр. Обзор.“, „Вестник Европы“, „Энциклопедический словарь“ და სხვ.).

საკონკურსოდ დაწერილი თხზულებისათვის — „Византинское общество и Греческая церковь в эпоху комненов“, აღ. ხახანაშვილმა ვერცხლის მედალი მიიღო. მისმა თხზულებამ — „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ — მიიქცია ყურადღება აღმოსავლური ენების ლაზარევის სახელობის ინსტიტუტისა, სადაც იგი დანიშნული იყო დოცენტად, ხოლო შემდეგ მისი თხზულების — „Очерки по истории грузинской словесности“-ს გამოცემისათვის იგი დაამტკიცეს პროფესორად და ჯილდოდ მიეცა ოქროს მედალი¹¹.

სრულიად სამართლიანად, ზედმიწევნით ახასიათებდა აღ. ხახანაშვილის მოღვაწეობას ყურ. „მოგზაურის“ ერთი უცნობი კორესპონდენტი, როდესაც წერდა: „არა მგონია, საქართველოს შესწავლისათვის ისტორიულად, კულტურულად და ლიტერატურულად ვინმეს იმდენი შრომა მიუძღოდეს, რამდენიც დიდად პატივცემულს ალექსანდრე ხახანაშვილს მიუძღვის. მთელი მისი სიცოცხლე წერაა, მთელი მისი ცხოვრება შრომაა, შრომა გამუდმებული, დაუღალავი და ფრიალ ნაყოფიერი. რომელი პერიოდული გამოცემა გინდა აიღეთ (რუსული, გინდა ქართული), ყოველგან და თითქმის ყოველთვის თქვენ შეხვდებით ხახანა-

¹¹ იხ. საქართველოს კალენდარი, 1903, გვ. 436—440.

ნაშვილის წერილს, რომელიც შეეხება მეცნიერების ამა თუ იმ დარგს, რომელიც სხვის ჰქვენს ამა თუ იმ კითხვას, რომელიც აშუქებს და ანათებს ჩვენი ქვეყნის ბნელეთით მოცულს წარსულს და მით აწმყოსა და მომავალს გვითვალისწინებს. კითხულობთ მის წერილებს და გიკვირთ: ანუთუ შესაძლებელია ამდენი სწეროს ერთმა კაცმა?

...უეჭველად, ხახანაშვილის ბიოგრაფიის დამწერი შემდეგი სიტყვებით დაასრულებს მას: ალექსანდრე ხახანაშვილი განხორციელებდა ქემპარიტების, მუდმივის, მეტად ნაყოფიერის შრომის, შრომის და კიდევ შრომის“.

აღ. ხახანაშვილის გამოკვლევები დაიბეჭდა, აგრეთვე, საზღვარგარეთ — ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. მას რუსეთის იმპერიის გარეთაც იცნობდნენ. ორიენტალისტთა კონგრესებზე შეხვედრების დროს გაცნობილ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შორის მას მრავალი მეგობარი ჰყავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო დაწესებულებებთან და მის მოწინავე წარმომადგენლებთან აღ. ხახანაშვილის მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა. ამ ურთიერთობას ნათლად ასახავს ქვემოთ მოტანილი დოკუმენტები, რომლებიც დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღ. ხახანაშვილის ფონდში.

1896 წლის 15 მაისს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში საზეიმოდ გაიხსნა ეთნოგრაფიული სახალხო მუზეუმი. მუზეუმის საზეიმო გახსნაზე მოსაწვევი ბარათით, რომელიც ჩეხურ და ფრანგულ ენებზე იყო დაბეჭდილი, აღ. ხახანაშვილიც ყოფილა მიწვეული.

ჩვენს ხელთ არის ცნობილი ჩეხი არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კ. პრალის უნივერსიტეტის პროფესორის, მეცნიერებათა აკადემიის წევრის ლიუბორ ჰენრიხის ძე ნიდერლეს მიერ 1897 წლის 6 იანვარს გამოგზავნილი წერილი აღ. ხახანაშვილისადმი. ამ წერილიდან ჩანს, რომ ჩეხიის უნივერსიტეტის ოცი წლის პრეზიდენტოცენტი ლ. ნიდერლე, ჯერ კიდევ 1895 წელს, მოსკოვში ბუნებათმცოდნეობის, ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებაში მუშაობის დროს გაეცნო და დაუახლოვდა ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს აღ. ხახანაშვილს, რომელზეც ერთი წლით უმცროსი იყო.

ლ. ნიდერლე დაინტერესებულა საქართველოს ისტორიითა და ლიტერატურით. იგი შესდგომია კავკასიის ძველი ისტორიის შესწავლას. მას სურდა შეესწავლა ქართული ენა, რომ შესძლებოდა ქართული ლიტერატურის ორიგინალში კითხვა და თარგმნა ჩეხურ ენაზე.

„ქართული ლიტერატურა ისეთი მშვენიერი რამაა, რომ იგი იმსახურებს სხვაგვარ შეცნობას (შესწავლას), ვიდრე მას ახლა იცნობენ ევროპაში, — სწერდა იგი ალ. ხახანაშვილს, — თუ შეესძელი, მე მინდა წავიკითხო მასზე ჩვენს უნივერსიტეტში და აი, რას გთხოვთ ახლა მირჩიოთ: 1. რომელია ქართული ენის ყველაზე უკეთესი გრამატიკა და სად შეიძლება მისი შეძენა. 2. რომელი ლექსიკონია უფრო პრაქტიკული. 3. თუ თქვენთვის შესაძლებელია, მაჩუქოთ ჟურნალ „ივერიის“ ერთ-ერთი ძველი ნომერი მის გასაცნობად, თქვენგან დიდად დავალებული ვიქნები.

მაპატიეთ, მოწყალეო ხელმწიფევე, ეს ჩემი გაბედულობა, მაგრამ ორი წლის წინ მე მქონდა ბედნაერება გავცნობოდი თქვენს თავაზიანობას მოსკოვში ბუნებისმეტყველებისა და სხვათა მოყვარულთა საზოგადოებაში (თქვენ ალბათ დაგავიწყდით), და ახლა კვლავ იმედი მაქვს თქვენი დახმარებისა.

მიიღეთ წინასწარ ჩემი გულწრფელი მადლობა. თქვენი უმორჩილესი მსახური ლიუბორ ჰენრიხის ძე ნიდერლე“.

ცხადია, ყოველთვის გულისხმიერი ალ. ხახანაშვილი, რომელსაც ადრეც გაუწევია დახმარება ჩეხი მეგობრისათვის, არც ახლა დატოვებდა მას უყურადღებოდ.

პარიზის მსოფლიო გამოფენაში, რომელიც 1900 წლის პირველ ნახევარში გაიხსნა, ქართველმა საზოგადოებამ პირველად მიიღო მონაწილეობა. თბილისის საგამოფენო კომიტეტის დავალებით ალ. ხახანაშვილმა დაწერა საქართველოს ისტორიული მიმოხილვა, რომელიც ფრანგულად, 1900 წლის მსოფლიო გამოფენის პერიოდში, პარიზში რაფ. ისარლიშვილმა გამოსცა. წიგნში მოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან რუსეთთან შეერთებამდე. მასში შიგადაშიგ ჩართულია საქართველოს ისტორიულ პირთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მდიდრულად გაფორმებული პორტრეტები, სახელდობრ: დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ერეკლე მეორის, შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ კათალიკოსის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, დავით ჩუბინაშვილის, დიმიტრი ბაქრაძისა და სხვათა. ამ წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოების პროგრესულად მოაზროვნე თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეთა, მეცნიერთა და მწერალთა შორის.

წიგნის გამომცემელი რაფ. ისარლიშვილი 1900 წლის 26 ოქტომბერს ალ. ხახანაშვილს სწერდა: „ეს თქვენი ისტორია ყველაზე უკეთესად მიიღეს. ყოველგან დავარიგე და ყველამ ძალიან მოიწონეს ყო-

ველისავე მხრით“. იგი მეორე წერილშიაც სწერდა მას: „პარიზის გამოფენის საშუალებით, საფუძვლიანად გავაცანით უცხოეთსა ჩვენი ქვეყანა და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ჩვენი წიგნის ასე მდიდრულად გაცნობას“...

ქართული ეროვნული კულტურის ამ მეტად მნიშვნელოვანმა მოკლენამ ფართო გამომხატურება ჰპოვა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში. ეს სასიხარულო ამბავი დაწერილებით შუქდებოდა, აგრეთვე, ქართულ პრესაში („მოგზაური“, „კვალი“, „ივერია“ და სხვა).

ამ წიგნის შესახებ ჟურნ. „მოგზაური“ წერდა: „წიგნში აღწერილია საქართველოს ისტორია წინა დროებიდან დაწყებული, ვიდრე რუსეთთან დაკავშირებამდე. განსაკუთრებით მშვენივრად არის აღწერილი ქართველი ერის სხვადასხვა დროის აყვავებული მდგომარეობა. წიგნი დაბეჭდილია პარიზში, სუფთად, ლამაზად... დაიბეჭდა პარიზის გამოფენისათვის. გამომცემელმა 800 ცალი ევროპის სახელმწიფოში უფასოდ დაარიგა. მას 150 მადლობის წერილი მიუღია სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებისა, მსწავლულებისა და მწერლებისაგან¹³“.

ამასთან დაკავშირებით, „კვალი“ ახალ ამბებში იტყობინებოდა, რომ ფრანგული გაზეთი „ლა რეფორმე“ წერდა: პარიზის გამოფენის რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლის რაფიელ ისარლიშვილის გაჰგეობით ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ერთი მეტად საინტერესო თხზულება საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ლიტერატურის შესახებ. ლიტერატურული ნაწილი ეკუთვნის პროფ. ალ. ხახანაშვილს, რომელიც გვაცნობს ისეთ რამეებს, რის არსებობას ამიერკავკასიის პროვინციაში სრულიად არ მოველოდითო¹⁴.

რაფ. ისარლიშვილს ფრანგულ ენაზე გამოცემული აღნიშნული წიგნი ევროპის ყველა ქალაქში დაუარიგებია. ამის საპასუხოდ მას გამოჩენილი მეცნიერებისა და მოღვაწეებისაგან თანაგრძნობით აღსაესე მრავალი სამადლობელი წერილი მიუღია. ამის შესახებ რაფ. ისარლიშვილი 1901 წლის 14 მარტს აკაკი წერეთელს სწერდა: „ეს მოკლე საქართველოს ისტორია“, შედგენილი ალ. ხახანაშვილისაგან და ჩემ მიერ შევსებული, შემკული და გამოცემული პარიზში ფრანგულს ენაზე მრავალი სურათებითა და ძველი ქართული არხიტექტურის ნიმუშებითა, მრავალი ასობით მისართმევედ ყველა გამოჩენილ დიპლომატიურ და მეცნიერ პირთ გავუგზავნე. ყველა მხრიდან მომივიდა მადლობის წერილები, სავსე სიმპატიური გრძნობითა. მრავალი ჟურნალები და გაზეთე-

¹³ იხ. ჟურ. „მოგზა რა“, 1901, № 6—7, გვ. 722—723.

¹⁴ იხ. „კვალი“, 1901, № 4, გვ. 57.

ბიცა გვიცხადებენ მეტად შესანიშნავ თანაგრძობას და სურვილს ჩვენი გაცნობისასა.

ასე, ამ ჩვენი წიგნის უფასოდ, პატივსაცემლად მირთმევამ. მხოლოდ იმ აზრით, რათა ევროპას გავაცნო ჩვენი ქვეყანა, მეტად დიდი ნაყოფი გამოიღო კიდევაც“.

ევროპის სხვადასხვა კუთხის მეცნიერ მოღვაწეთა მიერ რაფ. ისარლიშვილისადმი გამოგზავნილ სამადლობელ წერილებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. პრალის ნაციონალური აკადემიის პრეზიდენტის ივ. რევაბეკის 1900 წ. 10 დეკემბრის წერილი.

პარიზიდან თბილისში დაბრუნებული რაფ. ისარლიშვილი 1901 წლის 24 იანვარს აღ. ხახანაშვილს სწერდა: „ზემოხსენებულ წერილებში ერთი მეტად შესანიშნავია პრალის აკადემიის პრეზიდენტისა. ამის კობიოს და ჩემს პასუხს აქვე გიგზავნი და გთხოვ შემატყობინო, როგორ მოვიქცე ამ გამოჩენილ და ასე პატივცემულ პირთან“.

პრალის აკადემიის პრეზიდენტი ივ. რევაბეკი რაფ. ისარლიშვილს სწერდა: „მოწყალეო ხელმწიფევე! თქვენს მიერ გამოცემული საინტერესო წიგნის გამოგზავნით დიდად და დიდად მასიამოვნეთ, რისთვისაც ვალდებულად ვრაცხ თავს, გულწრფელი მადლობა გამოგიცხადოთ. მართალია, ბედმა თქვენს სამშობლოს ხალხთა განვითარების საქმეში პირველხარისხოვანი როლი არ არგუნა, მაგრამ თავისის ბუნების საიდუმლო სიმშვენიერით იგი ძველთაგანვე იქცევდა ევროპულ და აზიელ კულტურულ ხალხთა ყურადღებას; ხოლო მცენარეულობით მდიდარი ველნი ყოველთვის აღაფრთოვანებდნენ პოეტებს.

ერთი ჩვენი ცნობილი მწერალი იმდენად დაინტერესებულია თქვენს სამშობლოთი, რომ გთხოვთ, დაუსახელოთ რომელიმე ახალი გრამატიკა და ლექსიკონი, რომელთა შემწეობითაც შესძლებდა გასცნობოდა თქვენს ენას. ამას გარდა, გთხოვთ, შეატყობინოთ მოიპოვება თუ არა ქართული ეროვნული სიმღერების კრებული.

კვლავ გიხდით რა მადლობას თქვენი თავაზიანობისათვის, მაქვს პატივი დავრჩე, მოწყალეო ხელმწიფევე, თქვენს მორჩილ მსახურად. ივ. რევაბეკი“.

ივ. რევაბეკის წერილის მიღებით აღფრთოვანებულ რაფ. ისარლიშვილს იმავე წლის 15 დეკემბერს გაუგზავნია საპასუხო წერილი და მადლობა გადაუხდია საქართველოსადმი გამოთქმული თანაგრძობისათვის. ამასთანავე, იგი კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ჩემ მწერალს აღძვრია სურვილი ქართული ენის შესწავლისა და სპსიამოვნო მოვალეობად მიიჩნევს დახმარება გაუწიოს სახელმძღვანელოების გაგზავნით.

როგორც ალ. ხახანაშვილისა და რაფ. ისარლიშვილის მიმოწერი-
დან ჩანს, მათი მოთხოვნით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-
რცელებელ საზოგადოებას, ოფიციალურ მიმართვასთან ერთად, 1901
წლის 22 ივნისს პრადის ნაციონალური აკადემიის პრეზიდენტის სახელ-
ზე გაუგზავნია სახელმძღვანელოები ქართული ენის შესასწავლად,
სახელდობრ: იაკობ გოგებაშვილის — „რუსკოე სლოვოს“ პირველი და
მეორე ნაწილი, „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“; ფშაური ლექსების
კრებული და კ. ბაგაევის ქართულ-რუსული ლექსიკონი.

ჩემ მეცნიერთა და მოღვაწეთა პირადი ფონდების შესწავლისას
მომავალში შესაძლებელია ქართველ მოღვაწეთა მათთან ურთიერთო-
ბის ამსახველი მასალების გამოვლენა. ეს გარემოება, აღნიშნულ დო-
კუმენტებთან ერთად, ნათელს მოჰყენს ჩეხოსლოვაკიისა და საქარ-
თველოს წარსული კულტურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივი
ურთიერთობის ისტორიას.

ალ. ხახანაშვილი მრავალმხრივ ნაყოფიერ მეცნიერულ და პედა-
გოგიურ მუშაობასთან ერთად, ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობა-
საც ეწეოდა; ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, ოთხმოციან წლებში
დაიწყო მუშაობა მოსკოვის სამეცნიერო წრეებში, განსაკუთრებით ეთ-
ნოგრაფთა და არქეოლოგთა წრეში. თავისი მუყაითი და ნაყოფიერი
მუშაობით, კავკასიისმცოდნეობაში იგი გახდა თვალსაჩინო მეცნიერი
მოღვაწე; მხურვალე მონაწილეობას იღებდა მოსკოვის უნივერსიტეტ-
თან არსებულ სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებათა მუშაობაში, გა-
მოდირდა მეცნიერული მოხსენებებით. იგი იყო მოსკოვის უნივერსიტე-
ტთან არსებული ბუნებათმცოდნეობის, ანთროპოლოგიის, ეთნოგრა-
ფიისა და არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების, რუსეთის ის-
ტორიისა და სიძველეთა საიმპერატორო საზოგადოების, მოსკოვის
არქეოლოგიური საზოგადოებისა და სხვათა წევრი.

აღნიშნულ სამეცნიერო საზოგადოებათა დავალებით, ზაფხულის
არდადეგების პერიოდში ალ. ხახანაშვილი ხშირად რუსეთიდან სამშობ-
ლოში ბრუნდებოდა. აქ იგი მოგზაურობდა სხვადასხვა კუთხეში, ეცნო-
ბოდა და სწავლობდა ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის ად-
გილებს: ეკლესია-მონასტრებს, წერილობით ძეგლებს; აგროვებდა მათ
შესახებ სათანადო ცნობებს და შემდეგ ახდენდა მათ მეცნიერულ და-
მუშავებას. ასეთი ნაყოფიერი შრომისათვის იგი ყოველთვის მაღლობას
იმსახურებდა სამეცნიერო საზოგადოებებისაგან, რამდენჯერმე ოქროს
მედლითაც იყო დაჯილდოებული.

ალ. ხახანაშვილი საქართველოს შესახებ ისტორიულ ცნობებს და
საარქივო მასალებს ეძებდა და აგროვებდა საზღვარგარეთულ არქივებ-
შიაც. კერძოდ, 1900 წლის ზაფხულს იგი ყოფილა რომში და ვატიკა-

ნის არქივში მუშაობის შედეგად მრავალი საყურადღებო მასალა შეუგროვებია. ამის შესახებ იყო, რომ „კვალი“ საზოგადოებას აუწყებდა: „ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტის პროფესორი ალ. ხახანაშვილი ამ ზაფხულს სამეცნიერო აზრით იტალიაში იყო წასული იქაურ არხივების გასაშინჯად. ხახანაშვილს უკვე დაუმთავრებია ვატიკანის (რომში) არქივის დათვალიერება და დიდძალი მასალა შეუგროვებია საქართველოს ისტორიისათვის. ხახანაშვილს იქვე აღმოუჩენია ერთი ფრანგული წიგნი, რომელშიაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატი თურმე მოყვანილი. ამ ტრაქტატებში დღემდე ორი უცნობი მუხლიც აღმოუჩენია“¹⁵.

ალ. ხახანაშვილი ენერგიულად მონაწილეობდა, აგრეთვე, არქეოლოგთა ყრილობებისა და ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესების მუშაობაში.

1894 წლის 23 აგვისტოს ქ. ენევაში გაიხსნა ორიენტალისტთა მეათე საერთაშორისო კონგრესი. ამ კონგრესზე ალ. ხახანაშვილმა მიიღო მონაწილეობა, როგორც მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების წარმომადგენელმა. კონგრესის ეთნოგრაფიულ სექციაზე ალ. ხახანაშვილი ფრანგულ ენაზე გამოვიდა მოხსენებით — „უცხოელთა გავლენა საქართველოს ცივილიზაციაზე“. მოხსენება, რომელიც უდიდესი ყურადღებით მოისმინონ, დასაბუქდად გადაეცა კონგრესის სარედაქციო კომისიას.

1897 წლის აგვისტოში ორიენტალისტთა კონგრესზე პარიზში ალ. ხახანაშვილი გამოვიდა მოხსენებით აღმოსავლეთისა და საბერძნეთის სექციაზე. ამის შესახებ იგი წერდა: „... ქართული მწერლობის შესახებ არანაკლები რიცხვი მოხსენებისა შეიძლება წაკითხულ იქნას კონგრესზე, თუ დაესწრებიან მცოდნენი ჩვენის ენისა და ლიტერატურისა, სასურველია, რომ შემდეგში მაინც ქართველმა მეცნიერებმა მიაქციონ ყურადღება ორიენტალისტების კონგრესს და მიიღონ მონაწილეობა იმათს სჯა-ბაასში“¹⁶.

ალ. ხახანაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, აგრეთვე, „კაზმული სიტყვიერების ნაშთების“ მნიშვნელობას ერის ისტორიული წარსულის შესწავლაში. მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა წერილობითი ძეგლების შესწავლა-გამოკვლევა და მათი გამოცემა. „ამგვარი ნაშთები კი, — წერდა ალ. ხახანაშვილი, — არანაკლებ მემატრიანის მოთხრობისა, ნათელსა ჰფენენ ერის წარსულს. პოეზიის ნაშთი იგივე მატრიანეა ახლა ჩვენთვის; იმაში გამოიხატება ერის შეხედულება, გულის წა-

¹⁵ „კვალი“, № 31, 1900, გვ. 488.

¹⁶ გაზ. „ივერია“, 1897, № 19.

დილი და იდეალი. ერთის მხრივ აპოკრიფული ლიტერატურა, ნათარგმნი ანუ ორიგინალური, მეორეს მხრივ კაზმული სიტყვიერება ჩაგვახედებს ერის გულში და გაგვითვალისწინებს მის სულიერს ავლა-დიდებას.

ამ ორ წყაროზე დამყარდება ჩვენი კულტურის შესწავლა, ნათელ-მოფენილი არქიტექტურის, მხატვრობის და სხვა ხელოვნებითი ნაშთების გამოკვლევით¹⁷. ალ. ხახანაშვილს დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული წერილობითი ძეგლების შესწავლის, გამოკვლევის, გამოცემისა და დაცვის საქმეშიც. იმავე დროს იგი მოუხმობდა ქართველ საზოგადოებას აეგოთ მუზეუმი ეროვნული კულტურის მემკვიდრეობის დასაცავად. „ამგვარი მუზეუმის აგებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა ერმა, — წერდა ალ. ხახანაშვილი, — რადგანაც იგი იქნება საუნჯე ნაშთთა, რომელნიც მოწმობენ წარსულს, გვიღვიძებენ მომავალს იმედს და აწმყოში იქნება ჩვენი გამამხნეველები და უცხოთათვის პატივსადები დაწესებულება. ეს დღესასწაული იქნება მშვიდობიანი, წყნარი და კულტურისანი ნიშნებით აღნიშნული“¹⁸.



მაშინდელი რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში მომუშავე მცირერიცხოვან ქართველ მეცნიერთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა ალექსანდრე ხახანაშვილს. ქართველი ხალხის წინაშე დიდ, საერთო დამსახურებასთან ერთად, ალექსანდრე ხახანაშვილს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის რუსეთის მოწინავე მეცნიერული და კულტურული მემკვიდრეობის ცხოველყოფელი იდეების ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის საქმეში. მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენდა ხალხთა თანამეგობრობისა და სიყვარულის იდეით გამსჭვალულობა. ალექსანდრე ხახანაშვილის ხანმოკლე მოღვაწეობის დამახასიათებელ ნიშანს შეადგენდა სწორედ ის, რომ მას ღრმად სწამდა რუსეთისა და საქართველოს ხალხთა თანამეგობრობის ისტორიული აუცილებლობა, სწორედ ესმოდა ამ თანამეგობრობისა და ისტორიული განვითარების პროგრესული მნიშვნელობა. ამის ნათელი დადასტურებაა მთელი მისი საზოგადოებრივი და მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობა. თუ გავეცნობით საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავთან დაკავშირებით ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ გამოქვეყნებულ წე-

¹⁷ იხ. „ევალი“, 1893, № 20, გვ. 15—16.

¹⁸ იხ. იქვე, 1898, № 4, გვ. 668.

ჩილებს რუსულ და ქართულ პრესაში¹⁹, ეს ჩვენთვის უფრო ნათელი გახდება.

რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის ისტორიული თანამეგობრობა შორეული ისტორიული წარსულიდან მომდინარეობს. „იგი ჩაისახა იმ შორეულ წლებში, როცა რუსი ხალხი აერთიანებდა და რაზმავდა ჩვენს სამშობლოში მოსახლე ყველა ხალხს, რათა წინააღმდეგობა გაეწია უცხოელი დამპყრობლებისათვის, რომლებსაც თვალი ეჭირათ ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენს აურაცხელ ბუნებრივ სიმდიდრეზე. ეს მეგობრობა ვითარდებოდა იმ პერიოდში, როცა რუსეთის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სხვა ეროვნებათა მუშებს რაზმავდა მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“ („პრავდის“ 1953 წ. 9 დეკემბრის მოწინავე). ამის მაგალითები მრავალი მოგვეპოვება. საუკუნეების განმავლობაში ამან თავისი ასახვა პპოვა, აგრეთვე, წერილობით წყაროებში: კულტურისა და მეცნიერების მოწინავე მოღვაწეთა საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 1898 წელს რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობის მიერ გამართული კლიმენტი არკადის ძე ტიმირიაზევის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. რუსული მეცნიერების ამ ზეიმში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, მოსკოვში მოსწავლე ორმოცდაათმა ქართველმა სტუდენტმა, ახალგაზრდა ისტორიკოსისა და უკვე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ალ. ხახანაშვილის ხელმძღვანელობით. გამოჩენილ რუს მეცნიერს მათ მიმართეს ხვერდგადაკრულ ყდაში ჩასმული მისასალმებელი ადრესით²⁰.

ეს ადრესი უაღრესად საყურადღებო დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს, რომ, მიუხედავად ცარიზმის შევზნელი ეპოქისა, ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა არსებობდა რუსი ხალხისა და ქარ-

¹⁹ იხ. «Курьер», 1901, № 20; «Россия», 1901, № 355; «Русская мысль», 1901, № 1; «Вестник европы», 1901, № 1; «Кавказский Вестник», 1901, X, «Рус. Вед.», 1901, № 272; 1901, № 18; «Русское слово», 1901, № 251, „ივერია“, 1901, № 228 და სხვ.

²⁰ დაცულია მოსკოვის კ. ტიმირიაზევის მემორიალური სახლ-მუზეუმის არქივში (გრანოვსკის ქ. № 21). ადრესის ტექსტის შავი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ალ. ხახანაშვილის არქივში. ამის შესახებ იხ. ჩემი შრომა „რუს და ქართველ მეცნიერთა ურთიერთობიდან (კლ. ტიმირიაზევი და ალ. ხახანაშვილი)“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVII, № 6, 1957. გვ. 759—766. ეს შრომა 1954 წელს წაიკითხულ იქნა საქ. სახ. მუზეუმის II სამეცნიერო სესიაზე, იხ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1954, გვ. 5, 23—24, 39—40.

თველი ხალხის ახალგაზრდობის მოწინავე წარმომადგენელთა შორის. პროგრესული ძალები ერთა შორის ყოველთვის ნერგავდა ხალხთა თანამეგობრობის საუკეთესო მისწრაფებებსა და საყვარულს.

მოწინავე რუსული მეცნიერების მიღწევები დიდად სასიხარულო იყო ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობისათვის. ისინი მით საზრდოობდნენ, სწავლობდნენ, მეცნიერების ცოდნით იარაღდებოდნენ და ემზადებოდნენ სამშობლოსა და ხალხთა კეთილდღეობისათვის საბრძოლველად.

სახელოვანი რუსი მეცნიერისა და მოაზროვნის კ. ტიმირიაზევი-სადმი 1898 წელს გაგზავნილ ადრესში ქართველი სტუდენტები მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის მისწრაფებასა და სურვილს გამოხატავდნენ, როდესაც წერდნენ: „გესალმებით რა თქვენ ამ ჩვენთვის უაღრესად სახსოვარ დღეს, ჩვენ ამასთანავე ვდღესასწაულობთ რუსული მეცნიერების ზეიმს. ლომონოსოვის წინასწარმეტყველება: „...და შეუძლიან საკუთარი პლატონები და გონებით სწრაფი ნექტონები რუსეთის მიწა-წყალმა წარმოშოს“, საუკეთესოდ ასრულებდა ახლაც. ვის შეუძლიან ესე ძალუმად აიძულოს პატივი სცენ რუსეთის სახელს აზროვნების, მეცნიერების და ჰუმანურობის სფეროში, თუ არა თქვენ, ჭეშმარიტი ცოდნის საუკეთესო წარმომადგენელსა თქვენ მიგყავთ რუსეთის სამეცნიერო აზროვნება უაღრესად ბუნებრივად და წარმატებით ზუსტი ცოდნის გზით. თქვენ მეცნიერების სფეროში მოუხვეჭეთ რუსეთის სახელს მტკიცე დიდება სამშობლოს ფარგლების დაშორებითაც. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს დღევანდელი დღესასწაული განვიხილოთ, აგრეთვე როგორც რუსეთის მეცნიერების დღესასწაულიც. და თუ დღევანდელი დღე თქვეთვის სანუკვარი და სასიამოვნოა, ჩვენთვისაც იგი ძვირფასი და სახსოვარია.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ძალგვიძს დღევანდელი დღის, როგორც მეცნიერების დღესასწაულის, შეფასება. ჩვენთვის საკმარისია ვიცოდეთ, რომ თქვენი გამოკვლევები დგას მეცნიერების უძვირფასეს მონაპოვრების მწკრივში და მიღებული არიან ევროპისა და ამერიკის მეცნიერებათა მიერ. კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩვენგან სალამი, მილოცვა და გულწრფელი მადლობა, ღრმადპატივცემულ კლიმენტი არკადის ძევ. სულით და გულით გისურვებთ თქვენ შრავალ და შრავალ წელს სიცოცხლეს მეცნიერების, სამშობლოს და ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი ალ. ხახანაშვილი
და ქართველი სტუდენტები“.

ამ უაღრესად საგულისხმო დოკუმენტზე, ალექსანდრე ხახანაშვილის გარდა, ქართველი სტუდენტებიდან ხელს აწერდნენ შემდეგში

ცნობილი მოღვაწენი: კომპოზიტორი, აკადემიკოსი დიმიტრი არაყი-
შვილი, ივანე გომართელი, აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი და
სხვ.

ასეთი იყო ქვეშარიტი სიყვარული და თანამეგობრობა იმ დროის
ქართველი ახალგაზრდობისა რუსი ხალხის მეცნიერების საუკეთესო
წარმომადგენლებისადმი, რომლებიც მთელ თავის სიცოცხლეს მშობ-
ლიური ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას ახმარდნენ.

ამ დროს უკვე ცნობილი ქართველი ახალგაზრდა ისტორიკოსი
ა.ლ. ხახანაშვილი, რომელიც აღიზარდა მოსკოვის უნივერსიტეტში,
მოწინავე რუსული მეცნიერებისა და კულტურის მდიდარ მემკვიდრე-
ობაზე, ახლად იყო გამოსული სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპა-
რეზზე. იგი მუშაობდა პროგრესულად მოაზროვნე რუს მეცნიერთა
შორის, მათ წრეში ტრიალებდა და მათთან ყოველთვის ახლო იდებურ,
საზოგადოებრივ და მეცნიერულ ურთიერთობაში იმყოფებოდა. ამის
ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს მეორე საგულისხმო დოკუმენ-
ტი პატივისცემელთაგან, 1898 წლის აპრილში გაგზავნილი ადრესი
გამოჩენილი მეცნიერის კ. ტიმირიაზევისადმი²¹.

რუსეთის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთა შორის,
რომლებმაც კ. ტიმირიაზევის ეს ადრესი მიართვეს, ალ. ხახანაშვილიც
იმყოფებოდა და დამსახურებული პატივისცემითაც სარგებლობდა. იგი
იმავე დროს სათავეში ედგა მოსკოვში სასწავლებლად თავმოყრილ
ქართველ ახალგაზრდობას და მათში ნერგავდა რუსეთის გამოჩენილი
მოაზროვნეების დემოკრატიულ-რევოლუციურ იდეებს, ხელს უწყობ-
და მათ სწავლასა და აღზრდას, ანვითარებდა ყოველივე პროგრესულ
საზოგადოებრივ მოვლენას მშობლიური კულტურის აღორძინებისა-
თვის ბრძოლაში. ამისათვის საკმარისია დავასახელოთ, რომ იგი საპა-
ტიო თავმჯდომარე იყო მოსკოვში არსებული „ქართველ სტუდენტთა
სათვისტომოსი“, სადაც მუშავებოდა რიგი საკითხებისა ქართული
კულტურის ისტორიიდან.

მოსკოვში თავმოყრილი ქართველი სტუდენტობის ნამდვილი გზის
მაჩვენებელი და ხელმძღვანელი ალექსანდრე ხახანაშვილი იყო. აქე-
დან გასაგები ხდება, რომ შემთხვევითი არ არის, როცა ტიმირიაზევი-
სადმი გაგზავნილ ადრესზე ეწერა — „ორმოცდაათი ქართველი სტუ-
დენტისაგან“ და ბოლოში, ალექსანდრე ხახანაშვილის ხელმოწერის
შემდეგ, მისდევდა სტუდენტთა ხელმოწერა. მოსკოვის ქართველი

21 დაცულია მოსკოვის კ. ტიმირიაზევის მემორიალური სახლ-მუზეუმის არქივში.

სტუდენტების საქმიანობა და მოქმედება ალ. ხახანაშვილის საერთო ხელმძღვანელობით ყოველთვის ერთობლივი იყო, როცა ისინი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს ეხმაურებოდნენ; ამ საპატიო მოვალეობის შესრულებისას ისინი ყოველთვის ძმურ დახმარებასა და მხარდაჭერას ღებულობდნენ რუსი ხალხის გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებისაგან.

კერძოდ, დიდი რუსი მეცნიერი კ. ტიმირიაზევი მაშინდელ რუსეთში სხვადასხვა ადგილზე სასწავლებლად თუ სამუშაოდ თავმოყრილ ქართველ ახალგაზრდობასთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა, სწავლა-ცოდნის შეძენაში ეხმარებოდა და ხშირად მატერიალურადაც ძმურ ხელს უწყვდიდა. ამისი უტყუარი დოკუმენტია 1897 წლის 23 ნოემბერს მოსკოვში, „რუსეთის კეთილშობილთა საზოგადოებაში,“ ღარიბ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ გამართული ქართული საღამოს პროგრამა (დაბეჭდილი მწვანე ფერის აბრეშუმის ტილოზე), რომელიც მისაწვევ ბარათთან ერთად კ. ტიმირიაზევისათვის მიუერთმევიათ²².

თვით საღამოს მოწყობა-ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ რუსეთის საუკეთესო ძალებს. მუსიკალურ ნაწილს ხელმძღვანელობდა ცნობილი კომპოზიტორი ა. კოროშჩენკო.

ნაციონალურ კოსტუმებში მორთული გუნდი ჟ. ავრანეკის ხელმძღვანელობით ასრულებდა ქართულ სიმღერებს, რომლებიც ადგილობრივ ჩაწერილი იყო ა. კოროშჩენკოს მიერ.

პროგრამასთან ერთად, კ. ტიმირიაზევისადმი გაგზავნილი არის ღარიბ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ გამართული იმავე საღამოს მისაწვევი საპატიო ბილეთი.

ასეთივე მისაწვევი სამი საპატიო ბილეთი დიდი მეცნიერისადმი გაუგზავნიათ სხვადასხვა დროს — 1897 წლის 22 თებერვალს, 1898 წლის 15 ნოემბერს, 1899 წლის 21 ნოემბერს²³.

ამრიგად, ყველასათვის ნათელია, რომ დიდი მეცნიერი კ. ტიმირიაზევი ყოველთვის გულისხმიერი თანაგრძნობით ეკიდებოდა აგრეთვე ქართველ ღარიბ სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც.

რასაკვირველია, კ. ტიმირიაზევისათვის უცხო იყო ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებში ჩაქეტვა. დიდი მეცნიერი და მოაზროვნე იმავე

²² დაცულია მოსკოვის კ. ტიმირიაზევის მემორიალური სახლ-მუზეუმის არქივში.

²³ იხახება იქვე.

დროს დიდი ჰუმანისტიც იყო. მას რუს ხალხთან ერთად თანასწორი სიყვარულით უყვარდა პატარა ერების პროგრესული ძალები და ხელს უწყობდა მათ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

ამითაც აიხსნება დიდი მეცნიერისადმი უზომო სიყვარული, თანამეგობრობა და თაყვანისცემა ალ. ხახანაშვილისა და მაშინდელი ქართველი მოწინავე სტუდენტობისა.

ჯერ კიდევ 1901 წელს, აკადემიკოსი ნ. დერჟავინი აღნიშნავდა ალ. ხახანაშვილის დიდ დამსახურებას რუსული საზოგადოების ფართო წრეებისათვის საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობისა და დაახლოების საქმეში²⁴.

რუსეთის მოწინავე საზოგადო მოღვაწეებთან და მეცნიერთა წრესთან მჭიდრო საზოგადოებრივ-მეცნიერული და მეგობრული ურთიერთობით ალ. ხახანაშვილმა შესძლო მაქსიმალური ნაყოფიერებით ემუშავა მშობლიური ხალხის კულტურის განვითარებისა და აღორძინებისათვის.

მიუხედავად მეცნიერული კვლევა-ძიების სხვადასხვა დარგისა, კლიმენტი არკადის ძე ტიმირიაზევი და ალ. ხახანაშვილი ერთმანეთისადმი ღრმა პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი, რადგან მათ ორივეს აკავშირებდა მშობლიური ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა და სიყვარული.

რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის ძმური ისტორიული მეგობრობის, ურთიერთობისა და სიყვარულის გამომხატველია ის მრავლისმეტყველი დოკუმენტები, რომელიც დღეს დაცულია დიდი მეცნიერისა და მოაზროვნის კლიმენტი არკადის ძე ტიმირიაზევის პირად არქივში. ამ დოკუმენტების საშუალებით უფრო ნათლად მოჩანს ალ. ხახანაშვილის კეთილშობილური გული, რომელიც ყოველთვის დიდი მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით იყო აღსავსე რუსი ხალხის მიმართ:

დღეს, როდესაც ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ძმურ ოჯახში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქმნის ფორმით ეროვნულსა და შინაარსით სოციალისტურ კულტურას, ხალხთა მეგობრობის ამსახველ ბრწყინვალე ფურცლებს წარსული ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ.

²⁴ იხ. ЭО, 1901, № 3 (кн. 50), стр. 139—143.

აღ. ხახანაშვილის მეცნიერული და საზოგადოებრივი ღვაწლი ფასდაუდებელია სამშობლოს წინაშე. იგი ეუთვნოდა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა თაობას და მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლას.

მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი მესვეურები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე წულუკიძე და სხვები დიდ შეფასებას აძლევდნენ აღ. ხახანაშვილის უანგარო მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი სახით მათ ჰყავდათ საიმედო მეცნიერული ძალა და დიდი მოსიყვარულე ადამიანი, მოქალაქე, რომელსაც ყოველთვის შესტიოდა გული სამშობლო ჭეყვნის კეთილდღეობისა და მისი თავისუფლებისათვის.

აღ. ხახანაშვილი სრულიადაც არ იყო ვიწრო მეცნიერულ კაბინეტში ჩაკეტილი მოღვაწე. ის ფართო კულტურულ-მეცნიერულ მუშაობას სრულიად თავისუფლად უფარდებდა ხალხისათვის სასარგებლო საზოგადოებრივი შრომისა და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს. სწორედ ამით აიხსნებოდა ის დიდი დაფასება, ავტორიტეტი და სიყვარული, რომლითაც იგი სარგებლობდა ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენელთა შორის.

აღ. ხახანაშვილი, როგორც პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ამასთანავე იგი ქართველი მშრომელი ხალხის სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას ყოველთვის თანაგრძნობით ეხმაურებოდა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ საქართველოში 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის შესახებ აღ. ხახანაშვილის წერილი — „მტერი და მოყვარე თანამედროვე მოძრაობისა“²⁵.

„როდესაც შორიდგან გაითვალისწინებთ იმ დიადს მოძრაობას, — წერდა იგი, — რომელიც ახლა გამეფებულია საქართველოში, გაგონდებათ შორსმჭვრეტელ პოეტის სიტყვები: ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს.

მართლაც ასეთი ძლიერი მაჯისცემა, შეგნებული თავის გამოდება და შეუდრეკელი ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად ხდის ჩვენს ხალხს სამაგალითო ურად“. ავტორი აღფრთოვანებულია იმით, რომ

²⁵ იხ. „ივერია“, 1906, № 25.

საქართველოს ერი მოწინავე რაზმია განმათავისუფლებელ მოძრაობაში“ და რომ „იგი იბრძვის საერთო კეთილდღეობის დასამყარებლად და შორს არის გამოაცალკევოს თავისი ინტერესი რუსეთის საუკეთესო დასის მოთხოვნილებათა წრიდან“. ალ ხახანაშვილს ღრმად სწამს, რომ დაჩაგრული ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ უნდა სწარმოებდეს რუსეთის მშრომელი ხალხის ბრძოლასთან ერთად, ერთობლივი მოქმედების საფუძველზე.

„დაჩაგრული ხალხის ერთმა მცირედმა ჯგუფმა გაბედა შებრძოლებოდა შეიარაღებულ და შეუწყნარებელ ადმინისტრაციას და არაერთხელ გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლის ველიდან“.

თავისუფლებისათვის ბრძოლა მოედო თითქმის მთელ საქართველოს და მისი შეჩერება შეუძლებელია. „რამდენიც უნდა. ისინი ჩვენმა მემამულეებმა, მაინც ვიტყვი, რომ თავისი შეუპოვარი აღფრთოვანებით ქართველმა ერმა დაუმტკიცა ქვეყანას, როგორც თავისი სწრაფი გამოღვიძება, აგრეთვე კულტურული მომზადება ახალი საკაცობრიო იდეალის შესათვისებლად“. აღსანიშნავია წერილის მკაცრი, პროტესტანტული ხმა იმათ წინააღმდეგ, ვინც მოინდომა მოძრაობის წინ გადადგომა და მისი შეფერხება. ალ. ხახანაშვილს სჯერა ქართველი ხალხის თავისუფალი მომავალი, სჯერა, რომ „ცხოვრების ხარხის შეჩერებას ან უკან დატრიალებას“ ვერავენ შესძლებს და ვინც მოინდომებს, ის განწირულია დასაღუპად, „შეუჩერებელი ბორბალი ჩაათრევს მათ ჩანჩქარში და გადასცემს შორევს ჩასანთქმელად!“

ალ. ხახანაშვილი დარწმუნებულია, რომ „მომავალი საზოგადოებრივი სიმატლის და თანასწორობის დამყარება“ გარდაუვალია. „გამარჯვებული ის დარჩება, ვინც ერის გულისცემას თანაუგრძნობს და მასთან ერთად აფრიალებს წითელ ღროშას“.

რევოლუციური მოძრაობის პერიოდშიც ალ. ხახანაშვილი პროგრესულ მოღვაწეთა შორის მოწინავე იყო. იგი ყოველთვის ხალხის მხარეზე იყო და მისი თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის იღვწოდა.



გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდა ალ. ხახანაშვილს, ყოველთვის განსაკუთრებული მზრუნველობითა და სიყვარულით ეკიდებოდა მას. ერთ პირად წერილში იაკობ გოგებაშვილი სწერდა მას: „ვერა ჰქენით

კარგი საქმე, რომ ზაფხულში ბორჯომს არ ეწვიეთ ერთი-ორი კვირით. თქვენს სიმრთელეზე იქაური ჰაერი უეჭველად კარგა გავლენას იქონიებდა, და ამას გარდა, ერთად განვიხილავდით რამდენსამე საპასუხისმგებლო სტატიას, რომელიც მე დავსწერე ბორჯომში. როცა ლოდინი არ ამისრულდა, გორში ჩამოვედი, უნდა მენახევით, მაგრამ სოფლად წასულიყავით სწორედ იმ დღესა.

...ჩვენ ყველას გვაშინებს ის გარემოება, რომ მეტად ბევრსა სწერთ, ძლიერ ბევრსა შრომობთ და ვაი თუ თქვენმა სხეულმა ვერ აიტანოს ამდენი ჯაფა. თვითონ ზაფხულიც უდიერად გაატარეთ. სულ დაუდგომელს მდგომარეობაში იყავით. მყუდროება და დასვენება არც ზაფხულში ირგუნეთ და ზამთარში ხომ განუწყვეტელს ჯაფაში იქნებით. ღმერთმა ჰქმნას, რომ უვნებლად აიტანოთ მაგოდენა შრომა²⁶.

აღ. ხახანაშვილის მეცნიერულ მოღვაწეობას დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა, აგრეთვე, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ალექსანდრე წულუკიძე. მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა აღ. ხახანაშვილთან და ყოველთვის ანგარიშს უწევდა მის ცოდნას, გამოცდილებას, რჩევასა და აზრს ქართული კულტურის საქმიანობაში.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში აღ. წულუკიძე პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა ფართო ლიტერატურულ მუშაობასაც. ამავე დროს, მას ახლო ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა ქართული კულტურის დარგში მომუშავე პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეებთან.

ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა აღ. წულუკიძე სათანადო ცოდნის შესაძენად 1897 წლის შემოდგომაზე სამშობლოდან მოსკოვს გაემგზავრა. მან იქ 1899 წლის ზაფხულამდე დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში იგი დაუახლოვდა მოსკოვში არსებულ „ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში“ გაერთიანებულ ახალგაზრდობას. აღ. წულუკიძე კარგად გაეცნო მოსკოვშივე მომუშავე ქართული კულტურის ცნობილ მკვლევარს ალექსანდრე ხახანაშვილს, რომელთანაც საქმიანი, ლიტერატურული კავშირი დაამყარა.

აღ. წულუკიძემ თავისი ლიტერატურული შრომა — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ პირველად მოსკოვში, აღ. ხახანაშვილის ხელმძღვანელობით „ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში“ გაერთიანებულ ახალგაზრდობის წრის სხდომაზე, 1898 წლის შემოდგომაზე წაიკითხა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს შრომა იმავე წლის ოქტომბერ-ნოემბრის „კვალში“ დაიბეჭდა.

²⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტის აღ. ხახანაშვილის ფონდი.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ალ. წულუკიძე 1900 წლის პირველ ნახევარამდე თბილისში ცხოვრობდა. ამ დროის განმავლობაში ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგისა და საზოგადო მოღვაწის მარიაშვილ დემურიას ინიციატივით შეიქმნა მოწინავე ქართველ ქალთა წრე საბავშვო წიგნების გამოსაცემად და გასაავრცელებლად. ქალების ამ ინიციატივას ალ. წულუკიძე დიდი თანაგრძნობით შეხვედრია და მათ საქმიანობაში სათანადო მონაწილეობაც მიუღია.

ამის გამო, 1900 წლის 4 იანვარს, ალ. წულუკიძეს, როგორც დაახლოებულ პირს, დახმარებისათვის წერილით მიუმართავს პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილსათვის. ამ წერილში ალ. წულუკიძე წერდა: „ბატონო ალექსანდრე! თბილისის რამოდენიმე მასწავლებელმა ქალმა განიზრახა საბავშვო წიგნების გამოცემა. შეადგინა წრე აქაური ინტელიგენტებისაგან, მოიპოვა მცირეოდენი მატერიალური ღონე და საქმეს განახორციელებს ახლო მომავალში, თუ თქვენი უურადლებაც მოიპოვა. მე დამაველეს შემდეგის თხოვნით მომემართა თქვენთვის: თქვენ გქონიათ შეკრებილი ბევრი ქართული ზღაპრები. რადგან ამ წრემ გადასწყვიტა ზღაპრების გამოცემით დაიწყოს თავისი მოქმედება, ამიტომ მოგმართათ თქვენ და გთხოვათ, მოგვაწვდინოთ თქვენ მიერ შეკრებილი ზღაპრები და თან ნებაც დაგვართოთ ბავშვებისათვის საყურადღებო ზღაპრები ამოვარჩიოთ და გამოვცეთ. თუ თქვენი სურვილი იქნება გამოვაცხადებთ, რომ ეს ზღაპრები თქვენ მიერ შეკრებილია. დარწმუნებული ვართ, როგორც ყოველთვის, ამ კვიცილს საქმეს ხელს მოუმართავთ და ამ მოკლე ხანში გამოგვიგზავნით, წინააღმდეგ შემთხვევაში იმედია გვაცნობებთ მაინც, რომ ეს თქვენთვის შეუძლებელია და ჩვენც რაზე სხვა ღონეს ვიხმართ, თუმცა ჩვენთვის ეს ძლიერ გასაჭირი იქნება, რადგან ორიგინალური ჩვენში ძნელი მოსაპოვებელია, მხოლოდ თარგმანებით გამოცემის დაწყება კი არ არის სასურველი. საჭიროდ ვსცნობთ, აგრეთვე, გაცნობთ, რომ ზღაპრები გამოცემული იქნება სურათებით. ჩვენი აზრია, სურათები რაც შეიძლება კარგი შესრულებული იქნეს და საზოგადოათ წიგნი გარეგნობით იზიდავდეს ბავშვის და საზოგადოათ ყველას უურადლებას. შეიძლება, შეუძლებლობის გამო ეს ზღაპრები ნაწილ-ნაწილად გამოვცეთ, რომ მცირე ფასი დავადვათ თვითონ წიგნაკს და მით ადვილ მისაწვდომი გავხადოთ ყველასათვის.

საზოგადოათ, გთხოვთ, თქვენი რჩევა და აზრი ხშირ-ხშირად მოგვაწვდინოთ და ცოდნით და გამოცდილებით ხელი შეუწყოთ ამ ახალს, მაგრამ სასარგებლო ქართულ საქმეს“²⁷.

²⁷ იხ. უფრ. „დროშა“, 1952, № 6. — ალექსანდრე წულუკიძის მიწერ-მოწერა ალ. ხახანაშვილთან. შ. გოზალიშვილის პუბლიკაციით.

აღ. წულუკიძის ამ წერილის შემდეგ. იმავე წლის 20 ოქტომბრის თარიღით, აღნიშნული საქმის გამო თვით მარიამ დემურისაც წერილით მიუმართავს აღ. ხახანაშვილისათვის:

„ძვირფასო ძმავო საშა!

გულით მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტშიაც ქართული ენის ლექციებს კითხულობთ. ღმერთმა გაგიმარჯოს და ხელი მოგიმართოთ, აგატანიოთ ამდენი შრომა.

აქ ჩვენ ვითომ რალაცეებს ვფუსფუსობთ, საბავშვო წიგნაკების გამოცემას ვაპირობთ და პირველათ ხალხური ზღაპრების გამოცემა გვინდა. ყველა ჩვენმა წრის მონაწილემ გულით გთხოვა გვიჩიოთ, საიდან ამოვარჩიოთ? თურმე თქვენა გქონიათ ხალხური ზღაპრები. გენაცვა, ვიცი, ერთი წამი თავისუფალი არა გაქვთ. მაგრამ მაინც გთხოვთ ამ საქმეში დაგვეხმაროთ“.

აღნიშნულ მოწინავე ქართველ ქალთა წრის მიერ აღ. ხახანაშვილის დახმარებითა და ხელის შეწყობით ჩატარებული მუშაობის შედეგად, მართლაც, 1902 წელს გამოვიდა ქართული ზღაპრების პირველი, ხოლო 1904 წელს მეორე წიგნი.

ქართული ზღაპრების მეორე წიგნის შესახებ გაზ. „ივერია“ (№ 285) 1904 წლის 14 დეკემბერს კმაყოფილებით იუწყებოდა: ეს ისეთი წიგნია, რომ ყოველ შეძლებულ ქართულ ოჯახს მუდამ მაგიდაზე უნდა ედოს, თუ მცირეოდენი სიყვარული მაინც შერჩენია თავისი მშობლისა და აღმზრდელის ერისათ. „ივერია“ ბოლოს დასძენდა, რომ ქართველ ქალთა გუნდმა საუცხოო ნობათი მიართვა საახალწლოდ ქართველ საზოგადოებასო.

* * *

ალექსანდრე ხახანაშვილი სათავეში ედგა მოსკოვში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას. იგი ხელს უწყობდა მათ სწავლასა და აღზრდას, ანვითარებდა მათში ყოველივე პროგრესულს მშობლიური კულტურის აღორძინებისათვის.

შესაძლებლობა რომ ჰქონოდა მაქსიმალური ნაყოფიერებით ემუშავა და ხელი შეეწყო მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის განვითარებისათვის, აღ. ხახანაშვილმა მიზნად დაისახა მოსკოვში დაეარსებინა ორთვიური ქართული ჟურნალი „განთიადი“. ამ მიზნით, აღ. ხახანაშვილმა 1891 წლის 21 დეკემბერს, პეტერბურგში ბექდვითი საქმის მთავარ სამმართველოს თხოვნით მიმართა. თხოვნას თან დაურთო საბუთები: განცხადება ჟურნალის გამოცემის პასუხისმგებ-

ლობის თავისთავზე აღების შესახებ და მის მიერ მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების ატესტატის პირი (იხ. ლენინგრადის ცენტ. სახ. ისტ. არქივი, ფონდი № 776, საქმე № 725, ფურც. 1—5).

აღ. ხახანაშვილი ბექდვითი საქმის მთავარ სამმართველოს საშუალებით ითხოვდა შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვას ლიტერატურულ-მეცნიერული ქართული ჟურნალის „განთიადის“ გამოცემისათვის. ამ გამოცემით იგი ფიქრობდა გაეშუქებინა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხები.

მოსკოვში ქართული ჟურნალის „განთიადის“ გამოცემისათვის სამზადისს დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ საქართველოში. ილია ჭავჭავაძის ვაზ. „ივერია“ 1892 წლის 10 იანვარს „ახალ ამბავში“ საზოგადოებას სიამოვნებით ატყობინებდა: „ბექდვის საქმეთა მთავარ სამმართველოს, როგორც ნამდვილად შევიტყუეთ, წარუდგენიათ ქალღი და უთხოვნიათ ახალის ქართულის ჟურნალის ბექდვის ნებართვა. ჟურნალი ორს თვეში ერთხელ გამოვა მოსკოვში და სახელად ერქმევა „განთიადი“.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 1892 წლის 9 იანვრის დადგენილებით (№ 159), შეუძლებლად ცნო მოსკოვში ქართულ ენაზე ლიტერატურულ-მეცნიერული ჟურნალი „განთიადის“ გამოცემა. უარის მიზეზად აღნიშნულია, რომ ბექდვითი საქმის მთავარ სამმართველოს, მოსკოვში ქართული ენის მცოდნე მოხელის უყოლობის გამო, საშუალება არ ჰქონდა ჟურნალის ცენზორობა გაეწია.

ცხადია, უარის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ აღ. ხახანაშვილის კეთილშობილური მისწრაფება — მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის ასაღორძინებლად პროგრესული იდეებით აღჭურვილი ქართული ჟურნალის მოსკოვში დაარსება, სრულიადაც არ შეესაბამებოდა ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას.

1892 წლის 18 იანვარს, ბექდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს კანცელარიამ, უფროსის განკარგულებით, მოსკოვში აღ. ხახანაშვილს ოფიციალურად აცნობა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა და უარი ეთქვა მოსკოვში ქართულ ენაზე ჟურნალ „განთიადის“ გამოცემის ნებართვაზე.

ეს არასასიამოვნო გარემოება მაშინვე ცნობილი გახდა მოწინავე ქართველი საზოგადოებისათვის. გრ. დიასამიძე, 1892 წლის 6 თებერვალს ოდესიდან აკაკი წერეთელთან გაგზავნილ წერილში ნაღვლიანად წერდა: „...კავკასიიდან არაფერი ახალი ისმის. ერთი სამწუწარო ამბავი გვაცნობეს ჩვენმა მოსკოველმა ამხანაგებმა, სახელდობრ ისა, რომ მათ ჟურნალ „განთიადის“ გამოცემის ნებართვა არ მოსვ-

ლიათ. რა საშინელ მდგომარეობაშია ჩვენი ჟურნალ-გაზეთების საქმე! როდის ვეღირსებით ერთ საუკეთესო ან ჟურნალს ან გაზეთს, სადაც ჩვენ გონებით ლატაკს საზოგადოებას შეეძლოს „Живая вода“-ს ნახვა. ჩვენს საზოგადოებას, ხომ თქვენ იცით, ეს საარაკო „Живая вода“, მეტადრე ეხლა, ძლიერ სჭირია. თქვენ რას ფიქრობთ?..“ (წერილი იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკი წერეთლის ფონდში, № 345).

იმავე წლის 25 თებერვალს გაზეთი „ივერიაც“ საზოგადოებას ამ ამბავს აუწყებდა: „ჩვენ შევიტყვეთ. რომ ბ-ნ ალ. ხახანაშვილისათვის, რომელსაც ქართულის ჟურნალის ბეჭდვა უნდოდა მოსკოვში, ბეჭდვის საქმეთა მთავარ სამმართველოს უარი უთქვამს და ჟურნალის ბეჭდვის ნება არ მიუციათ“ (1892 წ. № 42).

ამრიგად. ცარიზმის ბატონობის შავბნელ პერიოდში. როგორც მოსალოდნელი იყო, ალ. ხახანაშვილის მიერ მოსკოვში ლიტერატურულ-მეცნიერული ქართული ჟურნალის დაარსების პირველი ცდა მარცხით დამთავრდა. ამ გარემოებას შესახებ ალ. ხახანაშვილს არაერთხელ გამოუთქვამს გულისტკივილი წერილობით თუ სიტყვიერად თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე.

საზოგადოებისათვის ეს დღემდე უცნობი მასალები ნათელს პტენს და საჭირო ცნობებით ავსებს მეფისდროინდელი ქართული პრესის ისტორიას.

* * *

ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის პირადი საარქივო ფონდი²⁸, რომელიც მნიშვნელოვან მასალას შეიცავს, დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. აქ არის ბიოგრაფიული მასალები ალექსანდრე ხახანაშვილის შესახებ; მეცნიერის შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი მასალები, მათ შორის, ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან; საქართველოს ისტორიის წყაროების მიმოხილვა; მასალები და ლექციები საქართველოს ისტორიიდან, მათ შორის, საგვარეულო წყობის შესახებ ძველ საქართველოში და არეულობათა შესახებ კავკასიაში მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში; ლექციები და მასალები ქარ-

²⁸ ალ. ხახანაშვილის პირადი არქივი, საკატალოგოდ მოწესრიგებული უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ლილი ქუთათელაძის მიერ, იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფონდი № 6.

თული სამართლის ისტორიიდან და სხვა; ნარკვევები და შენიშვნები არქეოლოგიის, ხალხური შემოქმედებისა და ეთნოგრაფიის შესახებ; ისტორიულ-ლიტერატურული, გეოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ხასიათის მრავალი შენიშვნა, უბის წიგნაკები ჩანაწერებით და ა. შ.

საარქივო ფონდში დაცულია ალექსანდრე ხახანაშვილის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი მასალები; მიმოწერა — სხვადასხვა პირის წერილები ალექსანდრე ხახანაშვილისადმი და მისი წერილები, სხვადასხვა პირისადმი მიწერილი.

აღ. ხახანაშვილისადმი გაგზავნილი წერილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია უცხოეთის და რუსეთის ცნობილი მეცნიერების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების: ჰუგო შუხარდტის, უ. მორფილის, ვსევოლოდ მილერის, ლუბორ ნიდერლეს, ნიკო მარის, არტურ ლაისტის, მარჯორი და ოლივერ უორდროპების, პრასკოვია უვაროვას, ივ. თხორევესკის, ვასილ ველიჩკოსი და სხვათა წერილები.

ქართულ მოღვაწეთა და მწერალთა მიერ აღ. ხახანაშვილისადმი სხვადასხვა დროს გაგზავნილი წერილებიდან მეტად საყურადღებოა ილია ქავკავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო ცხვედაძის, გიორგი წერეთლის, გიორგი საძაგლიშვილის (კირიონის), ვასილ პეტრიაშვილის, ალექსანდრე სუმბათაშვილის (იუყინის), ექვთიმე თაყაიშვილის, იროდიონ ევდოშვილის, დომინიკა განდევილის, მიქელ თამარაშვილის, ლუარსაბ ბოცვაძის, თედო სახოკიას და სხვათა წერილები.

პირად არქივში თავმოყრილი მიმოწერა მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა მე-19 საუკუნის უკანასკნელი პერიოდის ქართული ეროვნული კულტურისა და საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ლიტერატურული და ისტორიული საკითხების გასაშუქებლად.

აქვე თავმოყრილი და დაცულია აღ. ხახანაშვილის მიერ სხვადასხვა დროს მოძიებული მასალები ქართველ მეფეთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ, მწერალთა ფოტოსურათები და სხვ.

აღნიშნული საარქივო მასალებიდან, თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით, განსაკუთრებით აღსანიშნავია აღ. ხახანაშვილის პირადი წერილები რუსეთისა და საქართველოს მეცნიერთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმართ. ამ წერილების ავტოგრაფები დაცულია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გარდა, სამეცნიერო დაწესებულებებსა და არქივსაცავებში. მოსკოვისა და ლენინგრადის სახელმწიფო არქივების სხვადასხვა ფონდში დაცულია: პრასკოვია სერგის ასულ უვაროვასადმი გაგზავნილი 53 წერილი,

ალექსანდრე ივანეს-ძე სუმბათაშვილ-იუჯინისადმი — 6 წერილი, გრიგოლ ილიას ძე [პროცენკოსადმი] — 1 წერილი, პროფ. ვსევოლოდ თედორეს ძე მილერისადმი — 2 წერილი, პროფ. ს. ვენგეროვისადმი — 1 წერილი, ალექსანდრე ივანეს ძე იუშკოვისადმი — 2 წერილი, პროფ. ვლადიმერ ივანეს ძე გერესადმი — 1 წერილი, ბორის ბორისის ძე გლინსკისადმი — 1 წერილი.

საქართველოში არსებულ არქივთსაცავებსა და მუზეუმების ფონდებში ალ. ხახანაშვილის წერილებიდან დაცულია:

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმშია 24 წერილი სხვადასხვა პირისადმი (მოსე ჭანაშვილის, ივანე მაჩაბლის, დავით კარიჭაშვილის, დომინიკა განდეგილის, თედო სახოკიას, ზაქარია ჭიჭინაძისა და ლეონიდესადმი),

საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში — 12 წერილი (მ. ჭანაშვილის, ი. მანსვეტაშვილის, ილია ჭავჭავაძის, დ. კარიჭაშვილის, პ. კვიციანიძის, ნიკო ცხვედაძის, ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისა და ს. ფირცხალავასადმი),

საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმშია ნიკო ცხვედაძისადმი გაგზავნილი 8 წერილი,

ხელნაწერთა ინსტიტუტის სხვადასხვა ფონდებშია წერილები: ექ. თაყაიშვილის, გრ. პაპიტაშვილის, თედო ყორღანიას, გ. წერეთლის, ვ. კარბელაშვილის, გ. თუმანიშვილის, გ. საძაგლიშვილის — კირიონის, ი. გოგებაშვილის, პ. თუმანიშვილის, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისადმი და სხვა.

თუ გავითვალისწინებთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ალ. ხახანაშვილის პირად ფონდში მრავალრიცხოვან კორესპონდენტთა დიდი რაოდენობით თავმოყრილ წერილებს, აშკარა ხდება, რომ თვითაღლ. ხახანაშვილის პირადი წერილები ბევრად მეტი უნდა იყოს, ვიდრე ამჟამად მოგვეპოვება.

მოსალოდნელია, როგორც ცალკეულ ოჯახში. ასევე არქივსაცავებში აღმოჩნდეს ალ. ხახანაშვილის ეპისტოლარული ხასიათის მასალები. მით უმეტეს, როგორც ცნობილია, ალ. ხახანაშვილს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე საქმიანი ურთიერთობა და ფართო მიმღწერა ჰქონდა საქართველოს ყოველი კუთხის მოწინავე ადამიანებთან, მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, აგრეთვე რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე წარმომადგენლებთან — მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან.

სხვადასხვა არქივში გამოვლენილი და თავმოყრილი წერილებიდან არც ერთი არ არის ინტერესმოკლებული. ყველა წერილი, მეტ-ნაკლებად, წარმოადგენს დამხმარე მასალას მე-19 საუკუნის 90-იანი წლებისა და ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წლების ქართული კულტურის, მწერლობისა და ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის. ეს წერილები გვეხმარება მრავალი კონკრეტული საკითხის გარკვევაში.

აღ. ხახანაშვილის 54 წერილი გრაფინია პრასკოვია სერგეის ასულ უვაროვასადმი აგვისახავს იმ ნაყოფიერ მუშაობას, რომელსაც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ეწეოდა 1828 წლიდან დაწყებული თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ხელშეწყობით, კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ისტორიული წარსულის, კულტურისა და არქეოლოგიური ძეგლების შესასწავლად.

აკად. ნიკო მარისა და აღ. ხახანაშვილის მიწერ-მოწერიდან ჩანს, რომ მათ ახლო საქმიანი ურთიერთობა ჰქონიათ. აღ. ხახანაშვილი თავის პირველ წერილში, რომელიც 1889 წლის 30 მარტს არის გაგზავნილი, ნ. მარს ატყობინებს, რომ იგი დაინიშნა აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტში ქართული ენის მასწავლებლად.

აღ. ხახანაშვილის სამეცნიერო სარბიელზე გამოსვლას გაზეთი „ივერია“ 1889 წლის 7 მარტს საზოგადოებას ატყობინებდა: „ბ-ნი აღ. ხახანაშვილი 23 იანვრიდან დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად ლაზარევის ლიციეში. პირველი ლექცია ბ-მა ხახანაშვილმა წაიკითხა პროფესორების თანდასწრებით, ლექცია შინაარსით საინტერესო იყო და მოსაწონი. პროფესორებმა თანაგრძნობით მიიღეს პირველი დებიუტი ახალგაზრდა ლექტორისა“.

წერილებიდან ჩანს, რომ აღ. ხახანაშვილი მოსკოვიდან და ნიკო მარი ლენინგრადიდან ერთმანეთს ეხმარებოდნენ საჭირო მეცნიერული შრომებისა და ლიტერატურის მიწოდებით; იმავე დროს აწარმოებდნენ აზრთა გაცვლა-გამოცვლას ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე, რაც გარკვევით არის ასახული წერილებში.

მრავალი საყურადღებო საკითხია აღძრული აღ. ხახანაშვილის მიერ მოსე ჯანაშვილისადმი გაგზავნილ წერილებში.

ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი მხარე უნდა აიღოთ, რომ აღ. ხახანაშვილს არ აწუხებდეს, არ აფიქრებდეს და არ აინტერესებდეს. პირდაპირ განსაცვიფრებელია ამ მოღვაწის ესოდენი დაუღალავი შრომა, შრომა მეცნიერისა, მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწისა.

იგი ზრუნავს, რომ მოსკოვიდან „ეტნოგრაფიჩესკოე ობოზრენი-ესა“ და საარქეოლოგიო საზოგადოებათა გამოცემები ეგზავნებოდეს“¹ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას. სამაგიეროდ თხოულობს ქართული გამოცემები მოსკოვის სამეცნიერო დაწესებულებებსა და რედაქციებს ეგზავნებოდეს. ბექდაეს თუ არა თავის შრომებს მოსკოვში, ალ. ხახანაშვილი მაშინვე აგზავნის საქართველოში. იგი ერთ-გან ი. მანსვეტაშვილს სწერს: უმორჩილესად გთხოვთ, ორი წიგნი ჩემი „ბატონყმობისა“ შესწიროთ ჩემს მაგივრად ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებასა. მეორეგან დავით კარიჭაშვილს თხოვს, რომ „ქართველ თავადაზნაურთა საგვარეულო აქტების“ მის მიერ მოსკოვიდან გამოგზავნილი 50 ცალიდან აიღოს თითო ცალი: ქ. შ. წ.-კ. გ. ს. წიგნსაცავი-ს. თვის, თავისთვის, გ. საძაგლიშვილისა, ნ. ხიზანიშვილისა, ი. კავკავა-ძისა და ექვთ. თაყაიშვილისათვის, „ივერიის“, „კვალისა“ და „კავკა-ზის“ რედაქტორებისათვის.

ავიღოთ თუნდაც წერილი ივანე მაჩაბლისადმი. ალ. ხახანაშვი-ლი თხოვს მას, რომ სათავადაზნაურო ბანკს როგორმე სტიპენდია დაენიშნა ნიჭიერი ახალგაზრდის ია კარგარეთელისათვის, რომელიც მაშინ მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობდა.

მეორეგან, 1903 წლის 6 ოქტომბერს გამოგზავნილ წერილში ალ. ხახანაშვილი შუამდგომლობს ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების თავ-მჯდომარის ამხანაგის ნ. ცხვედაძის წინაშე. რომ დახმარება აღმოუ-ჩინონ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს გიორგი მოზდოკელს; მესამეგან მასვე თხოვს, რომ ბესარიონ ნიჟარაძის (თავისუფალი სვა-ნის) შვილს დაუნიშნონ დ. სარაჯიშვილის სტიპენდია; თხოულობს, აგ-რეთვე, დახმარება გაეწიოს ვენის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულ-ტეტის სტუდენტს ბესარიონ ოქროპირიძეს და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, ჩვენი აზრით, მეტად საგულისხმო ფაქტი, რაც ალ. ხახანაშვილის მიერ 1895 წლის 7 დეკემბერს განდგეილი-სადმი გაგზავნილი წერილის საშუალებით ირკვევა. ეს წერილი, ალ. ხახანაშვილის თხოვნით, განდგეილს, როგორც იმ დროს გაზეთის უახლოეს თანამშრომელს, „ივერიაში“ დაუბეჭდავს. გაირკვა, რომ ეს წერილია ა. ხ.-ს ინიციალით „ივერიის“ 15 დეკემბრის ნომერში და-ბეჭდილი „წერილი მოსკოვიდან“. აი ეს წერილიც: „გამუდმებული წვიმებით მანდ დაზარალებულთა სვე-ბედმა აქაც დაგვაფიქრა და ვცდილობთ შეძლების გვარად შემწეობა აღმოუჩინოთ. ჩვენ (მე და დ. ზ. სარაჯიშვილმა) მივმართეთ გრაფინია პ. ს. უვაროვისას, რომ შესდგეს მისის თავმჯდომარეობით მოსკოვში კომიტეტი, რომელმაც აღმოაჩინოს წყარო, საიდგანაც შესაძლებელი იქნეს დახმარება დაზა-

რალეზულ მცხოვრებთა საქართველოში... საჭიროა, რომ ტფილისში, ან ქუთაისში დაარსდეს ადგილობრივი კომიტეტი ზემოხსენებულსავე მიზნით, რომ აქედან გაიბას მასთან მიწერ-მოწერა და შემოწირუ-ლებათა გაგზავნა...

საერთო გაჭირვების და ტკივილების გარდა, აქაურ ქართველ მოსწავლეთა თავიანთი ხელმოკლეობაც აწუხებს. იანვრის 21 უნდა გაიმართოს ჩვეულებრივი „ქართული საღამო“, რომელზედაც მოწვე-ულია მონაწილეობის მისაღებად ქ. გაბუნია-ცაგარლისა და იმედია უარი არ მოუყვით. პეტერბურგიდამ ჩამოვა „ქართული საღამოსათვის“ პოეტი ვ. ველიჩკო“. ამ ამბავს გამოეხმაურა შემდეგ „ივერია“ წე-რილით: „კავკასიის სტუდენტების დახმარების საქმის მოწყობა“ (20. 12. 1895, № 275).

აღ. ხახანაშვილი ყოველთვის დიდი გულისხმიერებით ეკიდებო-და ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობის დავალებებს.

როდესაც დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა და ზელნაწერები მისმა მემკვიდრეებმა ქართველ საზოგადოებას უანდერძეს, საჭირო იყო მისი გადმოგზავნისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩა-ტარება. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს აღ. ცაგარელს ილია ჭავჭავაძემ 1891 წლის თებერვალში თხოვა დავით ჩუბინაშვი-ლის ბიბლიოთეკის კატალოგების შედგენა. აღ. ცაგარელმა ეს და-ვალება მოუცლელობის გამო დროზე ვერ შეასრულა. შემდგომ ეს საქმე მიანდეს აღ. ხახანაშვილს. 1891 წლის ნოემბერში ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობას, წერილთან ერთად, აღ. ხახანაშვილისათვის გაუგზავნია რწმუნების ქაღალდი დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მისაღებად, ინსტრუქცია ბიბლიოთეკის კატალოგის შესადგენად და თანხა ხარჯებისათვის.

აღ. ხახანაშვილმა აღ. ცაგარელს დაწყებული სამუშაო პირ-ნათლად შეასრულა და დ. ჩუბინაშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა — წიგნები და ზელნაწერები პეტერბურგიდან გამოგზავნა თბილისში 1892 წელს.

განდეგილისადმი მიწერილი წერილებიდან, სხვა საყურადღებო საკითხებთან ერთად, გამოირკვა, რომ აღ. ხახანაშვილს ეკუთვნის დღემდე სრულიად უცნობი ფსევდონიმი АНТОНИН²⁹, რომლითაც იგი გაზ. „Курьер“-ში ბეჭდავდა წერილებს აღმოსავლეთმცოდნეობის

²⁹ ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილები იხ. გაზ. «Курьер», 1900, №№ 266, 336; 1901, № 152; ამ გაზეთში ამაზე აღრეც და შემდეგაც აღ. ხახანაშვი-ლის სხვა საყურადღებო წერილებიც დაიბეჭდა ზელმოწერითა და ინიციალებით (А. X.). იხ. «Курьер», 1897, № 138, 1899, № 66, 1903, №№ 16, 24, 66, 81 და სხვ.

საკითხებზე. ამ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილებსაც, ცხადია, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ალ. ხახანაშვილის მეცნიერული და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

გ. თუმანიშვილისადმი გაგზავნილი წერილები მეტად საყურადღებო საკითხებს შეიცავს. კერძოდ, ირკვევა, რომ იმ პერიოდში თბილისში მოქმედ კავკასიისმცოდნეობის უმაღლესი კურსების მუშაობაში მონაწილეობა მიუღიათ და ლექციების წასაკითხავად ჩამოდიოდნენ მოსკოვ-ლენინგრადიდან, ალ. ხახანაშვილის გარდა, ცნობილი მეცნიერები: ვ. მილერი, დ. ანუჩინი, ლ. მსერიანცი, ვესელოვსკი, გ. ხალატიანცი, მ. კოვალევსკი, ნ. მარი, ალ. ჭავჭავაძე და სხვები.

ამრიგად, როგორც ჩანს, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის ალ. ხახანაშვილის პირადი წერილები მრავალმხრივ საყურადღებოა. ამავე დროს, ეს წერილები ხელს შეუწყობს თვით ალ. ხახანაშვილის მეცნიერული და ლიტერატურული მემკვიდრეობის გარკვევას, დამუშავებასა და შესწავლას.

ფიზიკურად სუსტი აგებულების ალ. ხახანაშვილი დაძაბულმა, ინტენსიურმა შრომამ უდროოდ გატეხა. ჭერ კიდევ მეცნიერული ცოდნის სრული მომწიფების პერიოდში, 48 წლის ასაკში შეწყდა მისი გულის ძვრა. იგი გარდაიცვალა კუმისის კურორტზე, ქ. სამარას მახლობლად, 1912 წლის 7 აგვისტოს.

ალ. ხახანაშვილის უდროოდ სიკვდილი მძიმე დანაკლისი იყო ქართველი ხალხისათვის, ქართული კულტურის მეცნიერული კვლევადიების საქმისათვის.

ქართული მოწინავე საზოგადოების საუკეთესო შვილები—მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, სხვადასხვა ქალაქებში მოსწავლე სტუდენტობა და ახალგაზრდობა ხალხის საერთო ღრმა გულისტკივილს გამოხატავდნენ თავიანთ მწუხარებაში ალ. ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო.

პეტერბურგისა და მოსკოვის მოწინავე ქართველი სტუდენტობა, მოსკოვის ქალთა პირველი და მეორე გიმნაზიის, ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში მოსწავლე სტუდენტობა მრავალრიცხოვანი სამგლოვიარო დეპეშებით, თავის ღრმა მწუხარებას უერთებდა ქართველი ხალხის საერთო გლოვას.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფი სამგლოვიარო დეპეშაში წერდა: „ჩაქრა ლამპარი პროფესორ ხახანაშვილის გარდაცვალებით. საქართველოს შესწავლის საქმემ თვალსაჩინო მეცნიერული ძალა დაკარგა, ქართველმა საზოგადოებამ კი — ღირსეული

მოქალაქე. აცრემლებულ სამშობლოს ვუერთებთ ჩვენს გლოვა-მწუხარებას³⁰.

პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულ ქართველთა სამეცნიერო წრის გამგეობაც თავის ღრმა მწუხარებას დეპეშით გამოხატავდა: „გული დაგვწყვიტა საქართველოს გამოჩენილ მკოდნე პროფესორ ხახანაშვილის უდროოდ დაკარგვამ. იგი იღვწოდა იმ დარგში სადაც სამკალი ბევრია, ხოლო მომკალი კი მცირე. საქართველოს კვლევა-ძიების საქმემ თვალსაჩინო ტალანტი დაჰკარგა მისი გარდაცვალებით, მისგან ჭერ კიდევ ბევრ ნაყოფიერ და სასარგებლო შრომას ველოდით“³¹.

„უმამულომ, არაფრის მქონებელმა, — როგორც გ. ყიფშიძე წერდა, — ალ. ხახანაშვილმა ქვეყნის სასარგებლო საქმეც აკეთა და თან თავის მხნეობით შეძენილი მთელი ქონება ქართველ საზოგადოებას დაუტოვა“.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ღვაწლმოსილი ალექსანდრე ხახანაშვილი ქ. სამარადან სამშობლოში გადმოასვენა და თბილისში, ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში მშობლიურ მიწას მიაბარა.

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ფიზიკური გარდაცვალების შემდეგაც ცოცხლობენ მშობლიური ხალხის ხსოვნაში. ასეთი ადამიანების ხსოვნას შთამომავლობა არასოდეს არ ივიწყებს, სათუთად ინახავს მათ.

ალექსანდრე ხახანაშვილიც თავისი ხალხის ეროვნული კულტურის უკვდავებასთან ერთად ცოცხლობს. მის სამარადისო ხსოვნას დავიწყების მტვერი ვერასოდეს ვერ დაფარავს.

ქართველი ხალხის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა და მეცნიერთა სახელოვან პლეადაში ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილს საპატიო ადგილი უკავია. მისი ნაღვაწი ყოველთვის დამსახურებული ხსოვნისა და პატივისცემის ღირსი იქნება³².

³⁰ იხ. ვაზ. „სახალხო ვაზეთი“, 1912, № 662.

³¹ იხ. ვაზ. „სახალხო ვაზეთი“, 1912, № 662.

³² ალ. ხახანაშვილის მთელი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, გამოკვლევითა და კომენტარ-შენიშვნებით, ორ ნაკვეთად, გამზადებულია გამოსაცემად: ალ. ხახანაშვილის წერილები; ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები ალ. ხახანაშვილისადმი.

სარჩევნი

1. აკაკი კენჭოშვილი—ალექსანდრე ყაზბეგი 3
2. დანიელ რამიშვილი—ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა. 12
3. ლეილა სულხანიშვილი—აკაკის „ბაში-აჩუკი“ და მისი ისტორიული წყაროები. 59
5. შალვა სააკაძე—ბრძოლა რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკისათვის 70-იანი წლების ქართულ პრესაში. 88
6. შოთა ვაშაყმაძე—ქართველი სამოციანელები და ხალხოსნების ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა. 116
7. გიორგი აბაშიძე—ანტონ ფურცელაძე და ხელოვნების უტილიტარული თეორია. 155
8. ნოდარ ალანი—პოეზია გაზეთ „ქვალში“. 179
9. შალვა გოზალიშვილი—ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). 194

ВОПРОСЫ НОВОЙ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ, I

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიაევა
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ი. ღონაძე

გადაეცა წარმოებას 24. 10. 1968; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. VII. 69;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 14,38; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 12,45; უე 01310; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 2593;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба» Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15